

# ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და  
ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საპაზო საფეხურისათვის

ავტორები: რომელ გოლობი, ტედ ჰუდლესტონი, პიტერ კრაფი,  
დონ როუვი, უიმ ტაელმანი

## წიგნი III

ექვსი წიგნისაგან შემდგარი სერიიდან, რომელიც ეხება სწავლებას  
დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა  
შესახებ

სწავლების პროცესი, ცნებები, მეთოდები და მოდელები



წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ ასახავს ევროსაბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

მთარგმნელი: მაია ჩანქსელიანი

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ბაგრატიონი

ილუსტრაციები: პეტრ ვისკემანი

ყდის დიზაინი: ევროსაბჭოს გრაფიკული დიზაინის ჯვუფი

© Council of Europe

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის ელექტრონული, მექანიკური, ფოტოგრაფიული ან ნებისმიერი სახით რეპროდუქცია დაუშვებელია კომუნიკაციების დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების წერილობითი ნებართვის გარეშე (ელ. ფოსტის მისამართი: [publishing@coe.int](mailto:publishing@coe.int); ვებ-გვერდი: <http://book.coe.int>).

პირველი ქართული გამოცემა

„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2009.

წიგნი გამოდის ევროსაბჭოს მხარდაჭერით. თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“.

თბილისი, 0102, უზნაძის ქ. 52.

ტელ: (+995) 91 14 53, 95 13 02/04

ვებ-გვერდი: [www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge) ელ-ფოსტა: [info@tpdc.ge](mailto:info@tpdc.ge)

ISBN 978-9941-0-1559-5 – ექვსივე წიგნის

ISBN 978-9941-0-1560-1

# სარჩევი

გვერდი

შესავალი .....	5
სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ჩარჩო: ძირითადი ცნებები .....	11
პირველი ნაწილი – პიროვნება და თემი .....	19
თავი 1. სტერეოტიპები და ცრურნებები: რა არის თვითმყოფადობა? როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი? .....	21
თავი 2. თანასწორობა: თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ? .....	35
თავი 3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი. როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად, მშვიდობიანად იცხოვრონ? .....	53
თავი 4. კონფლიქტი. როგორ ვიქცევით, როცა არ ვეთანხმებით? .....	75
მეორე ნაწილი – პასუხისმგებლობის ალება .....	93
თავი 5. უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები. რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება ამ უფლებათა დაცვა? .....	95
თავი 6. პასუხისმგებლობა. რა პასუხისმგებლობები გვაკისრია? .....	121
მესამე ნაწილი – მონაწილეობა .....	135
თავი 7. სასკოლო გაზეთი. როგორ იქმნება მედია? .....	137
მეოთხე ნაწილი – ძალაუფლება და უფლებამოსილება .....	149
თავი 8. წესები და კანონები. რა ტიპის წესები სჭირდება საზოგადოებას? .....	151
თავი 9. მთავრობა და პოლიტიკა. როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველობა? .....	167



# შესავალი

## რას გვთავაზობს ეს წიგნი?

წინამდებარე წიგნი ევროსაბჭოში შემავალი ქვეყნების მასწავლებლების, მასწავლებელთა ტრენერების, სასწავლო გეგმების სპეციალისტების, სასკოლო სახელმძღვანელოების რედაქტორებისა და მთარგმნელებისათვისაა მომზადებული. წებადართულია ამ წიგნის თარგმნა და ქვეყნის განათლების სისტემის საჭიროებებზე მორგება.

წიგნი ცხრა თავისაგან შედგება და ეხება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. თითოეული თავი ოთხ გაკვეთილს მოიცავს. ეს გაკვეთილები განკუთვნილია საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასებისათვის (ძირითადად, მე-8 და მე-9 კლასები), დამოკიდებულია ქვეყნის განათლების სისტემაზე). წიგნის თითოეული თავი ეხება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ისეთ ცნებათაგან ერთ-ერთს, როგორებიცაა: პიროვნულობა – თავისუფლება – პასუხისმგებლობა – კონფლიქტი – კომუნიკაცია – პლურალიზმი – წესები და კანონები – თანასწორობა – ქვეყნის მართვა.

თითოეული გაკვეთილის აღნერა სწავლების ეტაპების თანმიმდევრობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ყველა თავი დანართის ფორმით მოიცავს მასწავლებლის მიერ მოსწავლე-თათვის დასარიგებელ სამუშაო ფურცლებს. შესაბამისად, სახელმძღვანელო მასწავლებლებზე გათვლილი, და არა მოსწავლეებზე. მასწავლებელთა ტრენინგების შედეგად მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამწყები მასწავლებლები ყოველთვის გამოხატავენ სურვილს, მიიღონ გაკვეთილის დეტალური გეგმები. იმედი გვაქვს, რომ გამოცდილი მასწავლებლებისთვისაც სასარგებლო იქნება ამ წიგნში წარმოდგენილი იდეები და მასალები. მასწავლებელთა ტრენერებმა წინამდებარე წიგნი შეიძლება გამოიყენონ სახელმძღვანელოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ტრენინგების მომზადებისას.

ეს წიგნი პირველად ბოსნია-ჰერცოგოვინაში გამოიცა (2002 წ.) ახალი სასკოლო საგნის – დემოკრატია და ადამიანის უფლებები – დამხმარე სახელმძღვანელოდ. 1992 წლიდან მოყოლებული, ევროსაბჭო ჩართულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროებში მასწავლებელთა და ტრენერთა გადამზადების პროექტებში. ეს პროექტები ომის შემდგომ სამშვიდობო პროცესს უწყობს ხელს. ამ წიგნის ავტორები და პირველი გამოცემის რედაქტორები პროექტში მონაწილე საერთაშორისო ტრენერების გუნდის წევრები იყვნენ. პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ მასწავლებელთა და ტრენერთა გადამზადება, შევიმუშავეთ სასწავლო მასალები; ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო წინამდებარე წიგნის პირველი რედაქციაც, რომელიც მომზადდა როგორც მასწავლებელთა გადამზადების, ასევე კლასში გამოყენების მიზნით.<sup>1</sup>

## რა მიღომებით გამოირჩევა სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ?

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია.<sup>2</sup> მოსწავლეებს იმის გააზრებაში უნდა დავკემაროთ, თუ რას გულისხმობს თავისუფალი პზრის გამოხატვა. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ იცავს მათი კონსტიტუცია მათ უფლებას, რომ გამოხატონ თავისუფალი აზრი (ეს არის ცოდნის მიღება და გააზრება). გამომდინარე იქიდან, რომ ამ უფლების გამოყენებაზეა დამოკიდებული პიროვნებათა მონაწილეობა დემოკრა-

1 ამ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გაეცანით ხუთი წიგნისაგან შემდგარი სერიის პირველ ნაწილს.

2 იხილეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10 დეკემბერი, 1948 წელი, მუხლი 19; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 4 ნოემბერი, 1950, მუხლი 10.

ტიულ საზოგადოებაში, მოსწავლეებმა, ასევე, უნდა ისწავლონ საზოგადოებაში კამათის წესები (ეს არის უნარების განვითარება და კომპეტენციის ჩამოყალიბება). და ბოლოს, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება საფუძველს უყრის ღია, პლურალისტურ საზოგადოებას. ასეთ საზოგადოებაში ინტერესთა/აზრთა სხვადასხვაობა და კონკურენცია საყოველთაო ნორმაა, და არა გამონაკლისი. არსებობს კონფლიქტებიც, რომლებიც არაა ალადობრივი გზით უნდა გადაჭრას. კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისათვის გამოიყენება კამათი, მოლაპარაკება, გარიგება, როგორც საჯაროდ, ისე დახურულ კარს მიღმა. ღია, პლურალისტური საზოგადოება ემყარება მცაცრად განსაზღვრულ წესებსა და ძლიერ ინსტიტუციებს, რომლებიც ამ წესების დაცვის გარანტიად გვევლინებიან. ასეთი საზოგადოება, პირველ ყოვლისა, მოქალაქეთა ისეთ საერთო ღირებულებებს ეფუძნება, როგორებიცაა: შემწყნარებლობა; ურთიერთპატივისცემა; არააალადობრიობა; უნარი, თვალი გაუსწორო პრობლემურ, საკამათო სიტუაციებს, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება დემოკრატიულ ღირებულებს ეფუძნება, საზოგადოება ყოველთვის გადალახავს მწვავე უთანხმოებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და მიაღწევს შეთანხმებას. შესაბამისად, აზრის გამოხატვის თავისუფლება მთავრობისათვის საფრთხეს სულაც არ წარმოადგენს. პირიქით, საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრის გამოხატვის თავისუფლების კულტურა მთავრობას სამართლიანი და ეფექტური გამოსავლის მოძებნაში ეხმარება.

დემოკრატიას კულტურული განზომილება აქვს; პოლიტიკური მეცნიერების თეორიაში ამ კულტურულ განზომილებას იმ დაუნერელ სოციალურ კონტრაქტად აღიქვამენ, რომელ-საც ქვეყნის თითოეული მოქალაქე ანერს ხელს. ყოველი ახალი თაობა გააზრებულად უნდა დაეთანხმოს ამ დაუნერელი სოციალური კონტრაქტის პირობებს, რითაც საზოგადოების ღირებულებებს გაიზიარებს (ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარება).

ასე რომ, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესის ინტეგრაციას სამ განზომილებაში ახდენს:

- ცოდნა და გააზრება (შემეცნებითი განზომილება);
- უნარების განვითარება და კომპეტენციის ჩამოყალიბება;
- ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარება.

ეს მოდელი, ზოგადად, განათლებას მიესადაგება და, შესაბამისად, მკითხველისათვის შეიძლება ნაცნობი აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, რომ მაღალ კლასებში შემეცნებით განზომილებაზე მეტისმეტად ძლიერი აქცენტი კეთდება ხოლმე. საინტერესოა, როგორ პასუხობს ამ გამოწვევას სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მოსწავლე ზემოთნარმოდგენილ სამ განზომილებას უნდა დაეუფლოს, როგორი უნდა იყოს მასწავლებლის როლი ამ პროცესში?

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ: ძირითადი პრინციპები

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება აერთიანებს სამ განზომილებას ისე, რომ კლასში სწავლის პროცესს მჭიდროდ აკავშირებს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მოიცავს სამ დიდაქტიკურ მიღვომას:

- სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ;
- ყოველდღიური სასკოლო გამოცდილება, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება;
- სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის.

ეს სამი დიდაქტიკური მიღვომა ერთიან მთელს ქმნის. სწავლების პროცესი ამ სამივე მიღვომას მოიცავს; ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ თითოეულს.

## სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ

სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ გულისხმობს სასკოლო საგანს სამოქალაქო განათლებაში. სიტყვას შესახებ სწავლის შემცნებითი განზომილება შემოჰყავს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სასწავლო გეგმის სტანდარტები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მოსწავლეს შეუძლია ჩამოაყალიბოს დემოკრატიის ძირითადი პრინციპები და ახსნას, რით განსხვავდება დემოკრატია დიქტატორული, ან ოლიგარქიული წყობებისაგან; მოსწავლემ იცის ადამიანის უფლებათა ისტორიისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების შესახებ; მას შეუძლია, ახსნას, თუ როგორ აისახება ადამიანის უფლებები ქვეყნის კონსტიტუციაში, რაც ამ უფლებებს სამოქალაქო უფლებებად აქცევს და მათ უფრო მკაფრ დაცვას უზრუნველყოფს. ასე რომ, სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს კურსებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ისევე, როგორც მონათესავე საგნებს: ისტორიას, სოციალურ მეცნიერებებსა და ეკონომიკას.

## ყოველდღიური სასკოლო გამოცდილება, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება

მოსწავლეებმა არა მხოლოდ უნდა იცოდნენ საკუთარ უფლებათა შესახებ, არამედ უნდა შეეძლოთ მათი გამოყენება. ამისათვის აუცილებელია, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ. მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, გამოხატონ თავიანთი აზრები არა მხოლოდ კლასში განხილული მასალის შესახებ, არამედ, ზოგადად, სწავლების პროცესისა და სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებითაც. თუ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ამ კუთხით შევხედავთ, ისინი იქცევიან სახელმძღვანელო პედაგოგიურ პრინციპებად, რაც უკვე მთელ სკოლას მოიცავს, და არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის სპეციალურად გადამზადებულ მასწავლებლებს. ისეთი ადამიანური ღირებულებების გააზრება, როგორებიცაა თანაგრძნობა და პასუხისმგებლობა, მხოლოდ პრაქტიკული გზით მიიღწევა. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყველა საგნის მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეებისათვის სანიმუშო უნდა იყოს და სხვადასხვა ადამიანური ღირებულება უნდა განასახიეროს. სკოლაში მიღებული გამოცდილება ადამიანის უფლებათა შესახებ მიღებულ სისტემატიზირებულ ცოდნაზე (სწავლა ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის შესახებ) უნდა აისახებოდეს და მას უნდა უკავშირდებოდეს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ამ ორივე განზომილებას მოიცავს. შესაბამისად, მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასწავლო გეგმაში სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი, უნდა ჩაანაცვლოს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულმა განზოგადებულმა პედაგოგიურმა პრინციპმა, მცდარია.

## სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის

ეს დიდაქტიკური მიდგომა ეხება სკოლის პერიოდში მიღებული გამოცდილების კავშირს ადამიანის შემდგომ ცხოვრებასთან. ჩვენ გვესმის, რომ პიროვნების სასკოლო ცხოვრება მნიშვნელოვანია ზოგადი და პოლიტიკური სოციალიზაციის თვალსაზრისით. სკოლის პერიოდი არის ადამიანის ცხოვრების ნაწილი. გამოცდილება, რომელსაც ადამიანი სკოლაში იღებს, ხშირად ზრდასრულ ცხოვრებაშიც მეორდება: გენდერული უთანასწორობა, თემის წევრების გაერთიანება სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური ნიშნის მიხედვით, ძალადობასთან გამკლავება, პასუხისმგებლობის აღება, ძალაუფლების არათანაბარი განაწილება, რესურსების სიმწირე (ფულის, დროის), წესებისა და კანონების მორჩილება, დათმობაზე წასვლა. როცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის სწავლაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ განათლების მნიშვნელობას ზრდასრული ადამიანის ცხოვრებისათვის. ყველა საგნის მასწავ-

ლებლის ვალია, დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა ამ უკანასკნელთ განუვითარდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უნარები, მაგალითად, უნარი იმისა, რომ საკუთარი აზრი მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბონ.

სკოლაში მოსწავლეებს შეუძლიათ, გაეცნონ რეალურ ცხოვრებას. სკოლა ცხოვრებაა, და არა იზოლირებული ადგილი, სადაც ადამიანები მხოლოდ აკადემიურ ცოდნას ეუფლებიან. სკოლა ის მიკროთემია, რომელიც მთლიანი საზოგადოების მოდელს წარმოადგენს.<sup>3</sup> სკოლა შეიძლება უკეთესი, უფრო დემოკრატიული საზოგადოების მოდელადაც კი აღვიქვათ, რადგან სკოლის საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, გაცილებით აქტიურად ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სკოლის დონეზე, ვიდრე სკოლის გარეთ შეძლებდა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის სწავლა ნიშნავს იმის გააზრებას, თუ როგორ უნდა მიიღო მონაწილეობა თემის ცხოვრებაში. ყოველდღიური სასკოლო გამოცდილება კი, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება, გულისხმობს, რომ თემს დემოკრატიული პრინციპები მართავს, სადაც ადამიანის უფლებები პედაგოგიური სახელმძღვანელო პრინციპებია. დემოკრატია პოლიტიკურ კულტურას ემყარება; ეს უკანასკნელი მოსწავლეებმა სასკოლო გამოცდილებისა და ამ გამოცდილების ანალიზის საშუალებით უნდა გაითავისონ (სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ).

ზოგადად, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მთელი სკოლის რეფორმირებას გულისხმობს, რაშიც ჩართულნი არიან როგორც მასწავლებლები, ისე სკოლის დირექტორი. წინამდებარე სახელმძღვანელო კი ეხება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ კონკრეტულ სასწავლო საგნად. განათლების რეფორმა მრავალი ელემენტისაგან შედგება და შედეგები, როგორც წესი, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. რეფორმის პირველი ეტაპი სწორედ საკლასო ოთახში უნდა დაიწყოს, სადაც მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა სურთ. ამ თვალსაზრისით, მეთოდური და შინაარსობრივი საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ: მეთოდიკის კავშირი შინაარსობრივ მხარესთან

სწავლა აქტიური პროცესია და ამ პროცესს ყველა მოსწავლე განსხვავებულად უდგება (სწავლის კონსტრუქტივისტული ცნება). გამოხატვის თავისუფლებას მოსწავლე მხოლოდ ხშირი პრაქტიკით უფლება. მოქმედებს შემდეგი პრინციპი: „გამოიყენე, ან დაკარგე“ ეს უფლება. ეს პრინციპი იმას გულისხმობს, რომ მოსწავლე, რომელიც ხშირად არ იყენებს გამოხატვის თავისუფლებას, ამ უნარს კარგავს. ყველა მასწავლებლის მოვალეობაა, შეუქმნას მოსწავლეებს ისეთი სასწავლო გარემო და მისცეს ისეთი დავალებები, რომელიც მათ სწავლის პროცესში დაეხმარება. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია პრეზენტაციების, დისკუსიების, დებატების, პოსტერების, ხელოვნების ნიმუშებისა და ვიდეოკლიპების გამოყენება.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ მეთოდებზე, რომლებიც პროექტის შესრულებაზე ორიენტირებულ, ინტერაქტიულ და თანამშრომლობით სწავლას უწყობენ ხელს. როცა მოსწავლეები დავალების შესრულების გზებს იკვლევენ და პრობლემების გადაჭრის გზებს ეძებენ, ისინი გაცილებით მეტს სწავლობენ, ვიდრე მასწავლებლის მიერ სწავლების ტრადიციული მეთოდი<sup>4</sup> გამოყენების შემთხვევაში. ინტერაქტიული და თანამშრომლობითი სწავლება თითოეული მოსწავლის სწავლის საჭიროებების უფრო უკეთ გათვალისწინების საშუალებასაც იძლევა. ამ წიგნში წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება პროექტის შესრულებაზე ორიენტირებული სწავლება კონკრეტული თემებისა თუ საგნების სწავლისას გამოვიყენოთ. საგულისხმოა, რომ სწავლების ტრადიციული მეთოდი არ წარმოადგენს ინტერაქტიული სწავლების ალტერნატივას. ხარისხიანი სწავლება ორივეს მეთოდის ელემენტებს უნდა მოიცავდეს

3 ამ მოსაზრებას საფუძველს უყრიან დიური (სკოლა, როგორც „საზოგადოება ემბრიონულ სტადიაში“) და ფონ ჰენთინგი („სკოლა, როგორც ქალაქი-სახელმწიფო“).

4 სწავლების ტრადიციულ მეთოდად მოვიხსენიებთ სალექციით სწავლებას, როცა დროის ძირითადი ნაწილი მასწავლებლის საუბარს ეთმობა; ნებისმიერ დისკუსიას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულად წარმართავს და აკონტროლებს მასწავლებელი (მთარგმნელის შენიშვნა).

და ამას წიგნში წარმოდგენილი გაკვეთილების აღწერებიც ადასტურებს.

<b>დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მთავარი ამოცანა: მოქალაქის ჩართულობა დემოკრატიული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში</b>			
სწავლა	სწავლება	მეთოდები	სკოლა
ცოდნა და გააზრება	სწავლება – დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ	– პროექტის შესრულებაზე ორიენტირებული – ინტერაქტიული – თანამშრომლობითი სწავლა	„სკოლა, როგორც მიკროსაზოგადოება“
უნარები	– როგორც ყოველდღიური სასკოლო გამოცდილება, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება	ეს მეთოდები კომბინირებულია მასწავლებლის მხრიდან:	რეალური ცხოვრების გამოცდილება სკოლაში
დამოკიდებულებები და ღირებულებები	– დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის	– სწავლებასთან – დაკვალიანებასთან – ვარჯიშთან – დემონსტრირებასთან	
	დემოკრატია და ადამიანის უფლებები		

პროექტის შესრულებაზე ორიენტირებული მეთოდი დროის სათანადო დაგეგმვას საჭიროებს. თუ მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეთათვის მეტი შესაძლებლობების მიცემა, მან ნაკლები უნდა იღაპარა კონკრეტული მეტი მოქნილობით უნდა მოეკიდოს მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებებს. ინტერაქტიული სწავლებაც კარგ მომზადებასა და დაგეგმვას საჭიროებს. შესაბამისად, ეს ორი მეთოდი უფრო მეტ დროს მოითხოვს მასწავლებლისაგან, ვიდრე სწავლების ტრადიციული მეთოდი. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ საკმაოდ პოპულარულია მასწავლებლებში. კვლევების შედეგები კი აჩვენებს, რომ ინტერაქტიულ სწავლებაზე გადასვლა აუცილებელია სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად.

გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლებისაგან ინტერაქტიული სწავლება სხვადასხვა როლის შესრულებასა და მეტ მოქნილობას მოითხოვს, ეს წიგნი სწორედ მათ დასახმარებლადაა შექმნილი. მასწავლებელი არის მთავარი მონაწილე, რადგან პასუხისმგებელია მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობით, დავალებითა და საინფორმაციო საშუალებით უზრუნველყოფაზე.

## რა არის ჩვენი მთავარი მიზანი?

დემოკრატიული სისტემა დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიური მოქალაქეების არსებობაზეა დამოკიდებული. დემოკრატიული ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეისწავლოს საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობები; ის უნდა ერკვეოდეს დემოკრატიისათვის დამახასიათებელ როტულ ინსტიტუციურ სისტემაში. საჯარო დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად, ადამიანებს საჯარო გამოსვლისა და მოლაპარაკების წარმოების უნარები სჭირდებათ. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდებს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში დავესმართ და ამით დემოკრატიას სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. დემოკრატია ვერ იარსებებს კონსტიტუციით დაცული ინსტიტუციური სისტემის არსებობის გარეშე. უფრო მეტიც, ამ სისტემას საზოგადოებრივ კულტურაში უნდა ჰქონდეს ფესვი გადგმული. ჩვენ სწორედ ამ კულტურული განზომილების გაძლიერებისათვის ვმუშაობთ. ამიტომაც ევროსაბჭომ, ბოსნია-ჰერცოგოვინას

სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, განახორციელა მასწავლებელთა გადამზდების პროგრამა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში.

ეს წიგნი მე-8 და მე-9 კლასელი მოსწავლეების მასწავლებლებისთვისაა დაწერილი. ადამიანის მიერ ახალი ცოდნისა და უნარების ათვისება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ ცოდნასა და უნარებზე, რომელიც ადამიანს სწავლის დაწყებისას გააჩნია, ასევე იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, რომელიც მან წლების მანძილზე შეიძინა. ამ წიგნში წარმოდგენილი მასალა დემოკრატის კულტურულ განზომილებას ეხება, ხოლო შემდეგი წიგნი (IV) კი – დემოკრატის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ განზომილებებს.<sup>5</sup>

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ: „ევროპული მიღვომა“

ეს წიგნი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი ზოგადევროპული დამოკიდებულების გამომხატველია. წიგნის მომზადების იდეა და მისი პირველი ვერსია ბოსნია-ჰერცოგოვინაში გაჩნდა; ამ პროცესში არაერთი მასწავლებელი და განათლების სპეციალისტი იღებდა მონაწილეობას. წიგნის ავტორებს სწავლების მეთოდოლოგიები და ტრადიციები ისეთი ქვეყნებიდან მოჰყავთ, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ბელგია, შვეიცარია და გერმანია. ამ გამოცემის მომზადებისას, მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს ქ-ნმა ოლოფ ოლაფსდომირმა და ქ-ნმა სარა კითინგ-ჩეთვინდმა ევროსაბჭოდან, ასევე ქ-ნმა საბრინა მარუჩედუმ და დოქტორმა ვილტრუდ ვედინგერმა ცურიხში მდებარე განათლების საერთაშორისო პროექტების ცენტრიდან. ქ-ნმა ანჯელა დოულმა (ევროსაბჭო) წაიკითხა წიგნის საბოლოო ვარიანტი. ბ-ნმა პეტრი ვისკერმანმა კი ილუსტრაციები მოამზადა; ეს ილუსტრაციები მეტ მნიშვნელობას სძენს წიგნში წარმოდგენილ მასალას. მადლობას ვუხდით ავტორებს, ილუსტრაციების შემქმნელსა და რეცენზენტებს მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ სარაევოში ევროსაბჭოს პროექტების კოორდინატორის ბ-ნი ემირ ადზოვიცის წვლილი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა მუშაობის პროცესში; მისი ჩართულობის გარეშე ეს წიგნი დღის სინათლეს ვერ ნახავდა. ასევე, მადლობას ვუხდით ქ-ნ ჰეთერ კორანტს ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში თანადგომისათვის. მადლობა ყველა პარტნიორს, რომ მათ ამ ჭეშმარიტად ევროპული პროექტის განხორციელებაში შეიტანეს წვლილი.

სტრასბურგი, 2008 წლის აპრილი

როლფ გოლობი (ციურიხი, შვეიცარია)

პიტერ კრაფი (ვაინგართენი, გერმანია)

5 დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ყველა ასაკის მოსწავლეს შეიძლება ვას-სავლოთ. მაგრამ აუცილებელია მოსწავლეთა გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინება. „ბავშვთა უფლებების შესახებ განათლების სახელმძღვანელო“ (სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი V) წარმოადგენს იმ დიდაქტიკურ მიღვომებს, რომელთა გამოყენებაც მიზანშე-წონილია სკოლამდელი აღზრდის ასაკიდან მე-8 კლასამდე.

# ნიგნში გამოყენებული ძირითადი ცნებები

**დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა  
შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები: რა უნდა ჰქონდეს გააზ-  
რებული აქტიურ მოქალაქეს**

ორიენტირებულია რა ცნებებზე, ამ ნიგნში ვიყენებთ კლასიკურ დიდაქტიკურ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ ცნებები თეორიიდან გამომდინარეობს, სწავლასა და სწავლებაში ცნებები სისტემურ თეორიულ ჩარჩოს არ ქმნიან. ცნებების შერჩევა იმიტომაა საჭირო, რომ ისინი მოსწავლისათვის სასარგებლო საშუალებას წარმოადგენენ.

ცნება სტრუქტურირებულ შემეცნებით სქემას იძლევა, რაც მოსწავლეს ახალი ინფორმაციის არსებულ კონტექსტან დაკავშირებასა და მის უკეთ დამახსოვრებაში ეხმარება (კონსტრუქტივისტული სწავლა). ეს განსაკუთრებით იმ ფაქტებსა და რიცხვებს ეხება, რომელთა ზეპირად დასწავლაც მოსწავლეებს ცნებების გამოყენებლობის შემთხვევაში მოუწვდათ. ასევე, ცნებები ადამიანს ეხმარება გაზრდის კითხვისას, ან ახალი ამბების მოსმენისას იმდენად, რამდენადაც საკითხი მნიშვნელოვანი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა რაიმე ცნებას უკავშირდება, როგორებიცაა, მაგალითად: დემოკრატია, ძალაუფლება, კონფლიქტი, პასუხისმგებლობა. ასე რომ, ცნებები ინფორმირებული მოქალაქის განათლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ცნებების მნიშვნელოვნება მხოლოდ შემეცნებითი ცოდნის სტრუქტურირებით არ შემოიფარგლება; მათი გამოყენება საჭიროა ღირებულებებისა და უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ამ ნიგნში წარმოდგენილი მასალები ყოველივე ზემოთქმულის დადასტურებაა.

მოსწავლეები, რომლებიც შეკითხვებს წიგნში განმარტებული ცნებების მიხედვით დასვამენ, უფრო მომზადებულები იქნებიან ახალ ინფორმაციასთან და ახალ პრობლემებთან სამუშაოდ (მთელი ცხოვრების მანძილზე განათლება). ცნებებზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს შემდგომი აკადემიური განათლებისთვისაც ამზადებს, როცა მათ კონკრეტული თეორიების განვითარება უნდა შეძლონ, რომლებიც ახალ ცნებებს ჩაუყირიან საფუძველს.

## როგორ ესმით და როგორ იყენებენ მოსწავლეები ახალ ცნებებს?

სწავლა და მსჯელობა კონკრეტულის აბსტრაქტულთან დაკავშირებას გულისხმობს. ცნებები ანალიზისა და მსჯელობის აბსტრაქტულ, განზოგადებულ შედეგს წარმოადგენენ. მოსწავლემ ცნება შეიძლება ორი მიდგომის გამოყენებით გაიაზროს. ესენია: დედუქცია და ინდუქცია. დედუქციული მიდგომა იწყება ცნებით, რომელსაც მოსწავლე ლექციიდან ან ტექსტიდან იღებს და მას კონკრეტულ პრობლემას უსადაგებს. ინდუქციური მიდგომა საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება – იწყება კონკრეტულით და ბოლოვდება აბსტრაქტულით. მკითხველი დაინახავს, რომ წინამდებარე წიგნის ავტორები, ძირითადად, ინდუქციურ მიდგომას იყენებენ.

ამ წიგნში ძირითადი ცნებების ახსნა კონკრეტული მაგალითებით იწყება. როცა მოსწავლეები მაგალითებს განიხილავენ, ისინი კითხულობენ, თუ რა ცნება აკავშირებს და განაზოგადებს ამ მაგალითებს. მასწავლებლის გადასაწყვეტია, რა დროს მიაწოდოს მოსწავლეებს ახალი ცნება.

ცნებები მასალის გააზრების საშუალებებს წარმოადგენენ. რაც უფრო ხშირად იყენებს მოსწავლე ამა თუ იმ ცნებას, მით უფრო უკეთესად სწავლება მის შინაარსს და უკეთესად უკავშირებს მოცემულ ცნებას სხვა ცნებებსა და მაგალითებს. იმის წაცვლად, რომ, უბრალოდ, ახალი ფაქტები დაისწავლონ, მოსწავლეებს შეუძლიათ, ახალი მასალა გარკვეულ ცნებებსა და ჩარჩოებს დაუკავშირონ.

## როგორ შეიძლება მოვარგოთ ეს წიგნი კონკრეტული მოსწავლის/ ქვეყნის მოთხოვნებსა და ინტერესებს?

თითოეული თავი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ ვითარდება. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წიგნი სწავლისა და სწავლების სხვადასხვა საშუალებას სთავაზობს. წიგნში მოყვანილი მასალის პრაქტიკული გამოყენება უკვე ზოგადის კონკრეტიზაციას გულისხმობს; პროცესს, რომელიც მთლიანად მასწავლებელსა და მოსწავლეებზეა მინდობილი. წიგნის პრაქტიკაში დანერგვის დროს გასათვალისწინებელია მოსწავლეთა სწავლის საჭიროებები და ინტერესები, მოცემული ქვეყნის განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის თავისებურებები და საგანმანათლებლო ტრადიციები.

წიგნის სხვადასხვა თავი პოლიტიკურ წიგნიერებას, უნარების განვითარებასა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ეხება. მაგალითები, რომლებიც წიგნშია წარმოდგენილი, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის რეალობას ან რომელიმე კონკრეტულ დროს არ უკავშირდება. უფრო მეტიც, ხშირად წააწყდებით რჩევას, რომ მოსწავლემ ან მასწავლებელმა მისი ქვეყნის კონტექსტისათვის დამახასიათებელი მაგალითები უნდა მოიძიოს. ვთხოვთ რედაქტორებსა და მთარგმნელებს, გაითვალისწინონ ჩვენი ეს ჩანაფიქრი. თითოეული ქვეყანა თავად ავითარებს დემოკრატიის მისეულ ტრადიციებს, რომლებიც სახელმწიფოს კულტურული და სოციალურ განვითარების თავისებურებებს უკავშირდება. შესაბამისად, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ტრადიციაც თითოეული ქვეყნისათვის განსხვავებულად განვითარდება. ამ ორ თემასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საკითხების განმაპირობებელი ფაქტორები იქნება: განათლების სისტემის მახასიათებლები, პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური ჩარჩოები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები.

## რომელ ძირითად ცნებებს მოიცავს ეს წიგნი?


მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ამ წიგნის ცხრა თავშია მოცემული.

დემოკრატია დიაგრამის ცენტრშია და მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ცნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ყველა კონტექსტში გახვდება. აქტიური მოქალაქეების დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ძირითადი მიზანია; ეს ცნებებიც წარმოადგინებენ გადაწყვეტილების წარმოადგინებლივ.

შემდეგი წრე მოიცავს დემოკრატიის სამგებელების კომპონენტებს: უფლებები, პასუხისმგებლობები და სამართლიანობა. ეს სამი ცნება ურთიერთდამოკიდებულია და წარმატებული დემოკრატიის აუცილებელ პირობას წარმოადგინს.

მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საუბარია ისეთ უფლებებზე, როგორებიცაა: ხმის მიცემის, აზრის გამოხატვის, პრესის თავისებულების, კანონთან თანასწორობის და უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ძირითადი ცნებების დიაგრამა



ყვეტილების მიღების უფლებები. დემოკრატია კონკურენციას გულისხმობს. ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების სიმწირიდან გამომდინარე, კონკურენცია არსებობს ინტერესებს, იდეებსა და ღირებულებებს შორის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზეგავლენის შესაძლებლობები არათანაბარია; საზოგადოებაში, ზოგადად, არათანაბრადა გადანაწილებული რესურსები, რომლებიც ადამიანთა კეთილდღეობას უზრუნველყოფს. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გამოსწორება პოლიტიკური საკითხია (სოციალური სამართლიანობა). მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ თავიანთ უფლებათა გამოყენება საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგრამ თემი ვერ გადარჩება, თუ მის წევრებს არ აქვთ გააზრებული ერთმანეთისა და ზოგად ინტერესებზე ზრუნვის აუცილებლობა (პასუხისმგებლობა). ეს დიაგრამა ცხადყოფს, რომ ცნებები დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ ერთმანეთთან არიან დაკავშირებული; ცნებათა მაკავშირებლებს კი სათანადო გააზრება და დაბალანსება სჭირდება.

ცნებები, რომლებიც გარე წრეშია მოქცეული, ძირითად ცნებებსა და ერთმანეთს სხვადასხვანაირად მიემართება.

ისრები კი იმ სფეროებზე მიანიშნებენ, რომლებზე მუშაობის დროსაც ამ ცნებების გამოყენება შეიძლება. ეს სფეროებია: მორალური, სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი.

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ: ძირითადი ცნებები და სწავლის განზომილებები

ძირითადი ცნებები მჭიდროდ უკავშირდება სწავლის განზომილებებს. როგორც შესავალში აღინიშნა, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესის ინტეგრაციას სამ განზომილებაში ახდენს. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი აჩვენებს, თუ რა პრინციპით გავაერთიანეთ თავები ნაწილებად და როგორ დაგვეხმარება წიგნში წარმოდგენილი თავები დემოკრატიის შესახებ, დემოკრატიისათვის სწავლაში ისევე, როგორც ყოველდღიური სასკოლო გამოცდილების დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალებად ქცევაში. წიგნში წარმოდგენილი მასალა ოთხ ნაწილად იყოფა, ეს-ენია: პიროვნება და თემი, პასუხისმგებლობის აღება, მონაწილეობა და ძალაუფლება და უფლებამოსილება. ამ ნაწილებში გაერთიანებული თავები მთლიან კურსს ქმნიან. პირველი ნაწილი პიროვნების ცნებით იწყება, რაც თემის ცნების განხილვაზე გადადის და შემდეგ საკითხებს მოიცავს: სოციალური თანამშრომლობა, სტერეოტიპები, მრავალფეროვნება და პლურალიზმი, პლურალიზმი და კონფლიქტი. მეორე ნაწილი თემში პასუხისმგებლობის განაწილებას უკავშირდება. მესამე ნაწილის მეშვიდე თავი (გაზეთის გამოცემა) დამოუკიდებელია. ეს თავი ყველაზე მეტად უახლოვდება თემში აქტიური პასუხისმგებლობის საკითხს. მეოთხე თავი კანონდებლობისა და პოლიტიკის საკითხებს ეხება, როგორც ზოგადად, ისე მოსწავლეთა პარლამენტის დონეზე.

თავი	სახელწოდება	ძირითადი ცნება	დემოკრატია, როგორც ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება, სწავლება დემოკრატიის შესახებ, სწავლება დემოკრატიისათვის		
			დემოკრატიის შესახებ სწავლება	დემოკრატია – ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება	დემოკრატიისათვის სწავლება

### პირველი ნაწილი: პიროვნება და თემი

1	სტერეოტიპები და ცრურწმენები: რა არის თვითმყოფადობა? როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?	თვითმყოფადობა პიროვნება და თემი	სტერეოტიპები, ცრურწმენები, პიროვნულობა და ჯგუფურობა	სხვადასხვა მიღების გამოყენება	სტერეოტიკებისა და ცრურწმენების შეცნობა და განხილვა
---	--	---------------------------------	---	-------------------------------	--

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

თავი	სახელწოდება	ძირითადი ცნება	დემოკრატია, როგორც ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება, სწავლება დემოკრატიის შესახებ, სწავლება დემოკრატიისათვის		
			დემოკრატიის შესახებ სწავ- ლება	დემოკრატია – ადამი- ანის უფლებათა გააზ- რების საშუალება	დემოკრატი- ისათვის სწავ- ლება
2	თანასწორობა: თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?	თანასწო- რობა დისკრი- მინაცია სოცია- ლური სამართლი- ანობა	დისკრიმინა- ცია საზოგადოე- ბაში თანასწო- რობა, როგორც ადამიანის უფლება	განსხვავებებისა და მსგავსებების და- ფასება დისკრიმინაციის მსხვერპლთა მიღგ- ომის გაზიარება	დისკრიმი- ნაციასთან დაკავშირებული სიტუაციების ანალიზი მორალური მიღგომა
3	მრავალფეროვნება და პლურალიზმი. როგორ შეიძლება ადამიანებმა ერ- თად, მშვიდობიანად იცხოვრონ?	მრავალფე- როვნება პლურალ- იზმი დემოკრა- ტია	პლურალიზმი და მისი ჩარჩოები თანაბარუფ- ლებინობა და განათლება დაუცველთა ინტერესე- ბის დაცვა ადამიანის უფლებათა კონვენციების საშუალებით	შემწყნარებლობა ყურადღების გამახ- ვილება პრობ- ლემებზე, და არა პიროვნებებზე	დემოკრატიული დისკუსია დებატები მოლაპარაკება
4	კონფლიქტი. როგორ ვიქცევით, როგორ არ ვეთანხმე- ბით?	კონფლიქ- ტი მშვიდობა	კონფლიქტის მოგვარებას ცნებები – „მოგება- მოგება“  სურვილები, საჭიროებები და კომპრო- მისები	არა ძალადობას	კონფლიქტების მოგვარების ექსსაფეხური- ანი მოდელი
<b>მეორე ნაწილი: პასუხისმგებლობის ალება</b>					
5	უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობე- ბი. რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება ამ უფლე- ბათა დაცვა?	უფლებები თავისუფ- ლებები პასუხის- მგებლობა	პირველადი საჭიროებები სურვილები ადამიანური ლირსება  პასუხისმგებ- ლობები და ადამიანის უფლებათა დაცვა	პირადი პასუხისმგე- ბლობის გაცნო- ბიერება	ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიკაცია და განხილვა

თავი	სახელწოდება	ძირითადი ცნება	დემოკრატია, როგორც ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება, სწავლება დემოკრატიის შესახებ, სწავლება დემოკრატიისათვის		
			დემოკრატიის შესახებ სწავლება	დემოკრატია – ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება	დემოკრატიისათვის სწავლება
6	პასუხისმგებლობა. რა პასუხისმგებლობები გვაკისრია?	პასუხისმგებლობა	იურიდიული, სოციალური და მორალური პასხისმგებლობები არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოებაში	მორალური მიდგომა დილემიდან გამოსავლის პოვნა (პასუხისმგებლობათა კონფლიქტი)	პიროვნული პასუხისმგებლობის აღება
<b>მესამე ნაწილი: მონაწილეობა</b>					
7	სასკოლო გაზეთი. როგორ იქმნება მედია?	დემოკრატია საზოგადოებივი აზრი	ბეჭდვითი მედიის საშუალებები ახალი ამბების განყოფილების დანიშნულება	ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლება დაგეგმარება ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება	კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით პიროვნული პასუხისმგებლობის აღება
<b>მეოთხე ნაწილი: ძალაუფლება და უფლებამოსილება</b>					
8	წესები და კანონი. რა ტიპის წესები სჭირდება საზოგადოებას?	წესები და კანონი კანონის უზენაესობა	კანონის დანიშნულება სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი კანონები ახალგაზრდებისათვის კარგი კანონის კრიტერიუმები	სამართლიანი კანონების იდენტიფიკაცია	კანონის პატივისცემა
9	მთავრობა და პოლიტიკა. როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველობა?	ძალაუფლება და უფლებამოსილება დემოკრატია პოლიტიკა	საზოგადოების მართვის ფორმები (დემოკრატია, მონარქია, დიქტატურა, თეოკრატია, ანარქია) მთავრობის მასუხისმგებლობები	აზრისა და გამოხატვის თავისუფლება კრიტიკული აზროვნება	დებატები

წიგნის თავების ძირითადი ცნებების მიხედვით დალაგება მასწავლებელს მეტ შესაძლებლობებს აძლევს გაკვეთილის დაგეგმვისას. მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია, შემდეგ თავში მოცემული საკითხ-

ებისადმი მიღები შეცვალოს. ასეთი მოქნილობა ხელს უწყობს მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ წიგნში ყველა თავი ინდუქციურ მეთოდს მიჰყება. სწავლის მეორე განზომილებას (დემოკრატიული ღირებულებებისა და მიღების განვითარება) ეძღვნება მეორე თავი – პასუხისმგებლობის აღება. ღირებულებების განზომილება ყველა თავში გვხვდება, როგორც სვეტში „დემოკრატია – ადამიანის უფლებათა გააზრების საშუალება“ ვხედავთ. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მესამე განზომილება (მონაწილეობა თემში – სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის) ასევე ყველა თავშია განხილული; სწავლის ამ მესამე განზომილებაზე განსაკუთრებული ყურადღება მეხუთე თავშია გამახვილებული.

გაკვეთილის გეგმები მოიცავს ინფორმაციას კონცეპტუალურ სწავლაზე. თითოეული თავის ამ ნაწილში განმარტებულია ძირითადი ცნებები და, ასევე, ის ცნებები, რომლებიც მოცემული გაკვეთილის გააზრებისათვისაა მნიშვნელოვანი.

## ცნებების მოზაიკა: კონსტრუქტივისტული სწავლის მოდელი



ცნებების ეს მოზაიკა მთელ წიგნს ლაიტმოტივად გასდევს; ის ყველა თავის საწყის გვერდზეა. თითოეულ შემთხვევაში მოზაიკის ის ნაწილია გამოკვეთილი, რომელსაც ამ თავში განვითარებული ძირითადი ცნება უკავშირდება. სრული მოზაიკა ზემოთნარმოდგენილი ცხრა ილუსტრაციისაგან შედგება და მისი წაკითხვა სხვადასხვაგვარად შეიძლება.

თითოეულ მოზაიკაში ტექსტი იმ ცნებაზე მიგვითითებს, რომელიც ილუსტრატორმა გრაფიკულად გამოხატა. ცხრა ნაწილის დაკავშირება იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ცნებები მრავალმხრივაა ურთიერთდაკავშირებული და ერთ მთელს ქმნიან.

მოზაიკა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ცნებათა ერთობა არის სრული და არც ერთის გამოტოვება, ან დამატება არ შეიძლება.

ეს ცხრა ცნება არ ქმნის თეორიის ან გააზრების ჩაკეტილ სისტემას. ისინი იმიტომ შევარჩიეთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. სხვა ცნებებიც საინტერესო იქნებოდა, მაგალითად, ფული, ძალაუფლება და იდეოლოგია. მოცემული წიგნი სხვადასხვა მასალის ერთობლიობას უფრო ემსგავსება, ვიდრე ერთ თეორიას, რომელიც პრაქტიკაში უნდა დაინერგოს. შესაბამისად, ყველანაირი ადაპტაცია და დამატება მისასალმებელია.

ამ მოზაიკას შეიძლება შევხედოთ, როგორც მოსწავლის მიერ მნიშვნელობის ჩამოყალიბების პროცესს. მნიშვნელობის ძიება სწავლის პროცესისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას წარმოადგენს. მოსწავლე ახალი ინფორმაციას იმ ცოდნას უკავშირებს, რომელსაც ის უკვე ფლობს. მნიშვნელობის ძიების პროცესში მოსწავლეები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად ცნებებს ერთმანეთს უკავშირებენ. ამ დროს გონიერაში საკუთარ მოზაიკას ქმნიან, სხვადასხვა ურთიერთკავშირითა და შემადგენელი ელემენტების განსხვავებული განლაგებით. მოსწავლეებს, შესაძლოა, დაებადოთ შეკითხვები, რომლებიც წიგნში მოცემულ ცნებებს სცილდება. მათ მიერ „აწყობილი“ მოზაიკები განსხვავებული იქნება ზემოთ მოცემული მოზაიკისაგან. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მოზაიკები კლასში ერთმანეთს წარმოუდგინონ. საჭიროებისამებრ, მოსწავლემ ან/და მასწავლებელმა მოზაიკის ელემენტების განლაგებაში ცვლილებები უნდა შეიტანონ (დეკონსტრუქცია).

როცა მასწავლებელი ამ წიგნის დახმარებით გაკვეთილს ამზადებს, მას უკვე უნდა ჰქონდეს გარკვეული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ უკავშირდება ეს ცნებები ერთმანეთს და როგორ უნდა/შეუძლიათ გაიგონ ეს ცნებები მოსწავლეებმა.


გრაფიკული გამოსახულება შეიძლება უფრო მრავლისმეტყველი აღმოჩნდეს, ვიდრე ასობით სიტყვა. შესაბამისად, ეს მოზაიკა ნათელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს წიგნში განხილული ცნებების, დიდაქტიკური ვარიანტებისა და კონსტრუქტივისტული სწავლების შესახებ.

## **გრაფიკული გამოსახვის საშუალებები აქტიურ მკითხველს ნაწარმოების აზრის წვდომაში ეხმარება (მეტარეფლექსია)**

ეს თავი აბსტრაქტულ იდეას ეხებოდა – ცნებებს. როგორც წესი, ავტორისათვის რთულია ცნებების შესახებ გარკვევით წერა, მკითხველისათვის კი არც თუ ისე ადვილია აბსტრაქტული იდეის წვდომა. ურთიერთობა ავტორსა და მკითხველს შორის შეიძლება მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობას შევადაროთ. ამ საკითხს შეიძლება ინდუქციურად მივუდეთ და მკითხველისა და ავტორის ურთიერთობის განზოგადება მოვახდინოთ.

კვლევები აჩვენებს, რომ ტექსტის გაცნობამდე მკითხველი სურათებსა და დიაგრამებს ათვალიერებს. სურათის გამომსახველობა დამოკიდებულია მის ესთეტურობაზე და ინფორმაციულობაზე. გრაფიკული მასალის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ინფორმაციის არავერბალური ფორმით გადაცემა ხდება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მკითხველს არასწორი წარმოდგენა შეუქმნას ავტორის სათქმელზე, მის რეალურ ჩანაფიქრზე.

ავტორის, მკითხველისა და ავტორის სათქმელის ურთიერთექმედება სამკუთხედით შეიძლება გამოვსახოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი სრულად ვერ აკონტროლებს იმას, თუ როგორ ალიქვამს მის სათქმელს მკითხველი. ანალოგიურად, მასწავლებელს არ შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს ახსნილი მასალიდან რას დაიმახსოვრებს, ან დაივიწყებს მოსწავლე.



დიდაქტიკური სამკუთხედით გამოხატული მოდელი საშუალებას იძლევა, ავტორსა და მკითხველს შორის კომუნიკაციის სტრუქტურა შევადაროთ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაციას. არსებობს როგორც სტრუქტურული ანალოგიები, ისე მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ორივე შემთხვევაში ურთიერთობა სამკუთხედის პრინციპს ეფუძნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამიდან არც ერთი ელემენტი არ დომინირებს. ავტორები მკითხველთან კომუნიკაციას წიგნის საშუალებით ამყარებენ. ეს, ჩვეულებრივ, ცალმხრივი კომუნიკაციაა. ავტორი და მკითხველი თითქმის არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ; ავტორი იშვიათად იღებს მკითხველისაგან კომენტარებს მის ნაშრომთან დაკავშირებით. შესაბამისად, ავტორს თითქმის არ შეუძლია, გააკონტროლოს მკითხველის გონიერებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ავტორის ნამუშევართან დაკავშირებით.

ანალოგიურად, მასწავლებელი სრულად ვერ აკონტროლებს კლასში მოსწავლის სწავლის პროცესს. სკოლაში აქტიური კომუნიკაციის შესაძლებლობა აადვილებს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის აზრებისა და კომენტარების გაცვლის პროცესს. ასევე, სწავლების პროცესში მასწავლებლის პიროვნება ყველაზე მნიშვნელოვანია.

როცა მკითხველი გრაფიკულ გამოსახულებას უყურებს, ის გონიერებაში გარკვეულ სახეებს ქმნის და უჩნდება მოლოდინი ავტორის სათქმელთან დაკავშირებით. ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, მკითხველმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისი მოლოდინი სწორი იყო; შესაძლოა, ის მიხვდეს, რომ მისი ვარაუდების გარკვეული ნაწილი არაზუსტი იყო. გრაფიკული გამოსახულებები ხელს უწყობენ დიალოგის პროცესს ავტორსა და მკითხველს შორის, იმ დიალოგის, რომელიც, არსებითად, მკითხველის გონიერებაში მიმდინარეობს. გრაფიკული გამოსახულების ტექსტთან შერწყმა აუცილებელია აქტიური მკითხველისა და მოაზროვნისათვის.

გრაფიკული გამოსახულების წარმოების უნარი თანამედროვე, ე. წ. ინფორმაციულ საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ვურჩევთ მასწავლებლებს, ზემოთ მოყვანილი მოზაიკა მოსწავლეებს გაუზიარონ. მოსწავლეებს მოზაიკა შეიძლება ამ წიგნის გამოყენებით შექმნილი ახალი სასწავლო გეგმის გაცნობისას, ან სასწავლო წლის ბოლოს, შეჯამების დროს ვაჩვენოთ. შეიძლება ვთხოვოთ მათ, რომ ეს მოზაიკა ცხრა ნაწილად დაშალონ და, საკუთარი შეხედულებების მიხედვით, თავიდან ააწყონ. მოზაიკის სხვადასხვა ვერსიის ურთიერთგაზიარება მოსწავლეებს ცნებების სხვადასხვა კომბინაციაზე დააფიქრებს. ასეთი დისკუსიები მათ იმის გააზრებაში დაეხმარება, რომ აზრისა და გამოხატვის თავისუფლება არა მხოლოდ გადაწყვეტილებათა მიღების დემოკრატიულ პროცესს ახლავს თან, არამედ სწავლის პროცესის დამახასიათებელიცაა.

# პირველი ნაწილი – პიროვნება და თემი

თავი 1.

სტერეოტიპები და ცრურწმენები: რა არის თვითმყოფადობა?  
როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?

თავი 2.

თანასწორობა: თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?

თავი 3.

მრავალფეროვნება და პლურალიზმი.  
როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად, მშვიდობიანად იცხოვრონ?

თავი 4.


კონფლიქტი. როგორ ვიქცევით, როცა არ ვეთანხმებით?



## თავი 1

# სტერეოტიპები და ცრურნმენები:

რა არის თვითმყოფადობა?  
როგორ აღვიქვამ სხვებს და  
როგორ აღმიქვამენ ისინი?



1.1 როგორ ხედავენ პიროვნებას სხვები...

პიროვნება უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს

1.2 როგორ შეიძლება დავახასიათოთ პიროვნება განსხვავებულად...

როგორ შევქმნათ პიროვნების უკეთესი პორტრეტი

1.3 სტერეოტიპები და ცრურნმენები

ჩვენი მოსაზრებები სხვა ადამიანების, ჯგუფებისა და ქვეყნების შესახებ

1.4 სტერეოტიპები ჩემ შესახებ!

როგორ ვხედავ ჩემს თავს და როგორ აღმიქვამენ სხვები?

## თავი 1. სტერეოტიპები და ცრურნმენები რა არის თვითმყოფადობა? როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?

ვინ ვარ სინამდვილეში? მოსწავლეები ყოველდღიურად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ლირებულებისა და ცხოვრების წესის შესახებ. იმისათვის, რომ საკუთარი ადგილი იპოვონ, მათ სჭირდებათ არჩევანის გაკეთების უნარის განვითარება. რა შემიძლია გავაკეთო? რისი გაკეთება არ შეიძლება? რა არის სწორი და რა არის არასწორი? ბავშვები და მოზარდები მალე ხვდებიან, რომ ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემა ხშირად რთულია. რაც, ერთ შემთხვევაში, შეიძლება სწორი იყოს, სხვა შემთხვევაში არასწორი აღმოჩნდება. როგორ შეიძლება მივიღო გადაწყვეტილება? რა სახელმძღვანელო პრინციპებს უნდა გავყვე?

ადამიანის დაკალიანების საუკეთესო სამუალებებია ქვეყნის კონსტიტუცია და მიდგომები ადამიანის უფლებებისადმი; ორივე გამოხატავს, თუ რამდენად პლურალისტულია საზოგადოების ლირებულებები. ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი პირადი თავისუფლებაა, რაც თითოეულ ადამიანს აძლევს პიროვნული განვითარების შესაძლებლობას. პირადი თავისუფლების ურთიერთშემწყნარებლობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნება სასარგებლოა როგორც თემისათვის, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს, ისე, ზოგადად, კაცობრიობისათვის. შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები გვქონდეს. მთავრია, უთანხმოებების მშვიდობიანი განხილვის წესებზე ვთანხმდებოდეთ.

ბავშვებსა და მოზარდებს უნდა ესმოდეთ, რომ ზრდასრულებსაც უწევთ პრობლემებთან ჭიდოლი. ასევე, უნდა იაზრებდნენ, რომ მასწავლებელი არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტების განსაზიერება, ისიც უშვებს შეცდომებს და ისიც სწავლობს მიღებული გამოცდილებიდან.

ამ თავში პიროვნების ჩამოყალიბებაზე იქნება მსჯელობა. ასევე, შევეხებით საკითხებს, რომლებიც უკავშირდება იმას, თუ როგორ ხდება საკუთარი თავისა და საზოგადოების სხვა წევრების აღქმა. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ მათი პიროვნება მხოლოდ მათ მიერ არ ყალიბდება; პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეაქვს ადამიანის ურთიერთობებს საზოგადოების სხვა წევრებთან. პიროვნულობას განსაზღვრავს ადამიანებს შორის განმასხვავებელი ნიშნები და ადამიანის სურვილი, რომ მიეკუთვნებოდეს გარკვეულ თანამოაზრეთა/თანატოლთა ჯგუფს. ახალგაზრდები უკეთესად ჩასწოდებიან საკუთარ პიროვნებას, თუ გააანალიზებენ იმ გრძნობებსა და საჭიროებებს, რომელიც მათ ამოძრავებთ; დაფიქრდებიან პიროვნული განვითარების გზებსა და სამომავლო მიზნებზე. ახალგაზრდებმა ყოველთვის აქტიური, კონსტრუქციული მონაწილეობა უნდა მიიღონ სოციალურ ინტერაქციაში.

იმ ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ისტორია, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყოფაზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებს ამ გავლენის არსი ესმოდეთ, ისინი მუდმივად უნდა აგროვებდნენ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებზე და განიხილავდნენ მას. ასეთი განხილვების შედეგად, მათ საკუთარი აზრი ჩამოყალიბდებათ და სხვისი მოსმენის კულტურას შეიძენენ. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შეხედულებებს, ცრურნმენებსა და სტერეოტიპებს, რაც საზოგადოებრივი აზრის ნაწილს წარმოადგენს. თუ ადამიანი ასეთ დეტალებს ვერ ცნობს, მას გაუჭირდება საზოგადოებრივი აზრის კრიტიკულად გააზრება, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება და, საჭიროებისამებრ, შეცვლა.

### სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები

გაკეთილთა ეს სერია დაეხმარება მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ:

- არსებობს სტერეოტიპებთან და ცრურნმენების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ცნებები;
- ჩვენ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს ყოველთვის გარკვეულ თვისებებს მივაწერთ;
- ადამიანებისათვის გარკვეული თვისებების მიწერით ვცდილობთ, ყოველდღიური ცხოვრების სირთულეებს გავუმკლავდეთ;
- თვისებების მიწერა შეიძლება მავნე და არასამართლიანი იყოს;
- თვისებების მიწერა ხელს უწყობს ინდივიდუალური და ჯგუფური თვითმყოფადობის ჩამოყალიბებას;
- თვითმყოფადობა რთული ფენომენია და იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს უნდა მივუდგეთ, გავიცნოთ და აღვნეროთ განსხვავებულად.

**თავი 1. სტერეოტიპები და ცრურწმენები  
რა არის თვითმყოფადობა?  
როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?**

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: როგორ აღიქვამენ ადამიანს სხვები	მოსწავლეებს გააზრებული აქვთ, რომ მიღვომები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს; მათ შეუძლიათ არჩე- ვანის გაკეთება.	მოსწავლეებს რო- ლებს ვუნაწილებთ და ვთხოვთ, როლიდან გამომ- დინარე, საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბონ. ისინი ვარჯიშობენ სხვადასხვა მიღ- ომის შემუშავებაზე.	როლების აღწ- ერები, მოსწავ- ლის სამუშაო ფურცელი 1.1 (ჯგუფები 1-3), დიდი ზომის ფურცლები, მარკერები.	ჯგუფური მუშაობა
გაკვეთილი 2: როგორი გან- სხვავებული შეიძლება იყოს ერთი და იმავე ადამიანის სხვადასხვა აღწერა	მოსწავლეებს ესმით, რომ შეიძლება სხვადასხვა დახა- სიათება ერთ პიროვნებას უკავშირდებოდეს	მოსწავლეები სცენ- ებს გაითამაშებენ და წერილობით ნაშრომს წარმოად- გენენ. განიხილავენ დადგმებს, რომ- ლებიც ნახეს.	პირველი გაკვეთილის შედეგები მე- ორე გაკვეთი- ლის ძირითად მასალას წარ- მოადგენს. მოსწავლეებს ესმით, რომ მათი მონაწილეობისა და წვლილის გარეშე მეცადი- ნეობა ვერ გაგრ- ძელდება.	როლების გათამაშება, პრეზენ- ტაციები და დისკუსია
გაკვეთილი 3: სტერეოტიპები და ცრურწმენები	მოსწავლეებს ესმით, როგორ უკავშირდება ცრურწმენები და სტერეო- ტიპები ერთმანეთს. ასევე, მათ გააზრებული აქვთ, რომ სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გამოყენ- ებამ შეიძლება არასწორი, ზედმეტად გამარტივებული შეხედულებები შეგვიქმნას ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებსა და ქვეყნებზეც კი.	მოსწავლეები აანა- ლიზებენ საკუთარ შეხედულებებს სხვა ადამიანებზე და ამ შეხედულებებს ჯგუფებში განიხი- ლავენ.	ფურცლები და მარკერები.	ჯგუფური მუშაობა, დისკუსია
გაკვეთილი 4: სტერეოტიპები ჩემ შესახებ!	მოსწავლეები აანალიზებენ იმას, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები და ამას იღებენ, როგორც რეალობას. მოსწავლეები უკეთ იაზრე- ბენ, როგორ აღიქვამენ მათ და ამ აღქმაზე უჩნდებათ რეაქცია.	მოსწავლეები აღწერენ საკუთარ თავს და დანარ- ჩენ მოსწავლეებს. აღწერის შედეგებს ისინი ერთმანეთს უზიარებენ, ადარე- ბენ სხვადასხვა მიღვომას.	მოსწავლის სამ- უშაო ფურცელი 1.2	წყვილებში მუშაობა, დისკუსია

## გაკვეთილი 1 როგორ ხედავენ პიროვნებას სხვები

პიროვნება უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს გააზრებული აქვთ, რომ შეიძლება მიდგომები სხვადასხვაგვარი იყოს; მათ შეუძლიათ არჩევანის გაკეთება
მოსწავლის დავალება – მოსწავლეებს როლებს ვუნაწილებთ და ვთხოვთ, როლიდან გამომდინარე, საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბონ. ისინი ვარჯიშობენ სხვადასხვა მიდგომის შემუშავებაზე.
საჭირო მასალა – როლების აღნერები, მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.1 (ჯგუფები 1-3), დიდი ზომის ფურცლები, მარკერები.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა

## გაკვეთილი

მოსწავლეები სამ ჯგუფად ნაწილდებიან. მათ ურიგებენ მოსწავლის სამუშაო ფურცელ 1.1-ს (სამი სხვადასხვა ვერსია სამი ჯგუფისათვის), დიდი ზომის ფურცლებსა და მარკერებს. თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, შეიძლება მეტი ჯგუფი შევქმნათ. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს მოუწევს სამუშაო ფურცელების დამატებითი ვერსიების მომზადება, ან რამდენიმე ჯგუფისათვის ერთი და იმავე სცენარის მიცემა.

მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ბიჭის შესახებ, რომელმაც საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და ცდილობს, ახალ გარემოს მოერგოს. ბიჭი ყოველდღიური ჩანაწერების დღიურს ანარმოებს. მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფს დღიურში გაკეთებული ჩანაწერების სხვადასხვა ამონარიდი შეხვდა.

## საჭირო ინფორმაცია მასწავლებლებისათვის

მთლიანი ტექსტი:

„ეს ჩემი პირველი დღეა ახალ კლასში. ჩემი ოჯახი სხვა რეგიონიდან ჩამოვიდა და ჯერ კიდევ უცხოდ ვგრძნობ თავს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა და შენ, ჩემო დღიური, ამ ამბებს გაგიზიარებ.“

ჩვენი ახალი ბინა მდინარის პირასაა. ერთ-ერთი ჩემი კლასელი ბიჭი ჩემს მეზობლად ცხოვრობს. სამი დღის გადმოსულები ვიყავით ბინაში, როცა ამ ბიჭმა სათევზაოდ ნასვლა შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი, რადგან ჩემი ანკესი ჯერ კიდევ რომელილაც ყუთში დევს. ჯერ ხომ ნივთების ამოლაგება არ დაგვისრულებია.

ჩვენი სკოლის ნინ დიდი საფეხბურთო მოედანია. ძალიან მიხარია, რადგან ფეხბურთის თამაში მიყვარს. მოვიტანე ჩემი ბურთი და თამაშს ვაპირებდი. დავიწყე თუ არა თამაში, სკოლის დარაჯმა შემაჩერა. ის გაბრაზებული ჩანდა და მკითხა, შემეძლო თუ არა კითხვა - ნარწერა ყოფილა გაკეთებული, რომ მოედანი დროებით დაკეტილი იყო წვიმის შემდეგ, რათა ბალახი არ დაზიანებულიყო ისე შევწუდი, რომ უსიტყვოდ სახლისაკენ წავედი.

ჩვენი ბინის თავზე ერთი მოხუცებული კაცი მარტო ცხოვრობს. გუშინ სახლში რომ მოვედი, სადარბაზოში შემოსასვლელ კართან შევხვდი, საყიდლებიდან სურსათით დატვირთული მოსულიყო. მძიმედ სუნთქვდა. მომინდა დავხმარებოდი. გამოვართვი მძიმე ჩანთა და ბინამდე ავატანინე“.

სხვადასხვა ჯგუფისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელი დღიურიდან სხვადასხვა ამონარიდს შეიცავს. ჯგუფები ბიჭზე იმ ამონარიდის მიხედვით შეიქმნან ნარმოდგენას, რომელიც მათ შეხვდებათ. თითოეული ჯგუფი ბიჭს განსხვავებული კუთხიდან აღიქვამს და სწორედ ამ დამოკიდებულებას გაითამაშებს. ჯგუფები, პირველ რიგში, ბიჭის მახასიათებელ

ზედსართავებს წარმოადგენენ. დისკუსიის შედეგებს ჯგუფიდან ერთი მოსწავლე დიდ ფურცელზე ინიშნავს შემდეგი გაკვეთილისათვის.

ჯგუფები მოკლე გათამაშებისათვის ემზადებიან, რომელმაც ბიჭისადმი მათ დამოკიდებულება უნდა წარმოადგინოს. როლების გასათამაშებლად, მოსწავლეებისათვის მოსახერხებელი იქნება გარკვეული სივრცის არსებობა – საკონფერენციო ოთახი, დარბაზის სხვადასხვა კუთხე ან ლია ცის ქვეშ მოწყობილი სათამაშო მოედანი (თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა). გათამაშების მოსაწყობად, მოსწავლეებს გარკვეული დრო დასჭირდებათ. ზოგს გაცილებით უადვილდება სათქმელის გამოხატვა გათამაშების ფორმით, ვიდრე სიტყვებით.

გაკვეთილის ბოლოს ყველა ჯგუფს უნდა ჰქონდეს ბიჭის მახასიათებელი ზედსართავების ნუსხა და უნდა დაასრულონ გათამაშებაზე ვარჯიში.

მასწავლებელი აგროვებს პოსტერებს, რომლებსაც შემდეგი გაკვეთილის დასაწყისში კვლავ დაურიგებს მოსწავლეებს და, მოსწავლეებთან ერთად, მოკლედ განიხილავს შედეგებს. მასწავლებელი დადებითად აფასებს მოსწავლეების მუშაობას და მომავალი გაკვეთილის თემას აცნობს კლასს.

## გაკვეთილი 2

### როგორ შეიძლება განსხვავებულად დავახასიათოთ პიროვნება...

#### როგორ შევქმნათ პიროვნების უკეთესი პორტრეტი

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს ესმით, რომ სხვადასხვა დახასიათება შეიძლება ერთ პიროვნებას უკავშირდებოდეს.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები სცენებს გაითამაშებენ და წერილობით ნაშრომს წარმოადგენენ. განიხილავენ დადგმებს, რომლებიც ნახეს.
საჭირო მასალა – პირველი გაკვეთილის შედეგები მეორე გაკვეთილის ძირითად მასალას წარმოადგენს. მოსწავლეებს ესმით, რომ მათი მონაწილეობისა და წვლილის გარეშე მცუადინეობა ვერ გაგრძელდება.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – როლების გათამაშება, პრეზენტაციები და დისკუსია.

## გაკვეთილი

### ნაწილი 1

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რისი გაკვეთება მოუწევთ გაკვეთილზე; ის კლასს 5 წელს აძლევს, რათა მოსწავლეებმა გასათამაშებელი სცენები გაიმეორონ. შემდეგ იმართება სხვადასხვა ჯგუფის წარმოადგენები.

სცენის გათამაშების თანმიმდევრობა შემდეგია: ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენებლი კითხულობს ნაწყვეტს დღიურიდან, რომელიც მის ჯგუფს შესვდა და წარმოადგენს მათ მიერ ჩამოთვლილ ზედსართავებს. ამას მოჰყვება უშუალოდ გათამაშება. სასურველია, ყველა ჯგუფის გათამაშება ერთმანეთს დამატებითი შუალედური კომენტარების გარეშე მოსდევდეს. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ჯგუფს დღიურის ერთი და იგივე ამონარიდი აქვს, მათ, უშუალოდ, ერთმანეთის შემდეგ უნდა გაითამაშონ სცენები.

როცა ჯგუფები წარმოადგენებს დაამთავრებენ, მასწავლებელი დადებითად აფასებს მოსწავლეთა მუშაობას და აჯამებს ამ წარმოადგენების მიზანს. თუ ბავშვები ასეთი სტილით მუშაობას მიჩვეულები არიან, შეიძლება გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე გადასვლა. თუ მოსწავლეთათვის ასეთი ტიპის მუშაობა სიახლეს წარმოადგენს, მასწავლებელმა უნდა მისცეს მათ შესაძლებლობა, განიხილონ წარმოადგენილი სცენები ფორმისა და შინაარსის მიხედვით.

მოსწავლეებმა აზრების გამოხატვის პროცესი შეიძლება შემდეგ შეკითხვებზე პასუხების ძიებით წარმართონ:

- როგორი იყო ჯგუფში მუშაობა?
- რამე ახალი გავიგე საკუთარ თავზე?
- როგორ შევძელით პერსონაჟების რეალისტურად წარმოდგენა?

## ნაწილი 2


გაკვეთილის მეორე ნაწილში მოსწავლეები სკამებს დაფის გარშემო ნახევარწრედ, ერთ ან ორ რიგად აღავრებენ. დაფაზე მასწავლებელი ერთმანეთის გვერდით კიდებს პოსტერებს.

ასე ხედავენ ბიჭს სხვები:

კლასელები

მასწავლებლები

მეზობლები



დისკუსის დროს მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ სავსებით ბუნებრივია, როცა ადამიანს ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. მათ უნდა გაიგონ, რომ შეხედულებები არ შეიძლება იყოს „სწორი“ ან „არასწორი“. თუ ბიჭის სრულყოფილად აღნერა გვსურს, არ შეიძლება მხოლოდ ერთი კუთხით აღნერით შემოვიფარგლოთ.

შემდეგი შეკითხვები მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმარება:

- ამდენი სხვადასხვა მიდგომა დაბნეულობას ხომ არ იწვევს?
- რომელი აღნერა შეესაბამება სინამდვილეს?
- რეალურად ვინ არის მაქსი?

მასწავლებელი იცდის, სანამ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა ხელს ასწევს და შემდეგ საშუალებას აძლევს მათ, გასცენ ამ შეკითხვებს პასუხები. მასწავლებელი პასუხებს დაფაზე ან ფლიპჩარტზე<sup>6</sup> ინიშნავს.

რა შეიძლება ვთქვათ ბიჭზე?

- როგორ შეიძლება ის სათანადოდ დავახასიათოთ?
- წინადადება 1
- წინადადება 2
- წინადადება 3
- წინადადება 4
- წინადადება 5

6 საკანცელარიო ნივთი, რომელიც შედგება სპეციალურ მობილურ სტენდზე ჩამოკიდებული ქალალდებისაგან. გამოიყენება პრეზენტაციისა და/ან დისკუსიის დროს ლექციაზე, გაკვეთილზე, ტრენინგზე და ა.შ. (მთარგმ-ნელის შენიშვნა).

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა შეხედულებებს, რომლებიც ორი გაკვეთილის მანძილზე იქნა გამოთქმული. ფლიპჩარტზე ძირითადი მოსაზრებების ჩანიშვნა სასარგებლოა, რადგან შესაძლებელი იქნება ამ მასალის გამოყენება შემდეგ გაკვეთილზე. გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

## თვითმყოფადობა

<p>სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები გაკვეთილთა ეს სერია დაეხმარება მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– პიროვნების თვითმყოფადობას მრავალი მხარე აქვთ;</li> <li>– სხვადასხვა ადამიანს (მეზობლებს, მეგობრებს, მასწავლებლებსა და უცნობებს) ერთსა და იმავე ადამიანზეშესაძლოა განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ;</li> <li>– თუ გვინდა, რომ ადამიანი გავიცნოთ, სხვადასხვა შეხედულებას უნდა მოვისმუნოთ;</li> <li>– .....</li> <li>– .....</li> </ul>
---

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გამოხატონ მოსაზრებები; მასწავლებელი თავს იკავებს მოსწავლეთა შენიშვნების კომენტირებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ მთელი კლასისათვის შეკითხვების დასმა არ არის საუკეთესო მეთოდი, რადგან, როგორც წესი, კითხვებს ერთი და იგივე მოსწავლეები პასუხობენ ხოლმე. უმჯობესია სამიზნე დაფის მეთოდის გამოყენება, რაც სწრაფი და კონკრეტული კომენტარების გაკეთების საშუალებას იძლევა. დანართში ეს მეთოდი კარგადაა აღნერილი.

მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს შემდეგ ორ გაკვეთილს, როცა მოსწავლეები კონკრეტულ ადამიანებზე კი არ იმსჯელებენ, არამედ ადამიანთა ჯგუფებსა და ქვეყნების შესახებ

## გაკვეთილი 3 სტერეოტიპები და ცრურწმენები

ჩვენი მოსაზრებები სხვა ადამიანების, ჯგუფებისა და ქვეყნების შესახებ

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს ესმით, როგორ უკავშირდება ცრურწმენები და სტერეოტიპები ერთმანეთს. ასევე, მათ გააზრებული აქვთ, რომ სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გამოყენებამ შეიძლება არასწორი, ზედმეტად გამარტივებული შეხედულებები შეგვიქმნას ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე და მთელ ქვეყნებზეც კი.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ შეხედულებებს სხვა ადამიანებზე და ამ შეხედულებებს ჯგუფებში განიხილავნენ.

საჭირო მასალა – ფურცლები და მარკერები.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია

## გაკვეთილი

ამ გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებისათვის იმის ჩვენება, რომ კონკრეტულ პიროვნებას განსხვავებულიად აღვიტვამთ, ვიდრე პიროვნებათა ჯგუფს, ან ქვეყანას.

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოკლედ, ლექციის ფორმით, ესაუბრება მოსწავლეებს სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს შორის არსებულ განსხვავებებზე. წინა ორი გაკვეთილის გამოცდილების მოშველიებით, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს შორის განსხვავებების აღმოჩენაში. მასწავლებელს ეს ორი ცნება შემოაქვს წინა გაკვეთილებზე განხილული მაგალითის გათვალისწინებით, რომელიც ახალ

საზოგადოებაში ბიჭის დამკვიდრებას უკავშირდება. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს ამ ბიჭს. ამ შეხედულებებს მასწავლებელი განიხილავს, როგორც ცრურწმენებს ან სტერეოტიპებს (იხილეთ დამხმარე მასალა მასწავლებილსათვის ამ თავის ბოლოს, სადაც მოცემულია ინფორმაცია ასეთი მოკლე ლექციისათვის). შემდეგ მოსწავლეები მცირე ზომის ჯგუფებს ქმნიან და მუშაობენ ისეთი სოციალური ჯგუფების აღწერებზე, როგორებიცაა:

- გოგონები და ბიჭები;
- პროფესიები;
- ეთნიკური ჯგუფები;
- ქვეყნები;
- კონტინენტები.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს არ მოვთხოვოთ სხვებისადმი მათი პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. უმჯობესია, მათ იმსჯელონ იმაზე, თუ როგორ აღიქვამდნენ, მათი აზრით, მეზობლები, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები იმ ჯგუფებს, რომლებიც მათ აღსაწერად ერგოთ.

მასწავლებლის მიერ გაკვეთილის დასაწყისში მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მოსწავლეები ცდილობენ, ცრურწმენები სტერეოტიპებისაგან გაარჩიონ.

მასწავლებელს შეუძლია, დაფაზე გარკვეული მინიშნებები მისცეს მოსწავლეებს, რომლებიც პრეზენტაციას საკითხების ისეთი ნუსხის ფორმით ამზადებენ, როგორც ქვემოთაა წარმოდგენილი.

მოსწავლეები დავალებას, დაახლოებით, 15 წუთს უთმობენ. 3-4 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში მათი მუშაობა მასწავლებლის ლექციის დასრულებისთანავე იწყება. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, რომელ მაგალითზე მუშაობას დაავალებს მოსწავლეებს. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიმე ვარიანტი შეიძლება უფრო ახლოს იყოს მოსწავლეების ყოველდღიურ გამოცდილებასთან. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკუსიის/პრეზენტაციის მოწყობა მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ამ საკითხზე მსჯელობა არცერთ მოსწავლეს გულს არ ატკენს, ან არ შექმნის კონფლიქტურ სიტუაციას.

თითოეული ჯგუფი დისკუსიის შედეგების წარმოსადგენად ერთ ადამიანს ირჩევს, რომელიც პრეზენტაციის დროს ყურადღებას შემდეგ საკითხებზე ამახვილებს:

- ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ჯგუფი, ჩვენი ეთნიკური კუთვნილება, ჩვენი პროფესია;
- სტერეოტიპები, რომლებიც ჯგუფში დისკუსიის დროს გამოიკვეთა;
- ცრურწმენები, რომლებიც ჯგუფში დისკუსიის დროს გამოიკვეთა;
- ჩვენი ვარაუდები იმის შესახებ, თუ რატომ აქვთ ჯგუფის წევრებს ეს შეხედულებები;
- ჩვენი აზრები, მსგავსებები და განსხვავებები ჩვენს მიდგომებში.

პრეზენტაციების დროს მასწავლებელი თითოეული ჯგუფის გამოსვლიდან ძირითად საკითხებს ფლიპჩარტზე ინიშნავს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა დაქმარება მასწავლებელს ასეთი ჩანაწერების გაკეთებაში:

ჯგუფი	ქვეყანა/პროფესია/ეთნ. ჯგუფი	სტერეოტიპები	ცრურწმენები	შენიშვნები
1				
2				
3				
4				
5				

ბოლოს, მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აფასებს როგორც პროცედურულ საკითხებს, ისე შედეგებს. მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ აცნობს შემდეგი გაკვეთილის თემას.

## გაკვეთილი 4

### სტერეოტიპები ჩემ შესახებ!

#### როგორ ვხედავ საკუთარ თავს და როგორ აღმიქვამენ სხვები?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები აანალიზებენ იმას, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები და იღებენ ამას, როგორც რეალობას.

მოსწავლეები უკეთ იაზრებენ, როგორ აღიქვამენ მათ და ამ აღქმაზე უჩნდებათ რეაქცია.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აღწერენ საკუთარ თავს და დანარჩენ მოსწავლეებს. აღწერის შედეგებს ისინი ერთმანეთს უზიარებენ, ადარებენ სხვადასხვა მიღებას.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.2

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – წყვილებში მუშაობა, დისკუსია

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს წინა ორი გაკვეთილის შეჯამებით და მოსწავლეთათვის დღევანდელი გაკვეთილის გეგმის გაცნობით იწყებს.

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ ერთი კონკრეტული ბიჭის სიტუაციის განხილვით დაიწყებს მსჯელობა და შემდეგ ადამიანთა ჯგუფების ანალიზზე გადავიდნენ. ახლა ისინი კვლავ ინდივიდუალურ მიღებას დაუბრუნდებიან და ამჯერად განხილვის საგანს თავად მოსწავლეები წარმოადგენენ. ისინი შემდეგ შეკითხვებს გასცემენ პასუხს:

### ვინ ვარ მე?

როგორ დავახასიათებდი ჩემს თავს? – საკუთარი თავის აღქმა

როგორ დამახასიათებდა ჩემი თანაკლასელი? – სხვის მიერ ჩემი პიროვნების აღქმა

თვალსაჩინოებისათვის, მასწავლებელს შეუძლია, ეს შეკითხვები დაფაზე ან ფლიპჩარტზე დაწეროს. ასევე, მასწავლებელს შეუძლია, მოკლედ გამოკითხოს მოსწავლეებს წინა გაკვეთილებზე ათვისებული მასალა იმის შესახებ, თუ როგორ აღიქმება ადამიანი სხვებისა და საკუთარი თავის მიერ. ასევე, მას შეუძლია, შეახსენოს მოსწავლეებს (ან მათ გამოჰკითხოს) ძირითადი ცნებები სტერეოტიპებისა და ცრურწმენების შესახებ.

შემდეგ მასწავლებელი უწევენებს მოსწავლეებს მათ მიერვე მომზადებულ სამუშაო ფურცლებს, რომლებზეც მაქსის დახასიათებაა მოცემული. ეს სამუშაო ფურცლები მოსწავლეებს დაეხმარება, ზოგადად ჩამოაყალიბონ ადამიანის მახასიათებლები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოწერონ ზედსართავი სახელები, რომლებიც ადამიანთა დასახასიათებლად შეიძლება გამოიყენებოდეს. ამ ეტაზზე მასწავლებელს შეუძლია, გარკვეული იდეების მიწოდებით დაეხმაროს მოსწავლეებს. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია, გარკვეული კატეგორიები წარმოუდგინოს მათ:

როგორ დაახასიათებდით ადამიანს, თუ:

- ის კარგ ხასიათზეა?
- ის ცუდ ხასიათზეა, ან განრისხებულია?

- ის შენი კარგი მეგობარია?
- მისი გარეგნობის აღწერა გვსურს?
- მისი, როგორც მოსწავლის, დახასიათება გვჭირდება?
- -----

ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემის პროცესში მთელი კლასი უნდა ჩავრთოთ, და არა მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე. ამის მისაღწევად შეიძლება შემდეგი სავარჯიშოს<sup>7</sup> გამოყენება, რაც მოსწავლეებს ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას მისცემს: ოთახის სხვადასხვა კუთხეში უნდა ეკიდოს და მაგიდებზე უნდა ეწყოს დიდი ზომის პოსტერები. თითოეულ პოსტერზე ერთ-ერთი კატეგორია უნდა იყოს მოცემული და იქვე იდოს მარკერი. მოსწავლეები სხვადასხვა პოსტერთან მიღიან და ამ კატეგორიასთან დაკავშირებულ ზედსართავებს პოსტერზე წერენ. მოსწავლეები უნდა გავაფრთხილოთ, რომ დაწერამდე აუცილებელია, ნაიკითხონ პოსტერზე უკვე დატანილი ზედსართავები და არ გაიმეორონ ისინი. თუმცა მოსწავლეებს შეუძლიათ, უკვე დაწერილ ზედსართავებს შენიშვნები ან ახალი იდეები მიუწერონ.

სავარჯიშოს შედეგი, დაახლოებით, ასე გამოიყურება:

**როგორ გამოიყურება ადამიანი, რომელიც კარგ ხასიათზეა?**

- მხიარული
- ხუმარა
- განტვირთული
- კომუნიკაბელური
- მომხიბბვლელი
- -----
- -----

სავარჯიშოს შეჯამება არ სჭირდება, რადგან ეს არის მასალა შემდეგი საფეხურისათვის. ამ დროისათვის მასწავლებელს უკვე გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რომელი მოსწავლეების დაჯგუფება შეიძლება წყვილებად. შემდეგი ეტაპის თემა დელიკატურია და მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეები ყურადღებით დააჯგუფოს – აუცილებელია, მასწავლებელი დარწმუნებული იყოს, რომ მოსწავლეებს, რომელთაც აწყვილებს, ერთმანეთისადმი ანტიპათია არ აქვთ.

წყვილები შემდეგ დავალებას იღებენ:

ახლა ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს და ერთმანეთს. მიჰყევით შემდეგ თანმიმდევრობას:

- ჯერ მარტო იმუშავეთ;
- წაიკითხეთ პოსტერები და ამოარჩიეთ ის ზედსართავები, რომლებიც თქვენ საუკეთე-სოდ გახასიათებთ. ჩამოწერეთ ეს ზედსართავები სამუშაო ფურცლზე;
- ნუსხას დაუმატეთ ის ზედსართავები, რომლებიც თქვენ გახასიათებთ, მაგრამ კლასში წარმოდგენილ პოსტერებზე არ იყო დატანილი;
- ახლა ამავე მეთოდით დაახასიათეთ თქვენი მეწყვილე;

<sup>7</sup> ეს სავარჯიშო „დუმილის კედლის“ ვარიანტია (იხ. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი IV, ახალი იდეების განვითარება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებაში).

- როცა ორივე დაასრულებთ მუშაობას, ნამუშევარი მეწყვილეს გაუზიარეთ. დააკვირდით, რა ემთხვევა და რა ეწინააღმდეგება ერთმანეთს თქვენს აღწერებში; გამოხატეთ თქვენი აზრები და გრძნობები ამ აღწერებთან დაკავშირებით:
- რა იწვევს ჩემს გაკვირვებას?
- რა მომწონს?
- რა არ მომწონს?
- რა მტკენს გულს?
- შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითებით ისაუბროთ თქვენს დამოკიდებულებებზე?
- რომელი აღწერა არის (დადებითი ან უარყოფითი) სტერეოტიპი?

მასწავლებლის გადასაწყვეტია, თავად შეაჯამებს ამ ოთხ გაკვეთილს, თუ გარკვეულ დროს დაუთმობს შემაჯამებელ დისკუსიას. ორივე შემთხვევაში მასწავლებელი აღმოაჩინს, რომ კლასში სამუშაო გარემო საგრძნობლად გაუმჯობესდა. მოსწავლეებს განუვითარდათ საინტერესო ურთიერთობები, უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი, ერთმანეთის შესახებ ბევრი რამ აღმოაჩინეს და ერთმანეთს გაუზიარეს განცდები. ახლა მათ შეუძლიათ:

- განასხვავონ სტერეოტიპები და ცრურნებები;
  - განასხვავონ საკუთარი თავის აღქმა სხვების მიერ მათი პიროვნების აღქმისაგან.
- მოსწავლეებმა სოციალური კომპეტენციები განივითარეს, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაეხმარება, სკოლაში და სკოლის გარეთ.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.1

(ჯგუფი 1)

როლების გათამაშება

**შეთანხმდით, ვინ წაიკითხავს ხმამაღლა დღიურიდან ამონარიდს და დავალებას თქვენი ჯგუფისათვის.**

**შეარჩიეთ ჯგუფის მეორე წევრი, რომელიც დისკუსიის დროს ჩანაწერებს გააკეთებს და ჯგუფური მუშაობის ბოლოს მსჯელობის შედეგებს კლასის წინაშე წარმოადგენს.**

**ამონარიდი მაქსის დღიურიდან:**

„ეს ჩემი პირველი დღეა ახალ კლასში. ჩემი ოჯახი სხვა რეგიონიდან ჩამოვიდა და ჯერ კიდევ უცხოდ ვგრძნობ თავს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა და შენ, ჩემი დღიურო, ამ ამბებს გაგიზიარებ.“

ჩვენი ახალი ბინა მდინარის ბირასაა. ერთ-ერთი ჩემი კლასელი ბიჭი ჩემს მეზობლად ცხოვრობს. სამი დღის გადმოსულები ვიყავით ბინაში, როცა ამ ბიჭმა სათევზაოდ წასვლა შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი, რადგან ჩემი ანკესი ჯერ კიდევ რომელიდაც ყუთში დევს. ჯერ ხომ ნივთების ამოლაგება არ დაგვისრულებია.“

**დავალებები:**

1. ჩამოწერეთ ზედსართავები, რომლებსაც მაქსის თანაკლასელები მის დასახასიათებლად გამოიყენებდნენ;
2. როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა მაქსის შესახებ მისი ერთ-ერთი კლასელი მეორეს? გაითამაშეთ ეს სცენა.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.1

(ჯგუფი 2)

როლების გათამაშება

**შეთანხმდით, ვინ წაიკითხავს ხმამაღლა დღიურიდან ამონარიდს და დავალებას თქვენი ჯგუფისათვის.**

**შეარჩიეთ ჯგუფის მეორე წევრი, რომელიც დისკუსიის დროს ჩანაწერებს გააკეთებს და ჯგუფური მუშაობის პოლოს მსჯელობის შედეგებს კლასის წინაშე წარმოადგენს.**

**ამონარიდი მაქსის დღიურიდან:**

„ჩვენი სკოლის წინ დიდი საფეხბურთო მოედანია. ძალიან ფეხბურთის თამაში მიყვარს. მოვიტანე ჩემი ბურთი და თამაშს ვაპირებდი. დავიწყე თუ არა თამაში, სკოლის დარაჯმა შემაჩერა. ის გაბრაზებული ჩანდა და მკითხა, შემეძლო თუ არა კითხვა – წარწერა ყოფილა გაკეთებული, რომ მოედანი დროებით დაკეტილი იყო წვიმის შემდეგ, რათა ბალახი არ დაზიანებულიყო. ისე შევწუხდი, რომ უსიტყვოდ წავედი სახლისაკენ.”

**დავალებები:**

1. ჩამონერეთ ზედსართავები, რომლებსაც მაქსის თანაკლასელები მის დასახასიათებლად გამოიყენებდნენ;
2. როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა მაქსის შესახებ მისი ერთ-ერთი კლასელი მეორეს? გაითამაშეთ ეს სცენა.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.1

(ჯგუფი 3)

როლების გათამაშება

**შეთანხმდით, ვინ წაიკითხავს ხმამაღლა დღიურიდან ამონარიდს და დავალებას თქვენი ჯგუფისათვის.**

**შეარჩიეთ ჯგუფის მეორე წევრი, რომელიც დისკუსიის დროს ჩანაწერებს გააკეთებს და ჯგუფური მუშაობის პოლოს მსჯელობის შედეგებს კლასის წინაშე წარმოადგენს.**

**ამონარიდი მაქსის დღიურიდან:**

„ჩვენი ბინის თავზე ერთი მოხუცებული კაცი მარტო ცხოვრობს. გუშინ სახლში რომ მოვე-დი, სადარბაზოში შემოსასვლელ კართან შევხვდი, საყიდლებიდან სურსათით დატვირთული მოსულიყო. მძიმედ სუნთქვავდა. მომინდა, დავხმარებოდი. გამოვართვი მძიმე ჩანთა და ბინამდე ავატანინე”.

**დავალებები:**

1. ჩამონერეთ ზედსართავები, რომლებსაც მაქსის თანაკლასელები მის დასახასიათებლად გამოიყენებდნენ;
2. როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა მაქსის შესახებ მისი ერთ-ერთი კლასელი მეორეს? გაითამაშეთ ეს სცენა.

## დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის სტერეოტიპები და ცრურწმენები

### რა არის სტერეოტიპი?

ადამიანებს ხშირად მიაკუთვნებენ ამა თუ იმ ჯგუფს, მათი კულტურის, რელიგიური წარმოდგენების, კანის ფერის, თმის ვარცხნილობის ან ჩაცმულობის მიხედვით.

ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრას ხშირად თან სდევს ადამიანისათვის გარკვეული მახასიათებლების მიწერაც. შედეგად, კონკრეტული წარმოდგენები უკავშირდება ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს. როცა ეს წარმოდგენები იმდენად გაზიადებულია, რომ რეალობას აღარ შეესატყვისება, მათ სტერეოტიპებს ვუწოდებთ.

სტერეოტიპები გვხვდება წიგნებში (სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი), რეკლამებში, ფილმებში. სტერეოტიპია, მაგალითად, აფრიკელი ქალის გამოსახვა დიდი ტუჩებით, პალმის რტოებისაგან გაკეთებულ კაბაში.

### სტერეოტიპიდან ცრურწმენამდე

როცა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს აფასებენ მხოლოდ სტერეოტიპების მიხედვით, და არა, როგორც პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს, საქმე გვაქვს ცრურწმენასთან. სხვა სიტყვებით, ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე მათი გაცნობის გარეშე ვიქმნით წარმოდგენას. როგორც წესი, ასეთ დამოკიდებულებებს არაფერი აქვთ საერთო რეალობასთან, ხშირად მტრული და უარყოფითია.

### „დადებითი“ სტერეოტიპები

არსებობს დადებითი სტერეოტიპებიც. მაგალითად, როცა ამბობენ, რომ შავკანიანები კარგად დარბიან, საქმე გვაქვს დადებით სტერეოტიპთან. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ არაფერი ცუდი არ არის, თუ სტერეოტიპი დადებით წარმოდგენას ამკვიდრებს. ეს დამოკიდებულება მცდარი იქნებოდა. არ შეიძლება ადამიანთა მთელი ჯგუფი გავაერთიანოთ და მათ ყველას ერთი თვისება მივაწეროთ, თუნდაც დადებითი თვისება. მიზეზი? ეს სიმართლე ვერ იქნება. განა მართალია, რომ ყველა შავკანიანი სწრაფად დარბის?

### რითა სასარგებლო სტერეოტიპები?

ცრურწმენები ადამიანთა ცხოვრებას ამარტივებს. თუ უცნაურ ადამიანს ვხვდებით, თავს არც თუ ისე კომფორტულად ვგრძნობთ. ცრურწმენები ამგვარი დისკომფორტის მიჩქმალ-ვაში გვეხმარება – შეგვიძლია თავი მოვაჩვენოთ, რომ ყველაფერი ვიცით სხვების შესახებ და კითხვების დასმა არ გვჭირდება. შედეგად, თავიდანვე აზრს ვუკარგავთ ადამიანთან შინაარსიან ურთიერთობას.

### რა შედეგებამდე მივყავართ ცრურწმენებს?

ცრურწმენები შეურაცხმყოფელია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ადამიანისადმი უსამართლო მოპყრობას გულისხმობენ. ცრურწმენები ადამიანს უკარგავენ შესაძლებლობას, აჩვენოს, ვინაა ის სინამდვილეში და რისი გაკეთება შეუძლია. მაგალითად, დამსაქმებელმა შეიძლება სამსახურში არ აიყვანოს წარმოშობით თურქი, რადგან გაუგონია, რომ თურქები სამსახურში იგვიანებენ. ზოგიერთი ავრცელებს ცრურწმენებს, იმისდა მიუხედავად, რომ ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრია ადამიანი, რომელიც ამ შეხედულებას თავისი ცხოვრები-სეული მაგალითით დაადასტურებდა.

## რა შეიძლება გავაკეთოთ ცრურწმენების წინააღმდეგ?

ცრურწმენების აღმოფხვრა რთულია. იმედის დაკარგვა კი მაინც არ ღირს, რადგან ადამიანები ცრურწმენებით არ იპადებიან. ცრურწმენებს ადამიანები ითვისებენ, სწავლობენ. შესაბამისად, შეიძლება მათი დავიწყებაც. სანამ ადამიანს განსჯი, ჰქონდება თუ რატომ მოიქცა ასე და არა – სხვაგვარად. გაითვალისწინე, რომ არ გესიამოვნებოდა, თუ შენს საქციელს ისე განსჯიდნენ, რომ სიტყვის თქმის უფლებაც არ მოეცათ.

### მოსწავლის სამუშაო ფურცელი 1.2


როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს? როგორ აღვიქვამენ სხვები?

#### წყვილებში მუშაობა

კომენტარები დისკუსიის შემდეგ: – რაზე ვეთანხმებით ერთმანეთს; – რაზე ვერ ვთანხმდებით; – შენიშვნები.	როგორ აღვწერ ჩემს თავს (საკუთარი თავის აღქმა)	როგორ აღვწერ ჩემს თანაკლასელს (ჩემ მიერ სხვა ადამიანის აღქმა, მისი წერილობითი დახასიათება)	კომენტარები დისკუსიის შემდეგ: – რაში ვეთანხმებით ერთმანეთს; – რაზე ვერ ვთანხმდებით; – შენიშვნები.

## თავი 2 თანასწორობა:

### თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?



- 2.1 მსგავსებები და განსხვავებები  
თანასწორი ვარ? განსხვავებული ვარ?
- 2.2 ვესნას ამბავი  
ჩვენ რომ ეს მოგვსვლოდა, როგორ მოვიქცეოდით?
- 2.3 ქალისა და მამაკაცის თანასწორობა  
როგორ უნდა მოვეპყროთ ქალებსა და მამაკაცებს?
- 2.4 სოციალური სამართლიანობა  
როგორ უნდა გავართვათ თავი უთანასწორობას?

## თავი 2. თანასწორობა:

### თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?

თანასწორობა ყველა ადამიანისთვის თანაბარ უფლებებს გულისხმობს, მიუხედავად მათი სქესის, ასაკის, რელიგიის, ეთნიკური ნარმომავლობის და ა.შ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრემბულა იწყება შემდეგი სიტყვებით: „ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება ნარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“. მოქალაქეობის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული თანასწორობის საკითხებთან. უთანასწორობა საზოგადოებაში ხელს უშლის ეფექტურ მოქალაქეობას. შესაბამისად, თანასწორობის იდეა სამოქალაქო განათლების ფუნდამენტური პრინციპია. სამოქალაქო განათლება სწავლობს თანასწორობის საკითხებს და სასიცოცხლო ძალას აძლევს ადამიანებს, რათა ეს უკანასკნელი დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ გამოვიდნენ.<sup>8</sup>

მრავალფეროვნება გულისხმობს თანაგრძნობის ჩარჩოებს მიღმა გასვლას და განსხვავებების რეალურ დაფასებას. მრავალფეროვნების იდეა მნიშვნელოვანია პლურალიზმისა და მულტიკულტურალიზმისათვის. მრავალფეროვნება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ქვაკუთხედია, რაც იმას გულისხმობს, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყოველგვარ სტერეოტიპს. საზოგადოება მზად უნდა იყოს, აღიაროს და ხელი შეუწყოს მრავალფეროვნების ყოველგვარ გამოხატულებას ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.<sup>9</sup>

სოლიდარობა ადამიანთა უნარია, გასცდნენ საკუთარ სივრცეს და აღიარონ/დაიცვან სხვათა უფლებები. ეს არის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ძირითადი მიზანი, რამდენადაც ის აძლევს ადამიანებს ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. სოლიდარობა უკავშირდება ქმედებას, თუმცა ქმედებასთან ერთად გარკვეულ დამოკიდებულებებსაც გულისხმობს.<sup>10</sup>

ცრურნებნასთან გვაქვს საქმე, როცა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ვაჭასებთ ზედაპირულად, არასრული ინფორმაციის საფუძველზე. ცრურნებნები შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი; მათ სოციალიზაციის პროცესში ვითვისებთ. როგორიცაა ცრურნების შეცვლა ან აღმოფხვრა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ცრურნების იდენტიფიკაციის უნარის განვითარება.

დისკრიმინაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი დისრიმინაციაა, როცა, მაგალითად, დასაქმების სამსახური ბოშის განაცხადს არ იპარებს, ან როცა ბინას არ აქირავებენ იმიგრანტებზე. ირიბი დისკრიმინაცია უკავშირდება გარკვეულ პოლიტიკას, კრიტერიუმებს ან ზომებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ნეიტრალურია, თუმცა ამოქმედებისთანავე დეფაქტო ბარიერებს უქმნის ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს. მაგალითად, სიმაღლის მინიმალური მოთხოვნები მათვის, ვისაც მეხანძრეობა სურს (ასეთ კრიტერიუმს შეიძლება ემსხვერპლოს არაერთი ქალის განაცხადი). სხვა მაგალითი იქნებოდა თავსაფრიანი ქალბატონების არდაშვება სამთავრობო სტრუქტურებსა და სკოლებში.<sup>11</sup>

ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომლებიც მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიენერებათ. ამდენად, გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორის გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციისა და ასაკის მიხედვით. გენდერული როლები ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. პიროვნების პი-

<sup>8</sup> წიგნიდან „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის: სიტყვათა განმარტება“, კარენ ო’შეა, ევროსაბჭო (2003), გვ. 29

<sup>9</sup> იგივე

<sup>10</sup> იგივე

<sup>11</sup> იგივე

ოლოგიური სქესისგან განსხვავებით, გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს.<sup>12</sup>

ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებები უკავშირდება იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია პიროვნების სრული განვითარებისა და სათანადო სტანდარტის საცხოვრებელი პირობების მისაღწევად და შესანარჩუნებლად. ამ უფლებებს ადამიანის უფლებათა „მეორე თაობის“ სახელით მოიხსენიებ; მათი ცხოვრებაში გატარება საკმაოდ რთულია, რადგან მათი დაცვა არსებული რესურსების ოდენობას უკავშირდება. „მეორე თაობის“ უფლებები, ასევე, მოიცავს: მუშაობის უფლებას, განათლების უფლებას, დასვენების უფლებას, სათანადო სტანდარტის მიხედვით ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები ჩამოყალიბებულია ეკონომიკური და სოციალური უფლებების საერთაშორისო კონვენციაში, რომელიც გაეროს ასამბლეამ 1966 წელს მიიღო.<sup>13</sup>

როცა სოციალურ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, განსხვავებულ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს ვაწყდებით. ეს მოსაზრებები და დამოკიდებულებები სამ ფართო კატეგორიად შეიძლება დავაჯვალოთ:

- დარვინისტები თვლიან, რომ ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ პრობლემებზე და თავად უნდა ეძებოს გამოსავალი; ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანებს წამახალისებელი სჭირდებათ, რათა უფრო გულმოდგინედ მიუდგნენ პრობლემების გამოსავლის ძიებას. დარვინისტები სოციალური პოლიტიკის საკითხებს არც განიხილავენ.
- თანაგრძნობით გამსჭვალულნი სიბრალულის გრძნობას ამჟღავნებენ გაჭირვებულთა და ტანჯულთა მიმართ და სურთ მათი ტკივილის შემსუბუქება; მათთვის სოციალური და პოლიტიკური უფლებები უფრო პოლიტიკის სასურველი მიმართულებებია, ვიდრე ადამიანის უფლებათა ნაწილი. ასეთი დამოკიდებულება მეურვეობის შემთხვევებს უკავშირდება – როცა შეძლებული ფენის წარმომადგენელი მეურვეობს გაჭირვებულს.
- სამართლიანობის მაძიებელნი ადამიანთა არასამართლიანი მოპყრობის საკითხით ინტერესდებიან, რაც მათთვის მთავრობის არასწორ პოლიტიკას უკავშირდება; ისინი თვლიან, რომ გამოსავალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ცვლილებაა, რაც ადამიანებს სიღარიბისაგან იხსნიდა.<sup>14</sup>

## თავი 2. თანასწორობა:

### თქვენ ჩემზე მეტი უფლებები გაქვთ?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: მსგავსებები და განსხვავებები	მოსწავლეებს შეუძლიათ ადამიანთა თანასწორობისა და მათი განსხვავებულობის პრინციპების ახსნა.  მოსწავლეები აანალიზებენ თანასწორობასა და განსხვავებულობას.	მოსწავლეები ხე-დავენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ადამიანებს შორის.  მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა შედეგები მოჰყვება განსხვავებულობას.	ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილი რვეულები ან ფურცლები, კალმები.  თუ მასწავლებელი ჯგუფურ მუშაობას აირჩევს, საჭირო იქნება დიდი ზომის ფურცლები და მარკერები.	ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფებში მუშაობა.

12 წიგნიდან „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის: სიტყვათა განმარტება“, კარენ ი'შეა, ევროსაბჭო (2003), გვ. 29

13 იგივე

14 „მოვალეობები და საზღვრები. ადამიანის უფლებები და გლობალური სოციალური სამართლიანობა“, ადამიანის უფლებათა პოლიტიკის საერთაშორისო საბჭო.

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 2: ვესნას ამბავი	მოსწავლეები იაზ- რებენ, რომ საზოგა- დოებაში არსებობს ცრურნებული და დისკრიმინაცია.  მოსწავლეებს ესმით დისკრიმინაციის მსხვერპლთა მდგო- მარეობა და მათი შეხედულებები.	მოსწავლეები განიხი- ლავენ დისკრიმი- ნაციის კონკრეტულ შემთხვევას და ადარებენ მას საკუ- თარ ქვეყანაში არსე- ბულ მდგომარეობას.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 2.1 (აუცილებელი არ არის)	ჯგუფური მუშაობა ტექსტზე.
გაკვეთილი 3: ქალისა და მამაკაცის თანასწორობა	მოსწავლეებს შეუძლიათ დისკრიმი- ნაციის შემთხვევებზე რეაგირება.	მოსწავლეები იაზ- რებენ ქალებისადმი მოპყრობის საკითხ- ებს, პირადი და სა- ზოგადოების მხრიდან	მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.2-დან ერთი ამბის ამონარიდი თითოეული ჯგუ- ფისათვის. ჯგუ- ფი შეიძლება შედგებოდეს 4-5 მოსწავლისაგან.	პატარა ჯგუფებში მუშაობა.
გაკვეთილი 4: სოციალ- ური სამარ- თლიანობა	მოსწავლეები იაზ- რებენ, რომ საზოგა- დოებაში გვხვდება გენდერულ საკითხ- ებთან დაკავშირებუ- ლი დისკრიმინაციის შემთხვევები.	მოსწავლეები განიხი- ლავენ დისტრიბუცი- ული სამართლიანო- ბის საკითხებს.  მოსწავლეები მთელ თავს აჯამებენ.	მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.3-ის ასლები, რომელიც ნაწილებად იქნება დაყოფილი მოსწავ- ლეთა თითოეული წყვილისათვის (აუცილებელი არ არის).	წყვილებში მუშაობა, კრიტიკული აზროვნება.

## გაკვეთილი 1

### მსგავსებები და განსხვავებები თანასწორი ვარ? განსხვავებული ვარ?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ ადამიანთა თანასწორობისა და მათი განსხვავებულობის პრინციპების ახსნა. მოსწავლეები აანალიზებენ თანასწორობასა და განსხვავებულობას.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები ხედავენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ადამიანებს შორის. მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა შედეგები მოჰყვება განსხვავებულობას.
საჭირო მასალა – ინდივიდუალური მუშაობისათვის განკუთვნილი რვეულები ან ფურცლები, კალმები. თუ მასწავლებელი ჯგუფურ მუშაობას აირჩევს, საჭირო იქნება დიდი ზომის ფურცლები და მარკერები.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.

## გაკვეთილი

მოსწავლეები 4-5 კაციან ჯგუფებს ქმნიან. თითოეულ ჯგუფს სჭირდება ფურცელი და კალამი.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ დასვამს შეკითხვებს, რომლებზეც მათ უნდა უპასუხონ „კი“ ან „არა“. მოსწავლეებმა ფურცელზე ჰორიზონტალურად უნდა დაწერონ ასოები ანიდან სანის ჩათვლით და ასოების ქვეშ საკმარისი ადგილი დატოვონ. მასწავლებელს შეუძლია იგივე გააკეთოს დაფაზე.

**მაგალითი**

კითხვები: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი ...

პასუხები: 10101 ....

მასწავლებელი იწყებს იმ შეკითხვების დასმას ანიდან სანამდე, რომლებიც შეკითხვების პირველ ნუსხაშია წარმოდგენილი. მოსწავლეები თითოეულ შეკითხვას დადებით (1) ან უარყოფით (0) პასუხს სცემენ. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ეჭვებათ პასუხის სისწორე, აუცილებელია, ერთ-ერთი (უფრო სავარაუდო პასუხი) შემოხაზონ.

შეკითხვების ნუსხა 1	შეკითხვების ნუსხა 2
<p>ა. ქალი ხართ?</p> <p>ბ. ნამყოფი ხართ ერთზე მეტ უცხო ქვეყანაში?</p> <p>გ. გიყვართ სპორტი?</p> <p>დ. უკრავთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე?</p> <p>ე. ყავისფერი თვალები გაქვთ?</p> <p>ვ. თქვენი ორივე ბებია ცოცხალია?</p> <p>ზ. ატარებთ სათვალეებს?</p> <p>თ. გიყვართ ქალაქების გასვლა?</p> <p>ი. წყნარი ადამიანი ხართ?</p> <p>კ. სამუალოზე მაღალი ხართ?</p> <p>ლ. ნაღვლიანი ადამიანი ხართ?</p> <p>მ. ადვილად ცივდებით?</p> <p>ნ. გიყვართ მოგზაურობა?</p> <p>ო. გიყვართ სილამაზის სალონში სიარული?</p> <p>პ. გიყვართ კომპიუტერთან მუშაობა?</p> <p>ჟ. გეშინიათ სიმაღლის?</p> <p>რ. ყავისფერი გირჩევნიათ თუ ლურჯი?</p> <p>ს. გიყვართ ხატვა?</p>	<p>ა. ყოველთვის ბეჭდინერად გრძნობთ თავს?</p> <p>ბ. თითებზე ფრჩხილები გაქვთ?</p> <p>გ. შეგიძლიათ თუნდაც მცირეოდენი აზროვნება?</p> <p>დ. დედამ გშობათ?</p> <p>ე. შეგიძლიათ ფრენა, როგორც ჩიტს, დამატებითი მოწყობილობის გარეშე?</p> <p>ვ. შეგიძლიათ არსებობა სითხის მიღების გარეშე?</p> <p>ზ. სუნთქვათ?</p> <p>თ. მუდმივად წყლის ქვეშ ცხოვრობთ?</p> <p>ი. გაქვთ გრძნობები?</p> <p>კ. თქვენი სისხლი მწვანეა?</p> <p>ლ. ოდესმე წაქცეულხართ?</p> <p>მ. კედელში გახედვა შეგიძლიათ?</p> <p>ნ. სხვებთან კომუნიკაცია შეგიძლიათ?</p> <p>ო. გიყვართ კარგი ამინდი?</p> <p>პ. ამჯობინებდით, რომ ადამიანებთან არ გქონდეთ საქმე?</p> <p>ჟ. ენა გაქვთ?</p> <p>რ. შეგიძლიათ წყლის ზედაპირზე სიარული (როგორც ზეგიერთ მწერს)?</p> <p>ს. იღლებით ხანდახან?</p>

მასწავლებელი თითოეული ჯგუფიდან ერთ მოსწავლეს სთხოვს, დაფაზე ჩამოწეროს პასუხები პირველ ნუსხაში მოცემულ შეკითხვებზე. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა შეადარონ თავიანთი პასუხები დაფაზე დაწერილ პასუხებს. არის განსხვავებები? შეიძლება ამ განსხვავებების შეჯამება?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გასცენ პასუხები შეკითხვებს მეორე ნუსხიდან. ყოველი ჯგუფიდან ერთი მოსწავლე პასუხებს დაფაზე წერს და დანარჩენები ადარე-

ბენ თავიანთ პასუხებს დაფაზე დაწერილს. ამ შემთხვევაში განსხვავებები პასუხებს შორის თთქმის არ ფიქსირდება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ კიდევ რამ-დენიმე შეკითხვა, რომლებზეც მოსწავლეებს, მასწავლებლის მოლოდინით, მსგავსი პასუხები ექნებათ.

ამ სავარჯიშოს განვრცობის მიზნით, მასწავლებელს შეუძლია, დაურიგოს ჯგუფებს დიდი ზომის ფურცლები, მარკერები და სთხოვოს, ჩამოწერონ:

- ა. სამი ისეთი მაგალითი, როცა სხვა ადამიანებთან მსგავსება მისასალმებელია.
- ბ. სამი ისეთი მაგალითი, როცა სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულობა მისასალმებელია.

ამოცანის გაადვილების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს წარმოუდგინოს აზროვნების შემდეგი ჩარჩო:

სიტუაცია, როცა მსგავსება მისასალმებელია	რატომ?
ა.	ა.
ბ.	ბ.
გ.	გ.

სიტუაცია, როცა განსხვავება მისასალმებელია	რატომ?
ა.	ა.
ბ.	ბ.
გ.	გ.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, მოიფიქრონ სამი ისეთი სიტუაცია, როცა განსხვავებულობა არასასიამოვნოა. ამ შემთხვევაშიც მოსწავლეებს უწევთ არგუმენტების მოშველიება.

სიტუაცია, როცა განსხვავებულობა არასასიამოვნოა	რატომ?
ა.	ა.
ბ.	ბ.
გ.	გ.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რომელი ჯგუფის „განსხვავებულ“ ადამიანებს ექცევიან ხოლმე ცუდად და ვინ ექცევა მათ ცუდად.

ადამიანთა ჯგუფები, ვისაც ცუდად ექცევიან	ვინ ექცევა მათ ცუდად?
ა.	ა.
ბ.	ბ.
გ.	გ.

მასწავლებელი სთხოვს თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინონ პასუხები. კლასი განიხილავს, თუ ადამიანის უფლებათა რა დარღვევებთან გვაქვს საქმე თითოეულ შემთხვევაში. ამ მიზნით ჯგუფებს ვურიგებთ მოსწავლის სამუშაო ფურცელ 5.2-ს: ადამიანის უფლებათა ნუსხა.

## გაკვეთილი 2

### ვესნას ამბავი

#### ჩვენ რომ ეს მოგვსვლოდა, როგორ მოვიქცეოდით?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები იაზრებენ, რომ საზოგადოებაში არსებობს ცრურობები და დისკრიმინაცია.

მოსწავლეებს ესმით დისკრიმინაციის მსხვერპლთა მდგომარეობა და მათი შეხედულებები. მოსწავლეებს შეუძლიათ დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირება.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ დისკრიმინაციის კონკრეტულ შემთხვევას და ადარებენ მას საკუთარ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელი 2.1 (შეკითხვებით) თითოეული მოსწავლისათვის.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა ტექსტზე.

## ძირითადი ცნებები

დისკრიმინაცია საზოგადოებრივი ქცევის ფართოდ გავრცელებული ფორმაა. დისკრიმინაციას მხოლოდ მმართველი ორგანოები არ ახორციელებენ; ბევრი სხვა სტრუქტურა და ადამიანია ჩართული დისკრიმინაციაში. გაკვეთილის რეალობაში მომხდარი ამბით დაწყება საშუალებას მის-ცემს მოსწავლეებს, გააანალიზონ თავიანთი ქცევა.

## გაკვეთილი

მასწავლებელს შეუძლია, ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს სამუშაო ფურცელ 2.1-ში მოცემული ამბავი, ან დაურიგოს მათ სამუშაო ფურცლები და სტერეოტიპები, თავად წაიკითხონ.

## ვესნას ამბავი

ვესნა ბოშა ქალია, რომელიც თავის ამბავს ჰქონის:

„ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინაში შევნიშნე განცხადება იმის თაობაზე, რომ მაღაზიაში გამყიდველი სჭირდებოდათ. ისინი 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდას ეძებდნენ. მე შევედი მაღაზიაში და მენეჯერს გამყიდველის პოზიციასთან დაკავშირებით დაველაპარაკე; მან მთხოვა, ორ დღეში მივსულიყავი, რადგან განაცხადებების შემოსვლას კიდევ ელოდებოდნენ.“

მე ოჯახერ მივბრუნდი და ორივევერ ანალოგიური პასუხით გამომისტუმრეს. ერთი კვირა გავიდა. კვლავ მივედი მაღაზიაში. ფანჯარაზე კვლავ გამოერული იყო განცხადება. მენეჯერი ძალიან დაკავებული იყო და ვერ დამელაპარაკა. მაღაზიაში მითხვეს, რომ გამყიდველი უკვე აეყვანათ.

ძალიან გულდაწყვეტილი გამოვედი მაღაზიიდან. ჩემს მეგობარს, რომელიც არ არის ბოშა, ვთხოვე, შესულიყო მაღაზიაში და ვაკანსიის შესახებ ეკითხა. მან ჩემი თხოვნა შეასრულა. ჩემი მეგობარი ორშაბათს გასაუბრებაზე დაიბარეს.“

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე მოისმენს/წაიკითხავს ვესნას ამბავს, მასწავლებელი სტერეოტიპების მათ, 4-5 კაციან ჯგუფებად დაიყონ და განიხილონ შემდეგი შეკითხვები (სამუშაო ფურცელ 2.1-ზე ეს შეკითხვები მოცემულია. თუ მასწავლებელმა მოსწავლეებს ვესნას ამბავი წაუკითხა, მაშინ ამ შეკითხვების ჩამოწერა მოუწევს დაფაზე ან ფლიპჩარტზე).

1. როგორ იგრძნობდით თავს ვესნას ამბავი თქვენ რომ გადაგხდენოდათ? რა რეაქცია გექნებოდათ, როცა თქვენი მეგობარი გეტყოდათ, რომ ის ინტერვიუზე მიიწვიეს?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა მაღაზიის მენეჯერი ასე? თვლით, რომ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

3. რა შეეძლო მოემოქმედა ვესნას? ხელეწიფებოდა სიტუაციის შეცვლა? სხვებს როგორ უნდა აღმოეჩინათ დახმარება ვესნასთვის?

4. თვლით, რომ კანონის მოშველიება სიტუაციას მოაგვარებდა? რა უნდა ეწეროს კანონში, რომელიც ასეთ სიტუაციას შეიძლება მიესადაგოს?

5. ასეთი შემთხვევა თქვენს ქვეყანაშიც შეიძლება მოხდეს? რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი იქნება საფრთხეში?

მასწავლებელი მოსწავლეებისაგან პირველად პასუხებს ითხოვს. მასწავლებელს შეუძლია, თითო ან რამდენიმე შეკითხვა დაუსვას ყველა ჯგუფს ცალ-ცალკე.

შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ვესნას ამბავი სიმართლეა და ეს შემთხვევა, დაახლოებით, ათი წლის წინ მოხდა. როდესაც მაღაზიის მენეჯერს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, მისი პასუხი შემდეგში მდგომარეობდა:

## მენეჯერის პასუხი:

„მე ჩავთვალე, რომ ვესნას ამ მაღაზიაში მუშაობა გაუჭირდებოდა, რადგან მაღაზიისაგან შორს ცხოვრობს და ყოველდღიურად დიდი მანძილის გავლა დასჭირდებოდა. ყოველ დღე 8 მილის გამოვლა და ორი ავტომუსის შეცვლა მოუწევდა. როულია მაღაზიის გაძლოლა, როცა თანამშრომლები იგვიანებენ. შესაბამისად, უპირატესობას მივანიჭებდი აპლიკანტს, რომელიც ახლოს ცხოვრობს. პირველი, ვინც გამყიდვალის თანამდებობაზე ავიყვანე, ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.“

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს: „ამ კონვენციაში მოცემულ უფლებათა და თავისუფლებათა გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის, ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ისეთზე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკა თუ რწმენა, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, კავშირი ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადების ადგილი თუ სხვა სტატუსი“. შემდეგ კი უკითხავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლს: „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს, განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.“

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ეს ამონარიდები ვესნას ამბავთან დააკავშირონ. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ვესნას ამბის რეალურ დასასრულ უმხელს:

## ვესნას ამბის დასასრული

„ვესნამ იჩივლა სპეციალურ ევროპულ სასამართლოში, რომელიც დისკრიმინაციის შემთხვევებს განიხილავს. სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს იყო დისკრიმინაციის შემთხვევა, რადგან აპლიკანტები, რომლებიც მაღაზიდან მოშორებით ცხოვრობდნენ, ინტერვიუზე დაიბარეს, ვესნა კი – არა. გოგონა, რომელიც გამყიდველად აიყვანეს, იყო 16 წლის, თეთრკანიანი და მაღაზიდან იმავე მანძილით იყო დაშორებული მისი საცხოვრებელი, როგორც ვესნასი. სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მაღაზიას ვესნასთვის მატერიალური კომპენსაციის გადახდა მოუწინა.“

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ წერილი მაღაზიის მენეჯერის, ან ქალაქის მერის სახელზე. ეს წერილი მოსწავლეების პირველულ დამოკიდებულებასაც უნდა ასახავდეს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციასაც. წერილების განხილვა შეიძლება მოეწყოს საკლასო მეცადინეობების შემდეგ.

### გაკვეთილი 3

#### ქალისა და მამაკაცის თანასწორობა როგორ უნდა მოვეპყროთ ქალებსა და მამაკაცებს?

სწავლის მიზანი – მოსაწვლები აცნობიერებენ გენდერული დისკრიმინაციის ფენომენს. მოსწავლებს ესმით გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლთა მდგომარეობა. მოსწავლეებს შეუძლიათ დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირება.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები იაზრებენ ქალებისადმი მოპყრობის საკითხებს, მათი პირადი და საზოგადოების მხრიდან.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.2-დან ერთი ამბის ამონარიდი თითოეული ჯგუფისათვის. დიდი ზომის ფურცელი და მარკერი თითოეული ჯგუფისათვის.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – პატარა ჯგუფებში მუშაობა. დიკუსია და პრეზენტაციები.

#### ინფორმაცია

დიდი გზაა გასავლელი იმ დღემდე, როცა ქალებსა და მამაკაცებს კანონი და ცხოვრება თანასწორად მოეპყრობა. გენდერული უთანასწორობის შემთხვევებს ყოველდღიურად ვხედავთ სკოლაში, სახლსა და სამსახურში, რაც ზრდის ჩვენს სურვილს, უკეთესად გავიაზროთ ეს საკითხი. წინამდებარე გაკვეთილი გვთავაზობს, შემოვიტანოთ ცვლილებები ჩვენს ყოველდღიურ სასკოლო და საქლასო ცხოვრებაში.

### გაკვეთილი

მოსწავლეებს ვყოფთ 4-5 კაციან ჯგუფებად; მათ ვურიგებთ თითო ამბავს მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.2-დან. როცა მოსწავლეები წაიკითხავენ ამბავს, მათ უნდა განიხილონ შეკითხვები, რომლებიც ტექსტს თან ერთვის.

შემდეგ მასწავლებელი თითოეულ ამბავთან დაკავშირებულ დისკუსიას უძლვება. დისკუსია იწყება იმით, რომ ჯგუფიდან ერთი მოსწავლე მოკლედ ჰყვება ამბავს და აყალიბებს ჯგუფის პასუხებს შეკითხვებზე.

როცა თითოეული ჯგუფი პასუხებს წარმოადგენს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ, რაც დაფაზეა დაწერილი და მოიყვანონ ორ-ორი მაგალითი, სქესობრივ და გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებით. მაგალითების მოყვანა აუცილებელია, რათა ყველა მოსწავლემ კარგად გაიაზროს ეს განსხვავებები.

სქესი	გენდერი
ბიოლოგიურად განსაზღვრული	სოციალურად განსაზღვრული
სტატიკური, არ იცვლება	დინამიკური, ცვლას ექვემდებარება
„სქესი უკავშირდება ქალისა და მამაკაცის ბუნებრივად განმასხვავებელ ბიოლოგიურ მახასიათებლებს“.	„გენდერი ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ სოციალურ, და არა ბიოლოგიურ, განსხვავებებთან დაკავშირებული ცნებაა. გენდერის გაგება იცვლება და განსხვავდება ისტორიული, კულტურული, ტრადიციული, გეოგრაფიული, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით“.

მოწავლეებს ჯგუფებში ვურიგებთ დიდი ზომის ფურცლებსა და მარკერებს. ისინი იწყებენ იმის განხილვას, თუ რამდენად უწყობს მათი სკოლა ხელს გენდერულ თანასწორობას. თუ მოსწავლეები დასკვიან, რომ სკოლა გენდერულ თანასწორობას ხელს უწყობს, მოუწევთ

5 მაგალითის მოყვანა ამ მოსაზრების დასადასტურებლად. თუ პასუხი უარყოფითია, მოსწავლებმა უნდა ჩამოაყალიბონ 5 შესაძლო ნაბიჯი, რაც სკოლაში გენდერული თანასწორობის დამკვირდებას შეუწყობდა ხელს.

თითოეული ჯგუფი კლასის წინაშე წარმოადგენს თავის შედეგებს.

თუ მასწავლებელს სურვილი აქვს, ეს სამუშაო პროექტად აქციოს, მას შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს, შეარჩიონ რამდენიმე იდეა, რომელიც სკოლაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს. მოსწავლეებმა ამ იდეების სისრულეში მოყვანის გეგმა უნდა შეიმუშაონ. გეგმა უნდა მოიცავდეს საბოლოო მიზანს, ნაბიჯებს საბოლოო მიზნისაკენ, პასუხისმგებელ პირებსა და დროის ჩარჩოებს.

## გეგმის ნიმუში

საბოლოო მიზანი:		
რა უნდა გაკეთდეს?	ვინ გააკეთებს?	როდისთვის?

## გაკვეთილი 4 სოციალური სამართლიანობა როგორ უნდა გავართვათ თავი უთანასწორობას?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები იაზრებენ, რომ საზოგადოებაში გვხვდება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის შემთხვევები.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ დისტრიბუციული სამართლიანობის საკითხებს. მოსწავლეები იმეორებენ ბოლო გაკვეთილებზე განხილულ მასალას.
საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.3-ის ასლები, რომელიც ნაწილებად იქნება დაყოფილი მოსწავლეთა თითოეული წყვილისათვის (აუცილებელი არ არის).
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მუშაობა ტექსტზე, წყვილებში მუშაობა, კრიტიკული აზროვნება.

### ინფორმაცია:

ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს თანხმობა იმაზე, თუ რა არის სოციალური სამართლიანობა. ამ გაკვეთილში წარმოდგენილი ამბავი დაეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რამდენად რთული და მრავალმხრივია ეს საკითხი და რა უნდა იყოს სოციალური სამართლიანობის ძირითადი პრინციპები.

## გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის გეგმას აცნობს: მოსწავლეებისათვის მოთხოვნის დარიგების შემდეგ, ისინი მის კითხვას იწყებენ. თითოეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები დისკუსიას გამართავენ. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ტექსტი თავად წაუკითხოს.

მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ჰყოფს და თითოეულ წყვილს ურიგებს მოსწავლის სამუშაო ფურცელ 2.3-ის პირველ ნაწილს. მასწავლებელს შეუძლია, წაუკითხოს ის მოსწავლეებს, რომელიმე მოსწავლეს სთხოვოს წაკითხვა, ან მოსწავლეებს მისცეს რამდენიმე ნუთი, რათა ისინი თავად გაეცნონ ტექსტს.

## მოთხოვა: I ნაწილი

„დაახლოებით ერთი საათი გავიდა განგაშის პირველ ზარსა და გემ „დედოფალ მედის“ ჩაძირვას შორის. შესაბამისად, მგზავრებს ჰქონდათ გარკვეული დრო, რათა ორგანიზებულად ჩამსხდარიყვნენ სამაშველო ნავებში. ძლიერი ქარის გამო, გემი შეეჯახა ნავთობტანერს, რამაც გემის ჩაძირვა გამოიწვია.“

დაახლოებით 12 საათის შემდეგ, სამაშველო ნავები პატარა კუნძულს მიუახლოვდნენ. ამ კუნძულს ოვალური ფორმა ჰქონდა - 1.5 კმ სიგრძის და 700 მეტრამდე სიგანის; ნაწილობრივ დაფარული იყო ტყით. ახლომახლოს სხვა კუნძული არ ჩანდა. ამ მზიან კუნძულზე არავინ ცხოვრობდა, რიშალონების ოჯახის გარდა, რომლებიც შემაღლებულ ადგილას, ძვირფას ვილაში სახლობდნენ და მთელ კუნძულს ფლობდნენ.

ეს ოჯახი კუნძულზე რამდენიმე წლის წინ დასახლდა და თითქმის არ ეკონტაქტებოდა დანარჩენ სამყაროს; მათ ისე ჰქონდათ აწყობილი ცხოვრება, რომ ყოველთვიურად იღებდენ საჭირო საკვებს, საწვავს და სხვა ნივთებს. ეს ყველაფერი მათთან, კუნძულზე შეკვეთით მოჰქონდათ. რიშალონებს ძალიან კარგად ჰქონდათ ორგანიზებული ყველაფერი: ისინი თავად ანარმობდნენ ელექტროენერგიას, შეეძლოთ საკმარისი საკვები და სასმელი შეეკვეთათ და კომფორტული ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდათ შექმნილი. ამ კუნძულის მეპატრონე წარსულში ძალიან წარმატებული ბიზნესმენი იყო; საგადასახადო პრობლემების გამო, მას იმედი გაუცრუვდა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და გადაწყვიტა, გარიდებოდა ყოველდღიურობას.

კუნძულის მეპატრონებ შენიშვნა, რომ ხალხით სავსე სამაშველო ნავები მის კუნძულს მიუახლოვდნენ და გამოვიდა ხალხთან”.

მასწავლებელი მოსწავლეებს პირველ შეკითხვას უსვამს: აქვს თუ არა ამ კუნძულის პატრონს მორალური ვალდებულება, რომ გადარჩენილი ხალხი თავის კუნძულზე დაუშვას? დასახმარებლად მასწავლებელი მათ უკითხავს სხვადასხვა ვარიანტს და თითოეულ წყვილს სთხოვს, დაეთანხმონ, ან უარყონ ეს ვარიანტები. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და, თითოეულ ვარინატან დაკავშირებით, საკუთარ დამოკიდებულებას ინიშნავენ. ეს ვარიანტებია:

- ა. კუნძულის მეპატრონეს შეუძლია, არ დაუშვას ეს ადამიანები თავის კუნძულზე;
- ბ. კუნძულის მეპატრონეს შეუძლია, არ დაუშვას ეს ადამიანები თავის კუნძულზე, რადგან მას მოუწევს ამ ხალხის გამოკვება;
- გ. კუნძულის მეპატრონეს შეუძლია, არ დაუშვას თავის კუნძულზე ისინი, ვინც ვერაფერს გადაუხდის მას (ფულით, ძვირფასეულობით, ან საკუთარი შრომით);
- დ. კუნძულის მეპატრონემ უნდა მისცეს ამ ხალხს საშუალება, რომ კუნძულზე დარჩენ, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება. გადარჩენილი ხალხი კი მორალურად ვალდებულია, პატივი სცეს კუნძულის მეპატრონის საკუთრებასა და პირად ცხოვრებას;
- ე. კუნძულის მეპატრონემ გადარჩენილი ხალხი კუნძულზე უპირობოდ უნდა დაუშვას და კუნძულის თანამესაკუთრებად ჩათვალოს.

მასწავლებელს შეუძლია, დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები, რათა მოსწავლეების დამოკიდებულება განსაზღვროს: „რამდენმა თქვენგანმა ჩათვალა, რომ არჩევანი ა არის ყველაზე მისაღები?“ „რამდენმა აირჩია ვარიანტი ბ?“ „რატომ?“?

შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებს მოთხოვობის მეორე ნაწილს ურიგებს.

## მოთხოვთა: II ნაწილი

„კუნძულის მეპატრონებ ნება დართო დაზარალებულებს, ცოტა ხნით დარჩენილიყვნენ კუნძულზე; ის მოელოდა, რომ გადარჩენილი ხალხი საკუთარი საჭმლისა და მათი მომსახურების ფულს გადაიხდიდა. მანამ, სანამ ხალხს გემიდან წამოღებული საჭმელი ჰქონდა, კუნძულის მეპატრონე საკუთარ საჭმელს არ ჰყიდდა.“

სულ 13 ადამიანი გადარჩა; მათ შორის იყვნენ: ვიქტორი და მისი ორსული მეუღლე ორი ბავშვით (7 და 3 წლის); ჯონი, ქეითი, ლეო და ალფრედი – 4 ახალგაზრდა მეგობარი – ძლიერნი, ჯანმრთელნი და მოხრებულნი, რომლებიც მანამდე მათ მიერვე მოწყობილ სახლში ერთად ცხოვრობდნენ; 64 წლის აბრამოვიჩი, მდიდარი ძვირფასეულობით მოვაჭრე; ეს უკანასკნელი გახდათ ჯგუფის ყველაზე მხცოვანი წევრი, მას არ ჰყავდა ნათესავები და მეგობრები. აბრამოვიჩს თან ჰქონდა ოქროს ბეჭდების, ბრილიანტების და სხვა ძვირფასი თვლების მთელი კოლექცია; მარიას, იურისტს, რომელიც უნივერსიტეტში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, ანუხებდა მარცხენა ფეხი და ძლივს დადიოდა; მარიას თან ახლდა მაქსი, მისი ასისტენტი უნივერსიტეტში. მარია და მაქსი, პენიტენციალური სამართლის სპეციალისტები, ერთად მიემგზავრებოდნენ აშშ-ში, რათა კონფერენციაზე ერთობლივი პრეზენტაციაგაეკეთებინათ; მარკო და მისი მეგობარი გოგონა ვიკი კი გემის ეკიპაჟის გადარჩენილი წევრები იყვნენ, რომლებმაც გემიდან წამოიღეს სხვადასხვა საკვები, ცხიმი და ჭურჭელი.

ყველა გადარჩენილს ცოტაოდენი ფული ჰქონდა თან. განსაკუთრებით ბევრი ფული ჰქონდა მარკოს, რომელმაც ეს ფული ერთ-ერთი ბინიდან მოიპარა იმ ბოლო პორტში, სადაც გემიჩაძირვამდე შეჩერდა.

კუნძულზე, ზღვისპირას, პატარა ზომის ნაგებობაში, ერთადერთი ოთახი იყო, რომელშიც 2-3 ადამიანი თუ დაეტეოდა.“

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაწყვიტონ, თუ ვინ უნდა გამოიყენოს ეს თავშესაფარი. დასახმარებლად მასწავლებელი უკითხავს სხვადასხვა ვარიანტს და სთხოვს თითოეულ წყვილს, დაეთანხმონ, ან უარყონ ეს ვარიანტები. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და, თითოეულ ვარიანტთან დაკავშირებით, საკუთარ დამოკიდებულებას ინიშნავენ. ეს ვარიანტებია:

- ა. ორსული ქალი და მისი ბავშვები;
- ბ. ოთხი ახალგაზრდა მეგობარი, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ თავშესაფრის საცხოვრებლად მოწყობა;
- გ. ძვირფასეულობის გამყიდველი, რომელსაც შეუძლია საფასურის გადახდა;
- დ. მარკო და მისი მეგობარი გოგონა, იმ პირობით, რომ საკვებს სხვებსაც გაუზიარებენ;
- ე. იურისტი, რომელსაც ამ ხალხს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულება შეუძლია.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავიანთ პასუხებს ჩამოაყალიბებენ, მასწავლებელი მოთხოვთაში შემდეგ ნაწილზე გადადის.

## მოთხოვთა: III ნაწილი

„გადარჩენილ ხალხს უნდა მოეფიქრებინა, რა შეიძლება მოემოქმედათ, რათა მარკო საკვების გაზიარებაზე დათანხმებოდა. გასათვალისწინებელია, რომ საკვების გაზიარებით მარკო საკუთარი და მისი მეგობარი გოგონის გადარჩენის შესაძლებლობას შეამცირებდა.“

ახლა კი წყვილებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ ვინ უნდა მიიღოს საკვები მარკოს მიერ გემიდან წამოღებული მარაგიდან. მოსწავლეთა დასახმარებლად, მასწავლებელი კითხულობს სხვადასხვა ვარიანტს და თითოეულ წყვილს სთხოვს, დაეთანხმონ, ან უარყონ ეს ვარიანტები. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და, თითოეულ ვარინატთან დაკავშირებით, საკუთარ

დამოკიდებულებას ინიშნავენ. ეს ვარიანტებია:

- მარკოს უნდა მიეცეს საშუალება, რომ საკვები თავისთვის და ვიკისთვის შეინახოს;
- გემიდან წამოღებული საკვები თანაბრად უნდა განაწილდეს გადარჩენილ ადამიანებზე;
- საკვები უნდა დარჩეს მას, ვინც ყველაზე დიდ ფულს გადაიხდის (გადახდის საშუალება, ასევე, შეიძლება იყოს საქონელი, ან მომსახურება).

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავიანთ პასუხებს ჩამოაყალიბებენ, მასწავლებელი მოთხოვნის ბოლო ნაწილზე გადადის.

## მოთხოვნა: IV ნაწილი

მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ, თუ ვინ შეიძლება მოსთხოვოს საკვები კუნძულის მეპატრონეს და როგორ შეიძლება გაკეთდეს ეს.

„გადარჩენილებმა გადაწყვიტეს, რომ საკვები უნდა გაიზიარონ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე; მათ მორალურ ვალდებულებაზე მითითებით აიძულეს მარკო, დაეთმო მთელი საკვები. დაახლოებით, ერთ კვირაში აღარ დარჩა არანაირი საკვები. ვიღის მეპატრონისაგან საკვების მოთხოვნა გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა.“

მოსწავლეთა დასახმარებლად, მასწავლებელი კითხულობს სხვადასხვა ვარიანტს და თითოეულ წყვილს სთხოვს, დაეთანხმონ, ან უარყონ ეს ვარიანტები. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და, თითოეულ ვარინატან დაკავშირებით, საკუთარ დამოკიდებულებას ინიშნავენ. ეს ვარიანტებია:

- თითოეული ადამიანი ინდივიდუალურ მოლაპარაკებაზე მიღის კუნძულის მეპატრონესთან (საკვების კომპენსაციას გადაიხდიან ფულით, საქონლით ან მომსახურებით). ასეთ შემთხვევაში, ქალბატონი (ორი ბავშვით) და იურისტი (ასისტენტით) უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან;
- ყველა არსებული რესურსი (ფული და ძვირფასეულობა) თანაბრად უნდა გადანაწილდეს გადარჩენილებზე, თავდაპირველი მესაჯუთობის გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, ყველა მოიპოვებს თანაბარი რაოდენობის საკვებს. დამატებითი საკვების მოსაპოვებლად კი ადამიანს კუნძულის მეპატრონისათვის გარკვეული სამუშაოების შესრულება დასჭირდება;
- ვარიატი ბ შემდეგი დამატებით: ყველა მუშაობს შესაძლებლობების მიხედვით და სხვებს უნანილებს საკუთარი შრომით მოპოვებულ საკვებს;
- ძვირფასეულობით მოვაჭრეს შეუძლია, იყიდოს ყველაფერი, რასაც კუნძულის მეპატრონე მიჰყიდის მას და დანარჩენებს საკვებით „დაეხმაროს“.

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამ მოთხოვნის რეალურ ცხოვრებასთან მისადაგებაში ეხმარება.

მსგავსი სიტუაციები რეალობაში თუ შეგხვედრიათ/გაგიგონიათ მათ შესახებ?

ა..... თქვენს სამეზობლოში ან ოჯახში?

ბ..... თქვენს ქვეყანაში?

გ..... მსოფლიოში?

იმ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, რაც საჭმლის, წყლის, საცხოვრებლის და ა. შ. განაწილებაზე გსმენიათ, რას თვლით უსამართლობად?

ა..... თქვენს სამეზობლოში ან ოჯახში?

ბ..... თქვენს ქვეყანაში?

გ..... მსოფლიოში?

რატომ?

გაკვეთილის ბოლოს განხილულ უნდა იქნას ამ თავის მთავარი ცნება. მასწავლებელმა ამ თემას შეიძლება კიდევ ერთი გაკვეთილი დაუთმოს. მასწავლებლი იწყებს მოკლე ლექციით და მოსწავლეებს თანასწორობასთან და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით აწვდის ინფორმაციას; მას შეუძლია, მოამზადოს მოსწავლის სამუშაო ფურცელი, რომელიც სხვადასხვა განმარტებას მოიცავს. შემდეგ მოსწავლეები მცირე ზომის ჯგუფებში მიმოიხილავენ განვლილ ოთხ გაკვეთილს: რა განიხილეს? რა ისწავლეს? რომელ ახალ შეკითხვებზე ჩაფიქრდნენ? ამ დროისათვის, მოსწავლეებს, სასურველია, ჰქონდეთ ნინადადებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღმოფხვრან უთანასწორობის შემთხვევები თავიანთ რეალურ ცხოვრებაში.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 2.1

ვესნა ამბავი

ვესნა ბოშა ქალია, რომელიც თავის ამბავს ჰყვება:

„ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინაში შევნიშნე განცხადება იმის თაობაზე, რომ მაღაზიაში გამყიდველი სჭირდებოდათ. ისინი 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდას ეძებდნენ. მე შევედი მაღაზიაში და მენეჯერს გამყიდველის პოზიციასთან დაკავშირებით დაველაპარაკე; მან მთხოვა, ორ დღეში მივსულიყავი, რადგან განაცხადების შემოსვლას კიდევ ელოდებოდნენ.“

მე ორჯერ მივბრუნდი და ორივეჯერ ანალოგიური პასუხით გამომისტუმრეს. ერთი კვირა გავიდა. კვლავ მივედი მაღაზიაში. ფანჯარაზე კვლავ გამოკრული იყო განცხადება. მენეჯერი ძალიან დაკავებული იყო და ვერ დამელაპარაკა. მაღაზიაში მითხოვს, რომ გამყიდველი უკვე აეყვანათ.

ძალიანგულდანყვეტილი გამოვედი მაღაზიიდან. ჩემს მეგობარს, რომელიც არ არის ბოშა, ვთხოვე, შესულიყო მაღაზიაში და ვაკანსიის შესახებ ეკითხა. მან ჩემი თხოვნა შეასრულა. ჩემი მეგობარი ორშაბათს გასაუბრებაზე დაიბარეს.“

### შეკითხვები:

1. როგორ იგრძნობდით თავს ვესნას ამბავი რომ თქვენ გადაგხდენოდათ? რა რეაქცია გექნებოდათ, როცა თქვენი მეგობარი გეტყოდათ, რომ ის ინტერვიუზე მიიწვიეს?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა მაღაზიის მენეჯერი ასე? თვლით, რომ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
3. რა შეეძლო ვესნას მოემოქმედა? ხელენიფერობა მას სიტუაციის შეცვლა? როგორ უნდა აღმოეჩინათ სხვებს დახმარება ვესნასთვის?
4. თვლით, რომ კანონის მოშველიება სიტუაციას მოაგვარებდა? რა უნდა ეწეროს კანონში, რომელიც ასეთ სიტუაციას შეიძლება მიესადაგოს?
5. ასეთი შემთხვევა თქვენს ქვეყანაშიც მოხდებოდა? თუ მოხდებოდა, რომელი საზოდა-გოებრივი ჯგუფი იქნებოდა საფრთხეში?

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 2.2

მამაკაცები და ქალები: მოთხოვა

### ამბავი 1

„ეს არაერთხელ მომსვლია. დედაჩემი თვლის, რომ სადილის შემდეგ ბავშვებმა უნდა აალაგონ მაგიდა, ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანონ, ყველაფერი დარეცხონ, გაამშრალონ და კარადაში დააბინაონ. ჩემმა ძმებმა, რომლებიც ჩემზე დიდები იყვნენ, მითხოვს, რომ

ეს მათი საქმე არ იყო და მაგიდა მე უნდა ამელაგებინა ხოლმე, რადგან მე გოგონა ვიყავი. მე იძულებული ვიყავი, მათ დავმორჩილებოდი. საღამოს მამას შევჩივლე ეს ამბავი. მამამ მითხრა, რომ კარგია, თუ საოჯახო საქმის კეთებას მივეჩვევი, რადგან ეს დიასახლისობისათვის მომამზადებს.“

## შეკითხვები

1. თქვენს ოჯახში ასეთი რამ მოხდებოდა?
  2. წარმოიდგინეთ, რომ ეს გოგონა თქვენ ხართ. რას ეტყოდით თქვენს ძმებს? რას ეტყოდით მამას?
  3. ეთანხმებით თუ არა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლს? როგორ შეიძლება მივუსადაგოთ დეკლარაციის ეს მუხლი ზემოთ მოყვანილ ამბავს?
- „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“.

## ამბავი 2

„სკოლის სათამაშო მოედანზე ჩემ გარშემო ექვსი ბიჭი იდგა. ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ბიჭებო, ეს მართლა გოგოა? ხომ არ შეგვემოწმებინა?“ ერთ-ერთი მათგანი ამ სიტყვების შემდეგ მომიახლოვდა და ჩემთან შეხება სცადა. სწორედ ამ დროს სათამაშო მოედანზე დირექტორი შემოვიდა. ბიჭები მაშინვე გაიქცნენ.“

## შეკითხვები

1. შეიძლება თუ არა, რომ ანალოგიური შემთხვევა თქვენი სკოლის სათამაშო მოედანზე მოხდეს? მოიყვანეთ მაგალითები.
2. წარმოიდგინეთ, რომ ეს გოგონა თქვენ ხართ. რას ეტყოდით ამ ბიჭებს?
3. წარმოიდგინეთ, რომ ამ სცენას შორიდან სხვა ბიჭი ხედავს. უნდა ჩაერიოს ის? განმარტეთ თქვენი მოსაზრება. თუ ჩარევის მომხრე ხართ, როგორ შეძლებდა ეს ბიჭი ჩარევას?
4. შემდეგი განმარტების მიხედვით, ეს შემთხვევა „სექსუალურ შეურაცხყოფად“ შეიძლება ჩაითვალოს?

„სექსუალური შეურაცხყოფა არის სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, მოქმედებით გამოხატული, ან ფსიქოლოგიური ქმედება, რომელიც ადამიანის თავმოყვარეობას ლახავს, იწვევს შიშს, მტრულ დამოკიდებულებას. სექსუალური შეურაცხყოფა უკავშირდება სანინაარმდეგო სქესს, ან სხვა სექსუალურ ორიენტაციას და მსხვერპლისათვის მიუღებელ ფიზიკურ თუ სიტყვიერ მინიშნებებს ან საქციელს მოიცავს.“

## ამბავი 3

„მე, როგორც ინჟინერმა, სამშენებლო კომპანიაში ტექნიკური მენეჯერის თანამდებობაზე შევიტანე განაცხადი. მიმიწვიეს ტესტირებაზე, 24 სხვა კანდიდატთან ერთად. ყველა მამაკაცი იყო, ჩემ გარდა. ტესტირების შემდეგ შეირჩა 5 ადამიანი, რომელსაც გენერალურ მენეჯერთან ინტერვიუ უნდა ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტირების შედეგებით მე-3 ადგილზე მოვხვდი, ინტერვიუზე არ მიმიწვიეს (ჩემი ტესტირების ქულები კონფიდენციალურად გავიგე მეგობრისაგან, რომელიც ამ კომპანიის ადმინისტრაციაში მუშაობდა). შევეცადე, გენერალურ მენეჯერს ტელეფონით დავკავშირებოდი. საუბრის დროს ვკითხე,

ინტერვიუს კანდიდატების შერჩევისას თუ გაითვალისწინეს სქესი. მან მითხვა, რომ სქესი არ გაუთვალისწინებიათ, თუმცა დასძინა, რომ ზოგიერთ თანამდებობაზე ქალების აყვანა არასასურველია, რადგან, ორსულობის შემთხვევაში, მათ სამსახურის დროებით დატოვება უნდა, ეს კი პრობლემებს ქმნის ხოლმე. გენერალურმა მენეჯერმა ისიც მითხვა, რომ ქალს ამ თანამდებობაზე მუშაობა გაუჭირდებოდა, რადგან გუნდში მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ. შესაბამისად, მისი თქმით, ბედმა გამიღიმა, რომ არ შემარჩიეს.“

## შეკითხვები

1. შეიძლება ასეთი რაღაც თქვენს რეგიონში არსებულ კომპანიაშიც მოხდეს?
2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ეს ქალი ხართ. რას ეტყოდით გენერალურ მენეჯერს?
3. გენერალური მენეჯერის ასეთი საქციელი შეესაბამება თქვენი ქვეყნის კანონმდებლობას? თუ არ შეესაბამება, როგორ დაადასტურებდით ამას?

„სამსახურში აყვანისას, ადამიანის ნებისმიერი გენდერული დისკრიმინაცია – ვაკანსიის განაცხადში, შერჩევის პროცესში, დაქირავებისა და გათავისუფლების დროს – ეწინააღმდეგება ამ კანონს“.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 2.3

გემის ჩაძირვა

### ნაწილი I

„დაახლოებით ერთი საათი გავიდა განგაშის პირველ ზარსა და გემ „დედოფალ მედის“ ჩაძირვას შორის. შესაბამისად, მგზავრებს ჰქონდათ გარკვეული დრო, რათა ორგანიზებულად ჩამსხდარიყვნენ სამაშველო ნავებში. ძლიერი ქარის გამო, გემი შეეჯახა ნავთობტანკერს, რამაც გემის ჩაძირვა გამოიწვია.

დაახლოებით 12 საათის შემდეგ, სამაშველო ნავები პატარა კუნძულს მიუახლოვდნენ. ამ კუნძულს ოვალური ფორმა ჰქონდა – 1.5 კმ სიგრძის და 700 მეტრამდე სიგანის; ნაწილობრივ დაფარული იყო ტყით. ახლომახლოს სხვა კუნძული არ ჩანდა. ამ მზიან კუნძულზე არავინ ცხოვრობდა, რიშალონების ოჯახის გარდა, რომლებიც შემაღლებულ ადგილას, ძვირფას ვიღლაში სახლობდნენ და მთელ კუნძულს ფლობდნენ.

ეს ოჯახი კუნძულზე რამდენიმე წლის წინ დასახლდა და თითქმის არ ეკონტაქტებოდა დანარჩენ სამყაროს; მათ ისე ჰქონდათ აწყობილი ცხოვრება, რომ ყოველთვიურად იღებდენ საჭირო საკვებს, სანვავს და სხვა ნივთებს. ეს ყველაფერი კუნძულზე შეკვეთით მოჰქონდათ. რიშალონებს ძალიან კარგად ჰქონდათ ორგანიზებული ყველაფერი: ისინი თავად ანარმობდნენ ელექტროენერგიას, შეეძლოთ საკმარისი საკვები და სასმელი შეეკვეთათ და კომფორტული ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდათ შექმნილი. წარსულში ამ კუნძულის მეპატრონები ძალიან წარმატებული ბიზნესმენი იყო; საგადასახადო პრობლემების გამო, მას იმედი გაუცრუვდა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და გადაწყვიტა, გარიდებოდა ყოველდღიურობას.

კუნძულის მეპატრონები შენიშნა, რომ ხალხით სავსე სამაშველო ნავები მის კუნძულს მიუახლოვდნენ და გამოვიდა ხალხთან.“

### ნაწილი II

„კუნძულის მეპატრონები ნება დართო დაზარალებულებს, ცოტა ხნით დარჩენილიყვნენ კუნძულზე; ის მოელოდა, რომ გადარჩენილი ხალხი საკუთარი საჭმლისა და მათი მომსახ-

ურების ფულს გადაიხდიდა. მანამ, სანამ ხალხს გემიდან წამოღებული საჭმელი ჰქონდა, კუნძულის მეპატრონე საკუთარ საჭმელს არ ჰყიდდა.

სულ 13 ადამიანი გადარჩა; მათ შორის იყვნენ: ვიქტორი და მისი ორსული მეუღლე ორი ბავშვით (7 და 3 წლის); ჯონი, ქეითი, ლეო და ალფრედი – 4 ახალგაზრდა მეგობარი – ძლიერნი, ჯანმრთელნი და მოხრებულნი, რომლებიც მანამდე მათ მიერვე მოწყობილ სახლში ერთად ცხოვრობდნენ; 64 წლის აბრამოვიჩი, მდიდარი ძვირფასეულობით მოვაჭრე; ეს უკანასკნელი გახლდათ ჯგუფის ყველაზე მხცოვანი წევრი, მას არ ჰყავდა ნათესავები და მეგობრები. აბრამოვიჩს თან ჰქონდა ოქროს ბეჭდების, ბრილიანტების და სხვა ძვირფასი თვლების მთელი კოლექცია; მარიას, იურისტს, რომელიც უნივერსიტეტში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, ანუსებდა მარცხენა ფეხი და ძლივს დადიოდა; მარიას თან ახლდა მაქსი, მისი ასისტენტი უნივერსიტეტში. მარია და მაქსი, პენიტენციალური სამართლის სპეციალისტები, ერთად მიემგზავრებოდნენ აშშ-ში, რათა კონფერენციაზე ერთობლივი პრეზენტაცია გაეკეთებინათ; მარკო და მისი მეგობარი გოგონა ვიკი კი გემის ეკიპაჟის გადარჩენილი წევრები იყვნენ, რომლებმაც გემიდან სხვადასხვა საკვები, ცხიმი და ჭურჭელი წამოიღეს.

ყველა გადარჩენილს ცოტაოდენი ფული ჰქონდა თან. განსაკუთრებით ბევრი ფული ჰქონდა მარკოს, რომელმაც ეს ფული ერთ-ერთი ბინიდან მოიპარა იმ ბოლო პორტში, სადაც გემი ჩაძირვამდე შეჩერდა.

კუნძულზე, ზღვისპირას, პატარა ზომის ნაგებობაში ერთადერთი ოთახი იყო, რომელშიც 2-3 ადამიანი თუ დატეოდა.“

### ნაწილი III

„გადარჩენილ ხალხს უნდა მოეფიქრებინა, რა შეიძლება მოემოქმედებინათ, რათა მარკო საკვების გაზიარებაზე დაეყოლიებინათ. გასათვალისწინებელია, რომ საკვების გაზიარებით მარკო საკუთარი და მისი მეგობარი გოგონას გადარჩენის შესაძლებლობას შეამცირებდა.“


### ნაწილი IV

„გადარჩენილებმა გადაწყვიტეს, რომ საკვები უნდა გაიზიარონ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე; მათ, მორალურ ვალდებულებაზე მითითებით, აიძულეს მარკო, დაეთმო მთელი საკვები. დაახლოებით ერთ კვირაში აღარ დარჩა არანაირი საკვები. ვილის მეპატრონისაგან საკვების მოთხოვნა გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა.“



## თავი 3. მრავალფეროვნება და პლურალიზმი

როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად,  
მშვიდობიანად იცხოვრონ?



3.1 როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად იცხოვრონ?  
როგორ ავითარებს განათლება შემწყნარებლობასა და ურთიერთგაგებას?

3.2 რატომ არსებობს ადამიანებს შორის უთანხმოება?  
რას ეფუნება ადამიანთა შორის განსხვავებები?

3.3 რითი განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან?  
რამდენად განსხვავებულია ადამიანთა საჭიროებები?

3.4 რატომაა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები?  
რატომ გვჭირდება ადმიანის უფლებათა ამსახველი კანონმდებლობა  
დაუცველთა დასაცავად?

## თავი 3: მრავალფეროვნება და პლურალიზმი როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად, მშვიდობიანად იცხოვონ?

ეს თავი სამ ძირითად ცნებაზეა ორიენტირებული, ესენია: მრავალფეროვნება, პლურალიზმი და დემოკრატია. შემდეგი ოთხი გაკვეთილი მოსწავლეებს დაეხმარება, დაინახონ ამ სამ ცნებას შორის კავშირი და განუვითარებს მათ მიღებებსა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია პლურალისტულ, დემოკრატიულად მართულ ქვეყანაში ცხოვრებისათვის.

პლურალიზმი თანამედროვე საზოგადოებების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. პლურალისტულ საზოგადოებაში მისაღებია რელიგიური და პოლიტიკური რწმენის მრავალფეროვნება ისევე, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ დანახული იდეალური საზოგადოებების ურთიერთთავებადობის არარსებობა. მაგალითად, პლურალისტურ საზოგადოებაში შევხვდებით რადიკალურ სოციალისტებსაც და მემარჯვენე კაპიტალისტებსაც; ადამიანებს შეუძლიათ, აირჩიონ ის რწმენა და მიღებები, რომლებიც მათვის ყველაზე მისაღებია. შესაბამისად, პლურალისტური საზოგადოება ყოველთვის გამოწვევის წინაშეა: ერთი მხრივ, ადამიანებს აქვთ პიროვნული თავისუფლება, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ უწევთ უფრო აქტიური ურთიერთთანამშრომლობა შეთანხმების მისაღწევად. შეთანხმებისა და დათმობების გარეშე პლურალისტური საზოგადოება ვერ გადარჩება. ისმება კითხვა: რომელი პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს ლია, პლურალისტურ საზოგადოებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ყველაზე ეფექტურ ორგანიზაციას?

ავტორიტარულ სისტემაში (ერთპარტიული მმართველობა, თეოკრატია, ან დიქტატურა) ერთ მოთამაშეს (პარტიის ან ლიდერს) შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, ყველა ადამიანის საერთო ინტერესის გათვალისწინებით. შედეგად, ავტორიტარიზმს მსხვერპლად ეწირება ადამიანების თავისუფლება. ასეთ საზოგადოებაში ადამიანების პრობლემების არტიკულაცია ბარიერებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, გადაწყვეტილებები არ არის სამართლიანი.

დემოკრატიულ სისტემაში მოქალაქეები თანხმდებიან ძირითად პრინციპებზე, პროცედურებსა და უფლებებზე, რომლებიც საკამათო საკითხებზე მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევის საშუალებას იძლევიან. დემოკრატია ხელს უწყობს მშვიდობას პლურალისტურ საზოგადოებაში, რადგან ცივილურ ფორმაში აქცევს ყველა უთანხმოებას. საერთო ინტერესს ერთი პიროვნება ან პარტია არ განსაზღვრავს. საერთო ინტერესი განისაზღვრება მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე. დემოკრატიული მმართველობის პირობებში მოქალაქეებს აქვთ ცნობიერების, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლება. ამ უფლებათა გამოყენებისას, ბუნებრივია, რომ იქმნება უთანხმოება და კონფლიქტი. შესაბამისად, მოლაპარაკება, დათმობა და გამოსავლის ძებნა დემოკრატიისათვის დამახასიათებელი პროცესებია. პლურალისტურ დემოკრატიაში მოქალაქეები სოციალურ საერთო წესებზე თანხმდებიან, რაც კონფლიქტების გადაჭრის საერთო რეგულაციებს, სოციალურ და პოლიტიკურ ნორმებზე შეთანხმებას გულისხმობს.

სოციალური კონტრაქტის ნაწილია უმრავლესობის პრინციპი. უმცირესობების წარმომადგენელთათვის ეს იმას ნიშნავს, რომ, კენჭისყრის საშუალებით, მათი რადიკალური მოსაზრებები ვერ იმარჯვებს. მიუხედავად ამისა, დემოკრატია ქმნის ინსტრუმენტებს, რომელთა დახმარებითაც უმცირესობების ინტერესების დაცვა შეიძლება. პლურალისტურ დემოკრატიაში შეიძლება არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდეს რადიკალური დაჯგუფება, რომელთა წარმომადგენლებმა, შესაძლოა, სცადონ პპონენტების ხმის ჩახშობა. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციით იყოს გამყარებული.

ყველას უნდა ესმოდეს პლურალისტული საზოგადოების გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. ამ თვალსაზრისით, დაუწერელი სოციალური კონტრაქტი უმნიშვნელოვანებია, რადგან მის გარეშე დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ეხმარება მოსწავლეებს იმ მიღებებისა და უნარების ჩამოყალიბებაში, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქისათვის.

## სწავლება მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის შესახებ

მოსწავლეები, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების კურსს გადიან, უნდა ეცნობოდნენ სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლებს. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული გამოწვევები. იმის გათვალისწინებით, რომ ცურუნწმენების საფუძველი, უმეტესწილად, სწორედ გაუთვითცნობიერებლობაა, ადამიანური მიდგომების რაციონალური შესწავლა ცურუნწმენების საფუძველზე არასწორი გადაწყვეტილებების შემთხვევებს შეამცირებდა.

## სწავლება მრავალფეროვნებისა და პლურალიზმისათვის

მოსწავლეებს უნდა ეძლეოდეთ დემოკრატიულ დისკუსიებში მონაწილეობის საშუალება. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს, რათა მოსწავლეების მხრიდან აზრის გამოხატვასა და დისკუსიებში ჩაბმას შეუწყოს ხელი. როცა მოსწავლეები საწინააღმდეგო აზრს უსმენენ და საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ, მათ უვითარდებათ აზრის გამოთქმისა და ანალიტიკური უნარები; ასევე, მოსწავლეებს ემატებათ შემწყნარებლობა მორალური და პოლიტიკური მრავალფეროვნებისადმი. დისკუსიების დროს მოსწავლეები ხვდებიან, რომ უთანხმოება და აზრთა ჭიდილი ჩვეულებრივი მოვლენებია; ისინი, ასევე, აცნობიერებენ კომპრომისების აუცილებლობას და ერთმანეთისაგან ასხვავებენ სამართლიან და უსამართლო კომპრომისებს. მოსწავლეები ხვდებიან, რომ აუცილებელია სადაცვო საკითხზე კონცენტრაცია და ადამიანების პატივისცემა, იმისდა მიუხედავად, თუ რა პოზიციას იზიარებენ ისინი.

ასევე, დემოკრატიული დისკუსიების წარმოების პროცესში მოსწავლეები მიხვდებიან, რომ ღია და სამართლიანი დებატები მოითხოვს გარკვეული პროცედურების გათვალისწინებას, მათ შორის:

- ყველა მონაწილეს უნდა შეეძლოს აზრის გამოთქმა;
- ყველა მონაწილის აზრს დანარჩენებმა პატივისცემით უნდა მოუსმინონ;
- მონაწილეები არგუმენტების წინააღმდეგ უნდა გამოდიოდნენ, და არა ხალხის წინააღმდეგ;
- მონაწილეებმა დებატების დასაწყისშივე უნდა გააცნობიერონ, რომ დებატებმა შეიძლება, მათი მიდგომების შეცვლა გამოიწვიოს;
- დებატების გამართვა იმ დროს, როცა მონაწილეები მიდგომების მოდიფიკაციისათვის მზად არ არიან, ნაკლებად სასარგებლოა, ვიდრე დებატები, რომლებიც ღიაა და დამოკიდებულებების სრულყოფილ ახსნაზეა მიმართული. დებატების მიზანი უნდა იყოს არა ერთ-ერთი მხარის გამარჯვება, არამედ პრობლემის გააზრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მთავარი ქვაკუთხედია ძიება, დისკუსია, და არა – დადგენილი ჭეშმარიტებები. შესაბამისად, მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოსწავლეებს აზროვნების უნარის განვითარებაში დაეხმაროს და კლასში საკუთარი დომინანტური პოზიცია დათმოს. კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეები მაშინ არიან კლასში სიტყვაუხვით და აქტიურნი, როცა მასწავლებლები ნაკლებს ლაპარაკობენ.

### თავი 3: მრავალფეროვნება და პლურალიზმი როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად, მშვიდობიანად იცხოვრონ?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: როგორ შეიძლება ადა- მიანებმა ერთად იცხოვრონ?	<p>იმ საკითხების განხილვა, რომ- ლებიც სხვადასხვა ლირებულებისა და რწმენის მქონე თემების მშვიდობი- ანი თანაცხოვრების დროს პრობლემური შეიძლება იყოს.</p> <p>განათლების როლის განხილვა სხვა- დასხვა კულტურის ნარმომადგენელთა ურთიერთგაგების ჩამოყალიბებაში.</p> <p>იმის გაანალი- ზება, თუ რამდენად შეუძლია პიროვნე- ბას საზოგადოებაზე ზემოქმედება.</p>	<p>მოსწავლები განიხი- ლავენ მოთხოვბაში ნამოქრილ საკითხებს.</p> <p>მოსწავლეები ჩართული არიან კრი- ტიკული აზროვნების პროცესში.</p> <p>ისინი აზრებს უზ- იარებენ ერთმანეთს.</p> <p>საკითხის უკეთ ნვდომის მიზნით, მოსწავლეები როლების გათამაშებას მიმართავენ.</p>	მოსწავლის სამ- უშაო ფურცელ 3.1-ის ასლები	დისკუსია. კრიტიკული აზროვნება. ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. როლების გათა- მაშება.
გაკვეთილი 2: რატომ არსე- ბობს ადამი- ანებს შორის უთანხმოება?	<p>იმ მიზეზების განხილვა, რომ- ლებიც ხელს უწ- ყობს სხვადასხვა დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ერთი და იმავე საკითხის მიმართ.</p> <p>სადაც საკითხების განხილვის უნარის განვითარება.</p> <p>იმ ღირებულებათა განხილვა, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ სა- ზოგადოებას.</p>	<p>მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს გამოხ- ატავენ და იცავენ გარკვეულ საკითხებთ- ან დაკავშირებით.</p> <p>მოსწავლეები განიხი- ლავენ საჯარო დის- კუსის თემებს და მათ საფუძვლებს.</p> <p>მოსწავლეები განი- ხილავენ იმ ფაქტო- რებს, რამაც მათი ღირებულებების სისტემის</p> <p>ჩამოყალიბებაზე მოახ- დინა ზეგავლენა.</p> <p>მოსწავლეები შეიმუ- შავებენ პლურალიზ- მის წამახალისებელ სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა სა- ჯარო დიალოგი ყოვ- ელთვის ხარისხიანი და ურთიერთპატივის- ცემის გამომხატველი იყოს.</p>	დიდი ზომის ნიშნულები სა- ვარჯიშოსათვის „ოთხი კუთხე“	დისკუსია. მოსაზ- რებების გამოთქ- მა. კრიტიკული აზროვნება. წესე- ბის შემუშავება, თანამშრომლობის პრინციპის გათ- ვალისწინებით.

<p><b>გაკვეთილი 3:</b> რითი განსხ- ვავდებიან ადა- მიანები ერთ- მანეთისაგან?</p>	<p>საზოგადოებაში თანასწორობის ხე- ლისშემშლელი ფაქ- ტორების განხილვა.  უთანასწორო სა- განმანათლებლო შესაძლებლობების მიზეზების იდენტი- ფიკაცია.  თანასწორობის ხე- ლისშემშლელი ფაქ- ტორების აღმოფხ- ვრაზე პასუხისმგე- ბლობის განხილვა.</p>	<p>მოსწავლეები განიხი- ლავენ ძირითად ცნებებთან დაკავ- შირებულ ჰიპოთეზურ სიტუაციას.</p> <p>მოსწავლეები ძირითად პრინციპებს ცხოვრებისეულ სო- ციალურ სიტუაციებს უსადაგებენ.</p> <p>მოსწავლეები განიხი- ლავენ გაკვეთილზე ნამოქრილ ძირითად საკითხებს.</p> <p>მოსწავლეები ას- რულებენ წერილობით დავალებას.</p>	<p>მოთხოვთის ასლები. მოს- წავლის სამუშაო ფურცელ 3.3-ის ასლები.</p>	<p>კრიტიკული აზ- როვნება. დისკუ- სია. მოსაზრების ჩამოყალიბება წერილობითი ფორმით.</p>
<p><b>გაკვეთილი 4:</b> რატომაა მნიშ- ვნელოვანი ადა- მიანის უფლე- ბები?</p>	<p>იმ პრობლემური საკითხების განხ- ილვა, რომლებიც სხვადასხვა ლირებულებისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანე- ბის თანაცხოვრების დროს წამოიჭრება.  იმ მიზეზების განხ- ილვა, რომლებიც საფუძვლად ედო ადამიანის უფლება- თა დაცვის საერთა- შორისო ინსტრუმენ- ტების შემუშავებას, განსაკუთრებით, დაუცველი თემებისა და ადამიანებისათ- ვის.</p>	<p>მოსწავლეები ერთ- ვებიან კრიტიკულ ანალიზში და ახდენენ სიტუაციების პრიორ- იტეტიზაციას.</p> <p>მოსწავლეები გაითა- მაშებენ მოწინაარმდე- გე მხარეების წარმო- მადგენელთა როლებს.  როლების გათამა- შების დასკვნებიდან გამომდინარე, მოსწავ- ლეები შეიმუშავებენ რამდენიმე ძირითად პრინციპს და ადარე- ბენ მათ ამ წიგნში გა- კეთებულ დასკვნებს.</p> <p>მოსწავლეები განიხი- ლავენ ადამიანის უფლებათა დარ- ღვევის შემთხვევებს თავიანთ ქვეყანაში.</p> <p>მოსწავლეები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სხვადასხვა საკითხზე აკეთებენ პრეზენტა- ციებს.</p>	<p>კუნძულზე გან- ვითარებული მოვლენების ამსახველი ამბის ასლები.</p> <p>სიტუაციური ბა- რათების ასლები თითოეული პატ- არა ჯგუფისათ- ვის.</p> <p>ადამიანის უფლებათა ძირითადი კომ- პონენტების ნუსხა.</p> <p>დიდი ზომის ფურცლები და სხვა მასალები, რაც პრეზენტა- ციისათვის არის საჭირო.</p>	<p>კრიტიკული აზ- როვნება. დისკუ- სია. მოლაპარ- აკება. ჯგუფური პრეზენტაცია.</p>

## გაკვეთილი 1

### როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად იცხოვრონ? როგორ ავითარებს განათლება შემწყნარებლობასა და ურთიერთობაგებას?<sup>15</sup>

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ:

იმ საკითხების განხილვა, რომლებიც სხვადასხვა ლირებულებისა და რწმენის მქონე თემების მშვიდობიანი თანაცხოვრების დროს შეიძლება პრობლემური იყოს.

განათლების როლის განხილვა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობაგების ჩამოყალიბებაში.

იმის გაანალიზება, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედება.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ მოთხოვნების წარმოქმნილ საკითხებს.

მოსწავლეები ჩართულნი არიან კრიტიკული აზროვნების პროცესში.

ისინი პროცესის უზიარებენ ერთმანეთს.

საკითხის უკეთ წვდომის მიზნით, მოსწავლეები როლების გათამაშებას მიმართავენ.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელ 3.1-ის ასლები

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – დისკუსია. კრიტიკული აზროვნება. ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. როლების გათამაშება.

## გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს აცნობს და უკითხავს მოთხოვნებს „სკოლა ტყის პირას“ (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.1).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წრიულად დასხდნენ და ეკითხება, თუ რა იყო გასაოცარი ან საინტერესო ამ მოთხოვნები და რატომ. მოსწავლეებს ეძლევათ ორი წუთი, რათა მოსაზრებები მეწყვილეს გაუზიარონ. შემდეგ ისინი დანარჩენ კლასს აცნობენ საკუთარ შეხედულებებს.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ „შეკითხვებზე დაფუძნებული“ დისკუსიის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია შეხედულებების გაზიარება და იდეების ჩამოყალიბება. სწორი და არასწორი პასუხები ასეთი დისკუსიის დროს არ არსებობს.

შემდეგ მასწავლებელი ამბობს: „მოდით, ჩამოვთვალოთ ის ადამიანები, ვინც სკოლის დაწვას მოისურვებდა (მაგალითად, ზოგიერთი ბავშვი, ზოგიერთი მშობელი, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, როგორიცაა მღვდელი). რატომ ენდომებოდათ მათ სკოლის დაწვა? ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, თუ სკოლას არ აღადგენენ? (მაგალითად, მოსწავლეებს თუ ალარ ექნებათ სკოლა, ისინი მოგებული იქნებიან თუ წაგებული?)“

მასწავლებელმა ამ შეკითხვებისათვის შეიძლება ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გამოიყენოს:

მხარე	რას მოიგებს?	რას წააგებს?
მოსწავლეები		
მშობლები		
მღვდელი		
მთელი თემი		
სხვა?		

შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღება მიაქციონ მასწავლებლის ფუნქციას მოთხოვნების ზოგადი შეკითხვა – „რას ფიქრობთ ამ მასწავლებელზე?“ – ხელს უწყობს მოსწავლეებში დისკუსიის დაწყებას. შემდეგი შეკითხვები შეიძლება იყოს:

15 ეფუძნება სამოქალაქო ფონდის (ლონდონი) მიერ შემუშავებულ გაკვეთილს.

- ეს მასწავლებელი სულელი იყო, იდეალისტი თუ მამაცი?
  - იმის გათვალისწინებით, რისი გაკეთებაც მან სცადა, მოგწონთ მასწავლებელი თუ არა?
  - რა იყო მასწავლებლის ასეთი საქციელის მიზეზი?
  - თქვენი აზრით, სად აითვისა მასწავლებელმა სოციალური ღირებულებები?
  - რა უნდა გააკეთოს მან ახლა (ისევ სცადოს, თუ ხელი ჩაიქნიოს)?
  - ამ სკოლის მოსწავლე რომ იყოთ, მასწავლებლის როგორ ქცევას ისურვებდით?
- შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მოთხოვნების დაკავშირებაში მათ ყოველ-დღიურ ცხოვრებასთან, მათ თემთან. შესაძლო შეკითხვებია:
- დაფიქრდით, სად ცხოვრობთ.
  - თქვენი აზრით, თქვენი თემის წარმომადგენლებს ეს მასწავლებელი მოეწონებოდათ?
  - როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია პიროვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედება? წარმოადგინეთ მაგალითები.
- ამ მოთხოვნებაში წამოჭრილი სხვა მნიშვნელოვანი საკითხებია:
- რამდენად უწყობს ხელს ადამიანების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის მშვიდობის დამყარებას მათი ბავშვების ერთად სწავლა?
  - რა გამოწვევების წინაშეა სკოლა და მასწავლებელი, სადაც სხვადასხვა ღირებულებისა და რელიგიური რწმენის მოსწავლეები სწავლობენ? როგორ შეიძლება ამ გამოწვევების აღმოფხვრა?
  - გაკვეთილის დასასრულს, შესაძლებელია როლების გათამაშება. წარმოიდგინეთ, რომ სკოლის დაწვამდე ზეგანზე მცხოვრები რამდენიმე მოსწავლე და მშობელი მასწავლებელთან შემდეგი ჩივილით მივიდა:
- „ამ სკოლაში უფრო მეტი ზეგანზე მცხოვრები მოსწავლეა, ვიდრე ტყეში მცხოვრები. შესაბამისად, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მოსწავლეებს ტყეში მცხოვრებთა რელიგია ასწავლოთ. შესაძლოა, ტყეში მცხოვრებთა რელიგიის სწავლებამ ზეგანზე მცხოვრები მოსწავლეების საკუთარ ხალხთან დაპირისპირება გამოიწვიოს.“
- მასწავლებელს ეს საჩივარი ჩააფიქრებს.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, მშობლისა და მასწავლებლის საუბარი მთელი კლასის წინაშე წყვილებში გაითამაშონ.

## გაკვეთილი 2

### რატომ არსებობს ადამიანებს შორის უთანხმოება? რას ეფუძნება ადამიანთა შორის განსხვავებები?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ:

იმ მიზეზების განხილვა, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ერთი და იგივე საკითხის მიმართ.

სადაც საკითხების განხილვა.

იმ ღირებულებათა განხილვა, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ საზოგადოებას.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს და იცავენ მათ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით.

მოსწავლეები განიხილავენ საჯარო დისკუსიის თემებსა და მათ საფუძვლებს.

მოსწავლეები განიხილავენ იმ ფაქტორებს, რომლებმაც მათი ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე მოახდინა ზეგავლენა.

მოსწავლეები შეიძლებავებენ პლურალიზმის წამახალისებელ სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა საჯარო დაალოგი ყოველთვის ხარისხიანი და ურთეორთპატივისცემის გამომხატველი იყოს.

საჭირო მასალა – დიდი ზომის ნიშნულები სავარჯიშოსათვის „ოთხი კუთხე“

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – დისკუსია. მოსაზრებების გამოთქმა. კრიტიკული აზროვნება. წესების შემუშავება, თანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით.

## ძირითადი ცნება

პლურალიზმი – მხოლოდ ის საზოგადოებაა პლურალისტური, სადაც არ არის საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებისა და რწმენის ერთი ოფიციალური ვარიანტი. ასეთ საზოგადოებაში გამონაკლისს წარმოადგენენ ის შეხედულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სხვა ადამიანების რწმენის თავისუფლებას; ასეთი შეხედულებები პლურალისტურ საზოგადოებაში არაკანონიერადაა მიჩნეული. სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ერთი რელიგიური აღმსარებლობაა დაშვებული, ან სადაც არც ერთ რელიგიას არ აღიარებენ, ვერ ჩაითვლება პლურალისტულად.

## გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, განიხილონ შემდეგი სადაც მოსაზრებები:

### ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით?

- არასწორია ცხოველის ხორცის ჭამა;
- იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) ინფიცირების შედარებით რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლე არ უნდა დაიშვებოდეს იმ კლასში, სადაც ჯანმრთელი მოსწავლეები სწავლობენ;
- პაციფისტები არ უნდა გაუშვან ომში ძალდატანებით;
- სიკვდილით დასჯა უნდა აიკრძალოს;
- ქალის ადგილი სახლშია;
- 14 წლამდე ბავშვები არ უნდა მუშაობდნენ;
- საჯარო დაწესებულებებში უნდა აიკრძალოს მოწევა;
- გადასახადები უნდა გაიზარდოს;
- სიტყვის თავისუფლება არ არის კარგი.

საკლასო ოთახის თითოეულ კუთხეში გაკრულია ამ ოთხიდან ერთ-ერთი აღმნიშვნელი:

სრულებით ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	კატეგორიულად არ ვეთანხმები
---------------------	------------	---------------	----------------------------

თითოეული მოსაზრების წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმ კუთხი დადგნენ, რომელიც ამ მოსაზრებისადმი მათ დამოკიდებულებას ყველაზე ზუსტად გამოხატავს. თუ მოსწავლე გადაწყვეტილებას ვერ იღებს, უნდა დარჩეს იქ, სადაც უკვე დგას.

როცა მოსწავლეები კუთხებში განლაგდებიან, მასწავლებელი ერთ-ერთ მათგანს სთხოვს, ახსნას, თუ რატომ დაიკავა ეს პოზიცია. ამ ეტაპზე მოსწავლის პასუხს დისკუსია არ მოჰყება, თუმცა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, დასაშვებია, დანარჩენმა მოსწავლეებმა შეიცვალონ ადგილმდებარეობა, თავიანთ შეხედულებებში შესაბამისი ცვლილებების ნიშნად.

თუ ერთ-ერთი მოსწავლის მიერ გაკეთებული განმარტების შემდეგ კვლავ დარჩა მოსწავლე, რომელიც გადაწყვეტილებას ვერ იღებს, მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მას, ჩამოაყალიბოს, თუ რატომ უჭირს საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა. მოსწავლეს შეუძლია, ახსნა-განმარტება დაწეროს. ასეთი ახსნა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ არგუმენტებს: მეტი ინფორმაცია მჭირდება; ზუსტად არ მესმის, რას ნიშნავს ეს წინადადება; თან ვეთანხმები, თან არა და, შესაბამისად, მიჭირს ერთი კონკრეტული პოზიციის დაკავება.

ამ სავარჯიშოს მასწავლებელი 3-4 სხვადასხვა სადავო მოსაზრების გამოყენებით აკეთებინებს მოსწავლეებს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა კონკრეტული, სადავო საკითხების განხილვაზე, არამედ იმაზე, თუ რატომ აქვთ ადამიანებს სხვადასხვა მოსაზრება.

განხილვის ეტაპზე მასწავლებელი აღნიშნავს, რომ, წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით, მოსწავლეებს განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდათ. სწორედ ამ დროს მასწავლებელს პლურალიზმის ცნება შემოაქვს და, ამ ცნების უკეთ გააზრების მიზნით, მოსწავლეებს შემდეგ შეკითხვებს უსვამს:

- მივუბრუნდეთ სადავო მოსაზრებებს, რომელთა მიმართაც თქვენი პოზიცია უკვე დააფიქსირეთ. რომელმა მოსაზრებამ გამოიწვია თქვენში ყველაზე ძლიერი ემოცია და რატომ?
- როგორ ყალიბდება ჩვენი ღირებულებები და რწმენები? (ეს შეკითხვა დაეხმარება მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ ჩვენი დამოკიდებულებები სხვადასხვა გავლენის პირბებში ყალიბდება)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ ჩამოთვლილთაგან რომელი ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას მათი შეხედულებების ფორმირებაზე:

- მათი მშობლების დამოკიდებულებები;
- მათი მეგობრების მოსაზრებები;
- რელიგია და კულტურა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაგალითად, გაზეთები, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ.
- მასწავლებლები;
- მათი საკუთარი, პიროვნული მახასიათებლები.

მოსწავლეები ზეგავლენის ამ წყაროებს პირამიდის ფორმას აძლევენ; სათავეში ხვდება ყველაზე ძლიერი ზეგავლენის წყარო, ხოლო ძირში – ყველაზე სუსტი.

ზეგავლენის ფაქტორი;

ზეგავლენის ფაქტორი; ზეგავლენის ფაქტორი;

ზეგავლენის ფაქტორი; ზეგავლენის ფაქტორი; ზეგავლენის ფაქტორი.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეადარონ ერთმანეთის პირამიდები. რომელი ფაქტორები ახდენენ ყველაზე დიდ გავლენას მოსწავლეთა უმეტესი ნაწილის დამოკიდებულებების

ფორმირებაზე? ზუსტი პასუხის გაგება ქულების მინიჭების საშუალებით შეიძლება. მივანიჭოთ პირამიდის სათავეში მოყვანილ ფაქტორს 6 ქულა, ბოლოში მოყვანილ ფაქტორებს – 2 ქულა, ხოლო შუაში – 4 ქულა. 4-4 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფები თითოეული ფაქტორისათვის საშუალო ქულას ითვლიან. შემდეგ ჯგუფები შედეგებს ერთმანეთს ადარებენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ პლურალიზმი ვითარდება თავისუფალ და ღია საზოგადოებაში. ადამიანების აზრები ყოველთვის განსხვავებულია და, შეთანხმების მიღწევის პროცესში, აუცილებელია, პლურალისტული საზოგადოების წარმომადგენელმა გაითვალისწინოს თამაშის გარკვეული წესები, მაგალითად:

- დააფასეთ სხვა ადამიანების აზრი;
- შეეცადეთ, წარმოიდგინოთ თქვენი თავი სხვა ადამიანების ადგილას;
- გახსოვდეთ, რომ ლაპარაკი სჯობს ჩხუბს;
- ეცადეთ, არ მიაყენოთ შეურაცხყოფა;
- მიეცით ადამიანებს საშუალება, გამოთქვან საკუთარი სათქმელი.

როცა ადამიანები ვერ თანხმდებიან, საჭიროა გარკვეული მექანიზმის (მაგალითად, ხმის მიცემის) გამოყენება.

### გაკვეთილი 3

#### რითი განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან? რამდენად განსხვავებულია ადამიანთა საჭიროებები?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ:

საზოგადოებაში თანასწორობის ხელშემშენებლი ფაქტორების განხილვა.

უთანასწორო საგანმანათლებლო შესაძლებლობების მიზეზების იდენტიფიკაცია.

თანასწორობის ხელისშემშენებლი ფაქტორების აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობის განხილვა.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ ძირითად ცნებებთან დაკავშირებულ ჰიპოთეზურ სიტუაციას.

მოსწავლეები ძირითად პრინციპებს უსადაგებენ ცხოვრებისეულ, სოციალურ სიტუაციებს.

მოსწავლეები განიხილავენ გაკვეთილზე წამოჭრილ ძირითად საკითხებს.

მოსწავლეები ასრულებენ წერილობით დავალებას.

საჭირო მასალა – მოთხოვთ ასლები.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – კრიტიკული აზროვნება. დისკუსია. მოსაზრების ჩამოყალიბება წერილობითი ფორმით.

### ძირითადი ცნებები

**მრავალფეროვნება** – მრავალფეროვნების ცნება მხოლოდ ეთნიკურ ან ეროვნულ წარმომავლობას არ უკავშირდება. არსებობს ადამიანთა შორის სხვა ტიპის განსხვავებებიც, რაც, შეიძლება, საფუძვლად დაედოს სერიოზულ სოციალურ გამოწვევებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა უმრავლესობა, რომელსაც ძალაუფლება და გავლენა გააჩნია, არაფერს აკეთებს.

**თანასწორობა** – თანასწორობის ორ ძირითად ტიპის გამოყოფება: თანაბარი შესაძლებლობა და თანაბარი შედეგი. შესაძლებელია ყველა ადამიანისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა (მაგალითად, განათლების ხელმისაწვდომობა), მაგრამ თუ არ გადაილახა გარკვეული ბარიერები (მაგალითად, შეზღუდულ უნარებთან დაკავშირებული), ადამიანი ამ შესაძლებლობას ვერ გამოიყენებს. თანაბარ შედეგზე ორიენტაცია საშუალებას იძლევა, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს განათლება (შეზღუდული უნარების მიუხედავად).

**დისკრიმინაცია** – ადამიანის უსამართლოდ მოპყრობა მისი რასის, გენდერული კუთვნილების, სქესის, ასაკის, რწმენის, ან სხვა ფაქტორის გამო.

## გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს მოთხოვბას უკითხავს (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.2). ეს მოთხოვბა ბევრ საინტერესო საკითხს ეხება და, მასწავლებლის მითითების გარეშე, ზოგიერთი მათგანი მოსწავლეებს შეიძლება გამორჩეთ. დახმარების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს ასევე ურიგებს სამუშაო ფურცელ 3.3-ს და უხსნის დავალებას.

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ცდილობენ, თავი მოუყარონ ყველა იმ პრობლემას, რომელიც კოლეჯის თანამშრომელთა წინაშე დგას. ეს პრობლემები შეყავთ სამუშაო ფურცლის იმ ნაწილში, რომელიც ამ მიზნისთვისაა გამოყოფილი („პრობლემები“). შემდეგ ისინი აყალიბებენ პრობლემების გადაჭრის გზებს და სათანადო გრაფაში ინიშნავენ („გამოსავალი“). ასევე, მოსწავლეები ასახელებენ პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებელ პირებს („პასუხისმგებლობა“). ბოლო გრაფა დროებით ცარიელი რჩება.

მოსწავლეები კლასის წინაშე წარმოადგენენ და ადარებენ საკუთარ შედეგებს. პრეზენტაციების შედეგების თავმოყრის მიზნით, სასურველია ფლიპჩარტის ან პროექტორის გამოყენება.

## დისკუსია კლასში

მოსწავლეები ან მასწავლებელი ქვემოთ წარმოდგენილ, ან მსგავს შეკითხვებს სვამენ:

- თქვენი აზრით, მიაღწია დირექტორმა დასახულ მიზანს, რაც ყველა მოსწავლის თანასწორ მოპყრობაში მდგომარეობდა?
- თქვენი აზრით, უნდა გაითვალისწინოს დირექტორმა დევნილი მშობლების სურვილი და ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე კლასებში გაანაწილოს? მოიყვანეთ პრო- და კონტრარგუმენტები;
- უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ დევნილ მოსწავლეებს ცალკე კლასში ესწავლათ? მოიყვანეთ პრო- და კონტრარგუმენტები, როგორც მოსწავლეების, ისე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

შეუძლებელი იქნება ყველა მოსწავლისაგან ყველა შეკითხვაზე პასუხის მოთხოვნა; მათ უნდა მივცეთ საკმარისი დრო, რათა ერთ, რომელიმე შეკითხვას ჩაუდრმავდნენ. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში ადამიანებს სხვადასხვა საჭიროება აქვთ, რამაც კონფლიქტამდე შეიძლება მიგვიყვანოს. კონფლიქტის სამართლი-ანად მოგვარებისთვის კი აუცილებელია ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება (კონფლიქტების მოგვარების თემასთან დაკავშირებით, იხილეთ თავი 4). ამ კონკრეტულ მაგალითში სკოლა მიკროსაზოგადოებად უნდა აღვიქვათ, სადაც მოსწავლეებს ისეთივე პრობლემები ექმნებათ, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს საზოგადოებაში.

ქვემოთ მოყვანილი საკითხები ააშკარავებს, თუ რამდენად მრავალმხრივია ეს მაგალითი და რამდენად კარგ მასალას იძლევა კლასში მუშაობისათვის. მასწავლებელმა ჩამოთვლილთაგან კონკრეტული საკითხები უნდა შეარჩიოს, მის განკარგულებაში არსებული დროისა და მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით.

## რამდენად განსხვავებულია მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებები?

საჭიროა, მოსწავლეებმა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: როგორ შეიძლება მოგვარდეს სკოლაში არსებული პრობლემები? საჭიროა, რომ სკოლამ მოახდინოს ზოგიერთი პრობლემის იგნორირება და რატომ?

შეიძლება არსებობდეს ამ კითხვებზე პასუხის ძიების ორი მიდგომა: პირველი, პრობლემების მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებთან კავშირის გათვალისწინებით; მეორე, იმ პრობლემათა იდენტიფიცირებით, რომელიც უშუალოდ სკოლის გადასაჭრელია.

პირველ შემთხვევაში, მოსწავლეებს დაემარება შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: „ადამიანის/ბავშვთა რა უფლებებს არიან მოკლებულნი დევნილი ბავშვები?“

ქვემოთ ჩამოთვლილია საგანმანათლებლო საჭიროებათა რამდენიმე კატეგორია. მოსწავლეებმა ამ საჭიროებათა მაგალითები მოთხოვბაში უნდა მოიძიონ და მოსწავლის სამუშაო ფურცლის მეოთხე გრაფაში ჩაინიშნონ:

- ემოციური;
- საგანმანათლებლო;
- რელიგიური;
- კულტურული;
- ენობრივი;
- ფიზიკური.

თითოეულ ამ კატეგორიასთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა საკუთარი მაგალითებიც უნდა მოიფიქრონ.

## პასუხისმგებლობა და მისი ჩარჩოები

მოთხოვბაში დასმულმა კონკრეტულმა პრობლემებმა საფუძველი უნდა ჩაუყაროს განზოგადებულ დისკუსიას თანასწორუფლებიანობისა და განათლების შესახებ.

რამდენად ადვილია ყველა ბავშვისათვის საუკეთესო განათლების შესაძლებლობის მიცემა, მისი საჭიროებების სრულად გათვალისწინებით? რა შეიძლება გააკეთოს სკოლამ და რა დახმარება სჭირდება მას გარედან, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობიდან, დამატებითი დაფინანსების ფორმით?

მივუბრუნდეთ მეორე მიდგომას. როგორც წესი, ერთი კონკრეტული ღონისძიების გატარებით, კომპლექსური პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, რაც, ამ შემთხვევაში, შეიძლება გულისხმობდეს სკოლის გაფართოებას, სპეციალურად მომზადებული კადრების დაქირავებას და ა.შ. საგანმანათლებლო რეფორმის ასე განვითარება სასურველი იქნებოდა, მაგრამ საჭიროებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რადგან გადასახადის გადამხდელთა დამატებითი სახსრების ამ საკითხზე მიმართვა ადგილობრივი თვითმმართველობის და/ან განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას უკავშირდება. ადამიანები, რომლებიც გამოსავალს მხოლოდ ასეთ რადიკალურ ღონისძიებებში ხედავენ, ხელმოცარულნი აღმოჩნდებიან და სხვათა დადანაშაულების მეტი ხელთ არაფერი შერჩებათ. სხვა სიტყვებით, ისინი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევენ – პრობლემა მოუგვარებელი დარჩება. გასათვალისწინებელია, რომ პრობლემის გადაჭრა შედარებით მცირე მასშტაბის ღონისძიებებითაც შეიძლება. ეს ღონისძიებები უკავშირდება უშუალოდ დირექტორის, მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების შეთანხმებას, რომ შეცვალონ ის, რაც მათ ხელშია, რისი შეცვლაც მათ სურთ და ხელენიფერათ კიდეც.

სწორედ აქ გვჭირდება სამუშაო ფურცლის მესამე გრაფა. ვინ არის პასუხისმგებელი? ვის შეუძლია შეცვალოს არსებული სიტყუაცია? მოსწავლეები განიხილავენ, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს მცირე მასშტაბის ღონისძიებები და რა მაქსიმალურ შედეგებზე შეიძლება გავიდნენ ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ. მოსწავლეებმა შეიძლება იფიქრონ მცირე და მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებების გარკვეულ შერწყმაზეც.

„სკოლა არის ცხოვრება“, მიკროსაზოგადოება. სასკოლო ცხოვრების სტრატეგიების განხილვა მოსწავლეებს ეხმარება, იფიქრონ პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების ჩარჩოებში.

## სკოლა არის ცხოვრება

შემდეგი იდეის გამოყენებით, მოსწავლეებს შეუძლიათ, კოლეჯში განვითარებული მოვლენები საკუთარ სკოლას დაუკავშირონ:

„თქვენს სკოლაში რა ბარიერები ხვდება მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს, რაც მათ ხელს

უშლით სწავლაში? ვის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებათა დაკმაყოფილება (მაგალითად, მთავრობის, დირექტორის, მასწავლებლების თუ მოსწავლეების)?“

ამ შეკითხვას სხვადასხვაგვარად შეიძლება მივუდგეთ. შეიძლება, განხილვის საგნად იქცეს: მოსწავლეებმა გაითამაშონ ინტერვიუ, ან, შესაძლებელია, ეს შეკითხვა სასკოლო გაზეთის პროექტთან (თავი 5) დავაკავშიროთ.

## წერილობითი დავალება

აუცილებელია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები კარგად ითვისებენ ახალ მასალას. ამ თვალსაზრისით, სასარგებლოა დისკუსიის დაკავშირება წერილობით დავალებასთან. წერის დროს მოსწავლეები კიდევ ერთხელ უფიქრდებიან დისკუსიის დროს განხილულ მასალას და უკეთესად აანალიზებენ მას; დისკუსიის შემდგომ წერილობითი დავალების შესრულება განსაკუთრებით სასარგებლოა ნელა მოაზროვნე, შედარებით მოკრძალებული მოსწავლეებისათვის, რომლებიც დისკუსიის დროს ნაკლებ აქტიურნი არიან, იმისდა მიუხედავად, რომ შეიძლება ბევრი სათქმელი ჰქონდეთ.

წერილობითი დავალებისათვის მასწავლებელმა ყურადღებით, მოსწავლეთა დონის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს თემა. დეტალურად ჩამოყალიბებული დავალება ასეთი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, მთავრობის პასუხისმგებლობაა ყველა ბავშვისათვის განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.“

- ახსენით, რამდენად ასრულებდა ეს სკოლა ამ ვალდებულებას;
- რა არის საჭირო იმისათვის, რომ ბავშვებს მივცეთ ის საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რაც მათ ეკუთვნით?
- ვინ არის პასუხისმგებელი ამ ბავშვების განათლებაზე?
- ბავშვთა ცხოვრების რომელ სფეროებზე ახდენს გავლენას უთანასწორო საზოგადოებაში ცხოვრება?
- განიხილეთ“.

## დისკუსიის შედეგები (ფლიპჩარტი, შევსებული სამუშაო ფურცელი) კოლეჯის დასახმარებლად

პრობლემები	გამოსავალი	პასუხისმგებლობა	საჭიროებები
<b>(1) დევნილი ბავშვები</b>			
ენობრივი პრობლემები	სპეციალური კურსები	დირექტორი, ადგილობრივი თვითმმართველობა	ენობრივი
ბიჭები არ საუბრობენ	თერაპია, სპეციალური სწავლება		ენობრივი, ემოციური
გოგოს არ შეუძლია სიარული	სამედიცინო ჩარევა, სპეციალური სწავლება, მშობლებისთვის რჩევის მიცემა	დირექტორი, მასწავლებელი	ფიზიკური

პრობლემები	გამოსავალი	პასუხისმგებლობა	საჭიროებები
<b>(2) დენილები და ადგილობრივი მოსწავლეები</b>			
ჩაგვრა, დაცინვა, ჯგუფების ფორმირება, დამუქრება, ჩეუბი, დაშავებული ბიჭი	დისკუსია კლასში, ქცევის წესები, მოსწავლე-დამკვირვებლები	მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები	ემოციური, სოციალური მიდგომები და ღირებულებები
<b>(3) მასწავლებლები</b>			
ვერ აქცევენ ყურა-დღებას დენილებსა და ძველ მოსწავლეებს	პატარა ზომის კლასები, სხვადასხვა ცვლა, მეტი მასწავლებელი	ადგილობრივი თვითმმართველობა	საგანმანათლებლო, ენობრივი, კულტურული, რელიგიური
<b>(4) მშობლები</b>			
სურთ ცალ-ცალკე კლასები გოგონებისა და ბიჭებისათვის	„არა“? „კი“?	?	კულტურული, რელიგიური

## გაკვეთილი 4

### რატომაა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებები?

რატომ გჭირდება ადამიანის უფლებათა ამსახველი კანონმდებლობა დაუცველთა დასაცავად?!

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ: იმ პრობლემური საკითხების განხილვა, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანების თანაცხოვრების დროს წამოიჭრება. იმ მიზეზების განხილვა, რომლებიც საფუძვლად ედო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავებას, განსაკუთრებით, დაუცველი თემებისა და ადამიანებისათვის.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები: ერთვებიან კრიტიკულ ანალიზში და ახდენენ სიტუაციების პრიორიტეტიზაციას. გაითამაშებენ მოწინაარმდევე მხარეების წარმომადგენელთა როლებს. როლების გათამაშების დასკვნებიდან გამომდინარე, შემუშავებენ რამდენიმე ძირითად პრინციპს და ადარებენ მათ ამ წიგნში გაკეთებულ დასკრინებს. განხილავნ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს თავიანთ ქვეყანაში. აკეთებენ პრეზენტაციებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სხვადასხვა საკითხზე.
საჭირო მასალა – ბარათების ასლები როლების გათამაშებისათვის (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.4) სიტუაციის ამსახველი ბარათების ასლები თითოეული პატარა ჯგუფისათვის (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.5). ადამიანის უფლებათა ძირითადი კომპონენტების ნუსხა (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.6). დიდი ზომის ფურცლები და სხვა მასალები, რაც პრეზენტაციისათვის არის საჭირო.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – კრიტიკული აზროვნება. დისკუსია. მოლაპარაკება. ჯგუფური პრეზენტაცია.

16 ეფუძნება სამოქალაქო ფონდის (ლონდონი) მიერ შემუშავებულ გაკვეთილს.

## ინფორმაცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შეიქმნა იმ ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, რომელთაც, მაგალითად, შეზღუდული აქვთ სიცოცხლის უფლება ან რელიგიური თავისუფლება. ყველა იმ ქვეყნის მთავრობა, რომელიც ევროსაბჭოს წევრია, ემორჩილება ამ კონვენციის მუხლებს თავის მოქალაქეთა უფლებების მიმართ. ამ თვალსაზრისით, თითოეული ქვეყანა ანგარიშვალდებულია საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ევროსაბჭოში შემავალი ყველა ქვეყნის წებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, სარჩელი შეიტანოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუ მოქალაქე თვლის, რომ მისი უფლებები ირღვევა. სარჩელის შეტანა შეუძლიათ ქვეყნებს სხვა ქვეყნის წინააღმდეგაც, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილი გენოციდების შემდეგ.

## გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს როლების გათამაშების ბარათებს (სამუშაო ფურცელი 3.4) აცნობს და უხსნის, რომ ორ ჯგუფად უნდა დაიყონ. მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება კუნძულის (შეიძლება გამოიყენოს დაფაზე დაკიდებული რუკა) და იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ კუნძულზე დიდი ხანია ცხოვრობენ.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობებს, რომ კუნძულზე მოვიდა ადამიანთა ახალი ჯგუფი, რომელსაც აქ დამკვიდრება სურს. ახალმოსულნი ძალიან განსხვავდებიან კუნძულის მაცხოვრებლებისაგან. მასწავლებელი მოსწავლეებს ახალმოსულთა ცხოვრების წესს აცნობს და კლასს ორ ნაწილად ჰყოფს. საკითხების განხილვის ორი მეთოდი არსებობს, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი. თუ მოსწავლეები როლების გათამაშებას არიან მიჩვეულნი, სასურველია, მასწავლებელმა აირჩიოს პირველი მეთოდი, ხოლო თუ უფრო ფორმალურ მუშაობას ამჯობინებენ – მეორე მეთოდი.

### მეთოდი 1: როლების გათამაშება

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ; ერთი არის ახალმოსული, მეორე კი – კუნძულის მაცხოვრებელი. ბარათებზე აღნერილ თითოეულ სიტუაციას უნდა მიუდგნენ იმ ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ორივეს უნევს საპირისპირო მხარესთან მოლაპარაკების პროცესის დაწყება (მოსწავლეები უშვებენ, რომ ენობრივი ბარი-ერი არ არსებობს). თითოეულ მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული შემდეგი:

- ა. რა არის მისი ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?
- ბ. რა შედეგებით სურს, დასრულდეს მოლაპარაკება?

მასწავლებელი ახალმოსულებს და კუნძულის მაცხოვრებლებს სთხოვს, ერთგვაროვან წყვილებად დაჯგუფდნენ და ზემოთმოყვანილ ორ საკითხზე შეთანხმდნენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ კუნძულის მაცხოვრებლები ვერ დამშვიდდებიან, სანამ არ მოიშორებენ ახალმოსულებს; ახალმოსულები კუნძულის მაცხოვრებელთათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენენ და მხოლოდ მათ მიერ კუნძულის დატოვება აღმოფხვრის ამ საფრთხეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალმოსულებს ძალიან მოსწონთ კუნძული და ძალის გამოყენებასაც არ მოერიდებიან, რათა აქ დარჩენა შეძლონ.

მასწავლებელი მოსწავლეებს დაპირისპირებულ წყვილებად ჰყოფს და სთხოვს, ანარმონ მოლაპარაკებები ბარათებზე მოცემული საკითხების გარშემო პრიორიტეტულად – ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხით დაიწყონ და ნაკლებად მნიშვნელოვანი თემები ბოლოსთვის შემოინახონ.

## მეთოდი 2: ორგანიზებული დისკუსია

სავარჯიშოს შესრულებისათვის საუკეთესო, თუმცა არა ერთადერთი, მეთოდია როლების გა-თამაშება. ქვემოთ წარმოგიდგენთ აქტივობას, რომელიც როლების გათამაშების აღტერნატივად შეიძლება გამოიყენოთ. კლასი უნდა დაიყოს ორ ნაწილად: ერთი ნახევარი წარმოადგენს კუნძულის მაცხოვრებელთა ინტერესებს, ხოლო მეორე – ახალმოსულთა ინტერესებს. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ცდილობენ, დაიცვან თავიანთი ინტერესები. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ მოლაპარაკების ფორმატი, რა თქმა უნდა, ყველაზე სამართლიანია, თუმცა ის-ტორიული მაგალითები გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, ერთ-ერთი მხარე უფრო მეტს აღნევს, ვიდრე მეორე. ასეთი შედეგის გამომწვევი მიზეზი არის ძალაუფლება – ის მხარე, რომელსაც აქვს მეტი ძალაუფლება, მოლაპარაკების დროს ხშირად უფრო მომგებიან შედეგებზე გადის.

მასწავლებელი თავად უძლვება დისკუსიის პროცესს. ის არჩევს პრობლემას და ამ პრობლემისადმი ერთ-ერთი ჯგუფის მიდგომას. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მეორე ჯგუფს, წარმოადგინონ საწინააღმდეგო მოსაზრებები ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ორ ჯგუფს შერის, მასწავლებელი შეუავლის როლს ასრულებს. ერთ პრობლემასთან დაკავშირებით, თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი მოსწავლე გამოდის და აყალიბებს არგუმენტებს თავისი ჯგუფის სახელით. შემდეგ პრობლემაზე მსჯელობისას, სხვა წყვილები გამოდიან და ა.შ.

## დისკუსიის შედეგების განხილვა

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შემდეგ შეკითხვებს:

- ადვილი იყო მოლაპარაკების პროცესი თუ რთული? რატომ?
- ორივე ჯგუფმა იმ შედეგს მიაღწია, რისი მიღწევაც სურდა?
- რომელმა ჯგუფმა მიაღწია უფრო მეტს? რატომ?
- რომელიმე ჯგუფს ჰქონდა უფრო მეტი მორალური უფლება? რატომ?
- როგორი მომავალი შეიძლება ჰქონდეთ ადამიანთა ამ ორ ჯგუფს?
- რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ერთი ჯგუფის დომინირებას მეორეზე?
- ჩამოაყალიბეთ ის პრინციპები, რომელთა გათვალისწინება დაეხმარებოდა ადამიანთა ამ ორ ჯგუფს მშვიდობიან თანაცხოვრებაში. შეადარეთ პრინციპების ეს ნუსხა ადამიანის უფლებათა ძირითად კომპონენტებს (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.6). რომელი მუხლები დაეხმარებოდათ კუნძულის მაცხოვრებლებს მიწის, ცხოვრების წესისა და საკუთარ უფლებათა შენარჩუნებაში?

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამგვარი შემთხვევები ისტორიას ახსოვს, მაგალითად, როცა ბრიტანელებმა დაიკავეს ავსტრალია, ან ევროპელებმა – ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა. იმ დროს არ არსებობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტი და, შესაბამისად, ირლევოდა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები. ანალოგიური შემთხვევები დღესაც ხდება, როცა სამხრეთ ამერიკის უძველეს მაცხოვრებლებს, საერთაშორისო კომპანიების ბიზნეს ინტერესების გამო, ართმევენ მიწებს.

## ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვნების აღიარება

წინამდებარე თავის დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეარჩიონ ადამიანის ერთ-ერთი უფლება ევროპული კონვენციიდან. მოსწავლეები ამზადებენ ბანერსა და პრეზენტაციას ამ უფლების მნიშვნელოვნებაზე. მოსწავლეებს შეუძლიათ, პრეზენტაციაში როლების გათამაშება ჩართონ და კუნძულელების ამბავი მოიყვანონ მაგალითად. ასეთი პრეზენტაცია შეიძლება კლასის, ან მთელი სკოლის წინაშე გაკეთდეს. თუ არსებობს სათანადო რესურსები, ეს თემა შეიძლება პროექტადაც იქცეს (იხილეთ მე-5 თავის მე-4 გაკვეთილი, სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიძლება ასეთი პროექტების მომზადება).

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.1

### სკოლა ტყის პირას

უღრანი ტყის პირას ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობდა. ეს რელიგური თემი იყო და ბავშვებსაც წინაპართა რელიგიური შეხედულებების მიხედვით ზრდიდნენ; მათი რელიგიის მიხედვით, არ არსებობდა განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის.

ამ თემის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით იყო ზეგანი, სადაც სხვა თემი ბინადრობდა; ისინი არ იყვნენ რელიგიურები, მაგრამ შრომა ძალიან უყვარდათ. ეს იყო მებრძოლი ხალხი, სადაც დომინანტურ ფუნქციას მამაკაცები ასრულებდნენ. ქალებს ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ქალი ხელმძღვანელები არ ჰყავდათ.

ტყის თემს არაფერი ჰქონდა საერთო ზეგანის თემთან; მათ ერთმანეთთან სიძულვილი და შიში აკავშირებდათ. წარსულში ისინი ერთმანეთს ერთმებოდნენ. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი მივიდა ტყის პირას მაცხოვრებელ თემთან და სკოლის აშენება შესთავაზა. ამ სკოლაში ორივე თემის ბავშვები ივლიდნენ, რაც მათ დაახლოებას შეუწყობდა ხელს.

მალე ააშენეს ხის მოკრძალებული შენობა და მასწავლებელიც მოძებნეს. ორივე თემის ბავშვები სკოლაში წავიდნენ. მშობლები და თემის ხელმძღვანელები გულდასმით ელოდნენ მოვლენათა განვითარებას.

თავდაპირველად იყო გარკვეული პრობლემები ბავშვებს შორის; ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. მალე ბავშვები დარწმუნდნენ, რომ სკოლაში სიარული სასარგებლო იყო და ერთმანეთს უკეთესად ეგუებოდნენ. მასწავლებელი მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და ყველა ბავშვს თანასწორად ეპყრობოდა. მასწავლებელი ორივე თემის ცხოვრების წესს სცემდა პატივს და ბავშვებს ამ ორ თემს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ასწავლიდა.

უფრო და უფრო მეტი ბავშვი დადიოდა ამ სკოლაში.

თანდათანობით გამოიკვეთა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს ზეგანზე მაცხოვრებლები შეადგენდნენ. სკოლაში ყოველი 4 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იყო ტყის თემიდან. მასწავლებელი ორივე თემის წარმომადგენლებთან საუბრობდა და არწმუნებდა, რომ ბავშვების სკოლაში გამოშვება აუცილებელი იყო.

ერთ დღეს სკოლაში მისულ მასწავლებელს სკოლა დამწვარი დახვდა.<sup>17</sup>

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.2

### კოლეჯი ყველასთვისაა

კოლეჯის დირექტორი ძალიან პუმანური და სულგრძელი ადამიანი გახლდათ; მას ღრმად სწამდა, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. დირექტორი თანამშრომლებს ყოველთვის ეუბნებოდა: „ყველა ადამიანი იმსახურებს ცხოვრების კარგ დასაწყისს. არ უნდა მოეპყროთ რომელიმე მოსწავლეს უფრო მეტი კეთილგანწყობით, ვიდრე სხვებს. ეს არ იქნება სამართლიანი“.

ერთ დღეს სკოლაში დევნილ მოსწავლეთა ჯგუფი მოვიდა; მათი ოჯახები მეზობელი სახელმწიფოდან კონფლიქტს გამოეცნენ. დირექტორმა თანამშრომლებს განუცხადა:

„ამ საწყალმა ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს. ხელგაშლილი მიეგებეთ მათ. დროა, ამ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ტკივილი; მათი ბრალი არ არის, რომ ომის მსხვერპლი გახდნენ“.

თანამშრომლები დირექტორს დაეთანხმნენ. დევნილი მოსწავლეები ასაკის მიხედვით

<sup>17</sup> ეფუძნება ტედ ჰუდლესთონის მოთხოვნას (სამოქალაქო ფონდი)

გადაანაწილეს კლასებში. ძირითადად, ყველა არსებულ კლასში ერთი დევნილი მოსწავლე შევიდა. მხოლოდ ერთ კლასში აღმოჩნდა 4 დევნილი ბიჭი.

მასწავლებლებმა მალე აღმოაჩინეს, რომ რთული იყო დევნილებისა და მათი ძველი მოსწავლეების თანაბარი მოპყრობა. მასწავლებლები პრობლემების შესახებ დირექტორს შესჩიოდნენ: „დევნილმა ბავშვმა ჩვენი ენა არ იცის. მე არ მაქვს დრო, რომ მას ყველაფერი ვუთარგმნო. თარგმნას ძალიან დიდი დრო სჭირდება და ეს დრო დანარჩენ მოსწავლეებს აკლდებათ“. „ჩემს კლასში დევნილი მოსწავლე არავისთან ამყარებს კომუნიკაციას. ეს, შესაძლოა, ომისგან მიყენებული ტრამვის შედეგი იყოს. შესაძლოა, მას პრობლემები აქვს სწავლასთან დაკავშირებით. როგორ მოვიქცე?“ „ჩემს კლასში დევნილი ბავშვი დასახიჩრებულია; მას არ შეუძლია სიარული; ის ვერანაირ ფიზიკურ აქტივობაში ვერ მონაწილეობს, ლაბორატორიაშიც კი ვერ ამოდის, რადგან კიბეებია გასავლელი.“

პრობლემები არ მცირდებოდა. სადილზე, შესვენების დროს, დანარჩენები დევნილ ბავშვებს ჩაგრავდნენ და დასცინოდნენ, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც მიმართავდნენ. სკოლის ძველი მოსწავლეები დევნილებს მოუწოდებდნენ, იქ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც მოვიდნენ.

იმ ოთხმა დევნილმა, რომელიც ერთ კლასში მოხვდა, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მჭიდროდ შეეკრული დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ერთ დღეს, ერთ-ერთმა დევნილმა ბიჭმა ადგილობრივთან იჩხუბა და მძიმე ფიზიკური ტრამვა მიაყენა. მასწავლებლები თვლიდნენ, რომ ეს დევნილი ბიჭი სკოლიდან გარიცხვის ლირსი იყო. დირექტორი კი საკუთარ თავს ეკითხებოდა, რამდენად სამართლიანი იქნებოდა დევნილი მოსწავლის სკოლიდან გაგდება. მასწავლებლები ამბობდნენ:

„ჩვენ ვეცადეთ, მათთან გვემუშავა. ჩვენი საკუთარი მოსწავლეები ზარალდებიან. არ შეგვიძლია ერთდროულად დევნილებსაც ვასწავლოთ და ჩვენს ძველ მოსწავლეებსაც“.

მოგვიანებით, დევნილი ბავშვების მშობლებმაც მოისურვეს დირექტორთან შეხვედრა და განუცხადეს მას:

„ჩვენ არ მოგვწონს, რომ გოგონებსა და ბიჭებს ერთად უტარდებათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ეს ჩვენს რელიგიასა და კულტურას ეწინააღმდეგება.“

დირექტორს მოთმინება ეწურებოდა; ის იდგა ძალიან რთული გამოწვევის წინაშე და იცოდა, რომ იმედის დაკარგვა ასეთ დროს არ შეიძლებოდა.

### მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.3

#### კოლეჯის დასახმარებლად

პრობლემები	გამოსავალი		
<b>(1) დევნილი ბავშვები</b>			
<b>(2) დევნილები და ადგილობრივი მოსწავლეები</b>			

(3) მასწავლებლები			
(4) მშობლები			

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.4

კუნძულის მაცხოვრებლები და ახალმოსულნი (პარათები როლების გათამაშებისათვის)

### ჯგუფი 1: კუნძულის მაცხოვრებლები

თქვენ კუნძულზე მაცხოვრებელ მოსახლეობას წარმოადგენთ. ამ კუნძულზე თქვენი წინაპრები რამდენიმე ათასი წლის წინ დამკვიდრდნენ და მათი ნაწილი მთაში წმინდა ადგილებზეა დაერძალული. თქვენ გჯერათ, რომ წინაპრების სულები ცოცხლები არიან და თავს დაგტრიალებენ.

თქვენ ცხოვრების მარტივი წესით ცხოვრობთ. ქალები ბავშვებს უვლიან, კაცები კი ნადირობენ და საკვებს მოიპოვებენ. ამ კუნძულზე მცხოვრებთ გჯერათ, რომ ბუნებას მოიფრთხილება სჭირდება და მომავალ თაობებს ხელშეუხებელი ბუნება უნდა დავუტოვოთ. თქვენ, ძირითადად, მშვიდისარსა და მახებს იყენებთ.

თქვენი რელიგია ბუნების გაღმიერთებას გულისხმობს, ხოლო კულტურა თემის მნიშვნელობას უკავშირდება. როცა საკვების ოდენობა მცირეა, ხალხი თანაბრად იყოფს საკვებს და ერთმანეთის გამოსაკვებად შრომობს. როცა საკვების სიუხვეა, ხალხი იკრიბება, მლერის, ცეკვავს, სხვადასხვა ამბებს ჰყება და ილხენს. ხალხს წერა-კითხვის ცოდნა არ სჭირდება.

თქვენს თემში კანონები თითქმის არ არსებობს. თემის ბელადს შეუძლია კანონის დამკვიდრება, როცა ამის საჭიროება იქმნება. ყოველგვარი კამათის დროს თემის ბელადი მომრიგებლად გვევლინება.

### ჯგუფი 2: ახალმოსულნი

თქვენ ხალხის იმ ჯგუფს წარმოადგენთ, რომელმაც ევროპა ახალი ცხოვრების ძიებაში დატოვა. თქვენ გინდათ, ახალი მინა აღმოაჩინოთ, სადაც დამკვიდრდებით, ააშენებთ სახლს და მთელ დარჩენილ ცხოვრებას გაატარებთ.

თქვენ გაქვთ სანადირო თოფები და იარაღი მიწის დასამუშავებლად. თქვენი კულტურის განმსაზღვრელი კომპონენტებია განათლება და შრომა. თქვენ მიჩვეული ხართ ბრძოლას კეთილდღეობისათვის. თქვენ არ მისდევთ რომელიმე რელიგიას, მაგრამ გწამთ რელიგიური თავისუფლების.

თქვენ გადაწყვეტილებების დემოკრატიული წესით მიღების მომხრე ხართ. თქვენ მიატოვეთ ის საზოგადოება, სადაც მხოლოდ ელიტარულ ფენას აქვს ძალაუფლება და სადაც ქონება არა-თანაბრადაა განაწილებული. თქვენ ისეთი საზოგადოების შექმნაზე ოცნებობთ, სადაც ხალხი თანასწორუფლებინა და ყველას აქვს წარმატების მიღწევის შესაძლებლობა.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.5

სიტუაციის ამსახველი ბარათები: კუნძულის მაცხოვრებლები

წაიკითხეთ ტექსტი და გადაწყვიტეთ, რა უნდა გაკეთდეს თითოეულ სიტუაციაში

კუნძულის მაცხოვრებლები	ახალმოსულნი
<b>1.3 ახალი ღობეები</b> – ახალმოსულებმა ღობეები გააკეთეს მათი სახლებისა და საძოვრების გარშემო, რომელსაც თქვენც საძოვრებად იყენებდით. თქვენ ეს ღობეები მოშალეთ.	<b>1a ახალი ღობეები</b> – კუნძულის მაცხოვრებლებმა მოშალეს ღობეები, რომლებიც თქვენ ცხოველების მოსაშენებლად გააკეთეთ.
<b>2.3 საზღვრის დამრღვევი</b> – კუნძულის მაცხოვრებელმა ახალმოსულთა მიერ მოწყობილი საზღვარი დაარღვია. ახალმოსულებმა ის მოკლეს.	<b>2a საზღვრის დამრღვევი</b> – კუნძულის მაცხოვრებელი შემოიჭრა თქვენ მიერ ცხოველებისათვის შემოღობილ ადგილას. თქვენ გაფრთხილების შემდეგ ესროლეთ მას.
<b>3.3 შერეული ქორწინება</b> – კუნძულის ერთ-ერთ მაცხოვრებელს შეუყვარდება ახალმოსული ქალბატონი.	<b>3a შერეული ქორწინება</b> – ერთ-ერთ ახალმოსულ ქალს შეუყვარდება კუნძულის მაცხოვრებელი კაცი. მათ სურთ, დაქორწინდნენ და ახალმოსულთა შორის იცხოვრონ. რამდენიმე ახალმოსულს არ მოსწონს ეს.
<b>4.3 წმინდა ადგილები</b> – რამდენიმე ახალმოსული გათხრებს აწარმოებს მთებში, იმ ადგილას, სადაც, თქვენი წარმოდგენით, წინაპრების სულები ბინადრობენ. ეს ადგილები თქვენთვის წმინდაა. კაცის, რომელსაც წიშნად, თქვენ თავს დაესხით რამდენიმე კაცს, რომელიც მიწას თხრიდა.	<b>4a წმინდა ადგილები</b> -თქვენ აღმოაჩინეთ მინერალები მთებში. ამ მინერალების სარფიანად გაყიდვა შეიძლება იქ, საიდანაც თქვენ ჩამოხვედით. კუნძულის მაცხოვრებლებს ეს მთა წმინდა ადგილად აქვთ აღიარებული, რაც, თქვენი აზრით, მხოლოდ ცრურნმენაა. კუნძულის მაცხოვრებლები თავს დაესხნენ თქვენი თემის წარმომადგენლებს, რომლებიც მინერალებს ეძებდნენ.
<b>5.3 განათლება</b> – ახალჩამოსულებმა გახსნეს სკოლა და თქვენს ბავშვებსაც იწვევენ წერა-კითხვის შესასწავლად.	<b>5a განათლება</b> – თქვენ გახსენით სკოლა და კუნძულის მაცხოვრებელთა ბავშვებსაც იწვევთ წერა-კითხვის შესასწავლად.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 3.6

ადამიანის უფლებათა ძირითადი კომპონენტების ნუსხა<sup>18</sup>


1. სიცოცხლის უფლება;
2. წამებისაგან თავისუფლება;
3. მონობისაგან თავისუფლება;
4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
5. მიუკერძოებელი გასამართლების უფლება;
6. უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, დახმარების მიღების უფლება;
7. დისკრიმინაციისაგან თავისუფლება; თანასწორობის უფლება;
8. პიროვნებად აღიარების უფლება; ეროვნული კუთვნილების უფლება;
9. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება;
10. ქორწინების უფლება;
11. საკუთრების ფლობის უფლება;
12. გადაადგილების უფლება;
13. თავშესაფრის უფლება;
14. აზროვნების, ცნობიერებისა და რელიგიის თავისუფლება;
15. გამოხატვის თავისუფლება;
16. შეკრებისა და სხვა ადამიანებთან გაერთიანების თავისუფლება;
17. საკვების, სასმელისა და საცხოვრებილის უფლება;
18. ჯანდაცვის უფლება;
19. განათლების უფლება;
20. დასაქმების უფლება;
21. დასვენებისა და გართობის უფლება;
22. სოციალური დაცვის უფლება;
23. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება;
24. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება;
25. ადამიანის უფლებათა დარღვევის აკრძალვა;
26. იმ სოციალური წესრიგის უფლება, სადაც აღიარებულია ადამიანის უფლებები;
27. პიროვნების პასუხისმგებლობები.

18 ეს ნუსხა ეფუძნება მასწავლებელთა დამხმარე მასალას მე-5 თავიდან „უფლებები, თავისეუფლებები და პა-სუხისმგებლობები“.



## თავი 4 კონფლიქტი

როგორ ვიქცევით,  
როცა არ ვეთანხმებით?



### 4.1 კონფლიქტის გადაჭრა

როგორ უნდა გავუმკლავდეთ სერიოზული უთანხმოების შემთხვევებს?

### 4.2 ექვსეტაპიანი მიდგომის გამოყენება

როგორ უნდა ავარიდოთ თავი მეზობელთან დაპირისპირებას?

### 4.3 ურთიერთნინაალმდეგობრიობა ადამიანის უფლებებში

როგორ მოვიქცეთ, თუ ადამიანის უფლებები ერთმანეთს ეწინაალმდეგება?

### 4.4 ძალის გამოყენება

მისაღებია თუ არა ძალის გამოყენება ზოგ შემთხვევაში?

## თავი 4. კონფლიქტი

### როგორ ვიქცევით, როცა არ ვეთანხმებით?

მშვიდობის ცნებას აქვს მნიშვნელოვანი კულტურული განზომილება. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში მშვიდობის ცნება უფრო შინაგან, სულიერ სიმშვიდეს უკავშირდება მაშინ, როცა დასავლეთში მშვიდობა ომის ან სხვა ძალადობრივი კონფლიქტის არარსებობას გულისხმობს. ინდურში მშვიდობის აღმნიშვნელი სიტყვაა „shanti”, რაც ნიშნავს გონიერივ სიმშვიდეს. განდიმ თავისი ფილოსოფია და სტრატეგია „Ahimsa”-ს ცნებას დააფუძნა, რაც ყველაფერ საზიანოსაგან თავშეკავებას გულისხმობს. ის ამბობდა: „პირდაპირ თარგმანში ეს სიტყვა ნიშნავს არაძალადობას. ჩემთვის კი ეს სიტყვა გაცილებით უფრო მაღალი მნიშვნელობის მატარებელია. ჩემი აზრით, ეს სიტყვა ნიშნავს შეურაცხოფის მიუწერებისაგან თავშეკავებას, მზაკვრული აზრების უარყოფას, ბოროტი ჩანაფიქრის არქონას იმ ადამიანების მიმართაც კი, ვისაც მტრად მიიჩნევ. მისთვის, ვინც ამ დოქტრინას იცნობს, არ არსებობს მტრის ცნება“. მაისა ტომის ტრადიციის მიხედვით, მშვიდობის ცნება კეთილდღეობას უკავშირდება და ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შორის ბალანსს გულისხმობს.<sup>19</sup>

„პოზიტიური მშვიდობა“ იმ მდგომარეობას ჰქვია, რომელშიც საზოგადოების სურვილი მშვიდობის დამყარებაზე და მშვიდობის ბარიერების დაძლევაზეა მიმართული; ის სოციალური სამართლიანობის პრინციპს ემყარება და სცდება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მშვიდობა მხოლოდ შიშის, ძალადობისა და ომის არარსებობას უკავშირდება. „პოზიტიური მშვიდობა“ მიმართულია კონფლიქტების არაძალადობრივ მოგვარებაზე და მოუწოდებს ადამიანებს, კონსტრუქციულად მოაგვარონ სოციალური პრობლემები. განათლების სპეციალისტებისათვის ეს საკლასო ოთახში დემოკრატიული პროცესები წახალისებას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საკითხების მოგვარებას, მოსმენისა და კონსტრუქციული დიალოგის წარმოების უნარების განვითარებას ნიშნავს.<sup>20</sup>

ძალადობა ბუნებრივი ფენომენია? ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნებაა ძალადობრივი და, შესაბამისად, შეუძლებელია კონფლიქტების, ომებისა და ძალადობის სხვა გამოხატულებების თავიდან არიდება. ამ სფეროს სხვა სპეციალისტები კი ფიქრობენ, რომ ჩვენ შეგვიძლია თავი ავარიდოთ ძალადობრივ აზროვნებას, გრძნობებსა და ქმედებებს. 1986 წელს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შეიმუშავეს აქტი ძალადობის შესახებ (Seville Statement on Violence). ამ აქტის მიხედვით:

„1. მეცნიერულად არასწორია იმის მტკიცება, რომ ძალადობრივი ტენდენციები ადამიანებმა წინაპარი ცხოველებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს (...). კეთილდღეობა ადამიანური ფენომენია და სხვა ცხოველებში არ გვხვდება (...).

2. ადამიანთა ზოგიერთი საზოგადოება ომში არასოდეს ჩაბმულა, ზოგი კი ომებში აქტიურად მონაწილეობდა, მხოლოდ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში (...).

3. მეცნიერულად არასწორია იმის მტკიცება, რომ ომი ან სხვა ძალადობრივი ქმედება გენეტიკურად დევს ადამიანში (...).

4. მეცნიერულად არასწორია იმის მტკიცება, რომ ადამიანს აქვს „ძალადობრივი ტვინი“ (...). ადამიანის ქმედებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პირობებსა და სოციალურ გარემოში არსებობს“.

ადამიანთა უმეტესობა ცხოვრობს ისეთ გარემოში, რომელიც აგრესისა და ძალადობისაკენ უბიძებს; ჩვენ ვეჩვევით აგრესიულ აზროვნებას, გრძნობებსა და ქმედებას. ადამიანი არის სოციალური და კულტურული წევების ქვეშ, განუწყვეტლივ კითხულობს და ესმის ძალადობის შესახებ. სატელევიზიო გადაცემები, რეკლამები, ფილმები, გაზეთები და ვიდეოთამაშები ასეთი ძალადობრივი სიტუაციების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ზრდასრული ასაკის მიღ-

19 ტექსტი ამოცაბულია წიგნიდან „კომპასი, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო ახალგაზრდებისათვის“, ევროსაბჭო, სტრასბურგი, 2002, გვ. 376

20 წიგნიდან „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის: სიტყვათა განმარტება“, კარენ კ'შეა, ევროსაბჭო (2003), გვ. 29

წევამდე ახალგაზრდას ნანახი აქვს ათასობით მკვლელობისა და ძალადობის კადრი ტელე-ვიზიონით. თანამედროვე საზოგადოებაში ძალადობა ხშირად დადებით ღირებულებად აღიქმება. ზოგჯერ ძალადობაზე უარის თქმა სისუსტის ნიშნად მიიჩნევა, განსაკუთრებით, მამაკაცებში, რომლებიც, ადრეული ასაკიდან, თანატოლების წნევის ქვეშ ექცევიან.<sup>21</sup>

დამატებითი ინფორმაციისათვის, გაეცანით მასწავლებლის დამხმარე მასალას ამ თავის ბოლოს.

## სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები

გაკვეთილთა ეს სერია მოსწავლეებს დაეხმარება:

- გააცნობიერონ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები;
- გააცნობიერონ კონფლიქტების გადაჭრის არაძალისმიერი გზები;
- გაიუმჯობესონ მათ გარშემო წამოჭრილი კონფლიქტების გადაჭრის უნარი;
- განივითარონ იმ საჭიროებების გააზრების უნარი, რომელიც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს აწუხებთ;
- გაიაზრონ, რომ ადამიანის უფლებებიც შეიძლება ენინაალმდეგებოდეს ერთმანეთს;
- კრიტიკულად გაიაზრონ ძალადობის გამოყენების საკითხი;
- უკეთ გაიაზრონ, როგორ შეიძლება ძალადობასთან გამკლავება;
- გააცნობიერონ კონფლიქტების მოგვარების არაძალადობრივი გზები.

## თავი 4. კონფლიქტი

### როგორ ვიქცევით, როცა არ ვეთანხმებით?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულო- ბის ფორმა
გაკვეთილი 1: კონფლიქტის გად- აჭრა	კონფლიქტის გადაჭრის ექსეტაპიანი მიღეომა: შესავალი	განიხილეთ კონ- ფლიქტური სიტუ- აცია; იპოვეთ კონფლიქტის გად- აჭრის გზები.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.1	მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა.
გაკვეთილი 2: ექსეტაპიანი მიღეომის გამოყ- ენება	ექსეტაპიანი მიღეომის გამოყენება	განიხილეთ კონ- ფლიქტური სიტუ- აცია; იპოვეთ კონფლიქტის გად- აჭრის გზები.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.1 მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.2	მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა.
გაკვეთილი 3: ურთიერთწი- ნაალმდეგობრიობა ადამიანის უფლე- ბებში	იმ სიტუაციების ამოც- ნობა და ანალიზი, როცა ადამიანის უფლებები ერთმანეთს ენინაალმდეგება.	განიხილეთ სიტუ- აცია, როცა ადა- მიანის უფლებები ერთმანეთს ენი- ნაალმდეგება.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.3 მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2	მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.
გაკვეთილი 4: ძალის გამოყენება	კრიტიკული ანალიზი იმისა, თუ რამდენად მისაღებია ძალადობის გამოყენება.	გაააღმინდეთ ძალის გამოყენ- ების შემთხვევა.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.4	მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.

21 ტექსტი ამოღებულია წიგნიდან „კომპასი, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო ახალგაზრდებისათვის“, ევროსაბჭო, სტრასბურგი, 2002, გვ. 380..

## გაკვეთილი 1

### კონფლიქტის გადაჭრა

როგორ უნდა გავუმკლავდეთ სერიოზული უთანხმოების შემთხვევებს?

სწავლის მიზანი – კონფლიქტის გადაჭრის ექვსეტაპიანი მიღებობა: შესავალი
მოსწავლის დავალება – განიხილეთ კონფლიქტური სიტუაცია; იპოვეთ კონფლიქტის გადაჭრის გზები.
საჭირო მასალა – ფურცლები, რევულები და კალმები. მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.1.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მთელი კლასის მუშაობა; საჭიროებისამებრ, წყვილებში მუშაობა.

## ძირითადი ცნებები

კონფლიქტები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. კონფლიქტი არის ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესთა შეჯახების შედეგი. კონფლიქტები პოლიტიკაში საჯარო განსჯის საგნადი იქცევა. კონფლიქტის საჯარო განხილვა და კომპრომისის ერთობლივი ძიება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. კონფლიქტის გადაწყვეტის გზების (კომპრომისის) ძიება არის უნარი, რომელსაც გამომუშავება სჭირდება. ეს გაკვეთილი სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება.

ამ წიგნში გამოიყენება კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული შემდეგი ცნებები, რომელსაც მასწავლებელი უნდა იცნობდეს:

მოგება-მოგება – ეს ცნება გულისხმობს კონფლიქტის დასრულებას ორივე მხარისათვის მომგებიანი გადაწყვეტილებით. ორივე მხარე კამაყოფილია, რადგან სასურველი მიაღწია. ეს არის კონფლიქტის მოგვარების იდეალური მოდელი და გარანტიას იძლევა, რომ კონფლიქტი არ განახლდება.

მოგება-წაგება ან წაგება-მოგება – ეს ცნება გულისხმობს კონფლიქტის დასრულებას ისე, რომ ერთ-ერთი მხარე მოგებული რჩება, მეორე კი – წაგებული. კონფლიქტის ამ მოდელით გადაჭრის შემთხვევებში არსებობს ალბათობა, რომ კონფლიქტი განახლდება, რადგან წაგებული მხარე არ არის დაკამაყოფილებული.

წაგება-წაგება – თუ კონფლიქტი ამ ცნებით სრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი მხარე ვერ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ეს მოდელი კონფლიქტის მხოლოდ დროებით მიწყნარებას გულისხმობს; არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ კონფლიქტი მაღე განახლდება.

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში დაფის მარცხენა მხარეს წერს სიტყვას „კონფლიქტი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფურცელზე ჩამოწერონ სიტყვები და ცნებები, რომლებიც კონფლიქტთან ასოცირდება.

მასწავლებელი დაფის მარჯვენა მხარეს წერს სიტყვას „მშვიდობა“ და სთხოვს მოსწავლეებს, ახლა ამ ცნებასთან დაკავშირებული სიტყვები ჩამოწერონ ფურცელზე.

შემდეგ მასწავლებელი, დაახლოებით, 10 მოსწავლეს სთხოვს, წაიკითხონ ჩამოწერილი სიტყვები. მოსწავლეთა ასოციაციები დაფაზე იწერება და დანარჩენ კლასს საშუალება ეძლევა, საკუთარი კომენტარები წარმოადგინონ:

- რომელიმე სიტყვა იწვევს მათ გაოცებას?
- ყველა სიტყვა, რომელიც ცნება „კონფლიქტის“ გარშემო წერია, ხომ არ არის ნეგატიური და ყველა სიტყვა, რომელიც ცნება „მშვიდობის“ გარშემო წერია, ხომ არ არის პოზიტიური?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოიყვანონ კონკრეტული კონფლიქტური სიტუა-

ციების მაგალითები, რომელიც მათ თავად შემთხვევიათ, ან რომელსაც ისინი შესწრებიან. შემდეგ მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რამდენად გადაჭრადი იყო თითოეული ეს კონფლიქტი. მასწავლებელს შემოაქვს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყველა კონფლიქტს არ მივყავართ ძალადობამდე; არსებობს კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც კომპრო-მისით სრულდება.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს კონფლიქტის მაგალითს, რაც შეიძლება ოჯახში მოხდეს:

„18 წლის კატიას უნდა, მეგობრის გამოგზავნილ ფილმს უყუროს მაშინ, როცა, მის 15 წლის ძმა მარტინს სატელევიზიო პროგრამის ყურება სურს“.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცელ 4.1-ს და იწყებს კონფლიქტური სიტუაციის გაანალიზებას ქვემოთ წარმოდგენილი ექსეტაპიანი მიდგომის გამოყენებით.

მოსწავლეები მსჯელობენ არსებული კონფლიქტის განსაზღვრებაზე და მხარეების საჭიროებებზე. მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე მხარეთა საჭიროებები არაპროვოკა-ციული ტონით იყოს ჩამოყალიბებული. ეს საჭიროებები უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს კონფლიქტის გადაჭრას და არ უნდა წარმოადგენდეს ამ მხარის ზოგად მისწრაფებებს. აუცილებელია, ორივე მხარე თანხმდებოდეს არსებული კონფლიქტის განსაზღვრებაზე (მე-2 ეტაპი).

მე-3 ეტაპი უკავშირდება არსებული კონფლიქტის გადაჭრის გზებს. ამ ეტაპზე არ განიხილება კონფლიქტის გადაჭრის გზების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მე-3 ეტაპზე ხდება ყველა ვარიანტის მხოლოდ ჩამოთვლა. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ სამ ცნებას: მოგება-მოგება, მოგება-წაგება/წაგება-მოგება და წაგება-წაგება. მასწავლებელი დაწყვილებულ მოსწავლეებს სთხოვს, შეაფასონ კონფლიქტის მოგვარების თითოეული ვარიანტი ამ ცნებების გამოყენებით (მე-4 ეტაპი).

თუ მოსწავლეები აღმოჩენენ, რომ შეუძლებელია კონფლიქტის დასრულება მოგება-მოგების მოდელით, ისინი გადადიან შემდეგ მოდელზე. ანალიზის ბოლოს მოსწავლეები წყვეტინ, თუ რომელია კონფლიქტის გადაჭრის საკუთხევლი გზა (მე-5 ეტაპი). რეალურ ცხოვრებაში, როცა მხარეები ექვსეტაპიანი მიდგომის საშუალებით ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას, ისინი აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ ერთ-ერთ ვარიანტზე.

ბოლოს მასწავლებელი წარმოადგენს მე-6 ეტაპს: საჭიროა, კონფლიქტის მოგვარების შერჩეული გზა შეფასდეს გარკვეული დროის შემდეგ და მოხდეს მასში ცვლილებების შეტანა, რამდენადაც ამას სიტუაცია მოითხოვს.

გაკვეთილის შესაჯამებლად, მასწავლებელი მოსწავლეებს თავად მეთოდის ეფექტურობის შესახებ უსვამს კითხვებს: როგორ სიტუაციებში იქნება ეს მეთოდი ყველაზე წარმატებული? რა შედეგებს მოიტანდა ამ მეთოდის ფართოდ გამოყენება? მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ კონფლიქტების მოგვარებისას ამ მეთოდის გამოყენების სხვადასხვა კონტექსტზე:

- თანატოლებთან;
- ოჯახში;
- კლასში;
- სკოლაში;
- სახელმწიფოში;
- ომში;
- სპორტში.

## გაკვეთილი 2

### ექვსეტაპიანი მიდგომის გამოყენება როგორ უნდა ავარიდოთ თავი მეზობელთან დაპირისპირებას?

სწავლის მიზანი – ექვსეტაპიანი მიდგომის გამოყენება.
მოსწავლის დავალება – განიხილეთ კონფლიქტური სიტუაცია; იპოვეთ კონფლიქტის გადაჭრის გზები.
საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.1 კონფლიქტების ამსახველი ამბების ასლები მოსწავლის სამუშაო ფურცელ 4.2-დან.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა.

### ინფორმაცია

მხოლოდ თეორიული ცნებების გააზრება არ არის საკმარისი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. აუცილებელია, კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკული უნარის ფლობა. ეს გაკვეთილი სტუდენტებს სწორედ ამ უნარის განვითარებაში დაეხმარება. შემდეგი ნაბიჯი კი იქნება ამ ცოდნისა და უნარის ცხოვრებისეულ მაგალითზე გამოყენება სკოლაში.

### გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი მიზანია, სხვა-დასხვა ტიპის კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება ექვსეტაპიანი მიდგომის გამოყენებით.

კლასი 4-5 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად იყოფა. ჯგუფები იღებენ მოსწავლის სამუშაო ფურცელ 4.2-ს და ერთ-ერთ კონფლიქტზე მუშაობის დავალებას იღებენ. შესაბამისად, სამუშაო ფურცელზე მოცემულ თითოეულ კონფლიქტს ერთზე მეტი ჯგუფი განიხილავს. ასევე, მუშაობის პროცესში ჯგუფები იყენებენ მოსწავლის სამუშაო ფურცელ 4.1-ს „კონფლიქტის გადაჭრის ექვსეტაპიანი მიდგომა“. მსჯელობის დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე კლასის წინაშე კონფლიქტის მოგვარების ექვს ეტაპს წარმოადგენს. პრეზენტაციებს ჯერ ის ჯგუფები აკეთებენ, რომლებიც პირველ კონფლიქტზე მუშაობდნენ, შემდეგ კი ისინი, რომელთაც მეორე კონფლიქტზე მუშაობა ერგოთ წილად.

პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი მართავს დისკუსიას კონფლიქტების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. შემდეგ მასწავლებელი შეკითხვებს სვამს:

- კარგად გვესმის „მოთხოვნები“ და „არსებული კონფლიქტის განსაზღვრება“? არის გადაუჭრელი საკითხები?
- შეიძლება გამოიძებოს კონფლიქტის მოგვარების სხვა გზები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში?

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმუშაონ მათთვის ცნობილ კონფლიქტებზე სკოლის, ქვეყნის, თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ერთი ან ორი კონფლიქტური სიტუაცია და ამ კონფლიქტ(ებ)ის მოგება-მოგებით გადაწყვეტაზე იყიდებონ.

თუ მასწავლებელს სურს, განხილვის საგნად აქციოს მედიატორობის საკითხი, შეუძლია, კლასში შემოიტანოს კონფლიქტების იურიდიული ფორმით მოგვარების თემა (მედიატორობის ფორმები, სასამართლოში გასაჩივრება და ა.შ.). კონფლიქტების განხილვა შეიძლება მოხდეს ექვსეტაპიანი მიდგომის ან როლების გათამაშების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი როლების გათამაშებას ირჩევს, ერთი მოსწავლე შეასრულებს დავაში ჩართული ერთი მხარის როლს, მეორე მოსწავლე – დავაში ჩართული

მეორე მხარის როლს. ასევე, საჭირო იქნება მესამე მოსწავლის მონაწილეობაც, რომელიც მედიატორად მოგვევლინება. სამი მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფები კონფლიქტის გადაჭრაზე მედიატორის დახმარებით მუშაობენ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ შედეგებს და, ასევე, გააცნოს კლასს იმ პროცესს, რომელმაც ჯგუფი ამ შედეგებამდე მიიყვანა. სხვა სიტყვებით, აქცენტი კეთდება არა მხოლოდ მედიატორის დახმარებით მიღწეულ შედეგებზე, არამედ თავად პროცესზეც. როლების გათამაშებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია, როლების გათამაშება კლასგარეშე აქტივობად, ან ცალკე გაკვეთილად გამოყოს.

### გაკვეთილი 3

#### ურთიერთნინაალმდეგობრიობა ადამიანის უფლებებში როგორ მოვიქცეთ, თუ ადამიანის უფლებები ერთმანეთს ეწინაალმდეგება?

სწავლის მიზანი – იმ სიტუაციების ამოცნობა და ანალიზი, როცა ადამიანის უფლებები ერთმანეთს ეწინაალმდეგება.

მოსწავლის დავალება – განიხილოთ სიტუაცია, როცა ადამიანის უფლებები ერთმანეთს ეწინაალმდეგება.

საჭირო მასალა – დიდი ზომის ფურცელი და მარკერი თითოეული ჯგუფისათვის. მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.3

მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.

### ინფორმაცია

ერთი შეხედვით, ადამიანის უფლებების კონვენციები ნათელი და ერთმნიშვნელოვანია. თუმცა არის შემთხვევები, როცა ადამიანის ერთი უფლება ეწინაალმდეგება ადამიანის სხვა უფლებას. ასეთ დროს, აუცილებელია კრიტიკული აზროვნების მოშველიერა, ორივე მხარის უფლებათა ანონდანოვა და გამოსავლის მოძებნა.

### გაკვეთილი

მოსწავლეები 4-5 კაციან სამუშაო ჯგუფებად იყოფიან. ჯგუფებს მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.3 „ურთიერთნინაალმდეგობრიობა ადამიანის უფლებებში: ხუთი შემთხვევა“, დიდი ზომის ქაღალდი და მარკერი ურიგდებათ.

დასაწყისში, მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, თუ ადამიანის რომელ უფლებებთან გვაქვს საქმე თითოეულ შემთხვევაში. ამ დავალების შესრულებაში მოსწავლეებს დაეხმარება სამუშაო ფურცელი 5.2, რომელზეც ადამიანის უფლებათა ნუსხაა მოცემული. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეთანხმდებიან, თუ ადამიანის რომელი უფლებები ეწინაალმდეგება ერთმანეთს, ისინი ქაღალდს მარკერის საშუალებით ყოფენ შემდეგ ნაწილებად. მასწავლებელს შეუძლია, ასეთი ჩარჩო დაფაზეც დახატოს და მოსწავლეთა მუშაობის შედეგები მასზე დააფიქსიროს.

<b>შემთხვევის ნომერი</b>
ადმინის უფლებები
-
-
-
გადაწყვეტის გზა
რატომ?

შემდეგ მოსწავლეები წინააღმდეგობრივი სიტუაციიდან გამოსავალზე მსჯელობენ; ისინი კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების თითოეულ შემოთავაზებულ ვარიანტს არგუმენტირებულად ასაბუთებენ.

თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ მოსწავლეს, რომელიც ჯგუფის მუშაობის შედეგებს დანარჩენ კლასს წარმოუდგენს. პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ ეთანხმებიან კონკრეტული ჯგუფის მიერ წარმოდგენილ გამოსავლის გზებს და სთხოვს მოსაზრებების დასაბუთებას.

## გაკვეთილი 4 ძალის გამოყენება მისალებია თუ არა ძალის გამოყენება ზოგ შემთხვევაში?

სწავლის მიზანი – კრიტიკული ანალიზი იმისა, თუ რამდენად მისალებია ძალადობის გამოყენება.
მოსწავლის დავალება – გააანალიზეთ ძალის გამოყენების შემთხვევა.
საჭირო მასალა – ბარათები, რომლებზეც დატანილია ამბები მოსწავლის სამუშაო ფურცელ 4.4-დან (აუცილებელია, მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ სასამართლო სისტემაზე).
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.

## ინფორმაცია

დედამიწაზე მშვიდობის დამყარება სანუკვარ მიზნად ითვლება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის ნორმები არ გულისხმობს ძალადობის სრულ აკრძალვას. ეს გაკვეთილი მოსწავლეებს იმის გააზრებაში დაეხმარება, თუ როდისაა ლეგიტიმური ძალის გამოყენება. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ მათ, ან მათი ნაცნობების მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებზე.

## გაკვეთილი

მოსწავლეები 4-5 კაციან სამუშაო ჯგუფებად იყოფიან. მასწავლებელი, ან ერთ-ერთი მოსწავლე კლასს მოსწავლის სამუშაო ფურცელ 4.4-ში მოცემულ პირველ ამბავს წარმოუდებელს.

ერთ გაკვეთილზე ოთხივე ამბის განხილვა ალბათ შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია, აირჩიოს ერთ-ერთი ვარიანტი:

- მთელი კლასი ამუშაოს ორ ამბავზე;
- სხვადასხვა ჯგუფს სამუშაოდ ოთხივე ამბავი დაურიგოს;
- ამ საკითხს კიდევ ერთი გაკვეთილი დაუთმოს.

თითოეული ჯგუფის ამოცანაა, გაეცნონ ამბავს, გაიაზრონ შეკითხვები, იმსჯელონ და მსჯელობის შედეგები კლასის წინაშე წარმოადგინონ. მასწავლებელმა კარგად უნდა გაითავისოს ამ გაკვეთილის მთავარი შეკითხვა: რამდენად დასაშვებია ძალის გამოყენება?

მას შემდეგ, რაც კლასი თითოეული ჯგუფის პრეზენტაციას მოისმენს, მასწავლებელს შეუძლია, გარკვეულწილად შეაჯამოს ამბავი/მიაწოდოს მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაცია ამბავთან დაკავშირებით და მხოლოდ შემდეგ გადავიდეს სხვა ამბავზე.

### მასწავლებლისათვის: ამბები, შეკითხვები და დამატებითი ინფორმაცია ამბავი 1

ანტიგლობალისტების მანიფესტაციის დროს ადამიანთა ჯგუფმა ქვები დაუშინა ტრანსაციონალური კომპანიის შენობას. პოლიციამ, რომელიც ამ შემთხვევას შეესწრო, დააკავა ადამიანები, რომლებმაც შენობას ქვები დაუშინეს. ხალხმა ერთ-ერთი პოლიციელი შეიძყრო და სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შეკითხვები:

1. დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას ცეცხლი გაეხსნა მომიტინგებისათვის, რომლებიც ქვებს ისროდნენ?
2. დასაშვები იქნებოდა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლის გახსნა (ეს უფრო სწრაფად აღმოფხვრიდა პრობლემას, მაგრამ დასრულდებოდა მეტი მსხვერპლით)?
3. დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას მეტი დრო დაეკარგა და წყლის ჭავლი გამოეყენებინა?
4. დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას ძალის გამოყენებისაგან თავი შეეკავებინა და ამით სიტუაციის ესკალაცია აერიდებინა თავიდან?

### ინფორმაცია

საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, გარკვეულ სიტუაციებში პოლიციას შეუძლია ძალის გამოყენება. ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში. ძალა აუცილებლად უნდა იყოს პროპორციული. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელი იღებს ზემდგომისაგან დავალებას, რომელიც ამ წესის უგულებელყოფას გულისხმობს, პოლიციელს შეუძლია, არ დაემორჩილოს ზემდგომს.

### ამბავი 2

ქვეყანა ა ომს უცხადებს ქვეყანა პ-ს, რადგან ქვეყანა ბ აფინანსებს დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, რომელთაც იერიში მიაქვთ ქვეყანა ა-ზე ქვეყანა პ-ს ტერიტორიიდან. ქვეყანა ა-ს დაზერვა აღმოაჩენს, რომ ქვეყანა პ-ს ერთ-ერთ სოფელში ხდება რაზების ინტენსიური

წვრთნა; ასევე, დაზვერვა დაადგენს, რომ მზადდება მსხვილმასშტაბიანი შეტევა ქვეყანა ა-ს მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ობიექტზე.

შეკითხვები:

1. დასაშვები იქნება, რომ ქვეყანა ა-მ დაბომბოს ქვეყანა ბ-ს მითითებული სოფელი და გაანადგუროს, რაც შეიძლება, მეტი ადამიანი, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობა?
2. დასაშვები იქნება დაბომბვა მას შემდეგ, რაც: 1. გააფრთხილებენ დანაშაულებრივ დაჯგუფებას, რომ უპროლეველად ჩაბარდეს ქვეყანა ა-ს ნარმომადგენლებს; 2. გააფრთხილებენ ადგილობრივ მოსახლეობას მოსალოდნელი დაბომბვის შესახებ; 3. ტერიტორიიდან გამოსულ ადგილობრივ მოსახლეობას გაჩხრეკენ და, იარაღის ჩამორთმევის შემდეგ, უსაფრთხო თავშესაფარს მიუჩენენ?
3. დასაშვები იქნება, რომ ქვეყანა ა-მ საერთოდ არ გამოიყენოს ძალა? რა ალტერნატიულ ქმედებას შეიძლება მიმართოს ქვეყანა ა-მ?

## ინფორმაცია

საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები („ჟენევის კონვენცია“) არ კრძალავს გარკვეულ საომარ ქმედებებსა და იარაღის გამოყენებას. ერთ-ერთი ნორმის მიხედვით, არ შეიძლება სამხედრო მოქმედება არასამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ. ასევე, სამხედრო ჩარევა არ უნდა იყოს არაპროპორციული და ერთგვაროვანი. მაგალითად, როცა შედარებით მსუბუქი იარაღით შეიძლება მიზნის მიღწევა, არ შეიძლება ძლიერი ბომბების გამოყენება სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად, რადგან ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ჟენევის კონვენცია“ არ კრძალავს სამხედრო ჩარევას და მოუწოდებს მხარეებს, გაითვალისწინონ მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესები.

## ამბავი 3

ბატონი ბრაუნი, რომელიც ადგილობრივ საავადმყოფოში ტექნიკოსად მუშაობს, როცა სახლში ნასვამი ბრუნდება, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს თავის მეუღლეს. ცოლმა პოლიცია ერთხელ უკვე გააფრთხილა ქმრის დანაშაულებრივი ქცევის შესახებ. მეზობლის ცოლი ერთხელ შემთხვევით შეესწრო ძალადობის სცენას და ახლა კარგად ხვდება, თუ რითი სრულდება ხოლმე ხმამაღალი კამათი მეზობელ ოჯახში.

შეკითხვები:

1. მეზობლის ცოლი ვალდებულია, დარეკოს პოლიციაში, როცა ხმაური ესმის მეზობელი ოჯახიდან? თუ ეს მათ პირად ცხოვრებაში არასწორი ჩარევა იქნება?
2. პოლიცია ვალდებულია, ჩაერიოს ადამიანების ოჯახურ ცხოვრებაში, თუ ისინი ასეთ ინფორმაციას მიიღებენ?

## ინფორმაცია

„მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას, შეთანხმდნენ ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და, ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას, რომ:

მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანებ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში, ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ. კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებების მეშვეობით, უზრუნველყოფებ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას;

იქ, სადაც ეს საჭიროა, მიიღებენ შესაბამის საკანონმდებლო და სხვა ზომებს, მათ შორის,

სანქციებს, რომლებიც აკრძალავენ ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას;

თავს შეიკავებენ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად;

მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ-წესების და პრაქტიკის შესაცვლელად, ან გასაუქმებლად, რომებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია;

გაეროს დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თაობაზე (1993).

## ამბავი 4

ლეო 13 წლის გამხდარი, პატარა ბიჭია; როცა ის სათამაშო მოედანზე გადის, მას დიდი ბიჭები ხშირად ჩაგრავენ. ერთხელაც ლეომ ვერ მოითმინა და დიდ ბიჭებს უთხრა, რომ ჩაგვრა დაუშვებელია და ისინი იქცევიან, როგორც გაუნათლებელი პრიმიტივები. პასუხად, დიდმა ბიჭებმა ლეო სასტიკად სცემეს. ფიზიკურ ძალადობას შეესწრო ლეოს მეგობარი, რომელიც ამ დროს შევიდა სათამაშო მოედანზე. პატარა ბიჭის ცემის ფაქტს შეესწრნენ მოზრდილებიც, რომლებიც მაღაზიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

შეკითხვები:

1. საჭიროა, რომ ლეოს მეგობარი ჩაერიოს ჩხუბში? როგორ?
2. საჭიროა, რომ მოზრდილები ჩაერიონ ჩხუბში? როგორ?
3. სხვა რა გამოსავალს მოძებნიდით არსებული სიტუაციიდან?

დამატებითი დავალების სახით, მოსწავლეებმა შეიძლება მოამზადონ წერილი დიდი ბიჭებისადმი, სადაც გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ბიჭების საქციელის მიმართ. ეს შეიძლება იყოს საშინაო დავალება. მოსწავლეებს წერილის დაწერას გაკვეთილზევე ვთხოვთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სწრაფ ჯგუფურ მუშაობას არიან მიჩვეულნი.

## დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

### რა არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ეფუძნება ჰუმანიტარული დახმარების პრინციპებს და იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს მებრძოლთა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის გადარჩენასა და ტანჯვის შემსუბუქებას ეხება. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი იურიდიული დოკუმენტია უენევის ოთხი კონვენცია (1949), რომელსაც ხელს აწერს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. კონვენციები ეხება ხმელეთზე და ზღვაზე მოქმედი სამხედრო ნაწილების დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების პირობების გაუმჯობესებას, სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობას და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას ომის დროს. ამ კონვენციებს 1977 წელს დაემატა კიდევ ორი, რომელთა მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება.

## ვის იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი? მე მიცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცავს სამხედრო ნაწილების დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს, სამხედრო ტყვეებსა და მშვიდობიან მოსახლეობას. სამხედრო ნაწილების დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს, რომელი ქვეყნის მოქალაქეებიც არ უნდა იყვნენ ისინი, საჭიროა, მიაქციონ ყურადღება და მიხედონ მათ, უენევის პირველი კონვენციით განსაზღვრული პირობების თანახმად. იკრძალება მათი სიცოცხლის ხელყოფა, წამება, ან მათზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, სამედიცინო მომსახურებისა და მოვლის გარეშე წინასწარი განზრახვით მიტოვება, ასევე, განზრახ პირობების შექმნა მათი დასწებოვანებისათვის. კონვენცია, ასევე, იცავს სამედიცინო და სასულიერო პერსონალს, სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობებსა და დანადგარებს.

უენევის მეორე კონვენცია იცავს საზღვაო სამხედრო ნაწილების დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლებს, სამხედრო გემის განადგურებაში მოყვლილ მებრძოლებს; მათ ეკუთვნით ისეთივე მოპყრობა, როგორც სახმელეთო ნაწილებს. ეს კონვენცია, ასევე, იცავს პოსპიტალურ გემებს.

უენევის მესამე კონვენცია ეხება სამხედრო ტყვეების უფლებებს; მათ უნდა მოეყრონ ჰუმანურად, უზრუნველყონ შესაბამისი საკვებით, საცხოვრებლით, ტანსაცმლითა და სამედიცინო დახმარებით. იკრძალება მათი წამება, ან მათზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება. ისინი უნდა იყვნენ დაცულნი ძალადობების, შეურაცხოფისა და ხალხის ცნობის-მოყვარეობისაგან. ანალოგიური უფლებები ვრცელდება ტყვედ ჩავარდნილ უურნალისტებზე, ან სამოქალაქო პირებზე, რომლებიც თან ახლდნენ სამხედროებს.

უენევის მეორე კონვენცია იცავს სამოქალაქო პირებს. სამხედრო კონფლიქტში ჩართული მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ ყოველთვის განასხვავებენ სამხედრო პირებს სამოქალაქო პირებისაგან და იერიშს მიიტანენ მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე. სამოქალაქო პირებს უნდა შეუნარჩუნდეთ ნორმალური ცხოვრების პირობები. ისინი დაცულნი უნდა იყვნენ სიცოცხლის ხელყოფის, წამების, ძარცვის, რეპრესიებისა და ტყვეობისაგან. პატივი უნდა ეცეს სამოქალაქო პირების ღირსებას, ოჯახურ უფლებებსა და რელიგიურ შეხედულებებს. ოკუპანტებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო პირებისათვის საკვებისა და სამედიცინო დახმარების უსაფრთხო მიწოდება, საავადმყოფოებისა და უსაფრთხოების ზონების შექმნა დაჭრილების, ავადმყოფების, მოხუცებულების, ბავშვების, ორსულების და ჩვილ ბავშვთა დედებისათვის. ეს კონვენცია უზრუნველყოს ქალთა და ბავშვთა განსაკუთრებულ დაცვას. საავადმყოფოს თანამშრომლები, რომლებიც მათ უვლიან, უნდა იყვნენ დაცულნი.

უენევის კონვენციების მიხედვით, ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმოვარის ეროვნული საზოგადოებები, ან სხვა მიუკერძოებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციები, რომელთაც უფლებამოსილებას ანიჭებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები.

## რა განსხვავებაა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი ერთ-მანეთს ავსებს. ორივე იცავს ადამიანებს ფიზიკური ზიანისა და ღირსების შელახვისაგან, მაგრამ ისინი სხვადასხვა გარემოებაში მოქმედებენ და სხვადასხვა დოკუმენტი უდევთ საფუძვლად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სამხედრო ქმედებებს უკავშირდება და იცავს მათ, ვინც მოწინააღმდეგის ხელში ვარდება. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი მიზანია სამხედრო ქმედებების დროს დაჭრილთა, ავადმყოფთა, საზღვაო სამხედრო ქმედებების მსხვერპლთა, სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო პირების დაცვა. ადამიანის უფლებათა სამართალი ვრცელდება როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პირობებში; მისი მთავარი მიზანია ადამიანების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა, როცა მათი მთავრობა ამ უფლებებს არღვევს.

## საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და არასრულწლოვანი ჯარისკაცები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს არასრულწლოვანთა ჩართვას საომარ მოქმედებებში. ასეთი აკრძალვის მიუხედავად, მსოფლიოს მრავალ კუთხეში არასრულწლოვნები მონაწილეობას იღებენ საბრძოლო მოქმედებებში. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მიხედვით, 15 წლამდე ასაკის ბავშვების ომში განვევა დაუშვებელია და ყველა ზომა უნდა იყოს მიღებული, რათა თავიდან იყოს აცილებული არასრულწლოვანთა საომარ მოქმედებებში ჩართვა. 15-დან 18 წლამდე ახალგაზრდების განვევისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ ასაკით უფრო დიდებს (მუხლი 77, პროტოკოლი I). სამწუხაროდ, ეს ნორმები ხშირად უგულებელყოფილია. ბავშვები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით, ობლები და საზოგადოების მიერ სხვა ფორმით გარიყულნი, ხშირად იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. არის შემთხვევები, როცა ბავშვებს ძალით აქცევენ ჯარისკაცებად, თუმცა ზოგი ბავშვი თავად ირჩევს ჯარისკაცობას, როგორც ფიზიკური გადარჩენის გზას.

### რა შემთხვევებში გამოიყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება საერთაშორისო (ქვეყნებს შორის) შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან სამოქალაქო (ქვეყნის შიგნით) ომის პირობებში.

### როგორ შეიძლება მივუსადაგოთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები 11 სექტემბრის მოვლენებს?

2001 წლის 11 სექტემბერს დაიღუპა უამრავი ადამიანი და, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ეს ტრაგედია საომარ მოქმედებას უტოლდება. თუმცა, სადავოა, რამდენად შეიძლება მივუსადაგოთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები 11 სექტემბრის მოვლენებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება საერთაშორისო (ქვეყნებს შორის) შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან სამოქალაქო (ქვეყნის შიგნით) ომის პირობებში. თუ ნიუ-იორქსა და ვამინგტონში სამოქალაქო ობიექტების საშინელი განადგურება ტერორისტულმა დაჯგუფებამ განახორციელა, ის ტრაგედია შეიძლება ჩაითვალოს საშინელ დანაშაულად, და არა საომარ მოქმედებად, რომელსაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები შეიძლება მივუსადაგოთ.

### რამდენად უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ქალების განსაკუთრებულ დაცვას?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ასეთ დაცვას ნამდვილად უზრუნველყოფს. ზოგადად, ქალებზე ვრცელდება ისეთივე უფლებები, როგორც მამაკაცებზე, თუმცა ქენევის კონვენციებში ნათევამია, რომ „ქალებს უნდა მოეპყრონ მათი სქესის გათვალისწინებით“ (მუხლი 12, ქენევის პირველი და მეორე კონვენციები; მუხლი 14, ქენევის მესამე კონვენცია). სხვა სიტყვებით, იქმნება დაცვის დამატებითი გარანტიები ქალთა სქესთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორების გამო, როგორებიცა: ღირსება, ორსულობა და ბავშვის გაჩენა. მაგალითად, ქალი ტყვეები, ან დაკავებულები უნდა მოთავსდნენ მამაკაცებისაგან განცალკევებით, ქალების მეთვალყურეობის ქვეშ. ქალები უნდა იქნენ დაცულნი „გაუპატიურების, ძალადობრივი პროტექტიციის და ყველა სხვა ფორმის შეურაცხყოფისაგან“ (ქენევის მეოთხე კონვენცია, მუხლი 27, ასევე, მუხლები 75 – 76, პროტოკოლი I). საომარი მოქმედებების არეალიდან გარიდებისას პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოთ „ორსულებს, ახალნამობისარებ ქალებსა და ჩვილი ბავშვების დედებს“ (მუხლი 70, პროტოკოლი I). საომარი მოქ-

მედებების პირობებში ქალების მოპყრობასთან დაკავშირებულ საკითებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, გაეცნოთ კვლევას „ქალები და ომი“ ([www.womenandwar.org](http://www.womenandwar.org)).

## როგორ უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ბავშვთა უფლებების დაცვას?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს შეტევას სამოქალაქო პირებზე და განსაკუთრებულად იცავს ბავშვებს. სამოქალაქო პირები დაცული უნდა იყვნენ სიცოცხლის ხელყოფის, წამების, ძარცვის, რეპრესიებისა და ტყვეობისაგან. პატივი უნდა ეცეს სამოქალაქო პირების ღირსებას, ოჯახურ უფლებებსა და რელიგიურ შეხედულებებს. ოკუპანტებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო პირებისათვის საკვების და სამედიცინო დახმარების უსაფრთხო მიწოდება, საავადმყოფოებისა და უსაფრთხოების ზონების შექმნა დაჭრილების, ავადმყოფების, მოხუცებულების, ბავშვების, ორსულებისა და ჩვილ ბავშვთა დედებისათვის. განსაკუთრებული პირობები მოქმედებს იმ ბავშვებზე, რომლებიც ოჯახის მზრუნველობის გარეშე არიან დარჩენილნი, აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, ან ვერ უკავშირდებიან ოჯახის წევრებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ 15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც დაობლებულნი, ან მოწყვეტილნი არიან თავიანთ ოჯახებს; მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაიცვან თავიანთი რელიგიური ადათ-წესები და მიიღონ განათლება.

## ითვლება თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის ნორმების დარღვევად სამოქალაქო პირების დალუპვა საომარი მოქმედებების დროს?

სამოქალაქო პირების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. უენევის მეოთხე კონვენციის მიხედვით, დაცული უნდა იყოს სამოქალაქო პირების სიცოცხლე და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააგრძელონ ნორმალური ცხოვრება, თუ არსებობს უსაფრთხოების სათანადო პირობები. 1977 წელს დამატებული პირველი პროტოკოლი აზუსტებს სამოქალაქო პირთა დაცვის მექანიზმებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა პირველ პროტოკოლს, ვერ კიდევ არ მომხდარა ამ პროტოკოლის რატიფიკაცია. აშშ აცხადებს, რომ ის დაიცავს ამ პროტოკოლით გათვალისწინებულ პირობებს.

პირველი პროტოკოლის 48-ე მუხლში ნათქვამია:

„სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვის მიზნით, სამხედრო კონფლიქტში ჩართული მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ ყოველთვის განასხვავებენ სამხედრო პირებს სამოქალაქო პირებისაგან და იერიშს მიიტანენ მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე“. სამოქალაქო პირებზე და სამოქალაქო ობიექტებზე პირდაპირი იერიშის აკრძალვის გარდა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს შერეულ თავდასხმას, რომლის მსხვერპლი შეიძლება სამოქალაქო პირები იყვნენ. ასეთი საშიშროება მაშინ წამოიჭრება, როცა სამხედრო ობიექტის იერიშის დროს თავდამსხმელი არ ითვალისწინებს ამ იერიშის პოტენციურ უარყოფით ზეგავლენას სამოქალაქო პირებზე (პირველი პროტოკოლის 41-ე მუხლი).

ომის დროს სამოქალაქო პირის დალუპვა ყოველთვის უკანონო არ არის. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ კრძალავს შეიარაღებულ კონფლიქტებს, ის მხოლოდ ცდილობს, დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესები ასეთი კონფლიქტის პირობებში. შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აღიარებს, რომ ნებისმიერ საომარ მოქმედებებს თან ახლავს „ორმხრივი დანაკარგი“, რაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, სამოქალაქო პირების დანაკარგს გულისხმობს.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.1

კონფლიქტის გადაჭრის ექსეტაპიანი მიღება

1. მხარე 1: მოთხოვნები ა. ბ. გ. დ.	1. მხარე 2: მოთხოვნები ა. ბ. გ. დ.
2. არსებული კონფლიქტის განსაზღვრება	
3. არსებული კონფლიქტის გადაჭრის გზები ა. ბ. გ. დ.	
4. მხარე 1: გადაჭრის გზების შეფასება ა. ბ. გ. დ.	4. მხარე 2: გადაჭრის გზების შეფასება ა. ბ. გ. დ.
5. რომელია კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო გზა?	
6. როდის და როგორ შეფასდება, რამდენად სწორად გადაიჭრა ეს კონფლიქტი?	

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.2

კონფლიქტების მაგალითები

### კონფლიქტი 1

ორი მეზობელი ვერ რიგდება იმ ღობესთან დაკავშირებით, რომელიც მათ სახლებს ერთ-მანეთისაგან ჰყოფს. ერთი მეზობელი თვლის, რომ აუცილებელია ღობის გამოცვლა, რადგან არსებული ღობე მოძველდა; მას სურს, რომ მეორე მეზობელმა გადაიხადოს ღობის გამოცვლის საფასურის ნახევარი. მეორე მეზობელი აღიარებს, რომ ღობე არ არის კარგ მდგომარეობაში, მაგრამ არ სურს ღობის გამოცვლასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილის დაფარ-

ვა. მეორე მეზობელი მიიჩნევს, რომ, ღობის სიძველისდა მიუხედავად, ის თავის ფუნქციას ჯერ კიდევ ასრულებს – მეზობლის ძალას აკავებს საკუთარ ზოში და ძალი ვერ გადმოდის მის ბალში. ზოგადად, მეორე მეზობელს არ მოსწაონს, როცა პირველი მეზობელი საჯაროდ იწონებს თავს ახალი, ძვირადღირებული ნივთებით.

## კონფლიქტი 2

დედა და მამა ვერ მორიგებულან, თუ რა რეაქციით უპასუხონ მათი ორი წლის შვილის ხმაურს. მამა თვლის, რომ ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა ისწავლოს ქცევის წესები; მას სურს სახლში სიწყნარე, რადგან მისი სამსახური ძალიან დამდლელია. დედა კი თვლის, რომ არ შეიძლება ორი წლის ბავშვს მუდმივად აუკრძალო ხმაური და ტირილი, რადგან ეს მის განვითარებას შეაფერხებს.

### მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.3

ურთიერთნინაალმდეგობრიობა ადამიანის უფლებებში: ხუთი შემთხვევა

## შემთხვევა 1

მაქსი არის 8 წლის ბიჭი, რომელიც სერიოზულად დაშავდა ავარიაში და სასწრაფოდ სჭირდება სისხლის გადასხმა. რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ბიჭის მამა სისხლის გადასხმის სასტიკი წინაალმდეგია. მაქსის დედას და ექიმებს კი სურთ, გადაარჩინონ ბიჭის სიცოცხლე.

## შემთხვევა 2

საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის განყოფილებაში ადამიანთა შეზღუდული რაოდენობა მუშაობს. ერთ საღამოს, ძალიან ბევრი პაციენტის თავმოყრის გამო, მხოლოდ ერთი საოპერაციო ოთახი აღმოჩნდა თავისუფალი. ორი პაციენტი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. ექიმებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ ვის მიანიჭონ უპირატესობა, პატარა ბავშვს თუ წარმატებულ ბიზნესმენს.

## შემთხვევა 3

გუსი არის რელიგიური პარტიის დაფასებული წევრი, რომლისთვისაც ძალიან ძვირფასია ოჯახური ღირებულებები. გუსის პარტიის ოფისში ჟურნალისტი აღმოჩენს სასიყვარულო წერილებს, რაც ადასტურებს, რომ გუსი მეუღლეს ღალატობს. ჟურნალისტი ამ წერილებს აქვეყნებს.

## შემთხვევა 4

იორიუ განვითარებად ქვეყანაში ცხოვრობს. ის ღარიბია და საკუთარი სახსრებით მხოლოდ საბაზო საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლია. მას სწავლის დაწყება სურს, მაგრამ არ აქვს სათანადო მატერიალური რესურსები. სახელმწიფო მას ვერ ეხმარება სწავლის საფასურის დაფარვაში, რადგან მთელი სახელმწიფო რესურსი მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზეა მიმართული.

## შემთხვევა 5

ადგილობრივ ხელისუფლებას სურს, ააშენოს სკოლა ბავშვების სათამაშო მოედანზე. სკოლის აშენების შემთხვევაში ბავშვებს აღარ ექნებათ ადგილი, სადაც თამაშს შეძლებენ.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 4.4

დასაშვებია თუ არა ძალადობა ზოგ შემთხვევაში?

### ამბავი 1

ანტიგლობალისტების მანიფესტაციის დროს ადამიანთა ჯგუფმა ქვები დაუშინა ტრანსნაციონალური კომპანიის შენობას. პოლიციამ, რომელიც ამ შემთხვევას შეესწრო, დააკავა ადამიანები, რომელმაც შენობას ქვები დაუშინეს. ხალხმა ერთ-ერთი პოლიციელი შეიტყრო და სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შეკითხვები:

- დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას ცეცხლი გაეხსნა მომიტინგებისათვის, რომ-ლებიც ქვებს ისროდნენ?
- დასაშვები იქნებოდა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლის გახსნა (ეს უფრო სწრაფად აღ-მოფხვრიდა პრობლემას, მაგრამ დასრულდებოდა მეტი მსხვერპლით)?
- დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას მეტი დრო დაეკარგა და წყლის ჭავლი გამოეყ-ენებინა?
- დასაშვები იქნებოდა, რომ პოლიციას ძალის გამოყენებისაგან თავი შეეკავებინა და ამით სიტუაციის ესკალაცია აერიდებინა თავიდან?

### ამბავი 2

ქვეყანა ა ომს უცხადებს ქვეყანა ბ-ს, რადგან ქვეყანა ბ აფინანსებს დანაშაულებრივ და-ჯგუფებებს, რომელთაც იურიში მიაქვთ ქვეყანა ა-ზე ქვეყანა ბ-ს ტერიტორიიდან. ქვეყანა ა-ს დაზვერვა აღმოაჩენს, რომ ქვეყანა ბ-ს ერთ-ერთ სოფელში ხდება რაზების ინტენსიური წვრთნა; ასევე, დაზვერვა დაადგენს, რომ მზადდება მსხვილმასშტაბიანი შეტევა ქვეყანა ა-ს მნიშვნელოვან ინდუსტრიულ აბიექტზე.

შეკითხვები:

- დასაშვები იქნება, რომ ქვეყანა ა-მ დაბომბოს ქვეყანა ბ-ს მითითებული სოფელი და გაანადგუროს, რაც შეიძლება, მეტი ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მოსახ-ლება?
- დასაშვები იქნება დაბომბვის განხორციელება მას შემდეგ, რაც: 1. გააფრთხილებენ დანაშაულებრივ დაჯგუფებას, რომ უპრძოლველად ჩაბარდეს ქვეყანა ა-ს წარმომად-გენლებს; 2. გააფრთხილებენ ადგილობრივ მოსახლეობას მოსალოდნელი დაბომბვის შესახებ; 3. ტერიტორიიდან გამოსულ ადგილობრივ მოსახლეობას გაჩერეკენ და, ია-რალის ჩამორთმევის შემდეგ, უსაფრთხო თავშესაფარს მიუჩენენ?
- დასაშვები იქნება, რომ ქვეყანა ა-მ საერთოდ არ გამოიყენოს ძალა? რა ალტერნა-ტიულ ქმედებას შეიძლება მიმართოს ქვეყანა ა-მ?

### ამბავი 3

პატონი ბრაუნი, რომელიც ადგილობრივ საავადმყოფოში ტექნიკოსად მუშაობს, როცა სახლში ნასვამი ბრუნდება, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს თავის მეულლეს. ცოლმა პოლიცია ერთხელ უკვე გააფრთხილა ქმრის დანაშაულებრივი ქცევის შესახებ. მეზობლის ცოლი ერთხელ შემთხვევით შეესწრო ძალადობის სცენას და ახლა კარგად ხვდება, თუ რითი სრულდება ხოლმე ხმამაღალი კამათი მეზობელ ოჯახში.

შეკითხვები:

1. მეზობლის ცოლი ვალდებულია, დარეკოს პოლიციაში, როცა ხმაური ესმის მეზობელი ოჯახიდან? თუ ეს მათ პირად ცხოვრებაში არასწორი ჩარევა იქნება?
2. პოლიცია ვალდებულია, ჩაერიოს ადამიანების ოჯახურ ცხოვრებაში, თუ ისინი ასეთ ინფორმაციას მიიღებენ?

## ამბავი 4

ლეო 13 წლის გამხდარი, პატარა ბიჭია; როცა ის სათამაშო მოედანზე გადის, მას დიდი ბიჭები ხშირად ჩაგრავენ. ერთხელაც ლეომ ვერ მოითმინა და დიდ ბიჭებს უთხრა, რომ ჩაგვრა დაუშვებელია და ისინი იქცევიან, როგორც გაუნათლებელი პრიმიტივები. პასუხად, დიდმა ბიჭებმა ლეო სასტიკად სცემეს. ფიზიკურ ძალადობას შეესწრო ლეოს მეგობარი, რომელიც ამ დროს შევიდა სათამაშო მოედანზე. პატარა ბიჭის ცემის ფაქტს შეესწრნენ მოზრდილებიც, რომლებიც მაღაზიიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

შეკითხვები:

1. საჭიროა, რომ ლეოს მეგობარი ჩაერიოს ჩხუბში? როგორ?
2. საჭიროა, რომ მოზრდილები ჩაერიონ ჩხუბში? როგორ?
3. სხვა რა გამოსავალს მოძებნიდით არსებული სიტუაციიდან?

## **მეორე ნაწილი – პასუხისმგებლობის აღება**

**თავი 5.**

უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები.  
რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება ამ უფლებათა დაცვა?

**თავი 6.**


პასუხისმგებლობა. რა პასუხისმგებლობები გვაკისრია?



## თავი 5

# უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები

რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება  
ამ უფლებათა დაცვა?



5.1 სურვილები, ძირითადი საჭიროებები, ადამიანური ღირსება  
და ადამიანის უფლებები  
მაქვს უფლება, მოვიქცე ისე, როგორც მსურს?

5.2 ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტი-  
ფიცირება  
ადამიანის რომელი უფლების დარღვევასთან გვაქვს საქმე?

5.3 უფლებები და პასუხისმგებლობები  
როგორ შეიძლება არსებობდეს უფლებები პასუხისმგებლობების გარეშე?

5.4 ადამიანის უფლებები: ტესტი  
რა არის უფლება? რა უნდა იყოს ადამიანის უფლება?

## თავი 5: უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება ამ უფლებათა დაცვა?

ადამიანის უფლებათა დაცვა მნიშვნელოვანია ადამიანთა განვითარებისა და მათი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. ამავდროულად, ადამიანის უფლებები განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს პიროვნებისადმი. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტებია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ბავშვთა უფლებების კონვენცია. ადამიანის უფლებები, ტრადიციულად, იყოფა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებად. ეს კატეგორიები უკავშირდება ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები „პირველი თაობის“ უფლებებად მოიხსენიება ხოლმე, სოციალური და ეკონომიკური უფლებები – „მეორე თაობის“ უფლებებად, კულტურული და განვითარების უფლებები კი „მესამე თაობას“ მიეკუთვნება. ასეთი კატეგორიზაციის მიუხედავად, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ადამიანის უფლებათა ინტეგრირებული აღქმის მომხრეა. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა თანაბრად უსვამს ხაზს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის უფლებებს – სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ცდლობს, გვერდი აუაროს წარსულში დამკვიდრებულ მიდგომას იმის თაობაზე, რომ გარკვეული უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა დანარჩენი. ადამიანის უფლებები, ტრადიციულად, ასოცირდება სახელმწიფოსთან და მის პიროვნებასთან ურთიერთობასთან. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა ჯგუფების უფლებებზე. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ამ იდეების გატარება მნიშვნელოვანია როგორც თავად ადამიანის უფლებათა ცნების, ისე ადგილობრივი, ეროვნული და რეგიონული თემების განვითარებისათვის.<sup>22</sup>

ადამიანის უფლებებში სამ ელემენტს გამოყოფენ: უფლების მეპატრონე, უფლების შინაარსი (რა შეიძლება მოითხოვოს მეპატრონემ ამ უფლების მიხედვით), პასუხისმგებელი პირი (ის პიროვნება ან დაწესებულება, რომელიც ვალდებულია, უზრუნველყოს უფლების მეპატრონის მიერ უფლების გამოყენება). პასუხისმგებლობა ფასდება სამ დონეზე:

- ადამიანის უფლებათა პატივისცემა. პირდაპირი ან ირიბი ფორმით ადამიანის უფლებათა შელახვისაგან თავშეკავება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთი დაწესებულებების და პირობების შექმნისაგან თავშეკავებას, რაც ადამიანთა უფლებათა დარღვევას შეუწყობდა ხელს; ასევე, ყველა იმ ხელშემწყობ ინსტრუმენტებზე უარის თქმას, რომელიც ადამიანის უფლებათა შელახვას გამოიწვევს;
- ადამიანის უფლებათა დაცვა. ხელის შეშლა მათთვის, ვინც ადამიანის უფლებებს არღვევს, მაგალითად, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო კორპორაციების, თემის ლიდერების, ოჯახის წევრებისათვის;
- უფლებაშეზღუდულთათვის დახმარების აღმოჩენა. იმ ადამიანების ხელშეწყობა, რომელთა უფლებების სათანადო დაცვა ვერ მოხერხდა, ან რომლებიც ემსხვერპლნენ ბუნებრივ კატასროფებს. ასეთი დახმარება გულისხმობს იურიდიულ, საბიუჯეტო, საკანონმდებლო და სხვა ქმედებებს, რათა შეიქმნას საუკეთესო გარემო ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.<sup>23</sup>

22 წიგნიდან „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის: სიტყვათა განმარტება“, კარენ ო’შეა, ევროსაბჭო (2003), გვ. 29.

23 „მოვალეობები და საზღვრები. ადამიანის უფლებები და გლობალური სოციალური სამართლიანობა“, ადამიანის უფლებათა პოლიტიკის საერთაშორისო საბჭო.

თავისუფლებები, რომლებიც სამოქალაქო უფლებების ფორმითაა დაცული, მოიცავს: აზროვნების, შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლებას, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და მშვიდობი-ანი თავყრილობის გამართვის თავისუფლებას. სხვა სამოქალაქო უფლებები იცავენ ადამი-ანის პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლებას და თანასწორობას კანონის წინაშე.<sup>24</sup>

ადამიანის თითოეულ უფლებას უკავშირდება გარკვეული პასუხისმგებლობები, როგორც მოქალაქეთა, ისე სახელმწიფოს მხრიდან. ყოველი ადამიანი მორალურად ვალდებულია, არ შეურაცხოს სხვა ადამიანის პირადი ლირსება. მთავრობა, რომლის მოქმედებას არეგული-რებს კონსტიტუცია და საერთაშორისო ხელშეკრულებები, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული პასუხისმგებლობის მატარებელია.

## განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები

გაკვეთილთა ეს სერია დაეხმარება მოსწავლეებს:

- უკეთ გაიაზრონ ადამიანის უფლებათა არსი; ის წინაპირობები, რომლებიც ყველა ადამიანს ღირსეული ცხოვრების საშუალებას აძლევს;
- გაიღრმაონ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების ცოდნა;
- გაიუმჯებესონ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების ამოცნობის უნარი;
- უკეთ გაიაზრონ, თუ როგორ შეუძლიათ წვლილის შეტანა ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვაში;
- გააცნობიერონ ის პასუხისმგებლობები, რომლებიც ადამიანის უფლებებს უკავშირდება: სახელმწიფოსა და სხვადასხვა დაწესებულების, ისევე, როგორც მათი, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობები.

24 „მოვალეობები და საზღვრები. ადამიანის უფლებები და გლობალური სოციალური სამართლიანობა“, ადამი-ანის უფლებათა პოლიტიკის საერთაშორისო საბჭო.

## თავი 5: უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები რა უფლებები გვაქვს და როგორ ხდება ამ უფლებათა დაცვა?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: სურვილები, ძირითადი საჭიროებები, ადამიანური ღირსება და ადამიანის უფლებები.	მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ ადამიანის უფლე- ბათა დაცვა ადამიანის ღირსეული ცხოვრების წინაპირობაა.	მოსწავლეები აკავშირებენ მათ სურვი- ლებს საკუთარ საჭიროებებთან და ადამიანის უფლებებთან.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.1 მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2	ჯგუფური მუშაობა. დისკუსია. კრიტიკული აზროვნება.
გაკვეთილი 2: ადამიანის უფლე- ბათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირე- ბა.	მოსწავლეებს შეუძლიათ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირება.	მოსწავლეები ეცნობან ადა- მიანის უფლე- ბათა დარღვევის შემთხვევებს.	მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.3 მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2	ჯგუფური ან წყვილებში მუშაობა. დისკუსია.
გაკვეთილი 3: უფლებები და პასუხისმგე- ბლობები	მოსწავლეებს გააზრე- ბული აქვთ, თუ როგორ შეიძლება შეიტანონ წვლილი ადამიანის უფლებათა დაცვაში; მათ ესმით, რომ ადამიანის უფლებები უკავშირდება გარკვეულ პასუხისმგე- ბლობებს: სახელმწიფოსა და სხვადასხვა დაწესებ- ულების, ისევე როგორც მათ, საკუთარ მორალურ პასუხისმგებლობებს.	მოსწავლეები ახდენენ იმ პა- სუხისმგებლობების (მათ შორის, საკუთარი მორ- ალური პასუხ- ისმგებლობის) იდენტიფიკა- ციას, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლე- ბათა დაცვისათ- ვის.	ცარიელი ფურ- ცელი და კალამი მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.4 მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2	ჯგუფური ან წყვილებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.
გაკვეთილი 4: ადამიანის უფლე- ბები: <b>ტესტი</b>	მოსწავლეებს გააზრე- ბული აქვთ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები.	მოსწავლეები ირჩევენ სწორ პასუხს შეკითხ- ვებზე, რომელთა რამდენიმე სავა- რაუდო პასუხი მოცემულია და ამ პასუხებს განიხილავენ.	ბარათები თითოეული მო- სწავლისათვის, რომელთაც პასუხ- ები უკანა მხარეზე აქვს დატანილი (მოსწავლის სამ- უშაო ფურცელი 5.5)	შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით.

## გაკვეთილი 1

### სურვილები, ძირითადი საჭიროებები, ადამიანური ღირსება და ადამიანის უფლებები მაქვს უფლება, მოვიქცე ისე, როგორც მსურს?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ადამიანის ღირსეული ცხოვრების წინაპირობაა.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აკავშირებენ თავიანთ სურვილებს საკუთარ საჭიროებებთან და ადამიანის უფლებებთან.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.1 (ჯგუფზე ერთი სამუშაო ფურცელი; ჯგუფი 4-5 მოსწავლისაგან შედგება)

მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2 (ჯგუფზე ერთი სამუშაო ფურცელი; ჯგუფი 4-5 მოსწავლისაგან შედგება).

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა. დისკუსია. კრიტიკული აზროვნება.

## ცნებები

აუცილებელია, მოსწავლეებმა კარგად განასხვავონ სურვილი საჭიროებისაგან. ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის, არის საჭიროება. ადამიანის უფლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველს სწორედ ადამიანის საჭიროებები წარმოადგენს.

## გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს, მაგრამ დეტალურად არ აღწერს გაკვეთილის თემას. მოსწავლეები იწყებენ ერთმანეთის გამოკითხვას მათი სურვილებისა და საჭიროებების შესახებ. მოგვიანებით, ისინი აღმოაჩენენ, რომ ბევრი საჭიროება ადამიანის უფლებებს მჭირდოდ უკავშირდება. შემდეგ მოსწავლეები 4-5 კაციან ჯგუფებად იყოფიან და დავალებებს ორ წებად იღებენ. მასწავლებელი მოსწავლეებს ჯერ პირველ დავალებას აცნობს და მხოლოდ პირველი დავალების დასრულების შემდეგ აცნობს მეორეს. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება მოსწავლეების ინდივიდუალური ტემპის გათვალისწინება.

- დავალება 1: მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.1 „სურვილები, საჭიროებები და უფლებები“. სამუშაო ფურცელზე დატანილი ცხრილის მარცხენა სვეტში ჯგუფები აყალიბებენ „მატერიალურ“ სურვილებს (მაგალითად, „კარგი ვახშამი“). ყოველი „მატერიალური“ სურვილის შემდეგ წერენ მინიმუმ სამ „არამატერიალურ“ სურვილს (მაგალითად, „ვიყო სიყვარულის ობიექტი“). შემდეგ მოსწავლეები ფიქრდებიან იმ საჭიროებებზე, რომელთაც ეს სურვილები უკავშირდება და საჭიროებებს მეორე სვეტში, სურვილების გასწვრივ წერენ.
- დავალება 2: როცა ჯგუფი ასრულებს მუშაობას პირველ დავალებაზე, მასწავლებელი მას აძლევს სამუშაო ფურცელ 5.2-ს, რომელზეც ადამიანის უფლებებია ჩამოთვლილი. მოსწავლეებმა უნდა მიუწერონ სურვილებსა და საჭიროებებს შესაბამისი უფლებები (მაგალითად, „საკვების უფლება“, „დისკრიმინაციისაგან თავისუფლება“). ამ უკანასკნელთა ჩამონათვალი სამუშაო ფურცელ 5.1-ის ბოლო, მარჯვენა სვეტში კეთდება.
- დავალება 3: ის ჯგუფები, რომლებიც წინა ორ დავალებას დროულად დაასრულებენ, შეიძლება შეუდგნენ ადამიანის უფლებათა პოსტერზე მუშაობას. ამ მიზნით, ისინი ირჩევენ ერთ საჭიროებას და შესაბამის უფლებას. ჯგუფმა უნდა განიხილოს შერჩეული

საჭიროება და უფლება, შემდეგ კი ორიგინალურად გამოსახოს ისინი პოსტერზე.

ჯგუფებში მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ჯგუფების იდეებს დაფაზე ან ფლიპჩარტზე წერს. ფლიპჩარტის გამოყენება უკეთესია, რადგან შემდეგ ის შეიძლება კე-დელზე განთავსდეს. მასწავლებელი სამუშაო ფურცელ 5.1-ზე გამოსახული ცხრილის მსგავს ცხრილს დაფაზე/ფლიპჩარტზე ხატავს და თითოეული ჯგუფის სურვილებით, საჭიროებებითა და უფლებებით ავსებს მანამ, სანამ დაფაზე/ფლიპჩარტზე არ იქნება, დაახლოებით, ათი სურვილი, საჭიროება და შესაბამისი უფლება.

შემდეგ მასწავლებელი უძლვება დისკუსიას ქვემოთ მოყვანილი იდეების გარშემო:

- „თქვენ აღმოჩინეთ, რომ თქვენი სურვილები და საჭიროებები ადამიანის უფლებათა კონვენციას შეესაბამება. ამას ახსნა-განმარტება სჭირდება!“
- „ჩვენ არ გვიფიქრია კონვენციაში დაცულ ზოგიერთ უფლებაზე. შესაძლოა, ისინი არ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ან რომელიმე სხვა უფლებაში იგულისხმება. რას ფიქრობთ?“
- „შეხედეთ ადამიანის უფლებათა ნუსხას. როცა თქვენ აყალიბებთ, თუ რა გჭირდებათ იმისათვის, რომ ნორმალურად იცხოვროთ და როცა ფიქრობთ იმაზე, თუ რა სჭირდებათ ადამიანებს სხვა ქვეყნებში, რეგიონებში ან კონტინენტებზე, როგორ ფიქრობთ, რა აკლია ამ ნუსხას? ადამიანთა რომელ უფლებას დაამატებდით?“

დისკუსიის ბოლოს, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მსოფლიოში არ წყდება დებატები ადამიანის უფლებათა შესახებ. შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება: „ადამიანის უფლებები საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანებს ღირსეული ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ“. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ამ დასკვნის ალტერნატივებზე იფიქრონ, რაც, შეიძლება, საშინაო დავალებადაც მიეცეთ. შემდეგი რამდენიმე დღის მანძილზე, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ დაამატონ იდეები კედელზე გაკრულ ფლიპჩარტზე ჩამოთვლილ სურვილებს, საჭიროებებსა და უფლებებს. ეს მათ საშუალებას მისცემს, გააგრძელონ ფიქრი ამ საკითხზე.

დამატებითი დავალების სახით, მოსწავლეებს შეიძლება ვთხოვოთ, მოამზადონ პოსტერები ადამიანის უფლებათა თემაზე. ამ მიზნით, მათ შეიძლება, გამოიყენონ გაზეთებიდან და ურნალებიდან ამოჭრილი სტატიები, ნახატები და ა.შ. შესაძლებელია მოსწავლეთა პოსტერების გამოფენის მოწყობაც და/ან კლასის კედლებზე მათი განთავსება.

ბოლოს, მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილის მიზნებსა და გაკვეთილზე გამოთქმულ მოსაზრებებს; მას შეუძლია, მოსწავლეებს აუხსნას, რომ ის ინდუქციურ მიდგომას იყენებს. ამ მიდგომის არსი კი მდგომარეობს, პიროვნული გამოცდილებისა და იდეების განხილვის საფუძველზე, კონკრეტულ თეორიულ დასკვნებამდე მისვლაში.

## გაკვეთილი 2

**ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირება  
ადამიანის რომელი უფლების დარღვევასთან გვაქვს საქმე?**

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირება.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს.
საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.3 მოსწავლეთა თითოეული წყვილისათვის. მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2 მოსწავლეთა თითოეული წყვილისათვის.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური ან წყვილებში მუშაობა. დისკუსია.

## ინფორმაცია

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ყოველდღიურად ირღვევა ადამიანის უფლებები. კონკრეტული მაგალითების განხილვა მოსწავლეებს ადამიანის უფლებათა არსის გააზრებაში დახმარება.

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინა გაკვეთილზე შესრულებული დავალებებისა და მიღწეული შედეგების შეჯამებით. წარმოდგენილია პოსტერები და დასკვნები.

მოსწავლეები წყვილდებიან. თითოეული წყვილი იღებს მოსწავლეთა სამუშაო ფურცელ 5.3-ს (ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები) და მოსწავლეთა სამუშაო ფურცელ 5.2-ს (ადამიანის უფლებათა ნუსხა).

მეწყვილეები თანაბრად ინაწილებენ სამუშაო ფურცელ 5.3-ზე მოცემულ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს.

მოსწავლეები ეცნობიან და განიხილავენ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს. შემდეგ ისინი სამუშაო ფურცელ 5.2-დან არჩევენ ადამიანის იმ უფლებებს, რომელთა დარღვევის შემთხვევებსაც სამუშაო ფურცელ 5.3-ზე შეხვდნენ. მაგალითად, პირველი შემთხვევა წარმოადგენს ნუსხაში მე-10 უფლების დარღვევას.

შემდეგ იწყება განხილვა. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე რამდენიმე მოსწავლე სხვადასხვა წყვილში მუშაობს, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ საკუთარი აზრები და გამართონ დისკუსია. ეს დისკუსია შეიძლება შემდეგი შეკითხვების დახმარებით წარიმართოს:

- როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე?
- როცა სხვა მოსწავლის აზრი მოისმინეთ, ხომ არ იფიქრეთ თქვენი შეხედულების შეცვლის შესახებ? რომელი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი? რატომ?

ამ დისკუსიის მიზანია სხვადასხვა მოსაზრების განხილვა, და არა ერთი სწორი პასუხის ძიება.

## დამატებითი აქტივობა

თუ გაკვეთილის ბოლოს დარჩა დრო, მასწავლებელს შეუძლია, ჰკითხოს მოსწავლეებს, თუ რომელია ამ მაგალითებიდან მათვის ყველაზე მიუღებელი. მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს შემდეგი შეკითხვები:

- როგორ იგრძნობდით თავს, თქვენ რომ მოგსვლოდათ ეს?
- რა რეაქცია გექნებოდათ?
- თქვენი აზრით, როგორ მოიქცეოდნენ სხვები (თქვენ როგორ ისურვებდით, რომ სხვები მოქცეულიყვნენ)?

ეს შეკითხვები დახმარება მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ ყველა ადამიანს აქვს პასუხისმგებლობა, დაიცვას ადამიანის უფლებები.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.3

ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები

### მასწავლებლის ასლი

ადამიანის უფლების დარღვევა	ადამიანის უფლება
რამდენიმე წლის წინ ქალბატონი ბრაუნის ქალიშვილი და მეულლე ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ; მას არ შეუძლია დაქორწინდეს სხვა მამაკაცზე, სანამ მისი მაზლი არ მისცემს ოფიციალურ თანხმობას.	10
ციხის მცველები პატიმრებს, შესაშინებლად, ძალლებით ემუქრებოდნენ. ერთხელ ერთერთმა ძალმა პატიმარს უკბინა.	2
ადგილობრივ საწარმოში მუშებს უწევთ დღეში 10 საათი მუშაობა შესვენების გარეშე.	21
დააპატიმრეს სამი მამაკაცი; მათთან არ უშვებენ ადვოკატებს.	5
ქალბატონს, რომელსაც აქვს ისეთივე სამუშაო გამოცდილება, როგორც მამაკაცს, უნიშნავენ უფრო დაბალ ხელფასს. ისინი ერთი ასაკის არიან და მანამდე ერთნაირ სამუშაოს ასრულებდნენ.	7
X-მა მოიტაცა და დააკავა Y სამი დღით. X-მა Y-ს თავში ესროლა, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის გარდაცვალება სამი დღის შემდეგ.	1
ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ ქალბატონს გადაუდეს ფოტო მაშინ, როცა ის ნარკოტიკების მომხმარებელთა კლინიკიდან ეწერებოდა. მოგვიანებით, ეს ფოტო გამოქვეყნდა.	9
ქალბატონს მეულლე ცუდად ექცეოდა. ქალბატონმა მხოლოდ მაშინ შეძლო თავის მეულლესთან განქორწინება, როცა მას თავისი სახლი, მანქანა და მთელი ქონება დაუთმო. ქალბატონი დარჩა ყოველგვარი ქონების გარეშე.	11
ადამიანს, რომელსაც ფილტვების ანთეპა სჭირდა, საავადმყოფოში სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს, რადგან იგი ქვეყანაში არაკანონიერად იყო შემოსული.	18
მოსახლეობის 70%, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, გადასახლეს და დაბრუნების უფლება აღარ მისცეს. ხალხს კარვებში მიუჩინეს ბინა და არ აძლევდნენ საშუალებას, დაემუშავებინათ მინა ან მგზავრობისათვის გარკვეული გზები გამოეყენებინათ.	12
შავეანიანებს აფრიკაში ერთი ბოთლი ვისკის ფასად ყიდულობდნენ და ჩრდილოეთ ამერიკაში 1200-1500 აშშ დოლარად ყიდდნენ.	3
ქვეყანაში ყველა ის საშუალება გაანადგურეს, რომელიც ამ ქვეყნის მაცხოვრებელთა სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენდა – მარცვლეული, წყალი და საქონელი.	17
ქვეყანაში მოქალაქეებს ბრალის წაყენების გარეშე ათავსებენ საპყრობილები.	4
26 წლის ურნალისტი საარჩევნო კამპანიის არასასურველი ფორმით გაშუქების გამომოკლეს.	15
X გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მან წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც დააფიქსირა, რომ სამხედრო სამსახური მისთვის პიროვნულად მიულებელია. ასეთი ახსნა-განმარტების მიუხედავად, X-ს დაუმორჩილებლობაში დასდეს ბრალი და ქვეყნის დატოვება აუკრძალეს.	14
ქვეყანაში ერთ-ერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრებს ეკალებათ შეხვედრა.	16
ქალაქში მაცხოვრებელთა ეთნიკურმა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ეთნიკური უმცირესობები, ბოშები და ებრაელები ქალაქის სპეციალურად გამოყოფილ უბნებში უნდა ცხოვრობდნენ.	25

ადამიანის უფლების დარღვევა	ადამიანის უფლება
სოფელში მაცხოვრებელ ბავშვებს არ აქვთ საშუალება, იარონ დაწყებით სკოლაში, რადგან არ არსებობს სკოლა, რომელიც მათი საცხოვრებელთან ახლოსაა.	19
X ვერ იყრის კენჭს საპარლამენტო არჩევნებში, რადგან სასულიერო პირები მის კანდიდატურას არ უჭერენ მხარს.	23
იმის გამო, რომ X არის შავკანიანი, მას არ იღებენ ექიმის თანამდებობაზე ადგილობრივ საავადმყოფოში.	20
ზოგ ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა კვების ან თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამებში; ასევე, მოკლებულია სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას.	26
ბატონი X-ის სახლი დაიწვა და მას არ შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია.	6
47 წლის ქალბატონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დიასახლისი იყო და გაზარდა 5 შვილი. ახლა, როდესაც თავის მეუღლესთან უნდა განქორწინდეს, ის სოციალური დაცვის ყოველგვარი მექანიზმის გარეშე რჩება.	22
ბატონი X, ორი შვილის მამა, დააპატიმრეს იმის გამო, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ლექსებს წერდა. ის ქვეყნიდან გაიქცა და სხვა ქვეყანაში თავშესაფარს ითხოვდა. მას თავშესაფარი არ მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ X-ის განცხადებით, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მას წამება ელის.	13
სავარძელს მიჯაჭვული ადამიანებისთვის ადგილობრივ თეატრში კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება არ არის ნებადართული.	24
იმისათვის, რომ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, აუცილებელია, ამ ქვეყანაში იცხოვრო 15 წელი, იყო გონიერივად და ფიზიკურად ჯანმრთელი (შემოწმებით უნდა იყოს დადასტურებული) და გადაიხადო საკმაოდ მაღალი ადმინისტრაციული გადასახადი. შესაბამისად, ათასობით ბოშა საკუთარ ქვეყანაში მოქალაქეობას ვერ იღებს.	8

### გაკვეთილი 3

#### უფლებები და პასუხისმგებლობები როგორ შეიძლება არსებობდეს უფლებები პასუხისმგებლობების გარეშე?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს გააზრებული აქვთ, თუ როგორ შეიძლება შეიტანონ წელილი ადამიანის უფლებათა დაცვაში; მათ ესმით, რომ ადამიანის უფლებები გარკვეულ პასუხისმგებლობებს უკავშირდება: სახელმწიფოსა და სხვადასხვა დაწესებულების, ასევე, მათ საკუთარ მორალურ პასუხისმგებლობებს.
მოსწავლის დაცვალება – მოსწავლეები ახდენენ იმ პასუხისმგებლობების (მათ შორის, მათი, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობის) იდენტიფიკაციას, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.
საჭირო მასალა – ცარიელი ფურცელი და კალამი მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.4 მოსწავლეთა თითოეული წყვილისათვის. მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2 მოსწავლეთა თითოეული წყვილისათვის.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური ან წყვილებში მუშაობა. კრიტიკული აზროვნება.

## ინფორმაცია

ადამიანის უფლება არ იქნება დაცული, თუ კონკრეტული ადამიანები და უწყებები არ იღებენ პასუხისმგებლობას მის რეალიზაციაზე. იმის მიუხედავად, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, აუცილებელია, ადამიანებიც აქტიურად იცავდნენ საკუთარ და სხვათა უფლებებს. პიროვნების მორალური ვალდებულებაა, რომ იზრუნოს ისეთი გარემოს შექმნაზე, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა.

დამატებითი აქტივობის სახით, მასწავლებელს შეუძლია, შემოიტანოს დადებითი და უარყოფითი უფლებების თემა და პროექტზე მუშაობა.

## გაკვეთილი

მოსწავლეები წყვილდებიან. თითოეულ წყვილს ურიგდება ცარიელი ფურცელი და კალამი. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოწერონ 3 ძირითადი უფლება, რომელიც დაცული უნდა იყოს სკოლაში და 3 ძირითადი უფლება, რომელიც დაცული უნდა იყოს ოჯახში. მაგალითად, „სკოლა არ უნდა აძლევდეს მოსწავლეს ძალიან დიდი მოცულობის დავალებას“, ან „ოჯახი ბავშვს ჯიბის ფულით უნდა უზრუნველყოფდეს“.

შემდეგ მასწავლებელი თითოეულ წყვილს ურიგდებს სამუშაო ფურცელ 5.4-ს (უფლებები და პასუხისმგებლობები) და სამუშაო ფურცელ 5.2-ს (ადამიანის უფლებათა ნუსხა). მოსწავლეებმა თვალი უნდა გადაავლონ ადამიანის უფლებათა ნუსხას და შეარჩიონ ის უფლებები, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება მათ მიერ ჩამოწერილ ექვს უფლებას.

მოსწავლეები შერჩეულ ექვს უფლებას ჩამოწერენ სამუშაო ფურცელ 5.4-ის პირველ სვეტში. მასწავლებელს შეუძლია, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი ახსნა-განმარტება ამა თუ იმ უფლებასთან დაკავშირებით, თუ მოსწავლეებს ასეთი დახმარება ესაჭიროებათ.

მას შემდეგ, რაც დასრულდება პირველ სვეტზე მუშაობა, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ თითოეული უფლება დაკავშირებულია გარკვეულ პასუხისმგებლობასთან. მაგალითად, „სიტყვის თავისუფლებას უკავშირდება ადამიანის პასუხისმგებლობა, რომ სხვა ადამიანს შეურაცხყოფას არ მიაყენებს, არ შეეხება მის ღირსებასა და რეპუტაციას“. უფლებათა და პასუხისმგებლობათა ასეთი კავშირი გვავალდებულებს, გამოვიყენოთ ჩვენი უფლებები გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. არის შემთხვევები, როცა უფლებები და პასუხისმგებლობები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგალითად, საკლასო ოთახში დასვენების უფლება და სწავლის უფლება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, როცა მოსწავლეთა ნაწილს სურს სწავლა, ხოლო მეორე ნაწილს – დასვენება. უფრო მეტიც, სკოლის პასუხისმგებლობაა, გაანათლოს მოსწავლეები და უზრუნველყოს მასწავლებლებისათვის სათანადო სამუშაო პირობები.

მასწავლებელი ითხოვს, რომ მოსწავლეთა წყვილებმა გაცვალონ ჩანაწერები. თითოეულმა წყვილმა სხვა წყვილის მიერ ჩამოწერილ უფლებებს უნდა მიუთითოს პასუხისმგებლობათა ორი წყება:

- ადამიანების პიროვნული პასუხისმგებლობა, რომ სხვა ადამიანებს მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ საკუთარი უფლებებით (ჩაინწერება სამუშაო ფურცელ 5.4-ის მეორე სვეტში).
- სკოლის ან სხვა დაწესებულების, ადგილობრივი თვითმმართველობის და ა.შ. პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყონ ამ უფლების დაცვა (ჩაინწერება სამუშაო ფურცელ 5.4-ის მესამე სვეტში). მაგალითად, მოსწავლის პიროვნული პასუხისმგებლობაა, რომ სხვა მოსწავლის პირად დღიურში არ ჩაიხედოს; ხოლო სკოლის პასუხისმგებლობაა, რომ არ გაჩერიკოს მოსწავლეები კონკრეტული საფუძვლის გარეშე (მაგალითად, თუ ჩხრეკა ტარდება მოპარული კალებულატორის მოსახებნად, არ შეიძლება ჩხრეკისას ხელში მოხვედრილი მოსწავლის პირადი დღიური სკოლის მესვეურებმა წაკითხონ).

<b>ადამიანის უფლება</b>	<b>პიროვნების პასუხისმგებლობა</b>	<b>სკოლის, უწყების და ა.შ. პასუხისმგებლობა</b>
პირადი ცხოვრების უფლება	არ ჩაიხედოს სხვა მოსწავლის პირად დღიურში	არ წაიკითხოს მოსწავლის პირადი დღიური მაშინ, როცა ჩერეკის მიზანია ნაძარცვის აღმოჩენა

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, კლასის წინაშე წარმოადგინონ ერთი უფლება და მისი თანმხელები ორი პასუხისმგებლობა.

მასწავლებელს შეუძლია, სამუშაო ფურცელ 5.4-ზე მოყვანილი ცხრილი დაფაზე დახაზოს და შეავსოს ის მოსწავლეების პასუხებით. გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელს შეუძლია, მოკლედ მიმოიხილოს ცხრილში მოყვანილი ინფორმაცია და სთხოვოს მოსწავლეებს, გააკეთონ კომენტარი სხვადასხვა პასუხისმგებლობაზე.

## დამატებითი სავარჯიშო

თუ მასწავლებელს სურს, დამატებითი დრო დაუთმოს დადებით და უარყოფით უფლებებსა და პროექტზე მუშაობის საკითხებს, მას შეუძლია, შემდეგი აქტივობები გამოიყენოს.

მასწავლებელი იწყებს იმის ახსნით, რომ ადამიანის უფლებები ზოგჯერ იყოფა „დადებით“ და „უარყოფით“ უფლებებად. „უარყოფითი“ უფლებები კრძალავენ უარყოფით ქმედებებს, მაგალითად, წამების აკრძალვა. „დადებითი“ უფლებები კი წარმოადგენენ გარკვეული ვალდებულების შესრულების მოთხოვნას, მაგალითად, საკვების უფლება.

მასწავლებელი იმასაც უხსნის მოსწავლეებს, რომ ადამიანის უფლებათა დიდ ნაწილს აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები. მაგალითად, წამებისგან დაცვა, ერთი მხრივ, გულისხმობს წამების აკრძალვას (ხელმძღვანელობა უკრძალავს პოლიციელებს დაკავებულთა წამებას), ხოლო, მეორე მხრივ, თავშეკავებას ისეთი ქმედებისაგან, რომელიც წამებას მოიცავს (სამართალდამცავა, რომელმაც დამნაშავე დააკავა, არ აწამებს მას).

მოსწავლეები უბრუნდებიან ადამიანის უფლებათა ნუსხას და ირჩევენ სამ უფლებას; ისინი, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობების საილუსტრაციოდ, იხსენებენ დადებითი და უარყოფითი ქმედებების ცხოვრებისეულ მაგალითებს. შემდეგ მოსწავლეები, სკოლის/ადგილობრივი თვითმმართველობის/ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობების საილუსტრაციოდ, დამატებით სამ უფლებას ირჩევენ. მოსწავლეები პასუხისმგებლობებს აღნიშნავენ უარყოფითი (-) ან დადებითი (+) ნიშნებით.

<b>ადამიანის უფლება</b>	<b>პიროვნების (მორალური) პასუხისმგებლობა</b>	<b>სკოლის, უწყების და ა.შ. პასუხისმგებლობა</b>
პირადი ცხოვრების უფლება (=მაგალითი)	(+)	(+) უზრუნველყოს, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია არ იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის.
	(-)არ ჩაიხედოს სხვა მოსწავლის პირად დღიურში, თუ დღიურის პატრონი არ მისცემს ამის უფლებას.	(-) (სკოლა) არ გაჩერიკოს მოსწავლეთა პირადი ნივთები, თუ არ არსებობს ამის აუცილებლობა. (-) (სახელმწიფო) უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას იცავს.

თუ მასწავლებელს სურს, გამოიყენოს ეს აქტივობა პროექტზე მუშაობისათვის, მას შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს, შეარჩიონ ადამიანის უფლებები, რომლებზეც შემდგომი რამდენიმე კვირის/თვის მანძილზე იმუშავებენ. შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ გეგმაზე, რომელიც განსაზღვრავს პროექტის მიზნებსა და განსახორციელებელ ქმედებებს. ასევე, ხდება იმის დაზუსტება, თუ რა დროში და ვის მიერ უნდა შესრულდეს თითოეული ქმედება.

## გეგმა

პროექტის მიზანი: .....		
რა უნდა გაკეთდეს?	ვინ გააკეთებს?	როდის იქნება დასრულებული?

მომდევნო გაკვეთილებზე განხორციელდება ეს გეგმა და, ბოლოს, შეფასდება.

### გაკვეთილი 4 ადამიანის უფლებები: ტესტი რა არის უფლება? რა უნდა იყოს ადამიანის უფლება?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს გააზრებული აქვთ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები ირჩევენ სწორ პასუხს შეკითხვებზე, რომელთა რამდენიმე სავარაუდო პასუხი მოცემულია და განიხილავენ ამ პასუხებს.
საჭირო მასალა – თითოეული მოსწავლისათვის განკუთვნილი ბარათები, რომელთაც პასუხები უკანა მხარეზე აქვს დატანილი (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.5).
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – შეკითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით.

### ინფორმაცია

ადამიანის უფლებები წარმოადგენს დინამიკურ, მუდმივად განვითარებად ცნებას. საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა შინაარსსა და არეალს. ქვემოთ მოცემული ტესტი არ არის მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტი. ეს ტესტი დაეხმარება მოსწავლეებს, სწორად გაიგონ, თუ რას გულისხმობს ადამიანის უფლებები და შეაფასონ, თუ სად ვდგავართ ამჟამად, ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამ გაკვეთილად მასწავლებელი უნდა გაეცნოს გაეროსა და ევროსაბჭოს ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს. სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი დაიწყოს რამდენიმე ძირითადი სიტყვის/ცნების განმარტებით: გაერო, ევროსაბჭო (განვასხვავოთ ევროკავშირისაგან), ადამიანის უფლებები, სახელმწიფო, დისკრიმინაცია, გასამართლება.

### გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს ტესტი არ ემსახურება მათი ცოდნის შემოწმებას. ტესტირების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, უკეთ გაიაზრონ ადამიანის უფლებები.

მოსწავლეები პორიზონტალურად ჭრიან სამუშაო ფურცელ 5.5-ს და თითოეულ შეკითხვას აცალეკევებენ. შემდეგ მოსწავლეები აწებებენ შეკითხვისა და სავარაუდო პასუხების მხარეს სწორი პასუხის მხარეზე ისე, რომ ბარათის ერთ მხარეს იყოს შეკითხვა სავარაუდო პასუხებით, ხოლო მეორე მხარეს – სწორი პასუხის ახსნა.

<p><b>17 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მუშაობა</b></p> <p>ა. ყოველთვის ბავშვის უფლების დარღვევაა. ბ. ბავშვის უფლების დარღვევაა მხოლოდ მაშინ, თუ სამუშაო არის მავნე. გ. დასაშვებია, თუ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მინიმალური სამუშაო ასაკი 17 წელს ქვემოთაა.</p>	<p><b>17 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მუშაობა</b></p> <p>სწორი პასუხია გ: ბავშვთა უფლებების კონვენცია კრძალავს ბავშვთა შრომას იმ შემთხვევებში, თუ ის მავნეა, ან გულისხმობს ბავშვის დისკრიმინაციას. ამასთანავე, ეს კონვენცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, თავად დაარეგულიროს მინიმალური სამუშაო ასაკი. მუშაობა მიმდინარეობს ბავშვთა შრომაზე უფრო მკაცრი შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირდებით.</p>
<p><b>წყლის უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები</b></p> <p>ა. მთავრობა ვალდებულია, უზრუნველყოს სუფთადა ჯანსაღი წყლის მინოდება მოსახლეობისათვის. ბ. მთავრობას არ აქვს უფლება, განახორციელოს მოქალაქეთა დისკრიმინაცია წყლის მინოდებასთან დაკავშირებით. გ. მთავრობას არ აქვს უფლება, შეუზღუდოს წყლის მინოდება მოქალაქეებს.</p>	<p><b>წყლის უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები</b></p> <p>სწორი პასუხებია: ბ და გ. გაეროს ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტის ინტერპრეტაციით, ა არის სწორი, ბ და გ კი სწორია.</p>
<p><b>სიკვდილით დასჯა</b></p> <p>ა. აკრძალულია მთელ მსოფლიოში. ბ. აკრძალულია (კანონის და პრაქტიკის მიხედვით) მსოფლიოს ქვეყანათა 50 %-ში. გ. არ არის დასაშვები 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში.</p>	<p><b>სიკვდილით დასჯა</b></p> <p>სწორი პასუხებია: ბ და გ. ა არ არის სწორი. გაეროს დოკუმენტები და ადამიანის უფლებათა უზროპული კონვენცია სრულ აკრძალვას არ აწესებს სიკვდილით დასჯაზე. თუმცა მათი არასავალდებულო პროტოკოლები გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს: პროტოკოლი 6 (მშვიდობიან პერიოდში სიკვდილით დასჯის აკრძალვა) და პროტოკოლი 13 (სიკვდილით დასჯის აკრძალვა ყველა გარემოებაში). ეს დოკუმენტები ხელმოწერილი და რატიფიცირებულია ბევრი ქვეყნის მთავრობის მიერ.</p>
<p><b>ეკონომიკური და სოციალური უფლებები</b></p> <p>ა. არ არის ადამიანის რეალური უფლებები. ბ. მოსალოდნელი არ არის, რომ სახელმწიფო დააკმაყოფილებს ყველა ადამიანის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. გ. ყველა ევროპელს შეუძლია ამ უფლებების მოთხოვნა.</p>	<p><b>ეკონომიკური და სოციალური უფლებები</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ ოფიციალურად, ეკონომიკური და სოციალური უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია, თუმცა მათი შესრულების ვალდებულება გაცილებით სუსტია, ვიდრე პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო უნდა მიისწოდოდეს ამ უფლებების დაცვისაკენ, მაგრამ არ არსებობს ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ევროპული მექანიზმი (გარკვეულ გარემოებებში, არასავალდებულო პროტოკოლი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, წარმოადგინონ ასეთი საჩივრები).</p>
<p><b>განათლების უფლება</b></p> <p>ა. ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შეუძლიათ, გახსნან სკოლა, თუ აქმაყოფილებენ მინიმალური იურიდიულ მოთხოვნებს. ბ. არ არსებობს ვალდებულებები საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით. გ. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო განათლების მინოდება 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის.</p>	<p><b>განათლების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა ბ და გ არასწორი პასუხებია. საერთაშორისო კონვენციების, მაგალითად, ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, განათლების სისტემაში უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ინფორმირება ადამიანის უფლებათა შესახებ.</p>

<p><b>დევნილად აღიარების უფლება</b></p> <p>ა. ამ უფლებით სარგებლობს ის, ვისაც სდევნიან რასის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულების გამო და, შედეგად, დატოვა საკუთარი ქვეყანა.</p> <p>ბ. ამ უფლებით სარგებლობის ის, ვინც საკუთარი ქვეყანა დატოვა სამოქალაქო ომის ან შიმშილის გამო.</p> <p>გ. ქვეყანას შეუძლია, არ გადმოუშვას საკუთარ საზღვარზე იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელიც უსაფრთხო ქვეყნად ითვლება.</p>	<p><b>დევნილად აღიარების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა</p> <p>პ არასწორი პასუხია. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს უშვებები მეზობელ ქვეყანაში, რადგან ისინი გამოექცნენ სამოქალაქო ომს ან შიმშილს. საერთაშორისო კონვენციების მიხედვით, ასეთი ადამიანები არ ითვლებიან დევნილებად. უწევის კონვენციების მიხედვით, გ არ ეხება დევნილებს, მაგრამ აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა საკითხების გადაწყვეტილას.</p>
<p><b>რელიგიის თავისუფლება</b></p> <p>ა. არ შეიძლება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა მათვის, ვინც უმცირესობებს მიეკუთვნებიან.</p> <p>ბ. ავალდებულებს სახელმწიფოებს, აღიარონ და დააფინანსონ რელიგიები.</p> <p>გ. არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან.</p>	<p><b>რელიგიის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა</p> <p>სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ მას არ ეკისრება იურიდიული ვალდებულება, ცნოს ან დააფინანსოს რელიგია. სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდვა დააწესოს რელიგიაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ენინაალმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.</p>
<p><b>საკუთრების თავისუფლება</b></p> <p>ა. მთავრობას შეუძლია, ჩამოართვას ადამიანს საკუთრება, თუ ეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურება.</p> <p>ბ. საკუთრების უფლება ირლევა, თუ, ჰიდროელექტროსადგურის აშენების მიზნით კომპენსაციის გარეშე ხდება მთელი სოფლის ევაკუაცია.</p> <p>გ. საშუალებას აძლევს ადამიანს, მოპარული საქონელი თავის საკუთრებად ჩათვალის.</p>	<p><b>საკუთრების თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხებია: ა და ბ</p> <p>გ არასწორია.</p>
<p><b>არჩევნები</b></p> <p>ა. ყველა მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მათაც კი, ვისაც დაკარგული აქვს სხვა სამოქალაქო უფლებები კრიმინალური საქმიანობის გამო.</p> <p>ბ. თუ ამომრჩეველი ამავდროულად არის დამსაქმებელი, მას აქვს ორი ხმის უფლება.</p> <p>გ. ხმის მიცემა უნდა იყოს ფარული.</p>	<p><b>არჩევნები</b></p> <p>სწორი პასუხია: გ</p> <p>სახელმწიფოს შეუძლია, არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოქალაქეებს, რომელთაც დაკარგული აქვთ სხვა სამოქალაქო უფლებები. საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ყველა ამომრჩეველს აქვს თანაბარი უფლებები.</p>
<p><b>გამოხატვის თავისუფლება</b></p> <p>ა. შეიძლება შეიზღუდოს ქილიკისაგან დაცვის მიზნით.</p> <p>ბ. შეიძლება შეიზღუდოს სახალხო მორალის პრინციპებიდან გამომდინარე.</p> <p>გ. შეიძლება შეიზღუდოს რელიგიური შეუწყნარებლობის თავიდან აცილების მიზნით.</p>	<p><b>გამოხატვის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხება: ა და გ. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში, სახალხო მორალის პრინციპებიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილების, ან ჯანმრთლობის დაცვის მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით არის განსაზღვრული.</p>
<p><b>მუშაობის თავისუფლება</b></p> <p>ა. ავალდებულებს სახელმწიფოს, დაასაქმოს ყველა მოქალაქე.</p> <p>ბ. გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება ადამიანის დასახურიდან დათხოვა საფუძვლის გარეშე.</p> <p>გ. არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს სრულ დასაქმებაზე.</p>	<p><b>მუშაობის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ</p> <p>ევროპული ქვეყნები იღებენ მოქალაქეთა დასაქმებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, მაგრამ გაეროს დოკუმენტაცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ყველა მოქალაქის დასაქმება უზრუნველყონ.</p>

<p><b>ჯანსალი გარემოს უფლება</b></p> <p>ა. უკრძალავს სახელმწიფოს ისეთი ტოქსიკური ნარჩენების განთავსებას, რომელიც ნიადაგს ან-ადგურებს.</p> <p>ბ. ამ უფლების მიზანია ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების დაცვა.</p> <p>გ. ჯერ არ არის აღიარებული საყოველთაო უფლებად.</p>	<p><b>ჯანსალი გარემოს უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: გ.</p> <p>ჯანდაცვის უფლება იცავს ადამიანებს გარე-მოს დაბინძურებით გამოწვეული ზარალისაგან. შესაბამისად, მხოლოდ ადამიანები არიან დაცულ-ნი, და არა მცენარეები, ან ცხოველები. აფრიკუ-ლი ქარტია და ევროკავშირის ქარტია, რომელიც არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ამკვიდრებს ჯანსალი გარემოს უფლებას.</p>
<p><b>განათლების უფლება გულისხმობს</b></p> <p>ა. დაწყებითი სკოლის მოწავლეებს არ უნდა გადაახდევინონ სწავლის საფასური. მათ შეიძლება დაეკისროთ მგზავრობის ან სახელმძღვანელოების საფასურის გადახდა.</p> <p>ბ. სახელმწიფოს ვალდებულებაა, მაქსიმალურად დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ სწავლაში წარმატებებს მიაღწიონ.</p> <p>გ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთათვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები.</p>	<p><b>განათლების უფლება გულისხმობს</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ.</p> <p>ბ და გ შესულია ბავშვთა უფლებების კონვენციაში. წესით, დაწყებითი განათლება უფასო უნდა იყოს, რაც უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ სწავლის საფასურის არარსებობას, არამედ სახელმწიფოს მიერ იმ სხვა ხარჯების დაფარვასაც, რაც არაპირდაპირ უკავშირდება დაწყებითი განათლების მიღებას.</p>
<p><b>მოსწავლეთა დასჯა სკოლაში</b></p> <p>ა. ფიზიკური დასჯა არ არის ნებადართული.</p> <p>ბ. დასჯა არ არის ნებადართული, თუ ის გონიეროვი სისასტიკეს გულისხმობს.</p> <p>გ. დასჯა მხოლოდ მაშინაა ნებადართული, თუ არსებობს დასჯაზე მშობლის თანხმობა.</p>	<p><b>მოსწავლეთა დასჯა სკოლაში</b></p> <p>სწორი პასუხია: ა.</p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფიზიკურ დასჯას ყოველთვის აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევად. ეს მიღებომა ემთხვევა ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის ინტერპრეტაციას. ბ არასწორია, რადგან არ არის ნებადართული არანაირი სასტიკი დასჯა. რაც შეეხება გ-ს, არ არსებობს ნორმა, რომელიც დასჯის ნებადართულობას მშობლის თანხმობას უკავშირებს.</p>
<p><b>სკოლაში</b></p> <p>ა. დრო არ უნდა დაეთმოს გარემოსდაცვითი საკითხების განხილვას.</p> <p>ბ. ბავშვებს უნდა ასწავლონ მშობლების პატივისცემა.</p> <p>გ. ბავშვებს უნდა ასწავლონ ადამიანის უფლებები და მათი პატივისცემა.</p>	<p><b>სკოლაში</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ.</p> <p>ბ და გ განისაზღვრება ბავშვთა უფლებების კონვენციით. ამ კონვენციის მიხედვით, განათლება გარემოს დაცვის პრინციპებს უნდა ნერგავდეს.</p>
<p><b>სამართალნარმოება</b></p> <p>ა. ყველა დამწამვეს აქვს ადვოკატის მომსახურების უფლება.</p> <p>ბ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ბრალდების წაყენება, თუ ადამიანმა აღიარებითი ჩვენება გააკეთა.</p> <p>გ. ეჭვმიტანილს აქვს უფასო მთარგმნელობითი მომსახურების უფლება, თუ სამართალნარმოება არის მისთვის უცხო ენაზე.</p>	<p><b>სამართალნარმოება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა და გ</p>
<p><b>ნამება</b></p> <p>ა. ნებადართულია, თუ ტერორისტული აქტის თავიდან აცილების მიზნით ხდება.</p> <p>ბ. ნებადართულია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.</p> <p>გ. არასოდესაა ნებადართული.</p>	<p><b>ნამება</b></p> <p>სწორი პასუხია: გ.</p> <p>არ არის ნებადართული, საგანგებო სიტუაციის დროსაც კი.</p>

<p><b>ცხოვრების უფლების დარღვევა</b></p> <p>ა. ეს უფლება ირღვევა მაშინ, თუ ადამიანი შემთხვევით იღუპება პოლიციის მიერ სხვა ადამიანის გადაწყვეტილების დროს.</p> <p>ბ. ეს უფლება ირღვევა მაშინ, როცა ადამიანი იღუპება ომში.</p> <p>გ. ეს უფლება ირღვევა მაშინ, როცა ადამიანი იღუპება პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების გამო.</p>	<p><b>ცხოვრების უფლების დარღვევა</b></p> <p>სწორი პასუხია: გ</p> <p>ა სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია გადაჭარბებულ ძალას გამოიყენებს.</p>
<p><b>საცხოვრებლის უფლება</b></p> <p>ა. ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები საცხოვრებლით.</p> <p>ბ. უცხოელებს ისეთივე პირობებით უნდა მისცენ სოციალური საცხოვრებელი, როგორც ქვეყნის მოქალაქეებს.</p> <p>გ. სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ ჰყავდეს, რაც შეიძლება, ცოტა უსახლვარო.</p>	<p><b>საცხოვრებლის უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ</p>
<p><b>ჯანდაცვის უფლება</b></p> <p>ა. მთავრობა არ არის ვალდებული, თავიდან აიცილოს შრომითი უბედური შემთხვევები.</p> <p>ბ. ჯანდაცვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა-სათვის.</p> <p>გ. წამლები უნდა იყოს უფასო.</p>	<p><b>ჯანდაცვის უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ</p> <p>შრომითი უბედური შემთხვევების პრევენცია ვალ-დებულებაა. წამლების გაყიდვა ნებადართულია.</p>
<p><b>თავისუფლად გადაადგილების უფლება</b></p> <p>ა. ადამიანს შეიძლება არ დართონ ნება, იცხოვროს მისთვის არჩეულ ადგილას, თუ ასეთი შეზღუდვა საჯარო უსაფრთხოებას უკავშირდება.</p> <p>ბ. ვიზის არგაცემა ადამიანზე, რომელსაც არ აქვს დანაშაულებრივი წარსული, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას.</p> <p>გ. დამნაშავე შეიძლება დაატყვევონ.</p>	<p><b>თავისუფლად გადაადგილების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა და გ.</p> <p>ვიზის შეიძლება ვერ მიიღოს ნებისმიერმა ადამიანმა. ადამიანს შეიძლება არ დართონ ნება, იცხოვროს მისთვის არჩეულ ადგილას, თუ ასეთი შეზღუდვა საჯარო უსაფრთხოებას, ჯანდაცვას ან საზოგადოებრივ წესრიგს უკავშირდება და ეს კანონითაა დადგენილი.</p>

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.1

სურვილები, საჭიროებები და უფლებები

სურვილები	საჭიროებები	ადამიანის უფლებები

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.2

### ადამიანის უფლებათა ნუსხა

ეს არის ის უფლებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ევროპის სოციალური ქარტიით არის დაცული.

1. სიცოცხლის უფლება;
2. წამებისაგან თავისუფლება;
3. მონობისაგან თავისუფლება;
4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
5. მიუკერძოებელი გასამართლების უფლება;
6. უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, დახმარების მიღების უფლება;
7. დისკრიმინაციისაგან თავისუფლება; თანასწორობის უფლება;
8. პიროვნებად აღიარების უფლება; ეროვნული კუთვნილების უფლება;
9. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება;
10. ქორწინების უფლება;
11. საკუთრების უფლება;
12. გადადგილების უფლება;
13. თავშესაფრის უფლება;
14. აზროვნების, ცნობიერებისა და რელიგიური თავისუფლება;
15. გამოხატვის თავისუფლება;
16. შეკრებისა და სხვა ადამიანებთან გაერთიანების თავისუფლება;
17. საკვების, სასმელისა და საცხოვრებლის უფლება;
18. ჯანდაცვის უფლება;
19. განათლების უფლება;
20. დასაქმების უფლება;
21. დასვენებისა და გართობის უფლება;
22. სოციალური დაცვის უფლება;
23. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება;
24. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება;
25. ადამიანის უფლებათა დარღვევის აკრძალვა;
26. იმ სოციალური წესრიგის უფლება, სადაც აღიარებულია ადამიანის უფლებები;
27. პიროვნების პასუხისმგებლობები.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.3

### ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები

ადამიანის უფლების დარღვევა	ადამიანის უფლება
რამდენიმე წლის წინ ქალბატონი ბრაუნის ქალიშვილი და მეუღლე ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ; მას არ შეუძლია დაქორწინდეს სხვა მამაკაცზე, სანამ მისი მაზლი არ მისცემს ოფიციალურ თანხმობას.	
ციხის მცველები პატიმრებს შესაშინებლად ძალლებით ემუქრებოდნენ. ერთხელ ერთ-ერთმა ძალმა უკანა პატიმრს.	
ადგილობრივ საწარმოში მუშებს, შესვენების გარეშე, დღეში 10 საათი მუშაობა უწევთ.	
დააპატიმრეს სამი მამაკაცი; მათთან არ უშვებენ ადვოკატებს.	
ქალბატონს, რომელსაც აქვს ისეთივე სამუშაო გამოცდილება, როგორც მამაკაცს, უნიშნავნ უფრო დაბალ ხელფასს. ისინი ერთი ასაკის არიან და მანამდე ერთნაირ სამუშაოს ასრულებდნენ.	
X-მა მოიტაცა და დააკავა Y სამი დღით. X-მა Y-ს თავში ესროლა, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის გარდაცვალება სამი დღის შემდეგ.	
ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ ქალბატონს გადაუდეს ფოტო მაშინ, როცა ის ნარკოტიკულის მომხმარებელთა კლინიკიდან ეწერებოდა. მოგვიანებით, ეს ფოტო გამოქვეყნდა.	
ქალბატონს მეუღლე ცუდად ექცეოდა. ქალბატონმა მხოლოდ მაშინ შეძლო თავის მეუღლესთან განქორწინება, როცა მას დაუთმო თავის სახლი, მანქანა და მთელი ქონება. ქალბატონი დარჩა ყოველგვარი ქონების გარეშე.	
ადამიანს, რომელსაც სჭირდა ფილტვების ანთება, საავადმყოფოში სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს, რადგან იგი ქვეყანაში არაკანონიერად იყო შემოსული.	
მოსახლეობის 70%, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, გადაასახლეს და დაბრუნების უფლება აღარ მისცეს. ხალხს კარვებში მოუჩინეს ბინა და არ აძლევდნენ საშუალებას, დაეშუშავებინათ მიწა ან მგზავრობისათვის გამოეყენებინათ გარკვეული გზები.	
შავკანიანებს აფრიკაში ერთი ბოთლი ვისკის ფასად ყიდულობდნენ და ჩრდილოეთ ამერიკაში 1200-1500 აშშ დოლარად ყიდდნენ.	
ქვეყანაში ყველა ის საშუალება გაანადგურეს, რაც ამ ქვეყნის მაცხოვრებელთა სასიცოცხლო წყაროს ნარმოადგენდა – მარცვლეული, წყალი და საქონელი.	
ქვეყანაში მოქალაქეებს ბრალის წაყენების გარეშე ათავსებენ საპყრობილები.	
26 წლის უფრნალისტი საარჩევნო კამპანიის არასასურველი ფორმით გაშუქების გამო მოკლეს.	
X გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მან ნარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც დააფიქსირა, რომ სამხედრო სამსახური მისთვის პიროვნულად მიუღებელია. ასეთი ახსნა-განმარტების მიუხედავად, X-ს დაუმორჩილებლობაში დასდეს ბრალი და ქვეყნის დატოვება აუკრძალეს.	
ქვეყანაში ერთ-ერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრებს ეკალებათ შეხვედრა.	
ქალაქში მაცხოვრებელთა ეთნიკურმა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ეთნიკური უმცირესობები, ბოშები და ებრაელები, უნდა ცხოვრობდნენ ქალაქის სპეციალურად გამოყოფილ უბნებში.	
სოფელში მაცხოვრებელ ბავშვებს არ აქვთ საშუალება, იარონ დაწყებით სკოლაში, რადგან არ არსებობს სკოლა, რომელიც მათ საცხოვრებელთან ახლოსაა.	

X ვერ იყრის კენჭს საპარლამენტო არჩევნებში, რადგან სასულიერო პირები მის კანდიდატურას არ უჭერენ მხარს.	
იმის გამო, რომ X არის შავკანიანი, მას არ იღებენ ექიმის თანამდებობაზე ადგილობრივ საავადმყოფოში.	
ზოგ ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა კვების ან თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამებში; ასევე, მოკლებულია სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას.	
ბატონი X-ის სახლი დაიწვა და მას არ შეუძლია, მოითხოვოს კომპენსაცია.	
47 წლის ქალბატონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დიასახლისი იყო და გაზარდა 5 შვილი. ახლა, როდესაც თავის მეუღლესთან უნდა განქორწინდეს, ის სოციალური დაცვის ყოველგვარი მექანიზმის გარეშე რჩება.	
ბატონი X, ორი შვილის მამა, დააპატიმრეს იმის გამო, რომ ლექსებს წერდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ის ქვეყნიდან გაიცა და სხვა ქვეყანაში თავშესაფარს ითხოვდა. მას თავშესაფარი არ მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ X-ის განცხადებით, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მას წამება ელის.	
სავარძელს მიჯაჭვული ადამიანებისთვის ადგილობრივ თეატრში კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება არ არის ნებადართული.	
იმისათვის, რომ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, აუცილებელია, ამ ქვეყანაში იცხოვრო 15 წელი, იყო გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი (შემოწმებით უნდა იყოს დადასტურებული) და გადაიხადო საკმაოდ მაღალი ადმინისტრაციული გადასახადი. შესაბამისად, ათასობით ბოშა საკუთარ ქვეყანაში მოქალაქეობას ვერ იღებს.	

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.4

### უფლებები და პასუხისმგებლობები

ადამიანის უფლება	პიროვნების პასუხისმგებლობა	სკოლის, უწყების და ა.შ. პასუხისმგებლობა

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 5.5

### ადამიანის უფლებების ტესტი

<p><b>17 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მუშაობა</b></p> <p>ა. ყოველთვის ბავშვის უფლების დარღვევაა. ბ. ბავშვის უფლების დარღვევაა მხოლოდ მაშინ, თუ სამუშაო არის მავნე. გ. დასაშვებია, თუ, ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მინიმალური სამუშაო ასაკი 17 წელს ქვემოთაა.</p>	<p><b>17 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მუშაობა</b></p> <p>სწორი პასუხია გ: ბავშვთა უფლებების კონვენცია კრძალავს ბავშვთა შრომას იმ შემთხვევებში, თუ ის მავნეა, ან გულისხმობს ბავშვის დისკრიმინაციას. ამასთანავე, ეს კონვენცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, თავად დაარეგულიროს მინიმალური სამუშაო ასაკი. მუშაობა მიმდინარეობს ბავშვთა შრომაზე უფრო მკაცრი შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირდებით.</p>
<p><b>წყლის უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები</b></p> <p>ა. მთავრობა ვალდებულია, უზრუნველყოს სუფთა და ჯანსაღი წყლის მინოდება მოსახლეობისათვის. ბ. მთავრობას არ აქვს უფლება, განახორციელოს მოქალაქეთა დისკრიმინაცია წყლის მინოდებასთან დაკავშირებით. გ. მთავრობას არ აქვს უფლება, შეუზღუდოს წყლის მინოდება მოქალაქეებს.</p>	<p><b>წყლის უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ. გაეროს ეკონომიკური და სოციალური უფლებების კომიტეტის ინტერპრეტაციით, ა არ არის სწორი, ბ და გ კი სწორია.</p>
<p><b>სიკვდილით დასჯა</b></p> <p>ა. აკრძალულია მთელ მსოფლიოში. ბ. აკრძალულია (კანონის და პრაქტიკის მიხედვით) მსოფლიოს ქვეყანათა 50 %-ში. გ. არ არის დასაშვები 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში.</p>	<p><b>სიკვდილით დასჯა</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ. ა არ არის სწორი. გაეროს დოკუმენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სრულ აკრძალვას არ აწესდენ სიკვდილით დასჯაზე. თუმცა მათი არასავალდებულო პროტოკოლები გარკვეულ შეზღუდვებს აწესდენ: პროტოკოლი 6 (მშეიდობიან პერიოდში სიკვდილით დასჯის აკრძალვა) და პროტოკოლი 13 (სიკვდილით დასჯის აკრძალვა ყველა გარემოებაში). ეს დოკუმენტები ხელმოწერილი და რატიფიცირებულია ბევრი ქვეყნის მთავრობის მიერ.</p>
<p><b>ეკონომიკური და სოციალური უფლებები</b></p> <p>ა. არ არის ადამიანის რეალური უფლებები. ბ. მოსალოდნელი არ არის, რომ სახელმწიფო დააკმაყოფილებს ყველა ადამიანის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს. გ. ყველა ევროპელ შეუძლია ამ უფლებების მოთხოვნა.</p>	<p><b>ეკონომიკური და სოციალური უფლებები</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ</p> <p>ოფიციალურად, ეკონომიკური და სოციალური უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია, თუმცა მათი შესრულების ვალდებულება გაცილებით სუსტია, ვიდრე პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო უნდა მიისწოდოდეს ამ უფლებების დაცვისაკენ, მაგრამ არ არსებობს ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ევროპული მექანიზმი (გარკვეულ გარემოებებში, არასავალდებულო პროტოკოლი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, ნარმოადგინონ ასეთი საჩივრები).</p>

<p><b>განათლების უფლება</b></p> <p>ა. ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შეუძლიათ, გახსნან სკოლა, თუ აქმაყოფილებენ მინიმალური იურიდიულ მოთხოვნებს.</p> <p>ბ. არ არსებობს ვალდებულებები საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით.</p> <p>გ. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო განათლების მიწოდება 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის.</p>	<p><b>განათლების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა</p> <p>ბ და გ არასწორი პასუხებია. საერთაშორისო კონვენციების, მაგალითად, ბავშვთა უფლებების კონვენციის, მიხედვით, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ინფორმირება ადამიანის უფლებების შესახებ.</p>
<p><b>დევნილად აღიარების უფლება</b></p> <p>ა. ამ უფლებით სარგებლობის ის, ვისაც სდევნიან რასის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და, შედეგად, დატოვა საკუთარი ქვეყანა.</p> <p>ბ. ამ უფლებით სარგებლობის ის, ვინც საკუთარი ქვეყანა დატოვა სამოქალაქო ომის ან შიმშილის გამო.</p> <p>გ. ქვეყანას შეუძლია, არ გადმოუშვას საკუთარ საზღვარზე იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელიც უსაფრთხო ქვეყნად ითვლება.</p>	<p><b>დევნილად აღიარების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა</p> <p>ბ არასწორი პასუხია. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს უშვებენ მეზობელ ქვეყანაში, რადგან ისინი გამოექცნენ სამოქალაქო ომს ან შიმშილს. საერთაშორისო კონვენციების მიხედვით, ასეთი ადამიანები არ ითვლებიან დევნილებად. უენევის კონვენციების მიხედვით, გ არ ეხება დევნილებს, მაგრამ აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა საკითხების გადაწყვეტისას.</p>
<p><b>რელიგიის თავისუფლება</b></p> <p>ა. არ შეიძლება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა მათვის, ვინც უმცირესობებს მიეკუთვნებიან.</p> <p>ბ. ავალდებულებს სახელმწიფოებს, აღიარონ და დააფინანსონ რელიგიები.</p> <p>გ. არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან.</p>	<p><b>რელიგიის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა</p> <p>სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ მას არ ეკისრება იურიდიული ვალდებულება, ცნოს ან დააფინანსოს რელიგია. სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდვა დააწესოს რელიგიაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ენინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.</p>
<p><b>საკუთრების თავისუფლება</b></p> <p>ა. მთავრობას შეუძლია, ჩამოართვას ადამიანს საკუთრება, თუ ეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურება.</p> <p>ბ. საკუთრების უფლება ირლვევა, თუ, ჰიდროელექტროსადგურის აქცენტის მიზნით, კომპენსაციის გარეშე ხდება მთელი სოფლის ევაკუაცია.</p> <p>გ. საშუალებას აძლევს ადამიანს, მოპარული საქონელი თავის საკუთრებად ჩათვალის.</p>	<p><b>საკუთრების თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხებია: ა და ბ</p> <p>გ არასწორია.</p>
<p><b>არჩევნები</b></p> <p>ა. ყველა მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მათაც კი, ვისაც დაკარგული აქვს სხვა სამოქალაქო უფლებები, კრიმინალური საქმიანობის გამო.</p> <p>ბ. თუ ამომრჩეველი ამავდროულად არის დამსაქმებელი, მას აქვს ორი ხმის უფლება.</p> <p>გ. ხმის მიცემა უნდა იყოს ფარული.</p>	<p><b>არჩევნები</b></p> <p>სწორი პასუხია: გ</p> <p>სახელმწიფოს შეუძლია, არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოქალაქეებს, რომელთაც დაკარგული აქვთ სხვა სამოქალაქო უფლებები. საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ყველა ამომრჩეველს აქვს თანაბარი უფლებები.</p>
<p><b>გამოხატვის თავისუფლება</b></p> <p>ა. შეიძლება შეიზღუდოს ქილიკისაგან დაცვის მიზნით.</p> <p>ბ. შეიძლება შეიზღუდოს სახალხო მორალის პრინციპებიდან გამომდინარე.</p> <p>გ. შეიძლება შეიზღუდოს რელიგიური შეუწინარებლობის თავიდან აცილების მიზნით.</p>	<p><b>გამოხატვის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხებია: ა და გ. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში, სახალხო მორალის პრინციპებიდან გამომდინარე, დანაშაულის თავიდან აცილების, ან ჯანმრთლობის დაცვის მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით არის განსაზღვრული.</p>

<p><b>მუშაობის თავისუფლება</b></p> <p>ა. ავალდებულებს სახელმწიფოს, დაასაქმოს ყველა მოქალაქე.</p> <p>ბ. გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება ადამიანის სამსახურიდან დათხოვა საფუძვლის გარეშე.</p> <p>გ. არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს სრულ დასაქმებაზე.</p>	<p><b>მუშაობის თავისუფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ</p> <p>ევროპული ქვეყნები იღებენ მოქალაქეთა დასაქმებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, მაგრამ გაეროს დოკუმენტაცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ ყველა მოქალაქის დასაქმება უზრუნველყონ.</p>
<p><b>ჯანსალი გარემოს უფლება</b></p> <p>ა. უკრძალავს სახელმწიფოს ისეთი ტოქსიკური ნარჩენების განთავსებას, რომელიც ნიადაგს ანადგურებს.</p> <p>ბ. ამ უფლების მიზანია ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების დაცვა.</p> <p>გ. ჯერ არ არის აღიარებული საყოველთაო უფლებად.</p>	<p><b>ჯანსალი გარემოს უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: გ.</p> <p>ჯანდაცვის უფლება იცავს ადამიანებს გარემოს დაბინძურებით გამოწვეული ზარალისაგან. შესაბამისად, მხოლოდ ადამიანები არიან დაცულნი, და არა მცენარეები ან ცხოველები. აფრიკული ქარტია და ევროკავშირის ქარტია, რომლებიც არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ამკიდრებს ჯანსალი გარემოს უფლებას.</p>
<p><b>განათლების უფლება გულისხმობს</b></p> <p>ა. დაწყებითი სკოლის მოწავლეებს არ უნდა გადაახდევინონ სწავლის საფასური. მათ, შეიძლება, დაეკისროთ მგზავრობის ან სახელმძღვანელოების საფასურის გადახდა.</p> <p>ბ. სახელმწიფოს ვალდებულებაა, მაქსიმალურად დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ სწავლაში წარმატებებს მიაღწიონ.</p> <p>გ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთათვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები.</p>	<p><b>განათლების უფლება გულისხმობს</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ.</p> <p>ბ და გ შესულია ბავშვთა უფლებების კონვენციაში. წესით, დაწყებითი განათლება უფასო უნდა იყოს, რაც უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ სწავლის საფასურის არარსებობას, არამედ სახელმწიფოს მიერ იმ სხვა ხარჯების დაფარვასაც, რაც არაპირდაპირ უკავშირდება დაწყებითი განათლების მიღებას.</p>
<p><b>მოსწავლეთა დასჯა სკოლაში</b></p> <p>ა. ფიზიკური დასჯა არ არის ნებადართული.</p> <p>ბ. დასჯა არ არის ნებადართული, თუ ის გონებრივ სისასტიკეს გულისხმობს.</p> <p>გ. დასჯა მხოლოდ მაშინაა ნებადართული, თუ არსებობს დასჯაზე მშობლის თანხმობა.</p>	<p><b>მოსწავლეთა დასჯა სკოლაში</b></p> <p>სწორი პასუხია: ა.</p> <p>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფიზიკურ დასჯას ყოველთვის აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევად. ეს მიღებომა ემთხვევა ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის ინტერპრეტაციას. ბ არასწორია, რადგან არ არის ნებადართული არანაირი სასტიკი დასჯა. რაც შეეხება გ-ს, არ არსებობს ნორმა, რომელიც დასჯის ნებადართულობას მშობლის თანხმობას უკავშირებს.</p>
<p><b>სკოლაში</b></p> <p>ა. დრო არ უნდა დაეთმოს გარემოსდაცვითი საყითხების განხილვას.</p> <p>ბ. ბავშვებს უნდა ასწავლონ მშობლების პატივისცემა.</p> <p>გ. ბავშვებს უნდა ასწავლონ ადამიანის უფლებები და მათი პატივისცემა.</p>	<p><b>სკოლაში</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ.</p> <p>ბ და გ განისაზღვრება ბავშვთა უფლებების კონვენციით. ამ კონვენციის მიხედვით, განათლება გარემოს დაცვის პრინციპებს უნდა ნერგავდეს.</p>
<p><b>სამართალწარმოება</b></p> <p>ა. ყველა დამნაშავეს აქვს ადვოკატის მომსახურების უფლება.</p> <p>ბ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ბრალდების წაყენება, თუ ადამიანმა აღიარებითი ჩვენება გააკეთა.</p> <p>გ. ეჭვმიტანილს აქვს უფასო მთარგმნელობითი მომსახურების უფლება, თუ სამართალწარმოება არის მისთვის უცხო ენაზე.</p>	<p><b>სამართალწარმოება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა და გ</p>

<p><b>ნამება</b></p> <p>ა. წებადართულია, თუ ტერორისტული აქტის თავიდან აცილების მიზნით ხდება.</p> <p>ბ. წებადართულია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.</p> <p>გ. არასოდესა წებადართული.</p>	<p><b>ნამება</b></p> <p>სწორი პასუხია: გ არ არის წებადართული, საგანგებო სიტუაციის დროსაც კი.</p>
<p><b>ცხოვრების უფლების დარღვევა</b></p> <p>ა. ეს უფლება ირღვევა მაშინ, თუ ადამიანი შემთხვევით იღუპება, პოლიციის მიერ სხვა ადამიანის გადარჩენის დროს.</p> <p>ბ. ეს უფლება ირღვევა მაშინ, როცა ადამიანი იღუპება მოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების გამო.</p>	<p><b>ცხოვრების უფლების დარღვევა</b></p> <p>სწორი პასუხია: გ. ა სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია გადაჭარბებულ ძალას გამოიყენებს.</p>
<p><b>საცხოვრებლის უფლება</b></p> <p>ა. ყველა სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები საცხოვრებლით.</p> <p>ბ. უცხოელებს ისეთივე პირობებით უნდა მისცენ სოციალური საცხოვრებელი, როგორც ქვეყნის მოქალაქეებს.</p> <p>გ. სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ ჰყავდეს, რაც შეიძლება, ცოტა უსახლკარო.</p>	<p><b>საცხოვრებლის უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ და გ</p>
<p><b>ჯანდაცვის უფლება</b></p> <p>ა. მთავრობა არ არის ვალდებული, თავიდან აიცილოს შრომითი უბედური შემთხვევები.</p> <p>ბ. ჯანდაცვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა-სათვის.</p> <p>გ. წამლები უნდა იყოს უფასო.</p>	<p><b>ჯანდაცვის უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ბ შრომითი უბედური შემთხვევების პრევენცია ვალდებულებაა. წამლების გაყიდვა წებადართულია.</p>
<p><b>თავისუფლად გადაადგილების უფლება</b></p> <p>ა. ადამიანს შეიძლება არ დართონ წება, იცხოვროს მისთვის არჩეულ ადგილას, თუ ასეთი შეზღუდვა საჯარო უსაფრთხოებას უკავშირდება.</p> <p>ბ. ვიზის არგაცემა ადამიანზე, რომელსაც არ აქვს დანაშაულებრივი წარსული, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას.</p> <p>გ. დამნაშავე შეიძლება დაატყვევონ.</p>	<p><b>თავისუფლად გადაადგილების უფლება</b></p> <p>სწორი პასუხია: ა და გ. ვიზა შეიძლება ვერ მიიღოს წებისმიერმა ადამიანმა. ადამიანს შეიძლება არ დართონ წება, იცხოვროს მისთვის არჩეულ ადგილას, თუ ასეთი შეზღუდვა საჯარო უსაფრთხოებას, ჯანდაცვას ან საზოგადოებრივ წესრიგს უკავშირდება და ეს კანონითაა დადგენილი.</p>

## დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ადამიანის უფლებები, შესაბამისი მუხლების მითითებით, შემდეგი დოკუმენტებიდან: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; ევროპის სოციალური ქარტია (რედაქტირებული). მიმოხილვა ემსახურება საგანმანათლებლო მიზნებს.

თავი 5. უფლებები, თავისუფლებები და პასუხისმგებლობები

	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	ევროპის სოციალური ქარტია	სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია	ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია
1.	სიცოცხლის უფლება;	3	2		6
2.	წამებისაგან თავისუფლება;	5	3	26	7,10
3.	მონობისაგან თავისუფლება;	4	4		8
4.	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;	3	5		9
5.	მიუკერძოებელი გასამართლების უფლება;	10,11	6,7		14,15
6.	უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, დახმარების მიღების უფლება;	8	13	D	2,9
7.	დისკრიმინაცი- ისაგან თავისუფ- ლება; თანასწო- რობის უფლება;	2,7	14	4,15,20, 27, E	3,26
8.	პიროვნებად აღიარების უფლება; ეროვნული კუთვნილების უფლება;	6,15			16, 24
9.	პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება;	12	8		17
10.	ქორწინების უფლება;	16	12		23
11.	საკუთრების უფლება;	17			15
12.	გადაადგილების უფლება;	13		18	12
13.	თავშესაფრის უფლება;	14			18
14.	აზროვნების, ცნობიერებისა და რელიგური თავისუფლება;	18	9		18


ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	ევროპის სოციალური ქარტია	სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია	ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია
15.	გამოხატვის თავისუფლება;	19	10	28	19
16.	შეკრებისა და სხვა ადამიანებთან გაერთიანების თავისუფლება;	20	11	5,28	21,22
17.	საკვების, სასმელისა და საცხოვრებილის უფლება;	25		30,31	11
18.	ჯანდაცვის უფლება;	25		11	7,12
19.	განათლების უფლება;	26		10	13,14
20.	დასაქმების უფლება;	23		1,2,3,4,24	6,7
21.	დასვენებისა და გართობის უფლება;	24		2	7
22.	სოციალური დაცვის უფლება;	22,25		7, 8, 12, 13, 14, 16, 17, 19, 23, 25	9,10
23.	პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება;	21		22	25
24.	კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება;	27			27
25.	ადამიანის უფლებათა დარღვევის აკრძალვა;	30	17	5,20	5
26.	იმ სოციალური წესრიგის უფლება, სადაც აღიარებულია ადამიანის უფლებები;	28			2
27.	პიროვნების პასუხისმგებლობები.	29			

შენიშვნა: ევროპული სოციალური ქარტიის ზოგი მუხლი რიცხვებითაა მოცემული, ზოგი კი ასოებით.

## თავი 6 პასუხისმგებლობა

რა პასუხისმგებლობები გვაკისრია?



**6.1 პასუხისმგებლობები ოჯახში  
წინააღმდეგობები და გამოსავლის ძიება**

**6.2 რატომ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები კანონებს?  
რა არის კანონმორჩილების ძირითადი მიზეზები?**

**6.3 ეს ვისი პრობლემაა?  
როგორ ხდება სოციალური პასუხისმგებლობების განაწილება?**

**6.4 რატომ იქცევა ადამიანი აქტიურ მოქალაქედ?  
რატომ სურთ ადამიანებს საზოგადოების შეცვლა და როგორ შეუძლიათ  
ამის მიღწევა?**

## თავი 6. პასუხისმგებლობა რა პასუხისმგებლობები გვაკისრია?

### იურიდიული პასუხისმგებლობა

ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უფლება, იცოდნენ, თუ რა არის მათი კანონით განსაზღვრული უფლებები და განახორციელონ საკუთარი ვალდებულებები სხვა ადამიანებისა და სახელმწიფოს მიმართ. დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს: არჩევნებში მონაწილეობა, გადასახადების გადახდა და კანონმორჩილება.

უფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული პასუხისმგებლობებთან. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება უკავშირდება ადამიანის პასუხისმგებლობას, რომ არ დაუშვას სხვა ადამიანის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. საგულისხმოა, რომ ადამიანები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, არ კარგავენ იმ უფლებებს, რომლებიც მათ სხვებს წაართვეს (მაგალითად, მკვლელობის და დისკრიმინაციის შემთხვევები). ასევე, ადამიანის ვალდებულებები, მაგალითად, ვალდებულებები ბავშვების მიმართ, არ არის ყოველთვის ორმხრივი.

### მორალური პასუხისმგებლობა

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება უნდა ავითარებდეს ადამიანის მორალურ აზროვნებას, რაც დაეხმარება მოქალაქეს, კრიტიკულად შეაფასოს საზოგადოებაში მოქმედი კანონები და სოციალური სტრუქტურები, იმსჯელოს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია ისინი. შესაბამისად, როცა მოსწავლეებს ქვეყანაში მოქმედ კანონებს ვაცნობთ, აუცილებელია, დავეხმაროთ იმის გააზრებაში, რომ კრიტიკულად შეაფასონ ეს კანონები და იფიქრონ მათ შესაძლო ცვლილებებზე.

### პასუხისმგებლობის სწავლება

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს სხვა ადამიანების საჭიროებებისა და უფლებების გააზრებაში. ამის გაკეთება შეიძლება იმ მიზეზებზე დაკავირვებით, რომლებიც ადამიანების პროსოციალურ ქცევას იწვევს ისევე, როგორც სხვა ადამიანების საჭიროებებზე ყურადღების გამახვილებით. მასწავლებელმა, ასევე, უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა ტიპის პასუხისმგებლობის დემონსტრირება.

იმისათვის, რომ მოსწავლე იქცეს პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქედ, აუცილებელია, სწავლის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის გავლა. შესაბამისად, სკოლა, სადაც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის სწავლებას სათანადო ყურადღება ექცევა, წაახალისებს მოსწავლეებს, რომ აქტიურად ჩაერთონ სკოლის, თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

#### ეს თავი დაეხმარება მოსწავლეებს:

- გაეცნონ მოქალაქეთა სხვადასხვა პასუხისმგებლობას;
- გაიაზრონ მოქალაქეთა იურიდიული პასუხისმგებლობების არსი;
- გაიაზრონ, რომ საზოგადოებაში ხდება სოციალური პასუხისმგებლობების გაზიარება;
- იფიქრონ იმაზე, თუ რატომ შეიძლება აიღოს ადამიანმა პასუხისმგებლობა სოციალურ ცვლილებებზე.

## თავი 6. პასუხისმგებლობა

### რა პასუხისმგებლობები გვაკისრია?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: პასუხისმგე- ბლობები ოჯახში	მოქალაქეთა სხვადასხვა პა- სუხისმგებლობის გაცნობა.  იმის გააზრება, რომ პასუხ- ისმგებლობები, შესაძლოა, ერთმა- ნეთს ეწინააღმდე- გებოდეს.	მოსწავლეები ახდენენ მორ- ალური დილემის ანალიზს.  მოსწავლეები განიხილავენ ანალიზის ალტერნატიულ ვარიანტებს.  მოსწავლეები ინდივიდუა- ლურ მოსაზრებებს გამოთქ- ვამენ.	„მილანი ირჩევს“ – მოთხრობის ასლები.  ფურცლები წერილობითი დავალებები- სათვის.	ინდივიდუ- ალური და მცირე ჯგუფებში დის- კუსიები. საერ- თო დისკუსია. ინდივიდუ- ალური წერითი დავალება.
გაკვეთილი 2: რატომ უნდა ემორჩილე- ბოდნენ ადამიანები კანონებს?	იმ მორალური მიზ- ეზების დადგენა, რომელიც სა- ფუძვლად უდევს კონფლიქტური პასუხისმგებლობე- ბის შესახებ გადაწ- ყვეტილებებს.	მოსწავლეები ახდენენ მორ- ალური დილემის ანალიზს.  მოსწავლეები კრიტიკულად განიხილავენ კანონმორ- ჩილების მიზეზებს.  მოსწავლეები მსჯელობენ სიტუაციებზე, როცა ადა- მიანის მორალური ვალდე- ბულება შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე იურიდიული პასუხისმგე- ბლობა.	„შმიტის დილე- მა“ – მოთხრო- ბის ასლები.  ფურცლები წერილობითი დავალებები- სათვის.  დაფა.	მორალური დილემის საერ- თო ანალიზი. ანალიზი, რომელსაც მასწავლებელი ნარმართავს. მოთხრობის წერა. საერთო დისკუსია.
გაკვეთილი 3: ეს ვისი პრობ- ლემა?	მოქალაქეთა იუ- რიდიული პასუხ- ისმგებლობების არსის გაზრება.  მორალურ და იურიდიულ პა- სუხისმგებლობებს შორის განსხვავე- ბების გაზრება.	მოსწავლეები განიხილავენ სოციალურ პრობლემებზე პასუხისმგებლობის საკითხე- ბებს.  მოსწავლეები ავსებენ აზ- როვნების ჩარჩოს.  მოსწავლეები ამზადებენ წერილობით პასუხებს, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.	„წერილი“ – მოთხრობის ასლები.  დაფა.  ქალალდები მო- სწავლეთა ინ- დივიდუალური მუშაობისათვის.	სტრუქტური- რებული კრი- ტიკული ანა- ლიზი. ანალიზი და დისკუსიები მცირე ზომის ჯგუფებში. მოლაპარ- აკებები და შეთანხმების მიღწევა. ინდივიდუ- ალური წერითი დავალება.

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 4: რატომ იქცევა ადამიანი აქტიურ მო- ქალაქედ?	<p>იმის გააზრება, რომ საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის განაწილება ხდება.</p> <p>იმ მიზეზების გააზრება, რის გამოც ადამიანები იღებენ პასუხ-ისმგებლობას სხვათა ტანჯვაზე.</p> <p>სამოქალაქო სა-ზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა ფუნქციების გააზ-რება.</p>	<p>მოსწავლეები მუშაობენ მოთხრობის ნაწილების დაკავშირებაზე.</p> <p>მოსწავლეები გამოხატავენ ვარაუდებს სოციალური მოტივაციის გამომწვევ მიზ-ეზებზე.</p> <p>მოსწავლეები მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციების გააზ-რებაზე.</p> <p>მოსწავლეები ჯგუფებში იყვლევენ არასამთავრობო ორგანიზაციის, ან სოციალური კამპანიის ავტორის საქმიანობას.</p> <p>მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის შედეგებს წარ-მოადგენენ.</p>	<p>მოსწავლის სამუშაო ფურ-ცელ 6.4-ის ასლები, რომ-ლებიც უკვე გამოქრილია.</p> <p>კვლევისათ-ვის საჭირო რესურსები.</p> <p>პრეზენტაცი-ისათვის საჭირო მასალა – დიდი ზომის ფურ-ცლები, ფერადი კალმები.</p>	<p>ჯგუფური მუშაობა. მო-ლაპარაკება. მორალური აზროვნება. კრიტიკული შეფასება. კვლევა. კვლევა. ჯგუფური პრეზენტაცია.</p>

## გაკვეთილი 1

### პასუხისმგებლობები ოჯახში წინააღმდეგობები და გამოსავლის გზების ძიება

სწავლის მიზანი – მოქალაქეთა სხვადასხვა პასუხისმგებლობის გაცნობა.  
იმის გააზრება, რომ პასუხისმგებლობები, შესაძლოა, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს.  
იმ მორალური მიზეზების დადგენა, რომელიც საფუძვლად უდევს კონფლიქტური პასუხისმგებლობების შესახებ გადაწყვეტილებებს.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები ახდენენ მორალური დილემის ანალიზს.  
მოსწავლეები განიხილავენ ანალიზის ალტერნატიულ ვარიანტებს.  
მოსწავლეები გამოთქვამენ ინდივიდუალურ მოსაზრებებს.

საჭირო მასალა – „მილანი ირჩევს“ – მოთხრობის ასლები.  
ფურცლები წერილობითი დავალებებისათვის.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ჯგუფებში დისკუსიები. საერთო დისკუსია.  
ინდივიდუალური წერითი დავალება.

## ძირითადი ცნებები

**პასუხისმგებლობა:** ის, რისი გაკეთების ვალდებულებაც გააჩნია ადამიანს. პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს იურიდიული, მორალური, სოციალური.

**მორალური კონფლიქტი:** წინააღმდეგობრიობა, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ადამიანს ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს.

**სამოქალაქო პასუხისმგებლობა:** ადამიანის ვალდებულებები სხვა ადამიანების წინაშე. თემის წევრობას თან ახლავს უფლებები, ისევე როგორც პასუხისმგებლობები.

## გაკვეთილი

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ყველა ადამიანს აქვს პასუხისმგებლობები; პრობლემები თავს იჩენს მაშინ, როცა ადამიანი გარკვეულ პასუხისმგებლობას სხვა პასუხისმგებლობებზე მაღლა აყენებს. არჩევანის გაკეთება ხშირად რთულია. მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს მოთხრობას „მილანი ირჩევს“ და სთხოვს მათ, დაფიქრდნენ შემდეგ საკითხებზე. საბოლოო პასუხების წარმოდგენამდე, მოსწავლეებს შეუძლიათ, წყვილებში იმუშაონ.

1. რა წერია მოთხრობაში მილანის პასუხისმგებლობებზე? რამდენ სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობას ხედავთ ამ მოთხრობაში (პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე, ოჯახის წინაშე, სკოლის წინაშე, ადგილობრივი თემისა და მსოფლიოს წინაშე)?
2. როგორ ფიქრობთ, რა გზა უნდა აირჩიოს მილანმა? ყველა თანხმდება კლასში, თუ არის განსხვავებული მოსაზრებები?
3. რამდენად რთული დილემის წინაშე დგას მილანი? რა ართულებს სიტუაციას?
4. რა პასუხისმგებლობები აქვს მილანის მამას, მოთხრობის მიხედვით?
5. თქვენი აზრით, მართალია მილანის მამა, როდესაც შვილს სახლში დარჩენას სთხოვს?
6. რამდენად გაუჭირდებოდა მილანს, დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა მამისათვის? რამდენად სერიოზულ შედეგებს გამოიწვევდა ასეთი დაუმორჩილებლობის გამოცხადება? ახსენით თქვენი პასუხი.

## წერითი დავალება

დაწერეთ ის, რაც, თქვენი აზრით, მილანმა მამას დაუწერა. შეადარეთ თქვენი ვერსია თქვენი თანაკლასელების ვერსიებს. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ დანარჩენ კლასს.

## განზოგადება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოაყალიბონ პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც ადამიანებს საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ქვეყნის და კაცობრიობის წინაშე ეკისრებათ.

მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ. მათ შეუძლიათ, დახაზონ ცხრილი და შეავსონ ის საკუთარი მოსაზრებებით, ადამიანის პასუხისმგებლობების შესახებ. შემდეგ მოსწავლეები ერთად განიხილავენ ადამიანის პასუხისმგებლობებს სხვა ადამიანების წინაშე.

## ინდივიდუალური მოსაზრებები

მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს შემდეგ ინფორმაციას: „ამ მოთხრობაში მილანის პასუხისმგებლობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მოიფიქრეთ მაგალითები, რომლებიც ადამიანის პასუხისმგებლობების წინააღმდეგობრიობას ადასტურებენ. ჩამოაყალიბეთ მოსაზრებები ასეთი პრობლემური სიტუაციების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით“.

თუ მოსწავლეებს უჭირთ ამ სავარჯიშოს შესრულება, მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მათ ცხოვრებისეული, მოსწავლეებისათვის ცნობილი მაგალითები.

## გაკვეთილი 2

### რატომ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები კანონებს? რა არის კანონმორჩილების ძირითადი მიზეზები?

სწავლის მიზანი – ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობების არსის გააზრება.

იურიდიულ და მორალურ ვალდებულებებს შორის განსხვავებებზე მსჯელობა.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები ახდენენ მორალური დილემის ანალიზს.

მოსწავლეები კრიტიკულად განიხილავენ კანონმორჩილების მიზეზებს.

მოსწავლეები მსჯელობენ სიტუაციებზე, როცა ადამიანის მორალური ვალდებულება შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იურიდიული პასუხისმგებლობა.

საჭირო მასალა – „შმიტის დილემა“ – მოთხოვობის ასლები.

ფურცლები წერილობითი დავალებებისათვის.

დაფა.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მორალური დილემის საერთო ანალიზი. ანალიზი, რომელსაც მასწავლებელი წარმართავს. ამბის წერა. საერთო დისკუსია.

### ძირითადი ცნებები

**კანონი:** მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაცია.

**კანონის უზენაესობა:** დემოკრატიული ქვეყნის მთავრობა ემორჩილება ქვეყნის კანონ-მდებლობით განსაზღვრულ ნორმებს. მმართველობის ცვლილება ხდება კონსტიტუციით განსაზღვრული წესების მიხედვით, და არა ძალადობის, ან ომის საშუალებით. მოსახლეობას აკისრია კანონმორჩილების პასუხისმგებლობა.

**იურიდიული ვალდებულება:** პასუხისმგებლობა, რომელსაც კანონი აკისრებს მოქალაქეებს.

**მორალური პასუხისმგებლობა:** ადამიანის ვალდებულება, რომელსაც ის პირადი შეხედულებების მიხედვით იღებს საკუთარ თავზე.

## გაკვეთილი

მასწავლებელს გაკვეთილზე შემოაქვს მოთხოვობა „შმიტის დილემა“; იგი მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფებში იმუშაონ და განიხილონ, რამდენად მართებული იქნება, რომ შმიტმა ფული მოიპაროს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მასწავლებელი დაფაზე სხვადასხვა მოსაზრებას წერს.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეარჩიონ ის მიდგომა, რომელსაც ისინი ეთანხმებიან და საკუთარი მოსაზრებები წერილობითი ფორმით მოამზადონ.

– შმიტმა უნდა მოიპაროს ფული, რადგან...

– შმიტმა არ უნდა მოიპაროს ფული, რადგან...

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა მოსაზრებებს დაფაზე წერს, მაგალითად:

„მან უნდა მოიპაროს ფული, რადგან მისი ქალიშვილის სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონი ქურდობის აკრძალვის შესახებ“;

„მან არ უნდა მოიპაროს ფული, რადგან ის შეიძლება დაიჭირონ“;

„მან არ უნდა მოიპაროს ფული, რადგან არ შეიძლება კანონის დარღვევა“.

კლასში ხდება სხვადასხვა არგუმენტის განხილვა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასრულონ შემდეგი წინადადება:

„კანონის დარღვევა არასწორია, რადგან...“

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რაც შეიძლება, მეტი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა დაირღვეს კანონი. როგორც წესი, ამ შეკითხვაზე პასუხები არის ხოლმე შემდეგი:

„კანონის დარღვევა არასწორია, რადგან:

- შეიძლება დაგიჭირონ და დაგსაჯონ;
- კანონი ადამიანს იცავს ზიანისაგან და სხვა ადამიანებისათვის ზიანის მიყენება არასწორია;
- ყველა ადამიანი მოიქცეოდა ისე, როგორც სურს, რომ არ აკავებდეთ მათ კანონები;
- კანონის დარღვევა ანადგურებს ნდობას ადამიანებს შორის;
- საზოგადოებას არსებობისათვის ესაჭიროება კანონები; კანონების გარეშე იქნებოდა ქაოსი;
- კანონის დამრღვევი, ამავდროულად, არღვევს ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორებიცაა სიცოცხლისა და საკუთრების უფლებები“.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ არსებობს არაერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანები კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ. ამ მიზეზთა ნაწილი უკავშირდება თავად პიროვნების ინტერესებს, ნაწილი – სხვა ადამიანების, ან საზოგადოების ინტერესებს (იხ. შენიშვნა ქვემოთ).

ამ ცნების საილუსტრაციოდ, მასწავლებელს შეუძლია, სამი ერთმანეთში ჩახაზული წრე დაფაზე გამოსახოს, სახელწოდებებით „მე“, „სხვები“, „საზოგადოება“.

მასწავლებელი იმასაც აგებინებს მოსწავლეებს, რომ მხოლოდ კანონმორჩილება არ არის ნიშანი იმისა, რომ ადამიანი კარგი მოქალაქეა. ბევრი არასწორი საქციელი ჩაუდენიათ ადამიანებს იმის მტკიცებით, რომ ისინი „კანონს ემორჩილებიან“. მეორე მხრივ, როგორც მოთხოვნიდანაც იკვეთება, კარგი ადამიანი ხანდახან ფიქრობს კანონის დარღვევაზე მაღალ-მორალური მიზეზების გამო.

მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობების წინააღმდეგობრივი ხასიათის სა-თანადო წვდომის მიზნით, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს სთხოვოს, წერილობით მოამზადონ ამბები ადამიანებზე, რომლებიც, მორალური პასუხისმგებლობის გამო, კანონის დარღვევაზე ფიქრობენ. მაგალითად, ადამიანი, საგანგებო მდგომარეობის დროს, აჭარბებს ნორმით დაშვებულ სიჩქარეს, ან არ ასრულებს კანონს, რომელიც არასამართლიანია.

შემდეგ რამდენიმე მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს საკუთარ მაგალითს. მასწავლებელი ხაზს უსვამს განსხვავებას მორალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობებს შორის; პირველს ადამიანი თავად კისრულობს, ხოლო მეორის მორჩილებას მას მთავრობა ავალდებულებს. ამ ორი ტიპის პასუხისმგებლობის ჭიდოლს მივყავართ მოქალაქეთა მხრიდან არსებული კანონების კრიტიკამდე. ადამიანები სწორედ ასეთი წინააღმდეგობრიობის გამო გამოდიან ხოლმე კანონის შეცვლის მოთხოვნით. მოქალაქეები, მორალური მიზეზებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში კანონის დარღვევის გადაწყვეტილებას იღებენ. არაერთი ისტორიული მაგალითი ცხადყოფს, რომ ადამიანები კანონს არღვევდნენ, რათა პროტესტი გამოეხატათ ტირანი მმართველების წინააღმდეგ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მოუყვენოს ასეთი პროტესტის მაგალითები ქვეყნის ისტორიიდან. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ კანონის დარღვევის შემთხვევას ზედაპირულად ვერასოდეს მივუდგებით, რადგან კანონის დარღვევა საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, რაც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია.

## შენიშვნა

ამ გაკვეთილში წარმოდგენილი მორალური დილემა „ჰაინცის დილემის“ (1950-იანი წლები) მსგავსია, რომლის ავტორია ამერიკელი ფსიქოლოგი ლორენს კოლბერგი. ეს იყო ერთ-ერთი, იმ დილემათაგან, რომელიც კოლბერგმა და მისმა კოლეგებმა 10-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისათვის შექმნეს. როგორც მათ აღმოჩინეს, ახალგაზრდები საკუთარ მე-ზე

ორიენტირებული მიდგომიდან საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომისაკენ ვითარდება. დილემის კონტექსტი, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს იმას, თუ რომელ მიდგომას იყენებენ ახალგაზრდები. პატარა ბავშვებისათვის წესები და კანონები ყოველგვარ მოქნილობასაა მოკლებული და აღიქმება, როგორც უზენაესი ვალდებულებები. მოგვიანებით, გარდამავალ ასაკში, ახალგაზრდები თანდათან უკეთ იაზრებენ, რომ კანონებს სოციალური დატვირთვა აქვთ, შეიძლება მათი კრიტიკული განხილვაც, თუ ითვლება, რომ მორალურად არასწორი, ან არასამართლიანია.

### გაკვეთილი 3 ეს ვისი პრობლემა? როგორ ხდება სოციალური პასუხისმგებლობების განაწილება?

სწავლის მიზანი – მოქალაქეთა იურიდიული პასუხისმგებლობების არსის გააზრება.  
მორალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობებს შორის განსხვავებების გააზრება.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ სოციალურ პრობლემებზე პასუხისმგებლობის საკითხებს.  
მოსწავლეები ავსებენ აზროვნების ჩარჩოს.  
მოსწავლეები ამზადებენ წერილობით პასუხებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

საჭირო მასალა – „წერილი“ – მოთხოვთ ასლები.

დაფა.

ქაღალდები მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობისათვის.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – სტრუქტურირებული კრიტიკული ანალიზი. ანალიზი და დისკუსიები მცირე ზომის ჯგუფებში. მოღაპარაკებები და შეთანხმების მიღწევა.  
ინდივიდუალური წერითი დავალება.


### ძირითადი ცნებები

სოციალური პრობლემა: თემის ყველა, ან რამდენიმე წევრის პრობლემა, რომელზე პასუხისმგებლობასაც თემი იზიარებს. პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებლობა თანაბრად არ ნაწილდება თემის ყველა წევრს შორის.

პასუხისმგებლობის ხარისხი: კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მოცულობა, რომელიც ადამიანს ეკისრება.

### გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს წარმოუდგენს მის მიერ შეთხზულ წერილს, რომლის მსგავსიც ადგილობრივ გაზიერები შეიძლება გამოქვეყნებულიყო. ამ წერილში დაფიქსირებულია ადგილობრივ მაცხოვრებელთა ორი სოციალური პრობლემა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს: ა. მოახდინონ ამ ორი პრობლემის იდენტიფიკაცია; ბ. მოიფიქრონ, თუ ვინ იქნება ამ პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებელი. მოსწავლეების დასახმარებლად, მასწავლებელი ასეთ აზროვნების ჩარჩოს ხატავს დაფაზე:



## ჯგუფური მუშაობა

### ნაბიჯი 1

დაყავით კლასი 3-4 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად. იმდენი ქულა მიეცით თითოეულ ჯგუფს, რამდენი მხარეცაა ამ პრობლემის გადაჭრაში ჩართული.

### ნაბიჯი 2

ჯგუფში შემავალი ყველა მოსწავლე ისე ანაწილებს ქულებს, რომ გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პასუხისმგებლობის შესახებ. მაგალითად, ბავშვებს და ძალებს, შესაძლოა, არ ერგოთ ქულა, თუ მოსწავლე გადაწყვეტს, რომ უკონტროლო ძალებზე მათ პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.

### ნაბიჯი 3

შემდეგ მოსწავლეები ჯგუფის სხვა წევრებს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს და მოჰყავთ სათანადო მიზეზები. მოსწავლეები მსჯელობენ და გამოყავთ საშუალო ქულა თითოეული მხარისათვის. საბოლოო შედეგები გამოხატავს ჯგუფის პოზიციას პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ.

მასწავლებელი კლასში განიხილავს სხვადასხვა ჯგუფის მოსაზრებებს, ეხმარება მოსწავლეებს, ჩაუღრმავდნენ და გაიაზრონ ერთმანეთის შეხედულებები პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

თუ გაქვთ დრო, გაიმეორეთ სავარჯიშო დანაგვიანების მაგალითზეც. მასწავლებელს შეუძლია, მაგალითი ჩაანაცვლოს მოსწავლეებისათვის უფრო ნაცნობი პრობლემური თემით.

## შენიშვნა

ამ გაკვეთილზე განხილული მაგალითები შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეებთან, რომლებიც ჯერ გაწაფულნი არ არიან პოლიტიკური პრობლემების განხილვაში. მაგალითები ამიტომაცაა კონკრეტული, ცხადი და ადვილად გასაგები (თუმცა, რთულად გადასაჭრელი). უფრო გამოცდილ კლასებში, შეიძლება, უფრო კომპლექსური პრობლემები შევიტანოთ, მაგალითად, რასიზმთან, ან უმუშევრობასთან დაკავშირებით. აზროვნების ჩარჩო პრობლემის სირთულეს არ უკავშირდება და, შესაბამისად, არ შეიცვლება.

## ნაბიჯი 4: დისკუსია, რომელიც ამ სავარჯიშოს შეიძლება მოჰყვეს

საერთო დისკუსიაზე მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, განიხილონ, თუ რამდენად იღებენ ადამიანები პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე. თუ მოსწავლეები თვლიან, რომ ადამიანები, როგორც წესი, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას არ იღებენ, მათ უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ კუთხით მდგომარეობის გამოსწორება. განათლებაზე ხომ არ უნდა გაკეთდეს აქცენტი? აუცილებელია კანონმდებლობის შეცვლა და მკაცრი სასჯელის ზომების დაწესება? თუ ადგილობრივმა ან ცენტრალურმა მთავრობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარკვეულ პრობლემებზე პასუხისმგებლობა, რა დაჯდება ეს და საიდან წამოვა თანხები? მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იფიქრონ ახალგაზრდების როლზე ასეთი პრობლემების მოგვარებაში; მათაც უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა? ახალგაზრდებმა თემის მთელი პრობლემები ზრდასრულებს უნდა დაუტოვონ გადასაჭრელად? ეს შეკითხვები მასწავლებელმა შეიძლება წერითი დავალებისათვის გამოიყენოს.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები იცნობდნენ ხალხის პრობლემებს. პოლიტიკა ხომ საერთო პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიებაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობას ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლია. ბევრი პრობლემის თავიდან არიდება იქნებოდა შესაძლებელი, ადამიანები მეტი პასუხისმგებლობით რომ უდგებოდნენ საკუთარ ქმედებებს.

### გაკვეთილი 4

#### რატომ იქცევა ადამიანი აქტიურ მოქალაქედ?

რატომ სურთ ადამიანებს საზოგადოების შეცვლა და როგორ შეუძლიათ ამის მიღწევა?

სწავლის მიზანი – იმის გააზრება, რომ საზოგადოებაში ხდება სოციალური პასუხისმგებლობის განაწილება.

იმ მიზეზების გააზრება, რის გამოც ადამიანები სხვათა ტანჯვაზე იღებენ პასუხისმგებლობას. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფუნქციების გააზრება სამოქალაქო საზოგადოებაში.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები მუშაობენ მოთხოვობის ნაწილების დაკავშირებაზე.

მოსწავლეები გამოხატავენ ვარაუდებს სოციალური მოტივაციის გამომწვევ მიზეზებზე.

მოსწავლეები მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციების გააზრებაზე.

მოსწავლეები ჯგუფებში იკვლევენ არასამთავრობო ორგანიზაციის ან სოციალური კამპანიის ავტორის საქმიანობას.

მოსწავლეები ჯგუფური მუშაობის შედეგებს წარმოადგენენ.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელ 6.4-ის ასლები, რომლებიც უკვე გამოჭრილია. კვლევისათვის საჭირო რესურსები.

პრეზენტაციისათვის საჭირო მასალა – დიდი ზომის ფურცლები, ფერადი კალმები.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა. მოლაპარაკება. მორალური აზროვნება. კრიტიკული შეფასება. კვლევა. ჯგუფური პრეზენტაცია.

## ძირითადი ცნებები

**სოციალური ქმედება:** მოქალაქის ან თემის წევრის ქმედება სოციალური პრობლემის გადა-სააჭრელად.

**მოქალაქე:** ადამიანი, რომელსაც იურიდიულად აქვს მინიჭებული ერის წევრობა (მოქალაქეობა). მოქალაქეობას თან ახლავს უფლებები და პასუხისმგებლობები, თუმცა სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულ პასუხისმგებლობას გრძნობს საკუთარი თემის წინაშე.

**აქტიური მოქალაქე:** ადამიანი, რომელიც საჯარო ქმედებებს მიმართავს სოციალური და თემის პრობლემების გადასაჭრელად.

**არასამთავრობო ორგანიზაცია:** ორგანიზაცია, რომელსაც აყალიბებენ და მართავენ მოქალაქეები სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. არასამთავრობო ორგანიზაცია არის საჯარო, და არა საიდუმლო; ის საზოგადოების სტრუქტურის ფარგლებში მოქმედებს. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ეხმაურებიან საკითხებს, რომელიც მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვასა და აღიარებას უკავშირდება. არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება მთავრობის მხარდამჭერი, ან ოპოზიციის იდეების გამტარებელი იყოს. დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის საშუალებას იძლევა, ცნობს მათ უფლებებს და იცავს მათ.

**სამოქალაქო საზოგადოება:** ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ქვეყნის მთავრობას და ახორციელებენ სოციალურ ქმედებას, მოიხსენიებიან სამოქალაქო საზოგადოების სახელით. სამოქალაქო საზოგადოება მოქალაქისა და მთავრობის ერთ-ერთი მაკავშირებელია.

## გაკვეთილი

მასწავლებელი მოსწავლეებს ხუთკაციან ჯგუფებად ჰყოფს და ურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს ელენა სანტიჩის ცხოვრების შესახებ ინფორმაციით (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 6.4). მოთხრობა უნდა იყოს დაჭრილი ნაწილებად. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფში, შემთხვევითობის პრინციპით, გაინანილონ მოთხრობის ნაწილები. ჯგუფის თითოეული წევრი თავის ნაწილზე დატანილ ინფორმაციას ჯგუფის დანარჩენ წევრებს უკითხავს. შემდეგ მოსწავლეები მოთხრობის ნაწილებს ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით აწყობენ.

მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს შეკითხვათა ნუსხას წარმოუდგენს და სთხოვს მათ, ჯგუფურად განიხილონ პასუხები ამ შეკითხვებზე. მასწავლებელი მოსწავლეებს აფრთხილებს, რომ ბუნებრივი იქნება, თუ მოსწავლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს და ეუბნება მათ, რომ საუკეთესო პასუხები სწორედ აზრთა ჭიდილის შედეგად მიიღწევა. მოსწავლეებმა საკუთარი პასუხები ფურცელზე უნდა ჩაინიშნონ.

## შეკითხვები

- რატომ ჩაერთო ელენა სანტიჩი ჯგუფ 484-ის მუშაობაში?
- იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც ელენა სანტიჩზე მოგეპოვებათ, როგორ აღწერდით ამ პიროვნებას?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაუტოვეს ელენა სანტიჩმა და ჯგუფ 484-მა შესასრულებელი საქმე მთავრობას?
- რა საჭიროების დაკმაყოფილებაზე მუშაობდა ჯგუფი 484?
- როგორი საზოგადოების ჩამოყალიბებას აპირებდნენ ელენა სანტიჩი და ჯგუფი 484?
- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ჯგუფ 484-ის მსგავსი არასამთავრობო ორ-

განიზაციების არსებობა საზოგადოებისათვის? რისი მიღწევა შეუძლიათ მათ? იმსჯელეთ მათ როლზე, მთავრობის საქმიანობის მიმართ და ხალხის საჭიროებების დაცვაყოფილების კუთხით.

- დაფიქრდით თქვენს საზოგადოებაზე. თქვენი აზრით, აქტიური მოქალაქეებისა და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პასუხისმგებლობის აღება საზოგადოების რომელი საჭიროებ(ებ)ის დაკმაყოფილებისთვის იქნებოდა საჭირო?

მაგალითისათვის, მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ამონარიდს საერთაშორისო ანგარიშიდან, რომელიც ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში არასამთავრობო ორგანიზაციების 2003 წლის მუშაობას უკავშირდება:

„არასამთავრობო ორგანიზაციები აგრძელებენ პოზიტიური წვლილის შეტანას ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით. [...] ძველი და ახალი სარეგისტრაციო წესების მიხედვით, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ფუნქციონირებს 7874 არასამთავრობო ორგანიზაცია.[...]

არასამთავრობო სექტორმა დაამტკიცა, რომ მას შეუძლია მსხვილმასშტაბიანი საჯარო კამპანიების წარმართვა გენდერული თანასწორობის, გარემოს დაცვის, უმცირესობათა უფლებებისა და სხვა საკითხებზე. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის, რეაბილიტაციის, ადამიანის უფლებების, გარემოსა და უმცირესობათა დაცვის პროექტებს.“<sup>25</sup>

ამ ციტატას მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხლავს. პირველ რიგში, მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, რამდენად ეხება ციტატაში მოყვანილი სფეროები მათ ქვეყანას. შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმსჯელონ სხვადასხვა პროექტზე, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოხსენებულ სფეროებში.

## შეკითხვები

ეს თავი პრეზენტაციებით სრულდება. თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ-ერთ თემას და ამ თემაზე ამზადებს პრეზენტაციას. თუ შესაძლებელია, მოსწავლეებმა შეიძლება შეისწავლონ რამდენიმე აქტიური მოქალაქის ცხოვრება თავიანთ ქვეყანაში და მათი ისტორიებიც ჩართონ პრეზენტაციაში. მოსწავლეებმა პრეზენტაციაში ისეთ საერთაშორისო ფიგურებზეც შეიძლება გაამახვილონ ყურადღება, როგორებიც არიან დედა ტერეზა და ნელსონ მანდელა.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 6.1

### მილანი ირჩევს

მილანი მზად იყო სკოლაში წასასვლელად, როცა მამამისი სამზარეულოში შემოვიდა.

„მილან, ძალიან მჭირდება შენი დახმარება ყანაში. გთხოვ, არ წახვიდე დღეს სკოლაში. თუ მოსავალს დროზე არ ავიღებთ, გაფუჭდება“.

მილანს ამის გაგონება არ ესიამოვნა.

„მამიკო, აუცილებლად უნდა წავიდე სკოლაში. დღეს იმართება სასკოლო საბჭოს პირველი შეხვედრა და ამ საბჭოში მე მე-8 კლასელთა წარმომადგენლად ვარ არჩეული.“

„მაგრამ შენ არ ხარ მე-8 კლასელთა ერთადერთი წარმომადგენელი ამ საბჭოში, არა? სხვა ვინმეც იქნება და ის წარმოადგენს მე-8 კლასელებს.“

„მართალი ხარ, მაგრამ მე ჩემი ამომრჩევლის იმედები არ უნდა გავაცრუო.

25 წყარო: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ანგარიში „2003 წლის არასამთავრობო ორგანიზაციათა მდგრადობა, ევროპა და ევრაზია“, გვ. 42 და 43; [www.usaid.gov/locations/europe\\_eurasia/dem\\_gov/ngoindex/2003/bosnia.pdf](http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/ngoindex/2003/bosnia.pdf)

ასევე, დღეს გვაქვს მეცნიერების გაკვეთილი. არ მინდა ამ გაკვეთილის გაცდენა. თუ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას გადავწყვეტ, მეცნიერებაში გამოცდის ჩაბარება მომიწევს.“

მილანის მამამ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა: „უნივერსიტეტზე ლაპარაკობ და ოჯახი არ განალებებს. შენი დახმარება სახლში გვჭირდება. რას მოგვიტანს შენი უნივერსიტეტში ჩაბარება? უნივერსიტეტს რომ დაასრულებ, მერე კი ნამდვილად ალარ გაგახსენდება ოჯახი.“

„მამა, შენ უნდა გიხაროდეს, რომ, სხვა ბიჭებისაგან განსხვავებით, სწავლის გაგრძელება მსურს. მათ არანაირი ამბიცია არ გააჩნიათ და მთელი ცხოვრება ზუსტად ის უნდა აკეთონ, რითაც მათი მამები არიან დაკავებულნი.“

მილანის მამამ გაბრაზებით დასძინა: „ძველ ლირებულებებში არაფერია ცუდი. მძულს ეს საუბრები განათლებაზე. მეჩვენება, რომ ძველი ლირებულებების პატივისცემა სრულიად დაკარგე.“

მილანმა ამოიოხრა. ასეთი საუბარი მამასთან პირველად არ ჰქონდა.

„მამა, მე თუ კარგ სამსახურს ვიშოვი, დაგეხმარებით. როგორ შეიძლება იფიქრო, რომ მე თქვენ დაგივიწყებთ? ნუთუ მართლა გსურს, სკოლაში სიარულს თავი დავანებო და არ მივაღწიო იმას, რისი მიღწევაც შემიძლია? ყველა მასწავლებელი მეუბნება, რომ შეიძლება, კარგი მეცნიერი გამოვიდე. წარმოიდგინე, რომ შენი შვილი იქნება მეცნიერი, რომლის აღმოჩენები მსოფლიოს დაეხმარება.

მილანის მამამ მუშტი დაარტყა მაგიდას: „შენი პირველადი მოვალეობაა ოჯახისა და თემის დახმარება, მით უმეტეს, ახლა, ამ გაჭირვებულ დროში. თავი ოცნებებით გაქვს გამოტენილი. რა დროს მსოფლიოს დახმარებაა?“

მილანს მამის სიტყვებმა გული დასწყვიტა, მაგრამ არ უნდოდა სევდის გამომჟღავნება. მამა შეტრიალდა, დატოვა ოთახი და კარი გაიჯახუნა.

მილანი ჩამოჯდა და ამოიოხრა. ის ჩაფიქრდა და მალე გადაწყვეტილება მიიღო. მილანმა აიღო ჩანთა და კარისკენ გაემართა. უცებ შეჩერდა, ამოიღო ჩანთიდან კალამი და ქალალდი, დაჯდა მაგიდასთან და მამისათვის წერილის წერას შეუდგა. ეს იყო მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 6.2

### შმიტის დილემა

შმიტის ერთადერთი ქალიშვილი მძიმედ ავადაა; მას გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება. ოპერაციისათვის კი აუცილებელია ფული. შმიტმა არ იცის, როგორ იშოვოს ფული. შმიტსა და მის ცოლს აქვთ მცირედი დანაზოგი, რითაც მაღაზიის გახსნას აპირებდნენ; ისინი სიამოვნებით გაიღებდნენ ამ ფულს გოგონას გადასარჩენად, მაგრამ ეს ფული საკმარისი არ იქნება ოპერაციისათვის.

შმიტი ევედრება ექიმებს, გააკეთონ ოპერაცია შედარებით დაბალ ფასად. ექიმები აცხადებენ, რომ ეს უსამართლობა იქნება მათ მიმართ, ვინც ოპერაციაში სრული საფასური გადაიხადა. შმიტი მეგობრებსა და ნათესავებში შეაგროვებს ცოტაოდენ ფულს, მაგრამ ოპერაციისათვის საკმარისი თანხა მაინც არ გამოსდის. გოგონა ყოველდღიურად უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება.

სასოწარკვეთილი შმიტი გადაწყვეტს, მოიპაროს თანხის ის ოდენობა, რაც ოპერაციისათვის აკლია.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 6.3

### კონტროლს ვკარგავთ!

ეს წერილი ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა:

ჩვენ, ადგილობრივი მაცხოვრებლები, შეშფოთებას გამოვხატავთ იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანებს არ სურთ, იკისრონ საკუთარი პასუხისმგებლობები. შედეგად, გამოიკვეთა არაერთი პრობლემა.

ჩვენს უბანში ბევრი ძალი დაძრნის უპატრონოდ. პატრონებმა ან არ იციან ამის შესახებ, ან ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს. ძალლები ქუჩებს ანაგვიანებენ, რაც არა მხოლოდ არასასიამოვნოა, არამედ პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის. ძალლები ყეფენ პარკებში. რამდენიმე მათგანი ცოფიანია. აუცილებელია მათვის ყურადღების მიქცევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ მიდამოებში ბავშვები თამაშობენ.

ასევე, ვფიქრობთ, რომ ძალიან დანაგვიანებულია ჩვენი გარემო. მიზეზი ისაა, რომ მაცხოვრებლები არ იცავენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ნორმებს. ნაგავს თან ახლავს ვირთხების მომრავლება, რომლებიც არაერთი დაავადების გადამტანებად გვევლინებიან. ხშირად შეხვდებით ქუჩაში დაყრილ სამღებრო და სხვა ქიმიური ნივთიერებების ქილებს. ეს ნივთიერებები, შეიძლება, შეერთოს მდინარეებს, სასმელ წყალს და გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება.

რატომ არ ფიქრობენ ადამიანები თავიანთი ქცევის შედეგებზე? რატომ არ ახდენენ რეაგირებას ამ პრობლემებზე პოლიტიკოსები?

პატივისცემით,

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 6.4

ბარათების დალაგება: ელენა სანტიჩის ცხოვრება

1. ელენა სანტიჩი დაიბადა 1944 წელს. ის ეროვნებით სერბი იყო.	2. ელენა სანტიჩი სიმსივნით გარდაიცვალა 2000 წელს.
3. ელენას გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა ბელგრადში აიღეს დაბომბილი შენობდან გადარჩენილი ქვა. ქვა მორთეს კოსოვოდან დევნილმა ბავშვებმა. შემდეგ ეს ქვა ჩაიტანეს ბერლინში და ელენა სანტიჩის სახელობის მშვიდობის პარკში მოათავსეს.	4. ელენა სანტიჩისა და ჯგუფ 484-ის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი, რომელიც ემსახურებოდა ნდობის ალდგენს სერბებსა და ხორვატებს შორის, 1991 წლის ომის შედეგა. ამ პროექტში ელენამ ჩართო ორივე მხარის წარმომადგენელი მოხალისები და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები.
5. ელენა სანტიჩი იყო დამფუძნებელი და ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაციისა, ჯგუფი 484. ჯგუფი 484 კონფლიქტების გადაჭრის არაძალადობრივ გზებზე მუშაობდა. მათვის ჰუმანური საზოგადოებისა და თანამშრომლობის საფუძველი იყო შემწყნარებლობისა და პრინციპების.	6. ელენა წერდა სტატიებს ნაციონალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. მისი სტატიები სხვადასხვა ქვეყანაში ვრცელდებოდა. ორგანიზაციის ფაქსების ელენისა საერთაშორისო მშვიდობის პრემია მიანიჭა.
7. ბერლინში არის მშვიდობის პარკი, რომელიც ელენა სანტიჩის სახელს ატარებს. ამ პარკში ელენა ერთ-ერთ თავყრილობაზე სიტყვით გამოვიდა.	8. სანტიჩი გახდა მსოფლიოში ცნობილი ბალერინა და ბალეტის მასწავლებელი.
9. ელენა ომის წინააღმდეგ გამოდიოდა და იბრძოდა ადამიანის უფლებათა დასაცავად. ის და მისი ორგანიზაცია აქტიურად ეხმარებოდნენ დევნილებს, რომლებიც სერბეთში შემოდიოდნენ.	10. ჯგუფ 484-ის სახელი მომდინარეობს პროექტიდან, რომელიც ხორვატის 484 უსახლეპაროდ დარჩენილ ოჯახს დაეხმარა. ჯგუფ 484-მა დააკავალიანა დევნილები და მიაწოდა რჩევები საკუთარ უფლებათა შესახებ.

# მესამე ნაწილი – მონაწილეობა


თავი 7

სასკოლო გაზეთი  
როგორ იქმნება მედია?



## თავი 7 სასკოლო გაზეთი

### როგორ იქმნება მედია?



#### 7.1 გაზეთები ჩვენ გარშემო

ვის ინფორმირებაზე მუშაობენ ისინი. როგორ ახორციელებენ სამიზნე ჯგუფის ინფორმირებას. რა ინფორმაციას ავრცელებენ.

#### 7.2 ჩვენი გაზეთი საუკეთესოა... არ მეთანხმებით? რა აქცევს გაზეთს კარგ გაზეთად?

7.3 ჩვენ საკუთარ სასკოლო გაზეთს გამოვცემთ  
რა შეიძლება და რა არ შეიძლება, როცა საქმე ეხება სასკოლო გაზეთს?

#### 7.4 ჩვენი პირველი გამოცემა! რას ვაკეთებთ შემდეგ?

## თავი 7. სასკოლო გაზეთი როგორ იქმნება მედია?

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მედიის ზეგავლენა მთელ მსოფლიოში გაიზარდა. რაც უფრო კომპლექსური ხდება ჩვენი ცხოვრება, მით უფრო მეტად ვეყრდნობით მედიის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას და ვცდილობთ, გავერკვეთ, თუ რა ფაქტორები ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე ზეგავლენას. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც ჩვენს პიროვნულ გამოცდილებას სცდება, გვიწევს მედიის ამა თუ იმ საშუალების გამოყენება.

სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირად მიუწვდება ხელი მედიის საშუალებებზე. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს ადამიანის ინფორმირებულობის დონეს და იმას, თუ რა ძალაუფლება და ზეგავლენა აქვს მას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხია ცენზურა ისევე, როგორც არასწორი ინფორმაციის გავრცელება პარტიების, მთავრობებისა და ლობისტების ჯგუფების მიერ. კონფლიქტური სიტუაციის დროს ხშირია ინფორმაციის გავრცელების მონოპოლიზაციისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები.

ამ თავში ყველა ზემოხსენებული საკითხის დეტალურ განხილვას არ შევუდგებით. მოსწავლეები თავად წამოჭრიან ამ თემებს საკუთარი ქვეყნის ან რეგიონის ბეჭდვითი მედიის შედარებითი ანალიზისას.

ამ თავში შემდეგ მიდგომას ვირჩევთ მედიის სფეროში განათლებისადმი: სასკოლო გაზეთზე მუშაობა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ახლოს გაეცნონ ბეჭდვითი მედიის მომზადების პროცესს. არსებულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მიდგომა სასარგებლოა, რადგან მოსწავლეები, ამგვარი პრაქტიკული საქმიანობით, ბეჭდვითი მედიის მანამდე უცნობ სამყაროში შეგვყავს. მოსწავლეებს ბეჭდვითი მედიისადმი კრიტიკული მიდგომა განუვითარდებათ და მედიის სფეროს უკეთ გაეცნობიან.

და ბოლოს, პრაქტიკული მინიშნება: ეს თავი იძლევა სხვადასხვა დისციპლინის მომცველი სწავლების და თანამშრომლობის საშუალებას. ტექსტის დაწერა და შესწორება ენის გაკვეთილებზე შეიძლება, გაზეთის გაფორმება და დიზაინი კი – ხელოვნების გაკვეთილზე. შეიძლება ერთ-ერთმა კლასმა ითავოს გაზეთის მომზადება და სხვა კლასის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესდებიან, რედაქტირების პროცესში ჩართონ.

საჭირო იქნება გარკვეული დრო სასკოლო გაზეთის გამოცემის მერე, რათა სხვა მასწავლებლებიც დარწმუნდნენ, რომ ასეთი პროექტის განხორციელება ღირს.

### სწავლა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ

მედიის სფეროში გათვითცნობიერება სამოქალაქო განათლების მიზნის (აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბება) მისაღწევი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ქვემოთ წარმოდგენილია მედიის სფეროში გათვითცნობიერების ძირითადი ასპექტები:

1. საკომუნიკაციო კომპეტენციის ეხება ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების მანერას. სოციალური რეალობა, თავისთავად, არ არსებობს; მას განსაზღვრავენ ადამიანები, სოციალური ინტერაქციის მეშვეობით. სხვა სიტყვებით, სოციალური რეალობა იქმნება კომუნიკაციით. საკომუნიკაციო კომპეტენცია იწყება მშობლიური ენის შესწავლით და ვითარდება ამ კომპეტენციის საჯარო გამოყენების დროს.
2. თითოეული ადამიანი იბადება საკომუნიკაციო კომპეტენციით, თუმცა მას სჭირდება პრაქტიკა და დახვენა.
3. მედიაში გათვითცნობიერება საკომუნიკაციო კომპეტენციის ნაწილია. ჩვენ ვგულისმობთ მედიის სხვადასხვა საშუალებას, რომლის გამოყენებასაც ვარჯიში სჭირდება. ბეჭდვითი მედია, მათ შორის, სასკოლო გაზეთი, არის ყოველდღიური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალება, რომელსაც მოსწავლეები უნდა იცნობდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს არის მედიაში გათვითცნობიერებისათვის საჭირო მხოლოდ ერთი ელემენტი.

## თავი 7. სასკოლო გაზეთი

### როგორ იქმნება მედია?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: გაზეთები ჩვენ გარშემო	მოსწავლეებს ვაცნობთ ბეჭდვითი მედიის სხვადასხვა ფორმას; მათ ესმით განსხვავე- ბები შინაარსობრივ სტრუქტურაში.	მოსწავლეები აგროვე- ბენ და აანალიზებენ გაზეთებსა და ჟურნა- ლებს, რომლებსაც მათ თემში ხალხი ეცნობა. მოსწავლეები, შედეგების საილუს- ტრაციოდ, პოსტერს ამზადებენ.	გაზეთები, მაკრატლები, წებო, დიდი ზო- მის ფურცლები.	ჯგუფური მუშაობა
გაკვეთილი 2: ჩვენი გაზეთი საუკეთესოა... არ მეთანხმე- ბით?	მოსწავლეები იაზრებენ, თუ როგორია კარგი გაზეთი ან ჟურნალი; მათ უყალიბდებათ სა- კუთარი შეხედულებები, ღირებულებები და ინ- ტერესები.	მოსწავლეები აფასებენ ჯგუფურ პრეზენტა- ციიებს და თანხმდებიან კომპრომისებზე.	წინა გაკვეთილზე მომზადებული პრეზენტაციები. მატრიცა დაფაზე ან ფლიპჩარტზე.	ჯგუფური პრეზენტა- ციები, დის- კუსიები და ძეფასება.
გაკვეთილი 3: ჩვენ საკუთარ სასკოლო გაზეთს გამოვცემთ	მოსწავლეები ჯგუ- ფურად თანხმდებიან თემებზე და მიზნებზე. ისინი თავიათნი გუნდის წევრებთან თანამშრომლობენ, საკუთარი იდეებისა და კომპეტენციების გაზიარების მიზნით.	მოსწავლეები თანხმდებიან ერთობ- ლივი გაზეთის სტრუქტურაზე. ისინი ახდენენ იმ თემების იდენტიფიკაციას, რაც მათი სკოლისათვის მნიშვნელოვანია და ამზადებენ სტატიებს გაზეთის სხვადასხვა ნაწილისათვის.	ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსების გათვალისწინე- ბით, მზაობა იმი- სათვის, რომ მომზადდეს ხელნაწერი ტექსტები, კომ- პიუტერზე დაბე- ჭდილი მასალა, ან ციფრული ფოტოები.	ერთობლივი გადაწყვეტი- ლების მიღე- ბა, ჯგუფური მუშაობა.
გაკვეთილი 4: ჩვენი პირველი გამოცემა!	მოსწავლეები იაზრებენ, თუ რა საკითხებთანაა დაკავშირებული სას- კოლო გაზეთის გაგრ- ძელების პროექტი. მათ შეუძლიათ გად- ანყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება.	მოსწავლეები აყალი- ბებენ საკუთარ შეხედულებებს პროექტის შესაძლო გაგრძელების შესახებ.	დაფა ან ფლიპჩარტი.	დისკუსია.

## გაკვეთილი 1

### გაზეთები ჩვენ გარშემო

ვის ინფორმირებაზე მუშაობენ ისინი. როგორ ახორციელებენ  
სამიზნე ჯგუფის ინფორმირებას. რა ინფორმაციას ავრცელებენ.

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს ვაცნობთ ბეჭდვითი მედიის სხვადასხვა ფორმას; მათ ესმით განსხვავებები შინაარსობრივ სტრუქტურაში.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აგროვებენ და აანალიზებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებსაც მათ თემში ხალხი ეცნობა. შედეგების საილუსტრაციოდ, მოსწავლეები ამზადებენ პოსტერს.

საჭირო მასალა – გაზეთები, მაკრატლები, წებო, დიდი ზომის ფურცლები.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური მუშაობა.

## ძირითადი ცნებები

ტერმინი „ბეჭდვითი მედია“ გულისხმობს ინფორმაციის ბეჭდვით წყაროებს, ე.წ. კლასიკურ მედიას, რაც მოცავს: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, კატალოგებს, საინფორმაციო ფურცლებსა და ბიულეტენებს, რუკებს, დიაგრამებს, საფოსტო ბარათებს, კალენდრებსა და პოსტერებს.

ბეჭდვითი მედია, როგორც წესი, ქაღალდზე იძებება. ბეჭდვითი ტექნოლოგიები სწრაფად იცვლება და ციფრული ბეჭდვა უკვე ფართოდაა გავრცელებული.

## გაკვეთილი

ამ გაკვეთილამდე რამდენიმე კვირით ადრე, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაინტერესონ გაზეთებისა და ჟურნალების შეგროვება კლასში მოსატანად. ამ მიზნით, კლასში შეიძლება გამოიყოს სპეციალური საპრეზენტაციო მაგიდა. იდეალური იქნება, თუ რომელიმე მოსწავლე იშოვის გაზეთებისა და ჟურნალების თუნდაც მოძველებულ სადგამს (ისეთს, როგორსაც ქუჩაში გამყიდველები იყენებენ). მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ გაკვეთილზე წარმოდგენილი იყოს ყველა ძირითადი ყოველდღური გაზეთის ნიმუში.

მასწავლებელი პირველ გაკვეთილს იწყებს მოსწავლეებისათვის ამ თავის მიზნებისა და დავალებების მოკლე მიმოხილვით. მასწავლებელი იმასაც ატყობინებს მოსწავლეებს, რომ ამ თავში დაინტერესონ პროექტს, რომელიც, სულ მცირე, ნახევარი სასწავლო წლის მანძილზე გაგრძელდება. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ეს პროექტი მათ ჟურნალისტური გამოცდილების დაგროვებაში დაეხმარება. მოსწავლეებისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ მომავალი ჟურნალისტები პირველ ნაბიჯებს სწორედ ასეთ პროექტებში დგამდნენ.

მოსწავლეები მცირე ზომის, 3-4 კაციან ჯგუფებად იყოფიან. თითოეულმა ჯგუფმა უნდა განიხილოს ერთი გაზეთი ან ჟურნალი. მოსწავლეები განხილვის პროცესში შემდეგი შეკითხვებით ხელმძღვანელობენ:

- რა ნაწილებისაგან შედგება ჟურნალი/გაზეთი?
- რა თანმიმდევრობით გვხვდება ეს ნაწილები?
- რა სამიზნე ჯგუფ(ებ)ზეა გათვლილი თითოეული ნაწილი? ოჯახის რომელი წევრები იქნებოდნენ დაინტერესებულნი ამა თუ იმ ნაწილის გაცნობით?
- რა თემებს ეთმობა გაზეთის/ჟურნალის იმ ნომრის ნაწილები, რომელსაც მოსწავლეები განიხილავენ?
- შეარჩიეთ ერთი ტიპიური სტატია თითოეული ნაწილიდან. ამოჭერით ეს სტატიები და, პოსტერის მომზადების მიზნით, დიდი ზომის ქაღალდზე მიაკარით.

პოსტერი უნდა ატარებდეს გაზეთის ან ჟურნალის სახელს, სასურველია, ორიგინალური სა-თაურით. ზემოთ წარმოდგენილ შეკითხვებს პასუხები უნდა გაეცეს. მოსწავლეებმა უნდა იცოდ-ნენ, რომ სტატიების განლაგება პოსტერზე ადვილად გასაგები და თანმიმდევრული უნდა იყოს.

ამ ეტაპზე, აუცილებელია, მოსწავლეებს გააზრებული ჰქონდეთ თავიანთი გაზეთის სტრუქტურა, რათა ადვილად წარმოადგინონ ის კლასის წინაშე.

ჯგუფები საკუთარ პრეზენტაციებს მომავალი გაკვეთილისათვის ამზადებენ. ეს პრეზენტაციები სარეკლამო ხასიათს უნდა ატარებდეს. მოსწავლეები რეკლამას გაუკეთებენ სა-კუთარ გაზეთს ან ჟურნალს; მიუთითებენ მის დადებით მხარეებზე. ყველა პრეზენტაციის მოსმენის შემდეგ, მოსწავლეები ირჩევენ ყველაზე საინტერესო და ინფორმაციულ გაზეთს. შესაძლებელია იმის უზრუნველყოფა, რომ მომავალი რამდენიმე კვირის მანძილზე სკოლაში გამარჯვებული გაზეთის უფასო შემოტანა მოხდეს. როგორც წესი, გამომცემელთა უმეტე-სობისათვის, მსგავსი აქცია სავსებით მისაღებია ხოლმე.

ამ ფაზაში, მასწავლებელი მოსწავლეებს გაზეთის შიდა სტრუქტურის შესწავლაში ეხ-მარება, რადგან ყველა გაზეთი ადვილად გასაანალიზებელი არ არის. მასწავლებელმა უნდა განახორციელოს მოსწავლეთა მონიტორინგი ჯგუფური მუშაობის დროსაც, რათა უზრუნვე-ლყოს პრეზენტაციების შეუფერხებელი, დროული დასრულება.

## გაკვეთილი 2 ჩვენი გაზეთი საუკეთესოა... არ მეთანხმებით? რა აქცევს გაზეთს კარგ გაზეთად?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები იაზრებენ, თუ როგორია კარგი გაზეთი ან ჟურნალი; მათ უყალიბდებათ საკუთარი შესედულებები, ღირებულებები და ინტერესები.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აფასებენ ჯგუფურ პრეზენტაციებს და თანხმდებიან კომპრო-მისებზე.

საჭირო მასალა – წინა გაკვეთილზე მომზადებული პრეზენტაციები. მატრიცა დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ჯგუფური პრეზენტაციები, დისკუსიები და შეფასება.

### ძირითადი ცნებები

ტერმინი „პრესის თავისუფლება“ წიშნავს პრესის უფლებას, რომ თავისუფლად იმოქმედოს და ცენზურას არ დაექვემდებაროს. პრესის თავისუფლება გულისხმობს ჟურნალისტის უფლებას, რომ არ მისცეს ჩვენება. ასევე, არ შეიძლება ჟურნალისტის მონიტორინგი მოსასმენი აპარატურის გამოყენებით. ჟურნალისტის პროფესიას არ არეგულირებს სახელმწიფო და ჟურნალისტების მომზადება არ ექცევა სახელმწიფო გავლენის სფეროში.

## გაკვეთილი

მეორე გაკვეთილი იწყება პრეზენტაციებით. ჯგუფებმა მოამზადეს პოსტერები და შეარჩიეს ამონაჭრები გაზეთებიდან/უურნალებიდან. სასარგებლო იქნება ჯგუფებისათვის გაკვეთილის დასაწყისში 5 წუთის მიცემა, რათა თავი მოუყარონ საპრეზენტაციო მასალას. მოსწავლეები პრეზენტაციებს აფასებენ კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. მასწავლებელს შეუძლია ამ კრიტერიუმების გამოყენებით მოამზადოს მატრიცა.

	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	ჯგუფი 5	ქულათა ჯამი
გაზეთის ან უურნალის დასახელება						
პოსტერი						
პრეზენტაციის ფორმალური მხარეები						
პრეზენტაციის შინაარსი						
გაზეთის ან უურნალის ფორმალური მხარეები						
გაზეთის ან უურნალის შინაარსი						

ამ შეფასებას არ უნდა მიეცეს გადაჭარბებული მნიშვნელობა. ეს მხოლოდ კონკურენტული გარემოს შექმნის საშუალება უნდა იყოს, რაც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს.

პრეზენტაციების შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ბეჭდვითი მედიის საშუალებებს შემდეგი შეკითხვების დახმარებით:

- რა აქცევს გაზეთს/უურნალს „კარგ“ გაზეთად/უურნალად?
- რა მიზანს ემსახურება ის?
- რას ვფიქრობთ იმ გაზეთებზე/უურნალებზე, რომლებიც ჩვენ წარმოგვიდგინეს?
- რა შეიძლება გამოსწორდეს?

დისკუსიის დროს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსაზრებებს ფლიპჩარტზე ინიშნავს. ფლიპჩარტი გაკვეთილის დაწყებამდე მომზადდა; მის ნაცვლად შეიძლება დაფის გამოყენებაც. გასათვალისწინებელია, რომ დაფაზე მოცემულ ინფორმაციას, ფლიპჩარტისაგან განსხვავებით, მომავალ გაკვეთილზე ვერ გამოვიყენებთ.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი აცნობებს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა მოამზადონ და საჯაროდ წარმოადგინონ სასკოლო გაზეთი. მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ ამ დავალებაზე და იმ კონკრეტულ განყოფილებებზე, რომლებსაც გაზეთი უნდა მოიცავდეს იმისათვის, რომ სასკოლო ცხოვრება სრულყოფილად წარმოადგინოს. ასევე, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, თუ რომელი განყოფილებების მომზადება სურთ. მნიშვნელოვანი იქნება სასკოლო გაზეთის სახელწოდებაზე მსჯელობაც.

## გაკვეთილი 3

### ჩვენ საკუთარ სასკოლო გაზეთს გამოვცემთ რა შეიძლება და რა არ შეიძლება, როცა საქმე ეხება სასკოლო გაზეთს

სწავლის მიზანი – მოსწავლეები ჯგუფურად თანხმდებიან თემებსა და მიზნებზე. ისინი თავიათი გუნდის წევრებთან თანამშრომლობენ, საკუთარი იღებისა და კომპეტენციების გაზიარების მიზნით.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები თანხმდებიან ერთობლივი გაზეთის სტრუქტურაზე. ისინი ახდენენ იმ თემების იდენტიფიკაციას, რომელიც მნიშვნელოვანია მათი სკოლისათვის და ამზადებენ სტატიებს გაზეთის სხვადასხვა ნაწილისათვის.
საჭირო მასალა – ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მზაობა იმისათვის, რომ მომზადდეს ხელნაწერი ტექსტები, კომპიუტერზე დაბეჭდილი მასალა ან ციფრული ფოტოები.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება. ჯგუფური მუშაობა.

## გაკვეთილი

მოსწავლეები 3-4 კაციან ჯგუფებად იყოფიან; ისინი განიხილავენ გაზეთის სხვადასხვა ნაწილს და იმას, თუ რომელი ნაწილებია სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი.

მასწავლებელმა მოამზადა პატარა სასკოლო გაზეთი ყველა ჯგუფისათვის – კედელზე ერთმანეთის მიყოლებით გაკრული სამი ცალი A4 ზომის ქაღალდი. ჯგუფები მუშაობენ გაზეთის სტრუქტურაზე, მის სახელწოდებაზე, დიზაინსა და ნაწილებზე. ამ მუშაობის შედეგი ასე შეიძლება გამოიყენოდეს:

მოსწავლის ქრონიკა	სპორტი	ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები	მოვლენები	მშობლები	ჩვენი სატკივარი
ახალი ამბები					

ჯგუფების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კლასის კედელზეა მოცემული. მოსწავლეებს ეძლევათ დრო, რომ გაეცნონ პოსტერებს და საკუთარი დამოკიდებულება ჩამოაყალიბონ. ეწყობა „რედაქტორთა კონფერენცია“, რომელზეც იღებენ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- გაზეთის სახელწოდება (აზრთა გაცვლა, დისკუსია და ხმის მიცემა);
- იმ ნაწილების შერჩევა, რომელიც ყველაზე შინაარსიანია და მნიშვნელოვანი სკოლისა და მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ერთიანდებიან. ჯგუფების რაოდენობა ემთხვევა გაზეთში ნაწილების დაგეგმილ რაოდენობას. არის კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც გამოცემაზეა პასუხისმგებელი.

დასაწყისში, გაზეთის გამოცემის ჯგუფი პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობს, როგორებიცაა გაზეთის დიზაინი და ფორმატი. უფროსმა მასწავლებელმა საგნის მასწავლებლისაგან უკვე იცის სასკოლო გაზეთის პროექტის შესახებ და უკვე არსებობს სკოლაში გაზეთის განთავსების ნებართვა.

მაშინ, როცა რედაქტორები დაკავებულები არიან პირველი სტატიების დაგეგმვით გაზეთის სხვადასხვა ნაწილისათვის, მასწავლებელი გაზეთის გამოცემის ჯგუფთან ტექნიკურ საკითხებს განიხილავს.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალებები, რომელიც მომავალ კვირამდე უნდა შესრულდეს. რედაქტორების თითოეული ჯგუფი წარმოადგენს სტატიას. გაზეთის გამოცემის ჯგუფი მუშაობს სასკოლო გაზეთზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს სახელწოდება, ლოგო და რამდენიმე ნაწილი.

ეს სავარჯიშო მოსწავლეებს წარმატებასაც აგრძნობინებს და სირთულეებსაც დაანახვებს. შეიკვრება რედაქტორთა გუნდი, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს სკოლის ამბებს. ამ გუნდში გაერთიანებული იქნებიან ყველაზე აქტიური და დაინტერესებული მოსწავლეები, რომელიც მზად არიან, რომ გააგრძელონ სასკოლო გაზეთზე მუშაობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

## გაკვეთილი 4

### ჩვენი პირველი გამოცემა!

#### რას ვაკეთებთ შემდეგ?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები იაზრებენ, თუ რა საკითხებთანაა დაკავშირებული სასკოლო გაზეთის გაგრძელების პროექტი. მათ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ შეხედულებებს პროექტის შესაძლო გაგრძელების შესახებ.

საჭირო მასალა – დაფა ან ფლიპჩარტი.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – დისკუსია.

## ძირითადი ცნებები

დისკუსია („არგუმენტების გაცვლა“, მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან discussio) არის ვერბალური კომუნიკაცია ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომელიც ეხება ერთ ან რამდენიმე საკითხს და რომლის დროსაც თითოეული მხარე საკუთარ არგუმენტებს წარმოადგენს. დისკუსია უნდა გაიმართოს ურთიერთპატივისცემის პრინციპის გათვალისწინებით. კარგი დისკუსია საშუალებას აძლევს მოსაუბრებს, წარმოადგინონ განსხვავებული მოსაზრებები და სათანადო ყურადღებით განიხილონ ისინი. პიროვნული მახასიათებლები, როგორებიცაა: სიმშვიდე, თავშეეკვება და ზრდილობიანი საქციელი, მომგებიანია დისკუსიაში მონაწილე ორივე მხარისათვის. საუკეთესო დისკუსია სრულდება პრობლემი-დან გამოსავლის მოძებნით ან კომპრომისით, რომელიც ყველა მხარისათვის მისაღებია.

თანამედროვე საზოგადოებაში დისკუსია არის ინტერესთა და მიზანთა კონფლიქტის მოგვარების ცივილიზებული, არაძალადობრივი საშუალება. კონფლიქტის ჩახშობის ნაცვლად ხდება კონფლიქტის მოგვარება. დისკუსიის უნარის განვითარება დაეხმარება მოსწავლეებს ცხოვრებისეული პრობლემების მშვიდობიან მოგვარებაში.

## გაკვეთილი

მას შემდეგ, რაც რედაქტორები სტატიებს პირველ სასკოლო გაზეთში გამოაქვეყნებენ, დგება პროექტის გაგრძელების საკითხი. ამ პერიოდისათვის მოსწავლეებმა უკვე იციან, თუ რა დრო სჭირდება გაზეთის მომზადებას და რა ორგანიზაციულ პრობლემებთანაა დაკავშირებული იგი. საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, მოსწავლეებს შეუძლიათ, წარმართონ დისკუსია სასკოლო გაზეთის პროექტის გაგრძელების მიზანშენონილობის შესახებ.

მასწავლებელს შეუძლია, ამ ფლიპჩარტით მეტი სიცხადე და სტრუქტურა შეიტანოს მოსწავლეთა დისკუსიებში:

ორგანიზაცია	პირველი ასპექტები	თანამშრომლობა	დროის მენეჯმენტი
<p>თუ გავაგრძელებთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-რა უნდა გავითვალისწინოთ?</li> <li>-დროში ხომ არ ვიქენებით შეზღუდულები?</li> <li>-რა ტექნიკური საშუალებები გაგვაჩინო?</li> <li>-როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი გაზეთი არ გახდეს ვანდალიზმის მსხვერპლი?</li> <li>-რა ფინანსური რესურსები დაგვჭირდება? როგორ უნდა მოვიზიდოთ ეს რესურსები?</li> </ul>	<p>ვინ არის დაინტერესებული?</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-მთავარი რედაქტორი</li> <li>-რედაქტორთა კომიტეტი</li> <li>-რა არის მასწავლებლის როლი და პოზიცია?</li> <li>-სახელები:</li> <li>-</li> <li>-</li> <li>-</li> <li>-</li> </ul>	<p>-როგორ ჩავრთოთ სხვა მოსწავლეები ამ პროექტში?</p> <p>-კიდევ რომელი მასწავლებლები ჩაერთვებიან ჩვენს პროექტში?</p> <p>-შეგვიძლია უზრუნველვყოთ გასაზღვრებელი რედაქციებში (ბეჭდვით მედიის, ტელემაუწყებლობის ან ელექტრონული მედიის)?</p> <p>-შეგვიძლია გავაკეთოთ ინტერვიუ უურნალისტთან, როგორც ექსპერტთან?</p>	

როცა ამ ცხრილის შევსებაზე მუშაობთ, ხვდებით, რომ შეუძლებელია ყველაფრის და-საწყისშივე დაგეგმვა. გაზეთის პროექტზე მუშაობა საჭიროებს ყველა მონაწილის აქტიურ ჩართულობას და გეგმების ცვლილებას, საჭიროებისდა მიხედვით. ეს არის სიცოცხლით სავსე, სახალისო, თუმცა, ამავდროულად, რთული და ზოგჯერ იმედგამაცრუებელი პროცესი.

მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლეებთან ერთად პროექტებზე აქამდეც უმუშავია, იცნობს პროექტზე მუშაობის სტრუქტურას და აუცილებელი ნაბიჯების თანმიმდევრობას; მას, ასევე, კარგად ესმის, რომ მნიშვნელოვანია კარგი ხელმძღვანელობა, როცა სასკოლო პროექტის წარმატებულ განხორციელებას ვევეგმავთ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლის მხრიდან ზედმეტმა ყურადღებამ შეიძლება, რომ ჩაახშოს მოსწავლეთა მოტივაცია და ინიციატივა. ასეთ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებისათვის სასარგებლოა, რადგან ისინი იღებენ მნიშვნელოვან გამოცდილებას სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების კუთხით.

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა მიიღონ რეალური გადაწყვეტილებები პროექტის გაგრძელების სხვადასხვა საკითხთან, მათ შორის, ვადებთან დაკავშირებით.

## დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის

### მედიაში გათვითცნობიერების სამი განზომილება

#### 1. პირველი განზომილება: მედიის შეფასება

მედიის შეფასების ცნება შეიძლება შეჯამდეს ძველი ბერძნული ზმნით Kρινεῖν (krinein), რომელიც „განსაზღვრას“ ნიშნავდა და შეეხებოდა ცოდნისა და გამოცდილების შეძენას. მედიის შეფასება მედიის ანალიზს გულისხმობს. ეს ანალიზი კური ქვეკომპონენტი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შეცნობისა და გააზრების კომპეტენციას ეხება, მაგალითად, კონცენტრაციის პროცესი მედიაში, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მედიის ფუნქციონირებას დემოკრატიულ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, ვინ არის ამათუ იმ გაზეთის მფლობელი და რამდენი მედიასაშუალების დამფინანსებელია ესა თუ ის კომპანია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მედია არის კომერციულ მოგებასთან დაკავშირებული საქმე. რაც უფრო ურთიერთდამოკიდებული და გლობალიზებული ხდება ჩვენი ცხოვრება, მით უფრო იზრდება საჭიროება იმისა, რომ მედიას დაცემა უპირატესობას; კომპიუტერის გამოყენება მაყურებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

#### 2. მეორე განზომილება: ცოდნა მედიის შესახებ

ეს არის მედიისა და მედიის სისტემების ცოდნა, რაც ორ ქვეკომპონენტად იყოფა.

ა. ინფორმაციის ქვეკომპონენტი მოიცავს ძირითად ცოდნას, მაგალითად, როგორ ასრულებენ ჟურნალისტები საკუთარ სამუშაოს; სატელევიზიო და რადიოპროგრამების ტიპები; მაყურებლის მიზეზები იმისა, თუ რატომ ანიჭებს მაყურებელი რომელიმე გადაცემას უპირატესობას; კომპიუტერის გამოყენება მაყურებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ბ. უნარების ქვეკომპონენტი მედიის ცოდნას უმატებს ახალი მოწყობილობების გამოყენების უნარს, ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების კითხვის გარეშე. ეს ქვეკომპონენტი მოიცავს „პრაქტიკული მუშაობით ათვისების“ პროცესს – როგორ უნდა მოეპყრო კომპიუტერს, როგორ უნდა იმუშაო ინტერნეტში, როგორ უნდა გამოიყენო ვიდეოკამერა და ა.შ.

#### 3. მესამე განზომილება: მედიის გამოყენება

მედიის გამოყენებაც ორ ქვეკომპონენტად შეიძლება დავყოთ.

ა. მედიაპროდუქტების გამოყენების კომპეტენცია, სხვა სიტყვებით, მედიის პროდუქტების

მიღებისა და მოხმარების უნარი. მაგალითად, ტელევიზორის ყურება. ეს არის აქტივობა, რომლის დროსაც ჩვენ ვამუშავებთ ტელევიზორიდან მიღებულ ინფორმაციას და ვახდენთ მის ინტეგრირებას ჩვენს კოგნიტურ სტრუქტურებთან და წარმოდგენებთან. შეგვიძლია ჩვენი რეცეფციული კომპეტენცია გავაფართოოთ არა მხოლოდ ტექსტების კითხვით, არამედ ფილმების ყურებითაც.

ბ. მედიამოწყობილობების აქტიური გამოყენება. ეს ქვეკომპონენტი უკავშირდება მედიის გამოყენებას სოციალურ ინტერაქციაში. მაგალითად, ტელებანკინგი, ტელეშოპინგი, ვიდეო და სატელეფონო კონფერენციები, ტრადიციული და ციფრული ფოტოგრაფია და ვიდეოპროდუქცია. მედიის დიდი მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებით შევიმეცნოთ სამყარო, არამედ ინფორმაციის შექმნითა და გავრცელებითაც.

მედიის შესახებ თავი, ძირითადად, მედიის გამოყენებას ეძღვნება, თუმცა, ასევე, ყურადღება გამახვილებულია წინა ორ განზომილებაზეც.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 7.1

### როგორ იწერება სტატია

## სტატიის სტრუქტურა

### 1. სათაური

სტატიას სჭირდება სათაური. სათაურის ფუნქციაა, გააღვივოს მკითხველის ინტერესი იმდენად, რომ სტატიის წაკითხვა მოუნდეს.

გაზეთის მკითხველი თვალს ავლებს გაზეთს და არჩევს იმ სტატიას, რომლის წაკითხვაც სურს. შესაბამისად, სტატიის სათაური უნდა იპყრობდეს მკითხველის ყურადღებას. ტექსტიდან ცხადად გამოყოფილი სათაური უნდა იყოს მოკლე, დიდი და გამუქებული ასოებით დაბეჭდილი.

### 2. შესავალი

სტატიის პირველი აბზაცი არის შესავალი. როგორც წესი, პირველი აბზაცის ასოები გამუქებულია ხოლმე.

პირველი აბზაცი მკითხველს აწვდის ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას; აქ მოცემულია პასუხები მკითხველის ძირითად შეკითხვებზე.

სტატიაში, რომელიც უფრო ემოციურია, ვიდრე ფაქტობრივი, პირველი აბზაცი არის სიტუაციის აღწერა. ასეთ შემთხვევაში, მკითხველის ინტერესის გაღვივება ხდება უფრო სტილისტური საშუალებებით, ვიდრე ფაქტებით.

### 3. ენა და სტილი

ენის სწორი გამოყენება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უურნალისტური ფორმა ან სტილი. თუ გაზეთს აღვიქვამთ, როგორც სახლს, მაშინ უურნალისტური წერის სხვადასხვა ფორმა შეიძლება სხვადასხვა ტიპის ავეჯად მივიჩნიოთ; სიტყვები კი ის აგურები იქნება, რომლითაც სახლია წაშენები.

მაშინ, როცა თავის გატანა ავეჯის გარეშეც შეგვიძლია, შეუძლებელია აგურების გარეშე ცხოვრება. ემოციური სტატიები ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგრამ აქაც სიფრთხილეა საჭირო, არ უნდა გადავამდაშოთ.

მივედით წინადადებამდე. წინადადებები უნდა იყოს მოკლე და მარტივი. რთულია იმ

წინადადებების გაგება, რომლებიც 14-ზე მეტი სიტყვისაგან შედგება. 25 და მეტი სიტყვისაგან შემდგარი წინადადებების გაგება კი მკითხველთა უმეტესობისათვის შეუძლებელია. ყოველთვის ეცადეთ, თავი აარიდოთ რთულ წინადადებებს, ბევრი მძიმეებით და დამოკიდებული წინადადებებით. დაწერისთანავე გადაიკითხეთ წინადადება. ადვილად გასაგებია? ზედმეტი სიტყვები ხომ არ არის?

სიტყვების არასწორი წერა მკითხველისათვის გამაღიზიანებელია. როცა ადამიანი შეცდომით დაწერილ სიტყვას ხედავს, მას ეკარგება კონცენტრაცია წინადადების ძირითად არსზე. სტატიისათვის საბოლოო ფორმის მიცემა გულისხმობს მის ყურადღებით გადაკითხვას, სიტყვებისა და გრამატიკული წყობის სისწორის შესამოწმებლად, ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად და სტილისტურად გამართვის მიზნით.



## **მეოთხე ნაწილი – ძალაუფლება და უფლებამოსილება**

**თავი 8.**

**წესები და კანონები.  
რა ტიპის წესები სჭირდება საზოგადოებას?**

**თავი 9.**

**მთავრობა და პოლიტიკა.  
როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველობა?**



## თავი 8 ნესები და კანონები

რა ტიპის ნესები სჭირდება  
საზოგადოებას?



8.1 კარგი კანონი – ცუდი კანონი  
რა აქცევს კანონს კარგ კანონად?

8.2 რა ასაკში?  
როგორ უნდა მიესადა გებოდეს კანონი ახალგაზრდებს?

8.3 თქვენ ხართ კანონმდებელი  
როგორ ეპყრობით ახალგაზრდა კანონდამრღვევებს?

8.4 მტკიცებულებები  
რა მტკიცებულებები უნდა აღიაროს სასამართლომ?

## თავი 8. წესები და კანონები რა ტიპის წესები სჭირდება საზოგადოებას?

საზოგადოების ეფექტური და სამართლიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კანონების არსებობა. კანონები სხვადასხვა სიტუაციას და თითქმის ყველა ადამიანს მიესად-აგება. გამონაკლის წარმოადგენ ბავშვები, რომლებიც კანონის წინაშე პასუხისმგებელი არ არიან მანამ, სანამ გარკვეულ ასაკს არ მიაღწევენ.

არსებობს სამოქალაქო და სისხლის სამართალი. სამოქალაქო სამართალი ადამიანებსა და ადამიანის ჯგუფებს შორის დავების მოგვარებას ეხება. სისხლის სამართალი იმ ქმედე-ბებს არეგულირებს, რომლებიც, სახელმწიფოს ხედვით, აღსაკვეთია.

კანონები არასოდესაა იდეალური. კანონებს ქმნიან ადამიანები. ზოგჯერ აუცილებელია კანონებში ცვლილებების შეტანა, რადგან ისინი ძველდება და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების მიმართ არაეფექტური ან უსამართლო ხდება.

სამართალი ყოველთავის უკავშირდება პოლიტიკას, რადგან კანონები იქმნება და იცვ-ლება სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მოქალაქეს აქვს კანონების მიმართ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ კანონი ერთნაირად ეხებოდეს ყველა მოქალაქეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავინ უნდა იდგეს კანონზე მაღლა. ამ ცნებას კანონის უზენაესობის სახელით მოიხსენიებენ.

და ბოლოს, კანონები ადამიანის უფლებებს უნდა შეესაბამებოდეს; უნდა იყოს სამარ-თლიანი და არ უნდა წარმოადგენს დიქტატურის ან ჩაგვრის იარაღს. შესაბამისად, დემოკრა-ტიული სისტემების უმეტესობა ეყრდნობა დაწერილ კონსტიტუციას, რომელიც უზრუნვე-ლყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას და ქვეყანაში მოქმედ კანონებზე მაღლა დგას. ზოგ ქვეყანაში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას.

### განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები

გაკვეთილთა ეს სერია დაეხმარება მოსწავლეებს:

- უკეთესად გაიაზრონ სამართლის ცნება და მისი მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოე-ბისათვის;
- აღიარონ, რომ სამართლის მთავარი ამოცანაა ხალხის დახმარება და საზოგადოების დაცვა;
- გაიაზრონ და პატივი სცენ კანონის უზენაესობის პრინციპს;
- გაიგონ მეტი საკუთარი ქვეყნის იურიდიულ სისტემაზე.

## თავი 8. წესები და კანონები

### რა ტიპის წესები სჭირდება საზოგადოებას?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლე- თა ჩართუ- ლობის ფორმა
გაკვეთილი 1: კარგი კანონი – ცუდი კანონი	იმ ფაქტორების გააზრება, რომ- ლებიც კანონის სამართლიანობას უზრუნველყოფს	სკოლაში მოქმედი წესების განხილვა. კარგი წესების განმსაზ- ღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაცია. კანონების განხილვა და იმ ფაქტორების იდენ- ტიფიკაცია, რომლებიც კანონს კარგ კანონად აქცევს. ერთ-ერთ სფეროში მოქმედი კანონების განხილვა, მაგალითად, ალკოჰოლის მაკონ- ტროლებელი კანონმდე- ბლობა. სკოლაში მოქმედი ახალი წესის ან კანონის განხილვა.	ორი ბარათი თითოეული მოსწავლისათვის – ერთს აწერია „ა“ (მწვა- ნედ), ხოლო მეორეს – „ბ“ (წითლად). <b>სამუშაო</b> <b>ფურცელი</b> – ალკოჰოლ- თან დაკავშირებული კანონმდებლობა თქვენს ქვეყანაში. მარკერები და დიდი ზომის ქაღალდი თითოეული ჯგუფისათ- ვის. ფლიპჩარტი ან დიდი ზომის ქაღალდი, რომელიც ფლიპჩარტის ფუნქციას შეასრულებს.	მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.
გაკვეთილი 2: რა ასაკში?	იმის გამოკვლ- ევა, თუ როგორ მიესადაგება კანონი ახალგაზრდებს?	იმ ასაკის განსაზღვრა, რომლის გადაბიჯე- ბის შემდეგაც ახალ- გაზრდას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს ზრდასრულთა აქტივობებში. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად მისაღე- ბია ახალგაზრდებთან დაკავშირებული არსე- ბული კანონმდებლობა.	სამი წარწერა ასოე- ბით „ა“, „ბ“ და „გ“ გაკრულია კლასის სხვადასხვა კედელზე. მოსწავლის <b>სამუშაო</b> <b>ფურცელ</b> 8.1-ის ასლები (თითო ასლი ყოველ ორ მოსწავლეზე). მარკერი და დიდი ზომის ფურცელი ყოველ 4-6 მოსწავლეზე.	წყვილებში მუშაობა. მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.
გაკვეთილი 3: თქვენ ხართ კანონმდებელი	განხილვა იმისა, საჭიროა თუ არა, დავსაჯოთ ახალგაზრდები, რომლებიც კან- ონს არღვევენ. იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა, როგორი უნდა იყოს სასჯელი.	დანაშაულზე სათანადო სასჯელის განსაზღვრი- სას გასათვალისწინე- ბელი ფაქტორების გაანალიზება.	მოთხოვთ და მასწავლებლის დამხმარე მასალა	მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.
გაკვეთილი 4: მტკიცებულე- ბები	სასამართლოში მტკიცებულების წარმოდგენის წესების გააზრება.	განხილვა იმისა, თუ რა ტიპის მტკიცებულებები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ.	სადისკუსიო ბარათები (მოსწავლის <b>სამუშაო</b> <b>ფურცელი</b> 8.2) 4-6 მო- სწავლისაგან შემდგარი ჯგუფებისათვის.	მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.

## გაკვეთილი 1

### კარგი კანონი – ცუდი კანონი რა აქცევს კანონს კარგ კანონად?

<p>სწავლის მიზანი – იმ ფაქტორების გააზრება, რომლებიც კანონის სამართლიანობას უზრუნველყოფს</p> <p>მოსწავლის დავალება – სკოლაში მოქმედი წესების განხილვა. კარგი წესების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაცია.</p> <p>კანონების განხილვა და იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც კანონს კარგ კანონად აქცევს.</p> <p>ერთ-ერთ სფეროში მოქმედი კანონების განხილვა, მაგალითად, ალკოჰოლის მაკონტროლებელი კანონმდებლობა.</p> <p>სკოლაში მოქმედი ახალი წესის ან კანონის განხილვა და გამართლება.</p>
<p>საჭირო მასალა – ორი ბარათი თითოეული მოსწავლისათვის – ერთს აწერია „ა“ (მწვანედ), ხოლო მეორეს – „ბ“ (წითლად).</p> <p>სამუშაო ფურცელი – ალკოჰოლთან დაკავშირებული კანონმდებლობა თქვენს ქვეყნის მთავრობის მიერაცხოველი.</p> <p>მარკერები და დიდი ზომის ქაღალდი 4-6 მოსწავლისაგან თითოეული ჯგუფისათვის.</p> <p>ფლიპჩარტი ან დიდი ზომის ქაღალდი, რომელიც ფლიპჩარტის ფუნქციას შეასრულებს.</p>
<p>მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.</p>

## ინფორმაცია

ამ თავში ვიყენებთ „ინდუქციური სწავლების“ მეთოდს. ეს მეთოდი ეხმარება მასწავლებელს, კონკრეტული, ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით გააგებინოს მოსწავლეებს აბსტრაქტული ცნებები. გაკვეთილი იწყება კანონებთან ან წესებთან დაკავშირებული მაგალითებით. მოსწავლეებმა, ამ მაგალითების დახმარებით, ზოგადი პრინციპები უნდა ჩამოაყალიბონ. ამ კრიტერიუმებს ვუსადაგებთ კანონებს ან წესებს, რათა განვსაზღვროთ, თუ რამდენად კარგია ესა თუ ის კანონი ან წესი: რამდენად სამართლიანია? რამდენად სასარგებლოა? ყველასთვის სიკეთის მომტანია? შეუძლია პოლიციას მათი შესრულების უზრუნველყოფა? ადვილად შეიძლება მისი გაგება და დაცვა?

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა დამატებითი მასალა (მაგალითად, კანონები ალკოჰოლის შესახებ), მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ეს მასალა უნდა მოიძიონ.

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მოსწავლეთათვის ორ-ორი ბარათის დარიგებით – ერთს აწერია „ა“ (მწვანედ), ხოლო მეორეს – „ბ“ (წითლად).

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ წაუკითხავს მათ სკოლის წარმოსახვით წესებს. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, კარგია ეს წესი, თუ ცუდი. თუ წესს დადებითად აფასებენ, უნდა ასწიონ მწვანე ბარათი, ხოლო თუ უარყოფითად – წითელი.

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს სკოლის გამოგონილ წესებს. ეს წესები ეხება შემდეგ საკითხებს:

- იკრძალება დავალება;
- იკრძალება მოსწავლის მიერ სხვა მოსწავლის ჩაგვრა;
- სკოლა უნდა იყოს ფასიანი;
- სკოლაში საღეჭი რეზინის მოტანა აკრძალულია;
- აუცილებელია, მოსწავლეებს მოსწონდეთ ყველა მასწავლებელი;
- მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, აირჩიოს სასკოლო საგნები;

- მოხუც მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უფრო ნაკლებად დატვირთული განრიგი;
- სკოლაში მობილური ტელეფონის ტარება აკრძალულია.

როცა მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებას თითოეულ წესთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია, დაუსვას მათ რამდენიმე შეკითხვა, პასუხების დაკონკრეტების მიზნით:

- რატომ თვლით, რომ ეს კარგი/ცუდი წესია?

დამატებითი დისკუსიები და კომენტარები ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

შემდეგ მასწავლებელი კლასს 4-6 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად ჰყოფს და სთხოვს მათ, ჯგუფებში იმუშაონ იმ ფაქტორებზე, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ესა თუ ის წესი მოსწავლეთათვის მისაღებია/არ არის მისაღები:

- რა ფაქტორები აქცევენ სასკოლო წესს კარგ წესად?

თითოეულმა ჯგუფმა საკუთარი მოსაზრებები კლასის წინაშე უნდა წარმოადგინოს.

შემდეგ მასწავლებელი იმეორებს იმავე სავარჯიშოს ერთი განსხვავებით – სკოლის წარმოსახვითი წესების ნაცვლად, მოსწავლეებს ქვეყნის წარმოსახვით კანონებს აცნობს:

- ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე რელიგიური აღმსარებლობა;
- მკვლელობის ჩადენა არ შეიძლება;
- დაუშვებელია ტყუილის თქმა;
- არაჯანსაღი საკვები უნდა აიკრძალოს;
- მოქალაქეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ გზის რომელ მხარეს ატარებენ მანქანას;
- არ უნდა იყოს განსხვავება ქალებისა და მამაკაცების ხელფასებს შორის.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფებში იმუშაონ იმ ფაქტორებზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ესა თუ ის კანონი მოსწავლეთათვის მისაღებია/არ არის მისაღები:

- რა ფაქტორები აქცევენ კანონს კარგ კანონად?

თითოეულმა ჯგუფმა საკუთარი მოსაზრებები კლასის წინაშე უნდა წარმოადგინოს. მასწავლებელმა მოსწავლეთა მსჯელობა უნდა მიმართოს კარგი კანონის განმსაზღვრელ რამდენიმე მთავარ კრიტერიუმზე:

- სამართლიანობა – სამართალი და თანასწორობა, მაგალითად, თანაბარი ხელფასი მამაკაცებსა და ქალებს;
- სარგებლიანობა – ხელს უწყობს საზოგადოების დაუბრკოლებელ ფუნქციონირებას, მაგალითად, მანქანის ტარების მარეგულირებელი კანონები, რომლებიც ადამიანთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ;
- საზოგადოებრივი კეთილდღეობა – მთელი საზოგადოების, და არა მხოლოდ პრივილეგირებული ფენების, ინტერესების დაცვა;
- განხორცილებადობა – ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია, დაიცვას ისინი, ხოლო პოლიციას – დააკავოს კანონის დამრღვევნი;
- სიმარტივე – გასაგებად და შესასრულებლად ადვილი.

როცა მოსწავლეები ძირითად კრიტერიუმებზე შეთანხმდებიან, მასწავლებელმა ფლიპ-ჩარტზე დაწერილი კრიტერიუმები კლასში უნდა დაკიდოს, ყველასთვის კარგად დასანახ ადგილას. ფლიპჩარტის სათაური იქნება, „რა აქცევს კანონს კარგ კანონად?“

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფურად შეისწავლონ რომელიმე სფეროს მარეგულირებელი, მაგალითად, ალკოჰოლთან დაკავშირებული, კანონები. მასალა სამუშაო

ფურცლის ფორმით უნდა დაურიგდეს მოსწავლეებს. რამდენადაც შესაძლებელია, მოსწავლეებმა თავადაც უნდა მოიპოვონ გარკვეული დამატებითი მასალა, ამ შემთხვევაში, მაგალითად, ბავშვებისა და ახალგაზრდების მოვალეობების შესახებ. თითოეულ ჯგუფს ურიგდება მარკერი და დიდი ზომის ქაღალდი. მათ უნდა მოამზადონ პრეზენტაცია იმის შესახებ, თუ რამდენად კარგია შერჩეული კანონი. მუშაობის დროს მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ის პრინციპები, რომელთა იდენტიფიცირებაც უკვე მოახდინეს და რომლებიც ფლიპჩარტზეა წარმოდგენილი.

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს კლასის წინაშე.

მასწავლებელმა, შეიძლება, შემდეგი სახის საშინაო დავალება მისცეს მოსწავლეებს: მოიფიქრეთ კანონი ან სასკოლო წესი, მაგალითად, გარემოს დაცვის თემაზე. მოამზადეთ არგუმენტები იმ დადებითი ფაქტორების შესახებ, რაც ამ წესის ან კანონის დამკვიდრებას შეიძლება ახლდეს თან.

## გაკვეთილი 2 რა ასაკში? როგორ უნდა მიესადა გებოდეს კანონი ახალგაზრდებს?

სწავლის მიზანი – იმის გამოკვლევა, თუ როგორ მიესადა გება კანონი ახალგაზრდებს?

მოსწავლის დავალება – იმ ასაკის განსაზღვრა, რომლის გადაბიჯების შემდეგაც ახალგაზრდას შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს ზრდასრულთა აქტივობებში.

განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად მისაღებია ახალგაზრდებთან დაკავშირებული არსებული კანონ-მდებლობა.

საჭირო მასალა – სამი წარწერა ასოებით „ა“, „ბ“ და „გ“ გაკრულია კლასის სხვადასხვა კედელზე.

მოსწავლის სამუშაო ფურცელ 8.1-ის ასლები (თითო ასლი ყოველ ორ მოსწავლეზე). მარკერი და დიდი ზომის ფურცელი ყოველ 4-6 მოსწავლეზე.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – წყვილებში მუშაობა. მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.

## ინფორმაცია

წინამდებარე გაკვეთილი გარკვეულ ფიზიკურ აქტივობას მოიცავს. თუ თქვენ თვლით, რომ ეს არ იქნება მიზანშეწონილი თქვენი მოსწავლეებისათვის, უნდა მოახდინოთ ამ აქტივობების მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე, მაგალითად, ისე, რომ მოსწავლეებმა ხელის აწევით მისცენ ხმა, კლასის ერთი ბოლოდან მეორეში გადაადგილების გარეშე.

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შემდეგი შეკითხვით: თქვენი აზრით, სწორია, რომ კანონი ბავშვებს ავალდებულებს, იარონ სკოლაში მაშინ, როცა დიდებისათვის ასეთი ვალდებულება არ არსებობს? თუ თვლით, რომ ეს ვალდებულება სწორია, ახსენით, რატომ. თუ საწინააღმდეგო მოსაზრება გაქვთ, ესეც ახსენით.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ყოფს და აძლევს კითხვარს (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 8.1). ეს კითხვარი ეხება იმ დასაშვებ ასაკს, რომლის გადაბიჯების შემდეგაც ახალგაზრდები სრულწლოვანებად აღიქმებიან და იგივე უფლებები აქვთ, რაც ზრდასრულებს.

მასწავლებელი ერთ-ერთ წყვილს სთხოვს, წაიკითხონ საკუთარი პასუხები. თითოეული პასუხის შემდეგ, მასწავლებელი ადასტურებს მის სისწორეს, ან აცხადებს სწორ პასუხს. მო-

სწავლები სწორ პასუხებს ინიშნავენ.

თითოეულ შეკითხვასთან დაკავშირებით, მასწავლებელი კითხულობს:  
როგორ ფიქრობთ, ეს ასაკი:

ა. ძალიან პატარაა?

ბ. ძალიან დიდია?

გ. ნორმალურია?

მასწავლებელი წყვილებს ერთ წუთს აძლევს მოსაფიქრებლად. შემდეგ კი სთხოვს მათ, ოთახის იმ კედელთან დადგნენ, რომელიც მათ პასუხს შეესაბამება (კედლებზე უკვე გაკრულია მინიშნებები „ა“, „ბ“ და „გ“).

მასწავლებელი შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ჯგუფებს სთხოვს, ახსნან საკუთარი პოზიცია. სხვა მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დასვან შეკითხვები.

გაკვეთილის ბოლოს, მასწავლებელი კითხულობს: თქვენი აზრით, სწორია, რომ კანონი ახალგაზრდებს ზრდასრულებისაგან განასხვავებს? რატომ?

მასწავლებელი მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ჰყოფს. თითოეულ ჯგუფს ურიგდება მარკერი და დიდი ზომის ქაღალდი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ახალგაზრდებს უკეთეს პირობებში ჩააყენებდა. მოსწავლეებმა შეიძლება სრულიად ახალი კანონის დამკიდრების წინადადებაც კი შემოიტანონ, რომელიც, მაგალითად, უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულ სკოლას ჰყავდეს მოსწავლეთა პარლამენტი. შესაძლოა, კანონი ეხებოდეს ახალგაზრდებისათვის მინიმალურ ხელფასს. არსებულ კანონებში ცვლილებები კი გულისხმობდეს ხმის მიცემის, ან მართვის მოწმობის აღების ასაკის შეცვლას. თითოეული ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას, რომელსაც კლასის წინაშე წარმოადგენს. პრეზენტაცია ეხება ჯგუფისათვის სასურველ საკანონმდებლო ცვლილებებს და იმ მიზეზებს, თუ რატომ იქნებოდა სასარგებლო ასეთი საკანონმდებლო ცვლილებები ახალგაზრდებისათვის. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ, მოსწავლეები განიხილავენ გამოსავალ გზებს და ირჩევენ საუკეთესოს.

საშინაო დავალება შეიძლება იმ შემდგომ საქმიანობას ეხებოდეს, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ ქვეყნის მთავრობამ გაითვალისწინოს მოსწავლეების მოსაზრებები და საკანონდებლო ცვლილებების გატარება უზრუნველყოს.

### გაკვეთილი 3 თქვენ ხართ კანონმდებელი როგორ ეპყრობით ახალგაზრდა კანონდამრღვევებს?

სწავლის მიზანი – განხილვა იმისა, საჭიროა თუ არა, დავსაჯოთ ახალგაზრდები, რომლებიც კანონს არღვევენ. იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა, როგორი უნდა იყოს სასჯელი.
მოსწავლის დავალება – დანაშაულზე სათანადო სასჯელის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ფაქტორების გაანალიზება.
საჭირო მასალა – მოთხოვთ და მასწავლებლის დამხმარე მასალა.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.

## ძირითადი ცნებები

### რა აზრი აქვს დასჯას: სამი ძირითადი არგუმენტი

გაკვეთილი 2 სამოქალაქო სამართალს ეძღვნებოდა; გაკვეთილი 3 კი მთლიანად სისხლის სა-მართალზეა ორიენტირებული. განხილული იქნება ახალგაზრდა დამნაშავეების დასჯის აუცილე-ბლობა და დასჯის სხვადასხვა გზა. როცა ამ თემაზე ვსაურობთ, ისმება შეკითხვა: „რატომ ვსჯით?“ მოცემულ შეკითხვაზე განსხვავებული პასუხებია გაცემული კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სამეცნიერო და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ზოგა-დად, დასჯის სამი არგუმენტი იყვნება:

1. საზღაურის გადახდის აუცილებლობა. დასჯა უკავშირდება პრალეულობას და პასუხისმგე-ბლობას. დამნაშავე იმსახურებს დასჯას და საზოგადოება დანაშაულისადმი საკუთარ დამოკიდე-ბულებას სწორედ დამნაშავის დასჯით გამოხატავს. ეს ცნება პროპორციულობის დაცვასაც გუ-ლისხმობს, რაც იცავს დამნაშავეს გადამეტებული სასჯელისაგან. დასჯის მიზანია სამართლიანო-ბის აღდგენა.

2. შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. დასჯის საშუალებით ხდება პოტენციური დამნაშავეებისათვის შეტყობინების გაგზავნა, რომ მათ იგივე მოელით, თუ კანონსაწინააღმდეგო საქციელს ჩაიდგინენ. დასჯის მიზანია დანაშაულის გავრცელების აღკვეთა.

3. რეაბილიტაცია. დანაშაულია, როგორც დახმარების მოთხოვნა. დამნაშავეს სჭირდება მკურნალობა, და არა დასჯა. ამ შემთხვევაში, მიზანია დამნაშავის ხელშეწყობა ისე, რომ მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და შეძლოს საზოგადოებასთან ინტეგრირება.

მსოფლიოს პენიტენციალური სისტემები მკვეთრად განსხვავდება სწორედ ამ სამი პრინციპის სხვადასხვაგარი დაბალანსების მიხედვით, როგორც ახალგაზრდა, ისე ზრდასრული დამნაშავეების მიმართ. ბევრი, თუმცა არა ყველა, ქვეყანა აღიარებს რეაბილიტაციას, როგორც უპირველეს პრი-ორიტეტს. მნიშვნელოვანი საკითხია იმის განსაზღვრაც, თუ ვინაა ზრდასრული დამნაშავე და ვინ - არასრულნლოვანი. ევროსაბჭო განმსაზღვრელ ასაკად ასახელებს 18 წელს და იშველიებს ბავშვთა უფლებების კონვენციას (იხ. დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის).

ამ გაკვეთილში განხილულია დასჯის სამივე არგუმენტი ინდუქციური მიდგომის გამოყენებით. მოსწავლეები დისკუსიას მართავენ ახალგაზრდა დამნაშავის ისტორიის გარშემო და მსჯელობენ სამ არგუმენტზე, მათ ზეგავლენაზე და მათ შორის ბალანსზე. სასურველია, დისკუსიამდე, ან დის-კუსის შემდეგ, მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს ამ სამი არგუმენტის არსი.

ამ გაკვეთილმა, შესაძლოა, საფუძვლი ჩაუყაროს პროექტს, რომელსაც კიდევ ორი გაკვეთილი დასჭირდება. პროექტი უნდა მიეძღვნას სამ არგუმენტს შორის ბალანსის განხილვას იმ კანონების მიხედვით, რომელიც ქვეყანაში მოქმედებს ახალგაზრდა დამნაშავეების დასასჯელად.

## გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ყოფს. მას-წავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ კანონის უზენაესობა განაჩენის გამოტანის პროცესში მოსამართლის მხრიდან კანონით ხელმძღვანელობას გულისხმობს. ამ გაკვეთილზე მოსწავ-ლები განიხილავენ იმას, თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს ასეთი კანონი ახალგაზრდა დამ-ნაშავეებს. მოსწავლეები მოისმენენ ამბავს დანაშაულის შესახებ და შემდეგ წარმოიდგინენ, რომ ისინი არიან იმ პარლამენტის წევრები, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დამ-ნაშავისათვის სასჯელის განსაზღვრის შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მოთხოვნას და სთხოვს, გადაწყვეტონ, თუ რა იქნება ტომისათვის სამართლიანი სასჯელი. მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ და საკუთარ მოსაზრებებს კლასის წინაშე წარმოადგენენ.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დამატებით ინფორმაციას აწვდის. ყოველი ახალი ინფორმაციის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, შეცვალონ საკუთარი გადაწყვეტილება.

აქტივობის ბოლოს, მასწავლებელი ყველა ჯგუფს სთხოვს, საკუთარი მოსაზრებები

კლასს გაუზიარონ:

- რა სასჯელს იმსახურებს ყ?
- შეგაცვლევინათ აზრი დამატებითმა ინფორმაციამ? თუ შეგაცვლევინათ, როგორ?
- შემდეგ მასწავლებელი დისკუსიას მართავს და ეკითხება კლასს:
- რა ფაქტორები უნდა იყოს გათვალისწინებული კანონში, რომელიც დანაშაულის ჩამდებისათვის სასჯელის ზომას განსაზღვრავს?
- თქვენი აზრით, კანონი უნდა განასხვავებდეს თუ არა ახალგაზრდებს ზრდასრულებისაგან? რატომ?

და ბოლოს, საშიანო დავალება: მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ დანაშაულებრივი შემთხვევა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში მოხდა (ტელევიზიით მოსმენილი, გაზეთში წაკითხული) და ახალგაზრდა იქნა პრალდებული; შემდეგ უნდა განსაზღვრონ ზედმეტად მკაცრი იყო, თუ ზედმეტად ლმობიერი სასამართლოს გადაწყვეტილება. მოსწავლეებმა შერჩეული შემთხვევის შესახებ წერილობით უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები და მომავალ გაკვეთილზე გააცნონ კლასელებს. მოსწავლეებმა დავალებაში კარგად უნდა ახსნან ის ფაქტორები, რამაც მათი დამოკიდებულების ჩამოაყალიბებაზე იმოქმედა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელშიც ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა დაადანაშაულეს.

## კანონს თქვენ ადგენთ

„ლეონარდი და ტომი 15 წლის იყვნენ და ერთ სკოლაში დადიოდნენ. ისინი ერთმანეთს უკვე დიდი ხანია, იცნობდნენ, თუმცა ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ.

ერთ დღეს ტომს მობილური ტელეფონი დაეკარგა და მის მოპარვაში ლეონარდი დაადანაშაულა. ლეონარდმა განაცხადა, რომ მას არ მოუპარავს მობილური და დასძინა, რომ ტომს მისი შურდა, რადგან ლეონარდს ბევრი მეგობარი ჰყავდა.

იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ გაიმართა ჩხუბი. ტომმა დანა ამოილო, ლეონარდს კი არ ჰქონდა იარაღი. ჩხუბის დროს ტომმა ლეონარდს სახეზე ისეთი ჭრილობა მიაყენა, რომ ეს უკანასკნელი მთელი ცხოვრება ამ ნაიარევით დადიოდა“.

## დავალება

რა იქნებოდა სამართლიანი სასჯელი ტომისათვის? განიხილეთ ეს შეკითხვა ჯგუფში და წერილობით ჩამოაყალიბეთ სასჯელი, რომელსაც კანონი ასეთი დანაშაულისათვის უნდა ითვალისწინებდეს (იქმნება კანონის სამუშაო ვარიანტი).

## დამატებითი ინფორმაცია

1. ტომს ძალიან მკაცრად ზრდიდნენ; მას მამა ხშირად სცემდა.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

2. ტომი კლასში იზოლირებული იყო და არავინ აქცევდა ყურადღებას მის პრობლემებს.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

3. ლეონარდმა მართლა მოიპარა ტომის მობილური ტელეფონი და შემდეგ თავად დაიწყო ჩხუბი, რადგან ტომმა ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ

თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

4. ლეონარდი იმ დაჯგუფების მეთაური იყო, რომელიც ტომს ყოველთვის ჩაგრავდა. ამ დაჯგუფებას არაერთხელ მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა ტომისათვის (ცემა, ჯოხის დარტყმა, ჯაჭვით დაბმა და ა.შ.). შიში ტომს ღამითაც კი არ აძლევდა მოსვენებას და სკოლაში წასვლაც კი შემზარავი იყო მისთვის.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

5. მამა ყოველთვის ეუბნებოდა ტომს, რომ ის ძალიან სუსტი იყო და ლეონარდს მკაცრად უნდა გასწორებოდა.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

6. ტომმა მხოლოდ იმიტომ ამოილო დანა, რომ შეეშინებინა ბიჭები; მას არც კი უფიქრია დანის გამოყენება. ამ დროს იქვე იდგა 20 ახალგაზრდა, რომელიც ბიჭებს ჩეუბისაკენ აქეზებდა.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

7. ჩეუბამდე ორი დღით ადრე მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ტომს დანა ჰქონდა. მასწავლებელს ტომისათვის არაფერი უკითხავს დანის შესახებ.

ეს ინფორმაცია ახდენს თუ არა გავლენას ტომის სასჯელის ზომასთან დაკავშირებულ თქვენს გადაწყვეტილებაზე? რა გავლენას? საჭიროებისამებრ, შეცვალეთ კანონის სამუშაო ვარიანტი.

მოსწავლეები საკუთარ ჯგუფებში ირჩევენ ერთ მოსწავლეს, რომელიც ჯგუფის სახელით ისაუბრებს. ეს მოსწავლე ჯგუფის ნამუშევარს (კანონის სამუშაო ვარიანტს) მოელი კლასის წინაშე წარმოადგენს. მოსწავლეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ის საკითხები, რომელიც მართლმსაჯულების დადგენას უკავშირდება:

- როგორ ვაჩვენებთ, რომ საზოგადოება უარყოფითად უდგება ასეთ საქციელს?
- როგორ უნდა შევქმნათ სკოლაში უსაფრთხო გარემო?
- როგორ უნდა დავსაჯოთ ტომი, რათა მან აღარ გამოიყენოს იარაღი და ასეთი ცუდი მაგალითი აღარ მისცეს ლეონარდის დაჯგუფებასაც?
- ტომის საქციელი ნიშანია იმისა, რომ ეს ბავშვი იყო სასოწარკვეთილი. მას ხომ არ შეეძლო საკუთარი ოჯახის არჩევა. როგორ უნდა დავეხმაროთ ტომს, რომ მან თავი ბედიერად იგრძნოს და მომავალში იარაღის გამოყენება აღარ დასჭირდეს?

დისკუსიის შეჯამებისას, მასწავლებელმა ეს შეკითხვები შეიძლება დაუკავშიროს ზემოთ მოყვანილ სამ პრინციპს: საზღაურის გადახდის აუცილებლობა, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა და რეაბილიტაცია. ბავშვთა უფლებების კონვენციიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია, უპირატესობა მიანიჭოს რეაბილიტაციას.

თუ არის საკმარისი დრო, მოსწავლეებს შეუძლიათ, გააგრძელონ ამ საკითხზე მუშაობა. მით უმეტეს, თუ ისინი ვერ თანხმდებიან, დასჯის რომელი პრინციპი უნდა იქნას გამოყენებული ამ შემთხვევაში. ასევე, მათ შეუძლიათ, შეისწავლონ საკუთარი კანონმდებლობა დასჯის ამ სამი პრინციპის ჭრილში – საზღაურის გადახდის აუცილებლობა, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა და რეაბილიტაცია.

## გაკვეთილი 4

### მტკიცებულებები რა მტკიცებულებები უნდა აღიაროს სასამართლომ?

სწავლის მიზანი – სასამართლოში მტკიცებულების წარმოდგენის წესების გააზრება.
მოსწავლის დავალება – განხილვა იმისა, თუ რა ტიპის მტკიცებულებები უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ.
საჭირო მასალა – სადისკუსიო ბარათები (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 8.2) 4-6 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფებისათვის.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მცირე ჯგუფებში მუშაობა. დისკუსია.

### ინფორმაცია

სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი არის იმ წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა ტიპის მტკიცებულების გამოყენება შეიძლება სასამართლოში იმისათვის, რომ სამართლიანი მართლმსაჯულება შედგეს. მაგალითად, რამდენად მიზანშეწონილია „გაგონილი“ (მტკიცებულება, რომელსაც თვითმხილველები არ ადასტურებენ, მაგრამ გადმოცემით არის ცნობილი) ან წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება?

### გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი შემდეგ წინადადებას წარმოუდგენს მოსწავლეებს, როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით (დაფაზე ან ფლიპჩარტზე დაწერილი):

„ადამიანი მანამ ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი დანაშაული კანონის მიხედვით არ იქნება დამტკიცებული.“

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950), მუხლი 6, №2

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმსჯელონ ამ კონვენციაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს იმის გააზრებაში უნდა დაეხმაროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულებისათვის ამ კონვენციის დაცვა. ამ გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ სასამართლოზე მტკიცებულების წარმოდგენის წესებს.

მოსწავლეები 4-6 კაციან ჯგუფებს ქმნიან.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის შესახებ. ახალგაზრდა მამაკაცს, მანუელს, ბრალს სდებენ იმაში, რომ მან მოიპარა ბატონი ქეის მანქანა, რომელიც ერთ საღამოს ბატონი ქეის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაუჩინარდა. მეორე დილას კი, მანქანა სოფლის განაპირას აღმოაჩინეს – ვიღაცას მანქანაზე ბერზინი გადაესხა და დაეწვა. რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციამ მანუელი დააკავა და ბრალი წაუყენა ქურდობასა და მატერიალური ზარალის მიყენებაში.

შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს სადისკუსიო ბარათებს ურიგებს. თითოეულ ბარათზე დატანილია ის მტკიცებულება, რომელსაც პროკურატურა მანუელის ბრალეულობის დასამტკიცებლად იყენებს.

მასწავლებელი ჯგუფებს სთხოვს:

- განახორციელონ მტკიცებულებების კლასიფიკაცია ყველაზე ძლიერიდან ყველაზე სუსტისაკენ;

– გადაწყვიტონ, თუ არის მიზანშეწონილი, რომ არ იყოს გათვალისწინებული ზოგიერთი მტკიცებულება, მათი არარელევანტურობის, ან არასამართლიანობის გამო.

ჯგუფები საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ კლასის წინაშე და თანხმდებიან იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც სასამართლოზე უნდა იყოს წარმოდგენილი და იმ მტკიცებულებებზეც, რომლებიც არ უნდა გავიდეს სასამართლოზე.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ქვემოთ მოყვანილ ორ საკითხზე დაფიქრდნენ:

– რა შეკითხვები უნდა დაუსვან სასამართლოზე მანუელსა და თვითმხილველებს? რატომ?

– არის ისეთი შეკითხვები, რომელთა დასმაც არასამართლიანი იქნებოდა? რომელი შეკითხვების? რატომ?

ჯგუფები კლასის წინაშე წარმოადგენენ საკუთარ მოსაზრებებს. ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოსწავლეები აყალიბებენ შეკითხვების ნუსხას, რომელთა დასმაც სასამართლო პროცესზე არამიზანშეწონილი იქნებოდა.

თუ არის საკმარისი დრო, შესაძლებელია, ეს გაკვეთილი კვლევით დავალებამდე მივიდეს: მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ მტკიცებულების წარმოდგენის წესები საკუთარ ქვეყანაში და შემდეგ გაკვეთილზე კლასს ამ წესების შესახებ მოახსენონ.

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 8.1

კითხვარი: რა ასაკიდან

თქვენი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რა ასაკიდან შეუძლია ახალგაზრდას:

1. აიღოს მართვის მოწმობა?
2. დაქორწინდეს?
3. მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში (ხმის მიცემის უფლება)?
4. დაიწყოს შეიარაღებულ ჯარებში სამსახური?
5. გადაიხადოს გადასახადები?
6. კენჭი იყაროს პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად?
7. მოხვდეს ციხეში?
8. მიატოვოს სკოლა?
9. იშვილოს ბავშვი?

## მასწავლის სამუშაო ფურცელი 8.2

### სადისკუსიო ბარათები

პოლიციელი აცხადებს, რომ მანუელმა დაკითხვაზე აღიარა მანქანის მოპარვა.	ახალგაზრდა მამაკაცი აცხადებს, რომ მანუელი ყოველთვის მანქანების მოპარვაზე საუბრობდა და ამით იწონებდა თავს.
ახალგაზრდა ქალბატონი აცხადებს, რომ მოისმინა მისი მეგობრის სატელეფონო საუბარი მანუელთან. ქალბატონის მეგობარი მანუელს ბატონი ქეის მანქანის მოპარვაზე ელაპარაკებოდა.	ბატონი ქეი აცხადებს, რომ დარწმუნებულია მანუელის ბოროტმოქმედებაში, რადგან ქეის ოჯახისადმი მანუელს სიძულვილი ამოძრავებდა. ეს სიძულვილი კი სათავეს იმ დღიდან იღებს, როცა ბატონმა ქეიმ მანუელს მის ქალიშვილთან შესვედრა აუკრძალა.
მანუელის ერთ-ერთი მასწავლებელი აცხადებს, რომ არაერთხელ დაუნახავს, თუ მანუელი სკოლიდან როგორ იპარავდა სხვადასხვა საგანს.	მანუელს არ ჰყავს მოწმე, რომელიც დაადასტურებდა, რომ დანაშაულის საღამოს ის სახლში იყო.
როცა პროცურორმა ქეის მეზობელს ჰქითხა: „იმ საღამოს, დაინახეთ მანუელის მსგავსი გარეგნობის ადამიანი, რომელსაც ბატონი ქეის მანქანა მიჰყავდა?“, მიიღო შემდეგი პასუხი: „კი, ნამდვილად.“	

### 8.1 დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის

#### ინტეგრაცია კრიმინალად აღიარებისა და დასჯის ნაცვლად

თომას ჰამარბერგი, ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროსაბჭო

ევროპული ქვეყნების უმეტესობაში თინეიჯერები განსაკუთრებული კრიმინალური აქტიურობით არ გამოირჩევიან. ამასთანავე, ჩვენს კონტინენტზე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად არ იცვლება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა მნიშვნელოვანი არ არის. მრავალი ქვეყნის მონაცემების მიხედვით, რაც დრო გადის, ახალგაზრდები უფრო და უფრო დაუნდობელ დანაშაულებს სჩადიან. ეს, თავისთავად, უკვე არის გამაფრთხილებელი სიგნალი. [...].

ამჟამად, ევროპაში ორი ძირითადი მიმართულება ფიქსირდება. პირველი, კრიმინალური პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის შემცირება, რაც გულისხმობს ახალგაზრდების უფრო ადრეულ ასაკში დაპატიმრებას. მეორე, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, კრიმინალიზაციის უარყოფა და პატიმრობის სოციალური, ოჯახის პრინციპზე დაფუძნებული, აღტერნატივების შექმნა.

დღეს თქვენს ყურადღებას მეორე მიდგომაზე შევაჩირებ. ამ მიდგომას არა მხოლოდ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია უჭერს მხარს, არამედ, აგრეთვე, ბავშვთა სახალხო დამცველების ევროპული ქსელი. 2003 წელს გამოქვეყნებულ მიმართვაში, 21 ქვეყნის სახალხო დამცველმა გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ბავშვი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვია, რომელსაც აქვს საკუთარი უფლებები.

მათ შემოიტანეს წინადადება, რომ კრიმინალური პასუხისმგებლობის ასაკმა კი არ უნდა დაინიოს, არამედ გაიზარდოს და მიაღწიოს 18 წელს. 18 წლამდე დამნაშავეებისადმი მოპყრობის ინოვაციური სისტემა კი უნდა გულისხმობდეს აქცენტებს მათ განათლებაზე, რეინ-

ტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე.

ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც ყველა ევროპული ქვეყნის მიერაა რატი-ფიცირებული, მთავრობებისაგან მოითხოვს, რომ მათ დაადგინონ ის მინიმალური ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვს არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა. ამ კონვენციაში არ არის დაფიქ-სირებული ეს ასაკი. მიუხედვად ამისა, კომიტეტი, რომელიც ამ კონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს, გამოხატავს წუხილს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბევრ ქვეყანაში ეს ზღვარი ძალიან დაბალია. ევროპული ქვეყნების უმეტესობაში, ბავშვი კრიმი-ნალური პასუხისმგებლობის მატარებელია 12, 15 ან 16 წლიდან. თუმცა არის შემთხვევები, როცა კრიმინალური პასუხისმგებლობა ბავშვს ეკისრება 7, 8 ან 10 წლის ასაკიდანაც.

გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით, ბავშვთა კრიმინალიზაცია აცილებულ უნდა იქნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე არასრულწლოვნებს ისე ეპყ-რობოდნენ, თითქოს მათ პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. პირიქით, არასრულწლოვნე-ბი პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ქმედებებზე და მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიღონ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში.

შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: რა პროცედურამ უნდა ჩაანაცვლოს სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პროცედურები ასეთ შემთხვევებში. რა თქმა უნდა, აუცილებელია მიყენებული ზარალის აღიარება და ახალგაზრდისათვის იმის ახსნა, რომ მისი საქციელი არ არის მისაღები. შესაბამისად, უნდა არსებობ-დეს მექანიზმი, რომელიც დანაშაულს აღიარებს და აწესებს რეაბილიტაციის სან-ქციებს.

სანქციების დაწესების პროცედურა უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი სისხ-ლის სამართლებრივი პროცედურისაგან. არასრულწლოვანთა გასამართლებისას არ უნდა იყოს დადგენილი სამაგიეროს მიზღვის პრინციპი. მიზანი არის ის, რომ დაწეს-დეს პასუხისმგებლობა და, ამავე დროს, ხელი შეეწყოს არასრულწლოვანთა რეინტე-გრაციას. არასრულწლოვანმა უნდა გაიაზროს ჩადენილი დანაშაული და აღარ გაიმე-ოროს ის.

ამის მიღწევა რთულია. საჭიროა ინოვაციური და ეფექტური საზოგადოებრი-ვი სანქციები. ამ პროცესში, სასურველია, ჩართულნი იყვნენ დამნაშავის მშობლები ან მეურვეები, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკუშედეგის გამომწვევი არ იქნება. ასევე, ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს იმ დანაშაულის აპელაცია, რომელიც ბავშვის ბრალეულობას უკავშირდება.

სლოვენიაში „შუამავლობის“ საინტერესო პროცედურას იყენებენ: პროკურორ-თან, დაზარალებულთან და დამნაშავესთან შეთანხმებით, არასრულწლოვნის საქმე გადაეცემა მედიატორს, რომელიც მოლაპარაკების გზით აგვარებს საქმეს ისე, რომ ის სასამართლომდე არ მიდის.

კიდევ ერთ საკითხს უნდა გავუსვათ ხაზი, ესაა დანაშაულზე დროული რეაგირე-ბა. გაჭიანურებული საქმეები, რაც ევროპაში ხშირ შემთხვევას წარმოადგენს, ახალ-გაზრდა დამნაშავეებისათვის ძალიან არახელსაყრელი, რადგან ისინი გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ. [...]

თომას ჰამინარბერგი, ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროსაბჭო. ნაწყვეტი გამოსვლიდან „არასრულწლოვანი დამნაშავეები და მათი უფლებები“, ევროპელ გენერალურ პროკურორთა კონფერენცია, მოსკოვი, 5-6 ივლისი, 2006 წელი. წყარო: <http://www.coe.int/t/commissioner/>

## 8.2 დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის

ბავშვთა უფლებების კონვენცია

მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს.

### „მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

- ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. სიკვდილით დასჯა ან მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;
- ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა მინიმალური პერიოდის განმავლობაში;
- ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ლირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ თავად ბავშვის ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;
- ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყონებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე, უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე. მათ კი დაუყონებლივ უნდა გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.“

### „მუხლი 40

(...) 3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან დაკავშირებული კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომელებმაც დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ეჭვმიტანილებად ითვლებიან მის დარღვევაში, კერძოდ:

- მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;
  - როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით.
4. აუცილებელია ისეთი ღონისძიებების ხელმისაწვდომობა, როგორებიცაა: მეურვეობისა და მეთვალყურეობის მექანიზმი, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც, შეიძლება, დაწესებულებებში მოვლას შეენაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, მის მდგომარეობასა და დანაშაულის ხასიათს.“

წყარო: როლფ გოლობი/პიტერ კრაფი: ბავშვთა უფლებები. გაკეთილები დაწყებითი

კლასის მოსწავლეებისათვის. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი V, სტრასბურგი 2007, გვ. 77

დამატებითი საკითხავი: სინდი ბენქსი, სისხლის სამართლის ეთიკა, საუზენდ ოქსი, 2004. ამ წიგნის მე-5 თავის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.sagepub.com>

## თავი 9

### მთავრობა და პოლიტიკა

როგორი უნდა იყოს ქვეყნის  
მმართველობა?



9.1 ვინ არის პასუხისმგებელი?  
რომელია ქვეყნის მართვის საუკეთესო გზა?

9.2 თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ...  
რისთვის არსებობს მთავრობა?

9.3 მე და ჩემი ფუნქციები  
რას უნდა ელოდეს ქვეყანა მოქალაქეებისაგან?

9.4 მოსწავლეთა პარლამენტი  
როგორ უნდა სკოლის მართვა?

## თავი 9. მთავრობა და პოლიტიკა. როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველობა?

პოლიტიკა არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანთა საზოგადოება აღწევს შეთანხმებას ერთობლივი ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებზე. ეს პროცესი მოიცავს როგორც მოლაპარაკებასა და დაყოლებას, ისე საბოლოო გადაწყვეტილების მიღწევის მექანიზმებს, მაგალითად, ხმის მიცემას. პოლიტიკა გულისხმობს ძალაუფლებას, უფლებამოსილებასა და იძულებას იმისათვის, რომ აღსრულდეს კოლექტიური გადაწყვეტილებები.

პოლიტიკა წინასწარგანსაზღვრულია სახელმწიფო ინსტიტუტებითა და იმ ურთიერთობებით, რომელიც სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის არსებობს. ეს ურთიერთობები სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში სხვადასხვა ფორმას იღებს, როგორებიცაა: მონარქია, დემოკრატია, ტოტალიტარული წყობა.

დემოკრატიული წყობის პირობებში, მოქალაქეებს აქვთ პოლიტიკური თანასწორობა. კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება ხმის მიცემით; შეიძლება ხმას აძლევდნენ მოქალაქეები, ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები. დემოკრატიული პოლიტიკა მხოლოდ ხმის მიცემის პრინციპით არ შემოიფარგლება. საგულისხმოა დებატებისა და განხილვის კულტურა, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

დემოკრატიულ წყობაში აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების სათანადო ფუნქციონირება და მოქალაქეთა მიერ საკუთარი პასუხისმგებლობების ჯეროვნად შესრულება. ასევე, საყურადღებოა დემოკრატიულ ქვეყანაში ინდივიდუალური დაწესებულებების (მაგალითად, სკოლების) დემოკრატიული მართვის საკითხები.

### განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებები

გაკვეთილთა ეს სერია დაეხმარება მოსწავლეებს:

- გაიაზრონ სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა ფორმა და მათი მიმართება მოქალაქეებთან;
- უკეთ გააცნობიერონ მთავრობის ფუნქციები და მოქალაქეთა პასუხისმგებლობები;
- გაეცნონ დემოკრატიული მმართველობისათვის დამახასიათებელ პროცესებს;
- უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე.

ეს გაკვეთილი მოიცავს საშინაო დავალებას, რომელიც მოსწავლეებს ამ მიზნების მიღებას გაუადვილებს. შესაძლოა, კლასში იყოს ძალიან ბევრი შეკითხვა, მსჯელობა და ახსნა-განმარტება. მასწავლებლის გადასაწყვეტია, დაუმატებს თუ არა ამ თემას კიდევ ერთ, მესუთე გაკვეთილს. დროის ნაკლებობის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, წერილობითი დავალებები მოსთხოვოს მოსწავლეებს, გაასწოროს ისინი და სათანადო შენიშვნებით დაუბრუნოს უკან.

ამ ტიპის დაგეგმარება განხილულია მე-4 გაკვეთილში.

## თავი 9: მთავრობა და პოლიტიკა

### როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველობა?

გაკვეთილის სახელწოდება	სწავლის მიზანი	მოსწავლის დავალება	საჭირო მასალა	მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა
გაკვეთილი 1: ვინ არის პასუხ- ისმგებელი?	მოსწავლეები იღებენ ცოდნას სხვადასხვა ტიპის მმართველობის შესახებ, მაგალითად, დემოკრატია და დიქტა- ტორული წყობა.	წარმოსახვითი სა- ზოგადოების მაგალი- თზე, მოსწავლეები მსჯელობები მმართ- ველობის სისტემის სამართლიანობაზე.	მოსწავლის <b>სამ- უშაო ფურცელ</b> 9.1-ის ასლები ყველა მოსწავ- ლისათვის ქაღალდები და კალმები.	მოთხოვთ. წყვილებში მუშაობა. მთელი კლა- სის დისკუსია. ფორმალური დებატები.
გაკვეთილი 2: თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ...	მოსწავლეებს შეუძლიათ, ახსნან მთავრობის პასუხისმგებლობები და ფუნქციები.	მოსწავლეები წარ- მოიდგენენ, რომ ისინი ქმნიან მთავ- რობას. მათ უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ განკარგავენ სახელწიფო სახს- რებს. მოსწავლეები მსჯელობები სო- ციალურ იდეალებზე, რომლის მიღწევაც მნიშვნელოვანი იქნე- ბოდა.	დიდი ზომის ქაღალდი, მარკ- ერები და ფურცელები დემოკრატიულ სახელმწიფოში მისაღწევი სო- ციალური იდე- ალების ნუსხით, ყოველი 4-6 კაციანი ჯგუ- ფისათვის.	პოსტერები. პრეზენ- ტაციები. მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. მთელი კლა- სის დისკუსია.
გაკვეთილი 3: მე და ჩემი ფუნქციები	მოსწავლეები სწავლო- ბენ მოქალაქეთა მოვა- ლეობებს დემოკრატიულ საზოგადოებაში.	მოსწავლეები განიხი- ლავენ მოქალაქეთა პასუხისმგებლობებს და იმ გზებს, რომელ- იც მოქალაქეებს დაარწმუნებდა, რომ საკუთარ პასუხისმგე- ბლობებს მეტი სე- რიოზულობით უნდა მოეკიდონ.	სადისკუსიო ბარათები (მოს- წავლის <b>სამუშაო ფურცელი</b> 9.2), დიდი ზომის ქაღალდი და მარკერები 4-6 მოსწავლისა- გან შემდგარი თითოეული ჯგუ- ფისათვის.	პრეზენ- ტაციები. მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. მთელი კლა- სის დისკუსია.
გაკვეთილი 4: მოსწავლეთა პარლამენტი	მოსწავლეები შეიმუშავებენ სკოლის მართვის კრიტერიუმებს და მართვის პროცესში მოსწავლეთა როლს გან- საზღვრავენ.	მოსწავლეები წარ- მოიდგენენ იმას, თუ როგორ იმუშავებდა მათი პარლამენტი.	კითხვარი ყველა მოსწავლისათვის (მოსწავლის <b>სამ- უშაო ფურცელი</b> 9.3)  დიდი ზომის ქაღალდი, მარკერები 4-6 მოსწავლისა- გან შემდგარი თითოეული ჯგუფისათვის.	პრეზენტა- ციები. ინდი- ვიდუალური მუშაობა. მცირე ზომის ჯგუფებში და მთელი კლა- სის დისკუსიები.

## გაკვეთილი 1

### ვინ არის პასუხისმგებელი?

რომელია ქვეყნის მართვის საუკეთესო გზა?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები იღებენ ცოდნას სხვადასხვა ტიპის მმართველობის შესახებ, მაგალითად, დემოკრატია და დიქტატორიული წყობა.

მოსწავლის დავალება – წარმოსახვითი საზოგადოების მაგალითზე, მოსწავლეები მსჯელობენ მმართველობის სისტემის სამართლიანობაზე.

საჭირო მასალა – მოსწავლის სამუშაო ფურცელ 9.1-ის ასლები ყველა მოსწავლისათვის, ქალალ-დები და კალმები.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – მოთხრობა. წყვილებში მუშაობა. მთელი კლასის დისკუსია. ფორმალური დებატები.

## ძირითადი ცნებები

მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მაგალითად, იმის მიხედვით, თუ ვის ხელშია ძალაუფლება, როგორ ნაწილდება ძალაუფლება ხალხზე, როგორ ხდება კანონის აღსრულება. მმართველობის ძირითადი ტიპებია: დემოკრატია, მონარქია, თეოკრატია და ტირანია/დიქტატურა. ერთ ქვეყანაში, შეიძლება, სხვადასხვა ტიპის მმართველობა თანაარსებობდეს. მაგალითად, საპარლამენტო დემოკრატიაში შეიძლება იყოს დიქტატურის ან მონარქიის ელემენტები.

## გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მოთხრობა „სიკალის სამეფოს“ კითხვით (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.1). ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ამ მოთხრობის ასლი, რათა, მასწავლებლის კითხვის პარალელურად, ტექსტს თვალი მიადევნოს.

მასწავლებელი მოთხრობის შუაში ჩერდება და კითხულობს:

– იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ახლა მიიღეთ, რას ფიქრობთ სიკალში ცხოვრებაზე?

მოთხრობის ბოლოს მასწავლებელი კითხულობს:

– ახლა რას ფიქრობთ სიკალში ცხოვრებაზე?

მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ჰქონდება და სთხოვს მათ, იმსჯელონ სიკალში ცხოვრების ხარისხზე. მოსწავლეებს ურიგდებათ ქალალდები, რომელზეც მათ უნდა ჩამოწერონ სიკალში ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მასწავლებელი წყვილებს სთხოვს, საკუთარი მოსაზრებები მთელი კლასის წინაშე წარმოადგინონ და ამ ძირითად საკითხებს ყველასთვის კარგად დასანახად წერს.

შემდეგ მასწავლებელი კლასს სთხოვს, დაფიქრდნენ სიკალის მმართველობის სისტემაზე:

– ფიქრობთ, რომ სიკალს სამართლიანი მმართველობა აქვა? რატომ?

– თუ მიგაჩინიათ, რომ ამ ქვეყნის მართვა უფრო სამართლიანი ფორმითაც შეიძლება, ხომ ვერ დააკონკრეტებდით, რა ცვლილებების გატარება იქნებოდა საჭირო მეტი სამართლიანობის მისაღწევად?

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ სიკალის მაცხოვრებლები არიან. დებატების წარმართვის მიზნით, კლასი ორ ჯგუფად იყოფა. ერთი ჯგუფი არსებული სისტემის გაგრძელების მომხრეა, ხოლო მეორე ჯგუფი თვლის, რომ აუცილე-

ბელია, ქვეყნის მოქალაქეებმა მიიღონ გადაწყვეტილებები და ქვეყანას არ ჰყავდეს ერთ-პიროვნული მმართველი. მასნავლებელი ჯგუფებს აძლევს რამდენიმე წეს, რათა მათ საკუთარი პოზიციის გასამყარებელი არგუმენტები ჩამონერონ. ჯგუფები ერთმანეთის პირისპირ სხდებიან და იწყება დებატები. მოსწავლეები თითოეული ჯგუფიდან რიგრიგობით წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტებს. დებატებში მათ დაეხმარებათ „მოსაუბრე ჯოხი“, რომელიც შეიძლება ეჭიროს იმ მოსწავლეს, რომელიც სიტყვით გამოდის.

დებატების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება მოსაზრებებს. კლასი წყვეტს, თუ რომელი მხარის პოზიცია იყო უკეთ დაცული.

ახლა მოსწავლეები მზად არიან მოკლე ახსნა-განმარტებისათვის (ინდუქციური მიდგომა). მასწავლებელი ჩამონერს მმართველობის ხუთ ტიპს და უხსნის მოსწავლეებს, თუ რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან:

- მონარქია;
- დემოკრატია;
- დიქტატურა;
- თეოკრატია;
- ანარქია.

გაკვეთილი სრულდება იმით, რომ მოსწავლეები განსაზღვრავენ საკუთარი ქვეყნის მმართველობის ფორმას. საშინაო დავალება: მოსწავლეებმა მეტი ინფორმაცია უნდა მოიძიონ ამ თემასთან დაკავშირებით და მოამზადონ ტესტი (5-10 შეკითხვა), რათა მომავალ გაკვეთილზე თანაკლასელების ცოდნა შეამონეონ.

## გაკვეთილი 2 თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ... რისთვის არსებობს მთავრობა?

სწავლის მიზანი – მოსწავლეებს შეუძლიათ, ახსნან მთავრობის პასუხისმგებლობები და ფუნქციები.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ ისინი ქმნიან მთავრობას. მათ უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ განკარგავენ სახელწიფო სახსრებს. მოსწავლეები მსჯელობენ სოციალურ იდეალებზე, რომლის მიღწევაც მნიშვნელოვანი იქნებოდა.
საჭირო მასალა – დიდი ზომის ქაღალდი, მარკერები და პატარა ფურცლები ყოველი 4-6 კაციანი ჯგუფისათვის.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – პოსტერები. პრეზენტაციები. მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა. მთელი კლასის დისკუსია.

## ძირითადი ცნებები

დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავრობა საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნავს, რაც გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე უმრავლესობის ინტერესების დაცვაა. საყოველთაო კეთილდღეობა საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობას ნიშნავს. ამ ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა განხილვის საგანს წარმოადგენს. სოციალურ იდეალებთან დაკავშირებით, სხვადასხვა, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები არსებობს, მაგალითად, სოციალური კეთილდღეობა, უსაფრთხოება, სამართლიანობა, სოციალური პარმონია, ადამიანის უფლებები, მატერიალური კეთილდღეობა. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვით ნაწილში ამ საკითხების რეალური პრიორიტეტიზაცია როგორიცაა. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის განკარგულებაში არსებული რესურსები, როგორც წესი, მნირია.

## გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ყოფს. თითოეულ ჯგუფს აქვს მარკერი და დიდი ზომის ფურცელი.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წარმოიდგინონ, რომ მომავალში ცხოვრობენ და მათ სახელმწიფოს მართვა დაევალათ. სხვა სიტყვებით, ისინი მთავრობის წევრები არიან. მათი მთავრობის განკარგულებაშია 6 მილიარდი აშშ დოლარი (მასწავლებელს შეუძლია, ქვეყნის რეალური ბიუჯეტი დაუსახელოს მოსწავლეებს და ამ ბიუჯეტის ფარგლებში სთხოვოს მუშაობა).

ჯგუფების დავალებაა იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ეს ფული მომავალ წელს. მოსწავლეები იყენებენ დიდი ზომის ქაღალდებსა და მარკერებს და ქმნიან პოსტერს, რომელზეც წაჩვენებია, თუ როგორ გაანაწილებს ფულს მთავრობა. მოსწავლეთა თითოეული ჯგუფი დანარჩენებს წარმოუდგენს თავის ნააზრევს. თითოეული პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს შეკითხვებს უსვამენ.

მასწავლებელიც სვამს შეკითხვებს ისე, რომ მოსწავლეებს მიაწოდოს ახალი ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მაგალითად:

- ის თუ გაითვალისწინეთ, რომ ფულის ნაწილის გადახდა საჭირო იქნება უცხოური ვალების დასაფარად?
- სამუშაო ადგილების შექმნაზე დახარჯავთ ფულს?
- რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის ფულის ხარჯვა განათლებაზე?

მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან ერთად, რომ ჩამოაყალიბოს იმ სფეროთა ნუსხა, რომელთა დაფინანსებაც მთავრობის საქმეა.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაუბრუნდნენ საკუთარ ჯგუფებს. მათ ურიგდებათ ფურცლები, რომლებზეც ჩამოწერილია დემოკრატიულ სახელმწიფოში მისალწევი სოციალური იდეალები:

- კეთილდღეობა;
- უსაფრთხოება;
- სამართლიანობა;
- სოციალური პარმონია;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- მატერიალური კეთილდღეობა.

ჯგუფებმა უნდა დააკავშირონ ეს იდეალები საბიუჯეტო დანახარჯებთან, რომლებიც უკვე გაწერეს.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მთელი კლასის წინაშე წარმოადგინონ საკუთარი ანალიზის შედეგები. ბოლოს, მასწავლებელი შემდეგ შეკითხვას სვამს:

- თქვენი აზრით, რა არის მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა?

საშინაო დავალება: ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორ იხარჯება ქვეყანაში საბიუჯეტო სახსრები. ეს მონაცემები მოსწავლეებმა შეიძლება მოიძიონ სხვადასხვა წყაროდან. მომავალი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები საკუთარი ძიების შედეგებს წარმოადგენენ და მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რამდენად ემთხვევა მათი პრიორიტეტები ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობის მიერ შერჩეულ პრიორიტეტებს.

## გაკვეთილი 3

### მე და ჩემი ფუნქციები რას უნდა ელოდეს ქვეყანა მოქალაქეებისაგან?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები სწავლობენ მოქალაქეთა მოვალეობებს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოსწავლის დავალება – მოსწავლეები განიხილავენ მოქალაქეთა პასუხისმგებლობებს და იმ გზებს, რომლებიც მოქალაქეებს დაარწმუნებდა, რომ საკუთარ პასუხისმგებლობებს მეტი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ.

საჭირო მასალა – სადისკუსიო ბარათები (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.2), დიდი ზომის ქაღალდი, მარკერები 4-6 მოსწავლისაგან შემდგარი თითოეული ჯგუფებისათვის.

მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – პრეზენტაციები. მცირე ზომის ჯგუფებში მუშაობა და მთელი კლასის დისკუსია.

### ინფორმაცია

დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი უფლებები. განხილვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ამ უფლებათა კონკრეტიზაცია. ასევე, საჯარო დისკუსიის თემა უნდა იყოს ამ უფლებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებიც. ზოგი ფიქრობს, რომ მოქალაქეს მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობა აკისრია – კანონმორჩილება. სხვანი კი მიიჩნევენ, რომ მოქალაქეებს უნდა ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობათა უფრო ფართო სპექტრი.

### გაკვეთილი

მასწავლებელი გაკვეთილს მოსწავლეთა 4-6 კაციან ჯგუფებად დაყოფით იწყებს. თითოეულ ჯგუფს ურიგდება სადისკუსიო ბარათები (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.2). ყოველ ბარათზე მოცემულია მოქალაქეის ერთი პასუხისმგებლობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ბარათები სამ კატეგორიად გადაანაწილონ იმის მიხედვით, თუ ვის უნდა დაეკისროს ეს პასუხისმგებლობა:

1. ყველა მოქალაქეს;
2. ზოგ მოქალაქეს;
3. არც ერთ მოქალაქეს.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, საკუთარი გადაწყვეტილებები კლასის წინაშე წარმოადგინონ და ყველა მოსაზრება არგუმენტირებულად დაასაბუთონ.

მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობას აგრძელებენ. მათ ურიგდებათ დიდი ზომის ქაღალდები და მარკერები. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მათი დავალებაა „მოქალაქის ქარტიის“ მონახაზის გაკეთება. მოსწავლეებმა დიდი ზომის ქაღალდი უნდა გაყონ ორ სვეტად. პირველ სვეტში უნდა ჩაწერონ ის, თუ რას ელის თითოეული მოქალაქე საკუთარი ქვეყნისაგან (სათაურით, „უფლებები“). მეორე სვეტში უნდა ჩაწერონ მოქალაქეთა პასუხისმგებლობები (სათაურით, „პასუხისმგებლობები“).

როცა „მოქალაქის ქარტიაზე“ მუშაობას დაასრულებენ, მოსწავლეები შედეგებს მთელი კლასის წინაშე წარმოადგენენ. დანარჩენი მოსწავლეები შეკითხვებს სვამენ.

ბოლოს, მასწავლებელი ეკითხება მთელ კლასს:

– თქვენი აზრით, თქვენს ქვეყანაში მოქალაქეები ყოველთვის ასრულებენ საკუთარ პასუხისმგებლობებს? რატომ?

- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანები უფრო მეტი სერიოზულობით მოეკიდონ საკუთარ სამოქალაქო პასუხისმგებლობებს?
  - თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, რომ მოქალაქეებს უარი ეთქვათ ადამიანის გარკვეულ უფლებებზე იმ შემთხვევაში, თუ ვერ ასრულებენ საკუთარ პასუხისმგებლობებს? რატომ?
- საშიანაო დავალება: მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ ოჯახის წევრებისა და მეგობრების გამოყითხვა და დაადგინონ, თუ რა პასუხისმგებლობები უნდა ჰქონდეს მოქალაქეს. მათ საკუთარი კვლევის შედეგები შემდეგ გაკვეთილზე კლასის წინაშე უნდა წარმოადგინონ.

## გაკვეთილი 4

### მოსწავლეთა პარლამენტი როგორი უნდა იყოს სკოლის მართვა?

სწავლის მიზანი – მოსწავლეები შეიმუშავებენ სკოლის მართვის კრიტერიუმებს და განსაზღვრავენ მოსწავლეთა როლს მართვის პროცესში.
მოსწავლის დავალება – მოსწავლეები წარმოიდგენენ იმას, თუ როგორ იმუშავებდა მათი პარლამენტი.
საჭირო მასალა – კითხვარი ყველა მოსწავლისათვის (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.3), დიდი ზომის ქაღალდი, მარკერები 4-6 მოსწავლისაგან შემდგარი თითოეული ჯგუფისათვის.
მოსწავლეთა ჩართულობის ფორმა – პრეზენტაციები. ინდივიდუალური მუშაობა. მცირე ზომის ჯგუფებში მსჯელობა. მთელი კლასის დისკუსიები.

## ინფორმაცია

ახალგაზრდებიც მოქალაქეები არიან. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, საკუთარი აზრი გამოხატონ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ცხოვრებას უკავშირდება, მათ შორის, სკოლაზე. სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოსწავლეების უფლებაა, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი ჩართულობა მათ საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დემოკრატიული პროცესების გაცნობიერებაში ეხმარება. განხილვის საგანი შეიძლება იყოს ის მექანიზმები, რომლებიც მოსწავლეთა სასკოლო მართვაში ჩართულობას უზრუნველყოფს. ზოგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ყველა სკოლას ჰყავდეს საკუთარი პარლამენტი. სხვანი კი თვლიან, რომ პარლამენტის არსებობა ყველა სკოლაში აუცილებელი არ არის და არსებობს სხვა გზებიც, რომლებიც მოსწავლეთა ჩართულობას უზრუნველყოფს.

გაკვეთილი უნდა დაიწყოს მოსწავლეთა საშინაო დავალების შედეგების გაცნობით. თუ მოსწავლეების მიერ მომზადებული მასალა ძალიან მდიდარი და მრავალმხრივია, შესაძლოა, საჭირო იყოს ამ თემისათვის კიდევ ერთი გაკვეთილის დათმობა. არის მეორე ვარიანტიც, მასწავლებელს შეუძლია, შეაგროვოს მოსწავლეთა ნამუშევრები, გაასწოროს ისინი და შემდეგ გაკვეთილზე დაუბრუნოს შენიშვნებითურთ. რომელი გზაც არ უნდა იქნას არჩეული, უმთავრესია, რომ მასწავლებელმა ყველა მოსწავლის ნამუშევრი შეაფასოს.

## გაკვეთილი

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები წარმოადგენენ გამოკითხვის შედეგებს, მოქალაქეთა პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეები განიხილავენ ამ შედეგებს.

მასწავლებელს შემოაქვს ახალი თემა; ის ეკითხება მოსწავლეებს, თუ რას ფიქრობენ მათი სასკოლო საბჭოს, ან მოსწავლეთა პარლამენტის მუშაობის შესახებ. თუ მოცემულ სკოლაში თვითმმართველობა არ არსებობს, მოსწავლეებს შეუძლიათ, მოიყვანონ მაგალითები სხვა სკოლაში მოქმედი პარლამენტის, ან საბჭოს შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წარმოიდგინონ, როგორი იქნებოდა მოსწავლეთა იდეალური პარლამენტი, ანუ სკოლის მოსწავლეთა დემოკრატიული წესით არჩეული ერთობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს კითხვარს (მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.3), რომელსაც მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ყოფს. მოსწავლეებს აქვთ დრო, რათა საკუთარი პასუხები ერთმანეთს შეადარონ. მასწავლებელი ჯგუფებს დიდი ზომის ქაღალდსა და მარკერებს ურიგებს. მოსწავლეებმა უნდა შეიმუშაონ მოსწავლეთა იდეალური პარლამენტის კონსტიტუცია. მასწავლებელი ვალდებულია, აუხსნას მოსწავლეებს, რა არის კონსტიტუცია და მოიყვანოს მაგალითები იმისა, თუ რა სახის რეგულაციებს უნდა აწესდეს მოსწავლეთა პარლამენტის კონსტიტუცია.

როცა მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობას დაასრულებენ, ისინი საკუთარი მსჯელობის შედეგებს მთელი კლასის წინაშე წარმოადგენენ. დისკუსიის დროს შეიძლება დაისვას შემდეგი შეკითხვები:

- რა ძალაუფლება უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს, დირექტორსა და მასწავლებლებს?
- ვინ უნდა იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებებს, რომლებიც სკოლის მართვას უკავშირდება?
- შესაძლებელია თუ არა სკოლის დემოკრატიული წესით მართვა?

ბოლოს, მოსწავლეები პრეზენტაციას აკეთებენ სკოლის დირექტორთან და, თუ სურთ, მის წინაშე წარმოადგენენ საკუთარ წინადადებებს სკოლის პარლამენტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

საშიანაო დაგალება: მოსწავლეები ატარებენ ოჯახის წევრებისა და მეგობრების გამოკითხვას. შეკითხვა შემდეგია: როგორ ფიქრობთ, ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა პარლამენტი? რატომ?

მოსწავლეებმა შემდეგ გაკვეთილზე უნდა წარმოადგინონ გამოკითხვის შედეგები.

### მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.1

#### სიკალის სამეფო

სიკალი მთაგორიანი ქვეყანაა. საუკუნეების მანძილზე ის თითქმის მოწყვეტილი იყო დანარჩენ სამყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ სიკალი არის ძალიან პატარა სამეფო, ამ ბოლო პერიოდში მან დიდი ყურადღება მიიპყრო. განსაკუთრებული ყურადღების მიზეზია ამ სამეფოს ორიგინალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

დავიწყოთ იმით, რომ სიკალში მშეირი არავინაა. სიკალის მოსახლეობა საკუთარ საკვებპროდუქციას მთლიანად თავად აწარმოებს. წარმოებული პროდუქტი თანაბრად უნანილდება ყველას, ვისაც სჭირდება. სახლი ყველა ოჯახისათვის უფასოა. სახლის ზომა დამოკიდებულია ოჯახის წევრების რაოდენობაზე. გათბობისა და საკვების მომზადებისათვის საწვავი

უფასოდ მიეწოდებათ; ასევე, უფასოა საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთების მომსახურებაც. სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილია ყველა ადამიანისათვის, ვისაც სჭირდება. ყველა მოქალაქეს უტარდება უფასო სამედიცინო შემოწმება ყოველ 6 თვეში ერთხელ. მოხუცებულებს, მცირენლოვანი შვილების პატრონ ოჯახებს და ყველა სხვას, ვინც დახმარებას საჭიროებს, მუდმივად აქცევენ ყურადღებას სოციალური მუშაკები.

სიკალში ამქეყნიური სიკეთე ხელმისაწვდომია ყველასათვის. ყოველ ოჯახს ეძლევა ვაუჩერები, რითაც შეუძლიათ, შეიძინონ ფუფუნების საგნები, როგორებიცაა: სუნამოები, ავეჯი ან სანელებლები. ვაუჩერები შეიძლება გამოიყენონ მაშინვე, ან შეინახონ, დააგროვონ და უფრო უკეთესი საქონელი შეიძინონ.

როგორ ხდება ამ ყველაფრის ორგანიზაცია? სიკალი ყოველთვის მონარქია იყო. ამ-უამინდელი მეფეა სიკ III. მეფე ერთპიროვნულად წყვეტს, თუ მუშახელის რა რაოდენობაა საჭირო თითოეული საქმიანობისათვის (საკვების მოყვანა, სახლების მშენებლობა ან ჯან-დაცვა). სხვადასხვა საქმისათვის ადამიანების შერჩევა 5 წლის ასაკში ხდება, რის შემდეგაც ისინი სპეციალურ სკოლებში იგზავნებიან. მომავალი ფერმერები იწყებენ სიარულს სოფლის მეურნეობის სკოლაში, სახლების მომავალი მშენებლები – ტექნიკურ სკოლაში, ჯანდაცვის სფეროს მომავალი თანამშრომლები – სამედიცინო სკოლაში და ა.შ. ყველა დანარჩენი კი მეფის სასახლეში საქმდება.

ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ სიკალში არ არის ფული. არავის სჭირდება ფულის გადახდა, რადგან ყველას ყველაფერი აქვს.

ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა: მოსწონს ხალხს ასეთი ცხოვრება? არავინ არ ჩივის? მოქალაქეები საჩივრით ძალიან იშვიათ შემთხვევებში გამოდიან და ვინც საკუთარ უკმაყოფილებას აფიქსირებს, იგზავნება გონებრივად დაავადებულთა ჰოსპიტალში. ალბათ ავადმყოფი უნდა იყო, რომ ასეთი ცხოვრების მიმართ უკმაყოფილება გამოხატო, არა?

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.2

სადისკუსიო ბარათები

გადასახადების გადახდა	პოლიტიკური პარტიის წევრობა
ქვეყნის დასაცავად ბრძოლა	არჩევნებში მონაწილეობა
დანაშაულის შესახებ პოლიციაში განცხადება	თქვენი ოჯახის დახმარება
კანონმორჩილება	თქვენი მეზობლების დახმარება
თქვენი ქვეყნის დაცვა, როცა მას აკრიტიკებენ	სხვა... ?

## მოსწავლის სამუშაო ფურცელი 9.3

### როგორი უნდა იყოს მოსწავლეთა პარლამენტი?

მოსწავლეთა იდეალურ პარლამენტი:

1. რამდენი მოსწავლე იქნება?
2. როგორ იქნებიან არჩეულნი მოსწავლეთა წარმომადგენლები?
3. რა სიხშირით გამართავს სხდომებს მოსწავლეთა პარლამენტი?
4. სად გამართავს სხდომებს მოსწავლეთა პარლამენტი?
5. როგორ იქნებიან მოსწავლეთა პარლამენტის მუშაობაში ჩართულნი მშობლები ან მასწავლებლები?
6. რა საკითხების განხილვის უფლებამოსილება ექნება (და არ ექნება) მოსწავლეთა პარლამენტს?
7. რა ტიპის გადაწყვეტილებებს მიიღებს (ვერ მიიღებს) მოსწავლეთა პარლამენტი?

